

114 /  
1937/2



# მნათობი

6-7

ს ე ხ ე რ გ ე მ ი  
ბ ფ ი ლ ი ს ი — 1937



# მნათობი

სრულიად საქართველოს საშ. შერეულშის  
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,  
სახელოვნო და საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო  
ქვეყნალი

წელიწადი მეთოთხმეტი

## 6-7



ს ე ს ე ღ ბ



თ ბ ი ლ ი ს ი 1 9 3 7

ფანჯა

2043



რედაქცია:

ტფილისი, შანაბლის, 13  
მწერალთა სასახლე  
ტ. 3-55-25

ქანტორა:

ტფილისი, კიროვის ქ. № 7  
სახელგამი  
პერიოდსექტორი

პ/მ. რედაქტორი — დავით დემეტრაძე

პ/მ. მდივანი — ლევან ასათიანი

მთავლ. რეკონ. № 33005. შეკვ. № 981. ტირაჟი 7300.

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ვორცის ქ. № 5.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

ლ. პ. ბერია — ლადო კეცხოველი . . . . .	33- VII
ბეს. უდენტი — ლიტერატურული ფრონტის იდეური სიწმინ- დისათვის . . . . .	XXIII

შალვა დადიანი — ურდუმე (რომანი) . . . . .	1
ირაკლი აბაშიძე — ორი ირემი (ლექსი) . . . . .	12
ალ. ქუთათელი — პირისპირ (რომანი) . . . . .	14
გიორგი ქუჩიშვილი — გორკის ხსოვნას (ლექსი) . . . . .	62
ალ. ქვიციანი — ლელო (რომანი) . . . . .	64
ჰაინრიხ ჰაინე — დაბრუნება საშობლოში (პოემა) . . . . .	91
ჟან ჟიონო — დიდი ფარა (რომანი) . . . . .	110
ალიგატიერი დანტე — სალხინებელი (თარგმ. კონსტ. გამ- სახურდიასი) . . . . .	153

### კ რ ი ბ ი კ ა და კ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

ალექსანდრე სულავა — ქართული ლექსები და სიმღე- რები სტალინზე . . . . .	158
ლევან ისათიანი — შ. გორკი საქართველოში . . . . .	166
ივ. ბეგლაროვი — სომეხი ხალხის დიდი დრამატურგი . . . . .	186
ილია ზურაბიშვილი (ელეფთერიძე) — გაბრიელ სუნდუ- კიანცი, როგორც ადამიანი . . . . .	189

### • ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

დოც. შ. ასლანიშვილი — ქართული მუსიკის განვითა- რების ეტაპები . . . . .	196
---	-----

რუსთაველის გარემო

ა. შანიძე — ეხტანგის მონოგრაფია ვეფხის-ტყაოსნის შესახებ 227

ბიბლიოგრაფია

დ. კობიძე — ი. აბულაძის „ირანული ენის გრამატიკა“ 234



ქართული  
ბიბლიოთეკა



ი. ბ. სტალინი და ა. მ. გორაკი

# ლადო კეცხოველი

1876 — 1903

I

ბრავალი შესანიშნავი ბოლშევიკი აღზარდა ლენინ-სტალინის პარტიამ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წლებში, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის კლასობრივ ბრძოლებში. ბრავალი მათგანი დაიღუპა მეფის საპყრობილეთა ჯურღმულეებში, კატორღასა და გადასახლებაში მეფის ჯალათების ხელით, სამოქალაქო ომის სახელოვან გმირულ ბრძოლებში.

ბოლშევიკური პარტია პატივისცემით იხსენებს თავის ერთგულ შვილებს და მათი ცხოვრებისა და რევოლუციური ბრძოლის მაგალითზე ზრდის ბოლშევიკთა ახალ თაობას.

ბოლშევიზმის შესანიშნავ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ლადო კეცხოველიც — ამხანაგი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში. ამხ. ლადო კეცხოველი მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში.

90-იანი წლები რუსეთში კლასობრივი ბრძოლების ისტორიაში შევიდა, როგორც პერიოდი ლენინის დაძაბული ბრძოლისა მუშათა კლასის მებრძოლი რევოლუციური პარტიის შექმნისათვის, პარტიისა, რომელსაც უნარი ექნებოდა გადაეწყვიტა იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის ამოცანები. რუსეთი იყო იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა საყვანძო პუნქტი, უმაგალითო პოლიტიკური ჩაგვრისა და მტაცებლური ექსპლოატაციის კერა. მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრი გადავიდა რუსეთში.

„ისტორიამ ჩვენს წინაშე ახლა დააყენა, — სწერდა ლენინი, — უახლოესი ამოცანა, რომელიც ყველაზე რევოლუციურია რომელიც გნებავთ სხვა ქვეყნის პროლეტარიატის ყველა უახლოეს ამოცანათაგან. ამ ამოცანის განხორციელება, არა მარტო ევროპულ, არამედ აგრეთვე (შეგვიძლია ვთქვათ ახლა) აზიური რეაქციის ყვე-

ლაზე მძლავრი ბურჟუის დანგრევა, რუსეთის პროლეტარიატს გაბ-  
დიდა საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის განვიარ-  
დად<sup>1)</sup>.

ლენინმა პირველმა წამოაყენა ლოზუნგი სოციალ-დემოკრატიული რე-  
დასვლისა ვიწრო პროპაგანდიდან მასობრივ აგიტაციაზე, წრეობანის ლი-  
კვიდაციაზე და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მუშათა კლასის პოლი-  
ტიკური ბრძოლის ორგანიზაციაზე.

ლენინმა პირველმა განახორციელა გადასვლა პროპაგანდიდან აგიტა-  
ციაზე თავის მიერ შექმნილ პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფ-  
ლებისათვის ბრძოლის კავშირში“.

ლენინის იდეები შეიქრა ამიერ-კავკასიაში.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლენინური დროშა კავკასიაში  
აღმართა ამხანაგმა სტალინმა.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით 1898 — 1900 წლებში ჩაისახა  
და ჩამოყალიბდა კავკასიის სოციალ-დემოკრატიის რევოლუციურ-ლენი-  
ნური ფრთა.

ამხანაგმა სტალინმა ამხ. კეცხოველთან და წულუკიძესთან ერთად  
თბილისისა და ბაქოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები გადაიყვა<sup>1)</sup>  
ნა პოლიტიკური გაფიცვების ხელმძღვანელობაზე, ანხორციელებდა რა  
გადამწყვეტ გადასვლას პროპაგანდიდან და აგიტაციიდან მუშათა კლას-  
ის მასობრივი პოლიტიკური ბრძოლის ორგანიზაციაზე.

ლადო კეცხოველი იყო პროფესიონალი რევოლუციონერი, ლენინურ-  
ისკრული იატაკქვეშეთის გამოჩენილი ორგანიზატორი. იგი მოხერხებუ-  
ლად ათავსებდა ღრმა და გულმოდგინე კონსპირაციას და ყოველდღიურ  
კავშირურთიერთობას თბილისისა და ბაქოს მუშებთან, აწყობდა რა ყვე-  
ლაზე რთულ და ძნელ რევოლუციურ ღონისძიებებს.

ელადიმერ (ლადო) ზაქარიას-ძე კეცხოველი დაიბადა 1876 წლის  
2 იანვარს თბილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფელ ტყვიავში. მისი მამა —  
ზაქარია კეცხოველი მღვდელი იყო, ჰყავდა ხუთი ვაჟი და ერთი  
ქალიშვილი. ლადო ჯერ რვა წლისა არ იყო, რომ დედა მოუკვდა. ვა-  
ჭარებამ და სიღარიბემ ლადოს უფროსი ძმები აიძულეს მიეტოვებინათ  
მშობლებს სახლი; ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმყოფებოდ-  
ნენ. უფროსი მამა ნიკო 1878 — 1885 წლების პერიოდში ნაროდნიკი  
იყო და კავშირი ჰქონდა გაბმული რუს ნაროდნიკებთან.

1883 წელს შვიდი წლის ლადო მიაბარეს გორის სასულიერო სასწავ-  
ლებელში, სადაც იგი გატაცებით კითხულობდა ქართველ კლასიკოსთა  
აკრძალულ წიგნებს, რომელნიც მასში ცოდნის წყურვილს აღვიძებდნენ.

<sup>1)</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 382.

ლადო ბავშვობიდანვე მეტად გულისხმიერი, მშვიდი, სერიოზული და დინჯი იყო. იგი თუ ხელს მოჰკიდებდა რაიმე საქმეს, დიდი მეტეორობით მიჰყავდა ბოლომდე. ხასიათის სიმტკიცე და მზანსწილადელობა ლადომ თავის მშვენიერი სოცოცხლის დამღევემდე შეუწყვეტდა.

ლადო ჯერ კიდევ სასულიერო სასწავლებელში გახლდათ სწავლისას მას არ სწამდა ღმერთი, არ უყვარდა წირვა-ლოცვა და ამხანაგებს შორის უღმერთოს სახელი ჰქონდა გაეარდნილი.

არდადეგებს ლადო ატარებდა თავის სოფელ ტყვიავში. მას დიდად აინტერესებდა გლეხთა ცხოვრება. იგი იცნობდა თავისი სოფლის თითქმის ყველა გლეხის ოჯახს. გლეხები უკიდურეს გაჭირვებაში სცხოვრობდნენ. მათ სულს უხუთავდა გადასახადები, ბეგარა, მიწის იჯარა, თავდაზნაურთა და მემამულეთა თვითნებობა. პოლიციის ხელისუფალნი სძარცვავდნენ გლეხებს, იჭრებოდნენ სახლებში და საგადასახადო ნარჩენთა დასაფარავად ართმევდნენ გლეხებს საოჯახო ნივთებს, მიერეკებოდნენ პირუტყვს და სხვ. წინააღმდეგობის გაწევის სულ ოდნავი ცდისას გლეხებს დაუზოგავად ამათრახებდნენ.

ველური თარეშის ეს სურათები ლადოზე მძიმე შთაბეჭდილებას ატოვებდნენ და იწვევდნენ მასში სიძულვილის გრძნობას დამმონებლებისადმი — მეფისა, მემამულეებისა და თავდაზნაურებისადმი.

ლადო ხშირად ეჩხუბებოდა მამას და ჰგმობდა მას გლეხებისაგან საეკლესიო ხარჯის შეგროვებისათვის. იგი ავითაცხას ეწეოდა და არწმუნებდა გლეხებს, რომ ღმერთი არ არის — იგი მღვდლებმა გამოიგონესო. რომ ზუცესებს საეკლესიო ხარჯი არ უნდა აძლიოთო. მამის მრავალი ცდა, რომ ლადო „ქრისტიანულ გზაზე“ დაეყენებინა, სრული დამარცხებით თავდებოდა.

სასულიერო სასწავლებლის მეოთხე კლასში ყოფნისას, ლადომ დაიწყო ხელნაწერ ჟურნალის „განთიადის“ გამოშვება, რაც აღმინისტრაციამ გამოამელაგა. ლადომ ყოფაქცევაში ორიანი მიიღო. ცუდი ნიშნის გამო იგი არ მიიღეს თბილისის სასულიერო სემინარიაში, — და მამის ხანგრძლივი დავიდარაბის შემდეგ იგი „ყოფაქცევის გამოსასწორებლად“ მეორე წელს დასტოვეს გორის სასულიერო სასწავლებელში.

## II

გორის სასულიერო სასწავლებელში ლადო კეცხოველი პირველად გაეცნო და დაუშვებობდა ამხანაგ სტალინს. ამხანაგი სტალინი ლადო კეცხოველზე უმცროსი იყო; იგი სასწავლებლის საშუალო-მოსამზადებელ კლასში შევიდა 1888 — 89 სასწავლო წელს, როდესაც ლადო უკვე მესამე კლასში იყო.

გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, აცხოველი 1891 წლის სექტემბერს შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. იჩენს რა დიდ წარმატებებს ყველა საგანში, იგი განსაკუთრებულად კარგად მოღვაწეობით სწავლობს ისტორიასა და ლიტერატურას. წყვეს იწყება სემინარიელთა წრეში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი მწერალი ე. ნინოშვილი.

თავისი ხასიათით წრე ლიტერატურულ-საგანმანათლებლო იყო — იქ სწავლობდნენ ტურგენევის, დოსტოვესკის, ლევ ტოლსტოის, ბელინსკის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის, გერცენის, პისარევის, ყაზბეგის, ბარათაშვილის და სხვათა ნაწარმოებთ. სემინარიაში მძვინვარე იეზუიტური რეჟიმი იძულებულს ხდიდა, რათა ამ წრის მეცადინეობა კონსპირატულად ეწარმოებინათ. სემინარიელებს უთვალთვალებდნენ.

1893 წლის 30 ნოემბერს ახალგაზრდა ლაღო კეცხოველმა თბილისის განაპირა უბანში, საბურთალოში, მოაწყო სემინარიის მოსწავლეთა პირველი კრება, სადაც ვადაწყდა გამოცხადებულყო ვაფიცვა სემინარიაში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. 1893 წლის 1 დეკემბერს დაიწყო ვაფიცვა და იგი ოთხ დღეს გაგრძელდა. მოსწავლეებმა საქართველოს ეგზარხოსს წარუდგინეს თავისი მოთხოვნები, რომელთა მთავარი პუნქტები იყო: სემინარიელების ზეურვის შეწყვეტა, სემინარიიდან გაძევება ზედაშედეგელების ივანოვისა და პოკროვისკის, თავნება და ადამიანის მოძულე მასწავლებლის ბულგაკოვისა, და ქართული ენის კათედრის შემოღება, იმ ენისა, რომელსაც მეფის მოხელეები „ძალის ენად“ აცხადებდნენ, სასტიკად სდევნიდნენ რა დედაენაზე მოლაპარაკე სემინარიელებს.

არ შესწევდა რა ძალა ვაფიცვის ლიკვიდაციისათვის, დაბნეულმა მმართველობამ ერთი თვით დახურა სემინარია.

თბილისის ეპისკოპოსმა საგუბერნიო სამმართველოს უფროსმა იანკოვსკიმ პეტერბურგში გაგზავნა საგანგაშო დეპეშა:

„პეტერბურგი. ეპისკოპოსმა კორპუსის უფროსს.

მათილმადიდებელთა სემინარიის მოსწავლეთა უმრავლესობამ, მოითხოვა რა ზოგიერთი მასწავლებლის გაძევება და ქართული ლიტერატურის კათედრის შემოღება, შესწყვიტა მეცადინეობა, რჩევა-დარიგება უშედეგოდ დარჩა. ეგზარხოსის დეპეშის თანახმად, სინოდის განკარგულებით მოწაფეები დათხოვნილი არიან 8 იანვრამდე“.

მოსწავლეთა დათხოვნას მოჰყვა რეპრესიები: 87 მოწაფე გარიცხეს სემინარიიდან „მგლის ბილეთით“. ოცდასამ გარიცხულს, მათ შორის ვაფიცვის ორგანიზატორს, ლაღო კეცხოველს აეკრძალა თბილისში ცხოვრება.





ლადო კეცხველი

1893 წლის დეკემბრიდან 1894 წლის აგვისტომდე ლადო ცხოვრობდა სოფელ ტყეიაევში, ხოლო 1894 წლის შემოდგომაზე ვაეცხვარა კიევიში. სადაც მოახერხა სასულიერო სემინარიაში შესვლა.

როგორც ვიცით, ამ წლებში კიევიში არსებობდა არაბრძანებით სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი. მან 1897 წელს, პოლოხელ სოციალ-დემოკრატთა კიევის ჯგუფთან შეერთების შემდეგ, დააარსა „მუშათა კლასის განათვისუფლებისათვის მებრძოლი კიევის კავშირი“, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რსდმპ I ყრილობის მოწვევაში. ლადო კაცხოველი აქტიურ მონაწილეობას იღებდა კიევის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული წრეების მუშაობაში.

კაცხოველის რევოლუციური მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩა კიევის ჟანდარმერიას. 1896 წლის აპრილში იგი დააპატიმრეს. კიევის საპატრონი სამი თვის ყოფნის შემდეგ ლადო ორი წლის ვადით გადაასახლეს საშობლოში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. 1896 წლის შემოდგომიდან 1897 წლის აგვისტომდე იგი ცხოვრობდა სოფელ ტყეიაევში, ხოლო შემდეგ სოფელ ჯავაში (სამხრეთ-ოსეთი).

1897 წლის სექტემბერში ლადო დაემალა პოლიციის ზედამხედველობას და გადავიდა თბილისში, სადაც შევიდა „მესამე დასში“.

„მესამე დასი“ იყო საქართველოს პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. 1893—1898 წლების პერიოდში იგი ლეგალურად ჰქადაგებდა მარქსიზმის ეკონომიურ მოძღვრებას და ერთგვარ დადებით როლს ითამაშობდა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში სოციალ-დემოკრატიის იდეების გავრცელების საქმეში.

1898 წელს ამ ჯგუფში შევიდა ამხანაგი სტალინი. „მესამე დასში“ ამხანაგი სტალინის შესვლის შემდეგ, მისი ინიციატივითა და მისი ხელმძღვანელობით ჩაისახა და ჩამოყალიბდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიის რევოლუციურ-მარქსისტული ფრთა.

როგორც ვიცით, ბოლშევიკური პარტიის შემქმნელი ვლადიმერ ილიასძე ლენინი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა არალეგალურ პრესას. პროლეტარული პარტიის შექმნის ლენინურ გეგმაში ძირითად როლს წარმოადგენდა ორგანიზაცია საერთოორუსული პოლიტიკური გაზეთისა, როგორც მუშათა მასებთან მჭიდროდ დაკავშირებულ პროფესიონალ რევოლუციონერთა იდეური და ორგანიზაციული ცენტრისა. არალეგალური პრესის ორგანიზაციის საკითხი 1898 წელს მწვავე უთანხმოების საგანი გახდა „მესამე დასის“ რევოლუციურ უმცირესობასა და ოპორტუნისტულ უმრავლესობას შორის.

იმ დროს, როცა „მესამე დასის“ უმრავლესობა, რომელიც ეწეოდა მარქსიზმის ვულგარიზაციას და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ინტერესებს უგუებდა მას, განაგრძობდა თავის საქმიანობას ლეგალური

პრესის ორგანოებში, ამხანაგებმა სტალინმა, კეცხოველმა და წულუკიძემ გადაჭრით დაიწყეს ბრძოლა მებრძოლი რევოლუციური არალეგალური გაზეთის შექმნისთვის.

ამ ბრძოლაში ლადომ განსაკუთრებული როლი ითვლება. იგი სამსახურში შევიდა ხელაძის სტამბაში და დაეინებით შეუდგა სტამბის საქმის შესწავლას. ლადომ იქ მალე დაბეჭდა დიკშტეინის ბროშურა „ლუკმა-პურის ისტორია“, რომელიც მან სთარგმნა ქართულ ენაზე. ეს იყო პირველი არალეგალური ქართული წიგნაკი. ლადომ შესძლო აგრეთვე დაებეჭდა რამდენიმე პროკლამაცია და ბროშურა.

ლადო კეცხოველი უახლოესი მეგობარი იყო ამხანაგი სტალინისა. კეცხოველის ბინაზე, ხშირად ამხანაგები სტალინი და ლადო გვიან ნაშუაღამევამდე რჩებოდნენ და საუბრობდნენ მუშათა მოძრაობაზე, ლენინზე, პლენანოვზე...

### III

1898 — 1900 წლებში ამხანაგმა სტალინმა ლადო კეცხოველსა და წულუკიძესთან ერთად თბილისის სოციალ-დემოკრატების მუშაობა გადაიყვანა მასობრივი აგიტაციისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის რელსებზე. 1899 წელს თბილისში, ქალაქგარეთ მოწყობილ იქნა მათობა, რომელზედაც ლადო თავის მგზნებარე სიტყვაში მოუწოდებდა მუშებს თვითმპყრობელობასთან ბრძოლისაკენ.

ამხ. ვანო სტურუა თავის მოგონებებში ამ მათობაზე სწერდა:

„1899 წელს ჩვენმა არალეგალურმა წრეებმა გადასწყვიტეს არალეგალური მათობა მოეწყოთ ქალაქგარეთ, თავი მოიყარა დაახლოვებით 70 კაცმა. ამ დღეს მე პირველად ვნახე ლადო კეცხოველი. გახსნეს მათობა, პირველი სიტყვა წარმოსთქვა მიხა ბოჭორიძემ, შემდეგ გამოვიდა ლადო კეცხოველი“.<sup>1)</sup>

1899 წლის დამლევს ლადო კეცხოველს აწყობს და ხელმძღვანელობს თბილისის ცხენის ტრამვაის („კონკის“) მუშათა გაფიცვას. ცხენის ტრამვაის მუშები 13 საათიან სამუშაო დღეში ღებულობდნენ 90 კაპიკიდან 1 მანეთამდე, ამასთან ამ ხელფასის დიდი ნაწილი უნდებოდა ჯარიმების გამორიცხვას. მუშებს აჯარიმებდნენ ყოველნაირი საბაბით: სწრაფი სვლისთვის, წყნარი სვლისთვის, გაუფრთხილებელი სვლისთვის, უხეშობისათვის, ურჩობისათვის და სხვ. ასეთი სისტემის გამო 1899 წელს საშუალოდ 15-დღიან სამუშაო პერიოდში მხოლოდ 5 მუშამ მიიღო თვითუღმა 15 მანეთი. 476 მუშამ მიიღო ერთი მანეთიდან 10 მანეთამდე, ხოლო 21 კაცმა მიიღო ერთ მანეთზე ნაკლები. ჯარიმების წინააღმდეგ

<sup>1)</sup> „რევოლუციის მატინე“ № 2, 1925 წ. გვ. 73 — 74.

პროტესტებისათვის მუშებს სასტიკად უსწორდებოდნენ. მაგალითად, ცხენის ტრამვაის მუშა ზ. ლომიძემ როტმისტრ ბრუნთან გაფიცვა გამო დაკითხვისას განაცხადა:



„ტრამვაის დირექტორის თხოვნით ჩვენ მიყვავდნარ მუშა მუშების პოლიციაში, სადაც ბოქაული თუმანოვი მრავალჯერ ცემდა და გვაიძულებდა უეჭველად დავმორჩილებოდით ტრამვაის უფროსის მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში გვემუქრებოდა თბილისიდან გადასახლებას“<sup>1)</sup>.

გაფიცვა დაიწყო 1900 წლის 1 იანვარს და დამთავრდა მუშების სასარგებლოდ.

თბილისის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის ხელმძღვანელობით, რომელსაც მეთაურობდნენ ამხანაგები სტალინი, კეცხოველი და ს. წულუკიძე, იზრდებოდა და ფართოვდებოდა მუშათა პოლიტიკური ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. 1901 წელი აღინიშნა პროლეტარიატის პირველი აშკარა პოლიტიკური გამოსვლით.

ამხანაგმა სტალინმა და თბილისის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელმა ჯგუფმა 1901 წელს მოამზადეს საპირველმაისო მუშათა დემონსტრაცია ქალაქის ქუჩებში. გამოშვებულ იქნა პროკლამაცია, რომელშიაც ჩამოყალიბებული იყო მუშათა კლასის მოთხოვნანი და განმარტებული პროლეტარიატის ისტორიული როლი. ამხანაგ სტალინის პირადი ხელმძღვანელობით შემუშავებულ იქნა ამ დემონსტრაციის გეგმა და ჩატარდა მთელი აუცილებელი საორგანიზაციო მუშაობა.

1901 წლის 22 აპრილს, სალდათის ბაზარში, ყოფილი ალექსანდრეს ბაღის რაიონში, გაიმართა 1 მათისადმი მიძღვნილი დემონსტრაცია. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო თბილისის ქარხნებისა და ფაბრიკების დაახლოვებით ორმა ათასმა მუშამ, რომლებიც გამოვიდნენ წითელი დროშებით. დემონსტრანტებს შეუტრეს პოლიციამ და ყაზახებმა: შეტაკების დროს დაიჭრა 14 მუშა და დააბატიმრეს 50 დემონსტრანტზე მეტი. ამხანაგი სტალინი მონაწილეობას იღებდა ამ დემონსტრაციაში და პირადად ხელმძღვანელობდა მას.

მუშების დემონსტრაცია თბილისის — რუსეთის თვითმპყრობელობის კავკასიის ამ ციტადელის — ქუჩებში გახდა უდიდესი პოლიტიკური მოვლენა და მან უდიდესი რევოლუციური ზეგავლენა მოახდინა მთელ კავკასიაზე.

თბილისის დემონსტრაციის გამო ლენინური გაზეთი „ისკრა“ 1901 წელს სწერდა.

<sup>1)</sup> საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური საარქივო სამმართველო, ფ. 7, ს. 255, ფ. 25.

„22 აპრილის კვირას თბილისში მომხდარი ამბავი წარმოადგენს ისტორიულ-მნიშვნელოვან ამბავს მთელი კავკასიისათვის, ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა“

ლადო კეცხოველს არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო კავკასიის რევოლუციურ მოძრაობაში. 1900 წელს იგი თბილისის ხელმძღვანელი პარტიულ-კავკასიის გადარწმუნებით, რომელსაც მეთაურობდა ამხანაგი სტალინი, პარტიული მუშაობისათვის გაიგზავნა ბაქოში.

ამხანაგმა სტალინმა და თბილისის ხელმძღვანელმა პარტიულმა ჯგუფმა ლადოს დაავალეს განემტკიცებინა ბაქოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და ბაქოში მოეწყო არალეგალური სტამბა.

ლადო კეცხოველმა თავისი ენერგიული მუშაობით გააცხოველა ბაქოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და მისცა მას ლენინურ-ისკრული სახე. 1901 წ. მოეწყო რსდმპ ბაქოს პირველი კომიტეტი ლენინურ-ისკრული მიმართულებისა.

#### IV

ბაქოში ლადო კეცხოველი ცხოვრობდა არალეგალურად, ყალბი პასპორტით, ხან დემეტრაშვილის სახელზე, ხან კი ნიკოლოზ მელიქოვის სახელზე. კეცხოველის საქებრად ბაქოში გაგზავნეს ეანდარმები თბილისიდან, მაგრამ ოსტატური კონსპირაციის წყალობით იგი შედარებით დიდხანს ახერხებდა დამალვას.

თბილისის ხელმძღვანელი ჯგუფის და პირადად ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობითა და დახმარებით ლადო კეცხოველმა 1901 წელს ბაქოში მოაწყო არალეგალური სტამბა, რომელიც წარმოადგენდა ჩვენი პარტიის ერთერთ უდიდეს სტამბას. თბილისის ხელმძღვანელმა ჯგუფმა სტამბა მოამარაგა ფულით, შრიფტით, ლადოს დასახმარებლად გაგზავნა ორი ასოთამწყობი სოციალ-დემოკრატიული მუშების წრიდან. თურა ოსტატურად აღწევდა ლადო თავს მთელ რიგ სიძნელებებს, რომლებიც დაკავშირებული იყო სტამბის შექმნასთან, ამაზე მოგვითხრობს ლ. ბ. კრასინი:

„...არ იყო არავითარი შესაძლებლობა შეგვეძინა საბეჭდი მანქანა და სისტემატურად გვეყიდა ქალაღი, საღებავი, შრიფტი და სხვ., თუ არ გვექნებოდა გუბერნატორის მოწმობა სტამბის გახსნის უფლებაზე. ამხ. ლადომ ძალიან უბრალოდ გაართვა თავი ამ სიძნელეს. მან განჯის გუბერნატორის სახელით შეადგინა თავის სახელზე მოწმობა სტამბის გახსნის უფლებაზე, გადასწერა ეს მოწმობა წინასწარ მიღებულ ბლანკზე, რომელსაც გუბერნატორის ტიტული ეკრა, და შემდეგ თვითონ მოაწერა ხელი ამ დოკუმენტს

გუბერნატორის მაგივრად... გადილო ასლი ყალბი მოწმობიდან, და-  
ამოწმა ეს ასლი ბაქოს ნოტარიუსთან და ამგვარად მიიღო დოკუმენტი,  
რომელზეც უკვე არცერთი ყალბი ხელმოწერა არ იყო. ამ დოკუმენტით  
ლადომ უხიფათოდ შეიძინა საჭირო მანქანა და მასალები, და რსდმპ იატაკქვეშეთის ტექნიკამ დაიწყო მანქანის გა-  
ქოში...“

ბაქოს სტამბას, რომელიც ლადო კეცხოველმა მოაწყო რსდმპ თბილისის  
ხელმძღვანელი ჯგუფის დავალებით, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა  
არა მარტო კავკასიის სოციალ-დემოკრატიისათვის, არამედ მთელი  
რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისათვისაც საერთოდ. ამ  
სტამბაში 1901 წლის სექტემბრიდან იწყო გამოცემა პირველმა ქართულ-  
მა არალეგალურმა გაზეთმა „ბრძოლამ“ — თბილისის რევოლუციური  
სოციალ-დემოკრატიის ორგანომ. „ბრძოლა“ იყო ლენინურ-ისკრული მი-  
მართულების პირველი რევოლუციური გაზეთი კავკასიაში.

„ბრძოლა“ აყენებდა აგიტაციის ფართოდ გაშლის ამოცანას, მოუხ-  
მობდა მუშათა კლასს მეფის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინა-  
აღმდეგ საბრძოლველად. მან გამოაცხადა სოციალიზმისათვის მებრძოლი  
მუშათა კლასის რიგების ურღვევი ერთიანობა მთელს რუსეთში.

გაზეთი „ბრძოლა“ იცავდა პროლეტარიატის დიქტატურის იდეას,  
ამხელდა „ლეგალურ მარქსისტებს“ და ეკონომისტებს, იცავდა მუშათა  
კლასის აშკარა პოლიტიკური ბრძოლის და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ  
რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის ლენინურ იდეას.

თბილისის ხელმძღვანელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის პროკლა-  
მაციები, რომლებიც სტამბაში იბეჭდებოდა, უაღრესად ფართოდ ვრცელ-  
დებოდა კავკასიაში. და განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული  
მუშებსა და გლეხებს შორის პროკლამაციები, გამოშვებული 1901 წელს  
მეფის რუსეთთან საქართველოს ეგრეთწოდებული „შეერთების“ ასი  
წლისათვის დღესასწაულთან დაკავშირებით. ისინი ყველგან იყო გაფან-  
ტული, მათ კითხულობდნენ ჯარისკაცებიც, იკრიბებოდნენ რა 12 — 15  
კაციისაგან შემდგარ ჯგუფებად.

გაზეთ „ბრძოლის“ მიერ გამოცემულ ერთერთ პროკლამაციაში ნათ-  
ქვამი იყო:

„დღეს, როცა ათასობით მშრომელი ხალხი და მისი წარმომად-  
გენელი ციხეში ღებებიან, დღეს, როცა ჩვენ თვალწინ დღე მუდამ  
მდინარეები დგება ამ ტანჯული ბრბოს გამონადენი სისხლისაგან,  
დღეს, როცა თავისუფალი სიტყვა, მოქმედება, მშური სიყვარული  
აღკრძალული ხილია ამ მრავალტანჯულ ხალხისათვის და როცა  
მთავრობის ბილწი აგენტები საზოგადოებაში მეჭრთამეობას, შიშს,  
ვარყენილებას სთესავენ, დღეს, როცა ყოველი გულწრფელობა და



„ისკრა“ და სხვა ისკრული მასალები, ბაქოს სტამბაში დაბეჭდილნი, ფართოდ ვრცელდებოდა რუსეთის სამხრეთ ქალაქებში. ამავ დროს ლადომ მოაგვარა ისკრულ გამოცემათა ტრანსპორტი საზღვარგარეთიდან რუსეთში ვენა-თავრიზ-ბაქოს ხაზით.

მარქსიზმი

ჩოდესაც 1902 წლის მარტში შეიქმნა სტამბის ჩაებადნის ცენტრალური საფრთხე, გადაწყდა გადაეტანათ იგი ბაქოდან რუსეთში. სტამბისათვის ადგილის გამოძებნა დაეკისრა ლადო კეცხოველს; ამ მიზნით იგი 1902 წლის აპრილს გაემგზავრა რუსეთში.

ლადომ შემოიარა მთელი რიგი ქალაქები (კიევი, სამარა და სხვ.), შიგრამ პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ ქალაქებში ვერ შესძლეს აღმოეჩინათ მისთვის საჭირო დახმარება სტამბის მოწყობის პირობათა მომზადებაში, და 1902 წლის აგვისტოს იგი დაბრუნდა ბაქოში და სტამბისთვის დაიჭირა ახალი სადგომი ჩადრის ქუჩაზე.

ენდარმერიამ, ბოლოსდაბოლოს, შესძლო მიეგნო დაუცხრობელი რევოლუციონერის კვალისათვის, და 1902 წ. 2 სექტემბერს ლადო კეცხოველი დაპატიმრეს ბაქოში და მოათავსეს ბაქოს საპრობილესში, საიდანაც 1902 წ. სექტემბრის დამლევს გადაიყვანეს თბილისის მეტეხის ციხეში. დაპატიმრებისას ლადომ, რათა ამხანაგები გამოეხსნა, მთელი დანაშაულო თავისთავზე მიიღო და გაბედულად განაცხადა, რომ იგი არის „პროფესიონალი რევოლუციონერი ვლადიმერ კეცხოველი“.

დაკითხვებზე ლადოს განსაკუთრებული ღირსებითა და მტკიცედ ეჭირა თავი. ბაქოს ენდარმები პოლიციის დეპარტამენტისადმი თავის მოხსენებაში მას ახასიათებენ, როგორც „ფრიად მარჯვე, ფრთხილ ადამიანს, რომელმაც დაკითხვებზე ყველა ზომა მიიღო, რათა სხვები გამოეხსნა... თავის დამხმარეთა დასახელებაზე კეცხოველმა, როგორც სხვებმა, უარი განაცხადა, რის გამო ჯერ შეუძლებელი გახდა გამოგვერკვია ზოგიერთ პირთა ურთიერთკავშირი რევოლუციურ საქმიანობის შირივ“.)

საპრობილის რეიშიმა ვერ ვასტება ლადო კეცხოველის რკინის ნუბისყოფა. უშიშარი რევოლუციონერი აქაც განაგრძობდა ბრძოლას. იგი დაუკავშირდა პატიმრებს, დაულალავად იბრძოდა საპრობილის წესების წინააღმდეგ, აწყობდა პატიმართა გაფიცვებსა და გამოსვლებს.

საპატიმროს აღმინისტრაციამ გადასწყვიტა დაეცვა ჯალათების მუნდირის ღირსება. თვითმპრობელობის ქოფაკი ძალღები აყუფდნენ ფეხებში გათელილი „ხელისუფლების პრესტიჟის“ აღდგენაზე.

აი რას სწერდა მეტეხის ციხის უფროსი თბილისის საგუბერნიო ენდარმთა სამმართველოს უფროსს:

1) საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო, ფ. 36, ს. 467, ტ. II, გვ. 7 — 23.



„მაქვს პატივი ვთხოვოთ, თქვენო მაღალკეთილშობილეთაგან, რათა სამხედრო საპრობილეში გადაიყვანოთ მეტეხის ციხეში მოთავსებული პოლიტიკური პატიმარი ვლადიმერ კაცხოველი, რომელიც მუდამ თავს გვიჩვენებს ყოველად ცუდი მხრით. მანამდე კაცხოველი მოქმედებით მთელი ხნის განმავლობაში დღიდან მისი მეტეხის ციხეში მოთავსებისა.

საპრობილეში მისი პატიმრობის დროის განმავლობაში მომხდარ არეულობათა უმეტესობა გამოწვეულია ისევ და ისევ ამ პატიმრის მეოხებით, რომელიც უაღრესად მადემორალიზებულურად მოქმედებს თავის გარშემო მყოფ პირებზე, სეკრეტებში, თავის ამხანაგებზე.

უკანასკნელ, ამა წლის 15 ივლისის არეულობაში კაცხოველმა მიიღო ფრიად აქტიური მონაწილეობა, რისთვისაც დაედო დისციპლინარული სასჯელი, ბნელ კარცერში შეიდი დღე-ღამის განმავლობაში ჯდომა.

ამ დისციპლინარული სასჯელის ვადის დამთავრების შემდეგ სასურველი იქნებოდა კაცხოველი არ შეგვეყვანა სასეკრეტო შენობათა კორპუსში, იმ პირობებში, რომელშიაც მისი გავლენა ხელსაყრელ ნიადაგს ჰპოვებდა და დაუყოვნებლივ გადავიყვანოთ იგი სამხედრო საპრობილეში, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ არეულობა პოლიტიკურ პატიმრებს შორის, აღვადგინოთ ფეხქვეშ გათელილი პრესტიჟი ხელისუფლებისა, ჩაუნერგოთ მათ პატივისცემა საპრობილის ადმინისტრაციის კანონიერ მოთხოვნებისადმი და ამით დაუბრკოლებლად და ზუსტად შევასრულოთ სამსახურის ყველა მოვალეობანი“<sup>1)</sup>.

## VI

ლადო კაცხოველი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იჩენდა რევოლუციურ შეურიგებლობას, სიმამაცეს, სიმტკიცეს და უშიშრობას. საპრობილეში მოთავსებული, იგი აქაც თავს კი არ იცავდა, არამედ უტევდა თვითმპყრობელობას.

ლადოს მებრძოლი სულსკვეთების გასატეხად, საპრობილის ადმინისტრაცია აამოქმედებდა ხოლმე რეპრესიების მთელ არსენალს: მას კარცერში ავდებდნენ, ართმევდნენ ქვეშაგებს, ართმევდნენ წიგნებს, არ აძლევდნენ სეირნობის ნებას, უკრძალავდნენ გადაცემებს... მაგრამ ლადო არ ნებდებოდა. რეპრესიების პასუხად იგი ხმამაღლა ყვიროდა ფანჯრი-

<sup>1)</sup> საქართველოს ცენტრარქივი, საარქ. ფ. № 7, ს. 427, 1903 წ. აღწ. № 8, ტ. 4. თბილ. გუბ. უანდ. სამმარო. ფ. 2.

დან: „გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას! ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს სოციალიზმს!“ და ამ მოწოდებასაც ეხმაურებოდა კონკრეტული მთელი პოლიტიკური განყოფილება.

რევოლუციის კეთილშობილი რაინდი, იგი მთლად გამსჭვალული და მოცული იყო რევოლუციური აზრით, გრძნობით, მოქმედებით.

მის გულში გიზგიზებდა რევოლუციისათვის ბრძოლის დაუქობელი ცეცხლი. შთაგონებული, ღრმად-იდუური, იგი თავის ყოველ ნაბიჯს მიმართავდა რევოლუციური საქმის გამარჯვებისაკენ. ლაღოს ბრძოლის ურყევ სულისკვეთებას, უდრეკ სიმტკიცეს, მის სიზამციეს საფუძვლად ედო უსაზღვრო ერთგულება რევოლუციის საქმისადმი, უდიდესი რწმენა მუშათა კლასის გამარჯვებისა, რომელიც არ სტოვებდა მას არც იატაკქვეშეთში, არც საპყრობილის ჯურღმულებში.

აი რას სწერდა ლაღო კეცხოველი მეტეხის ციხიდან უფროს ძმას სანდროს თავის უკანასკნელ წერილში:

„ალარა მაქვს უკან გამოსასვლელი გზა და კიდევაც რომ მჭონდეს, დარწმუნებული ვარ ეხლანდელ დროში შენვე პირველი შემომაფურთხებ, თუ გაფიქრებითაც კი გავიფიქრე უკან დახვევა და ჩემი აქამომდე წმინდათა-წმინდის გადაქლევა. მაშ ბრძოლა! ბრძოლა!.. და თუ ამ ბრძოლაში წაგიქეცი, ნუ იდარდებ: ყოველი საქმე და მით უმეტეს თავისუფლება მსხვერპლსა თხოულობს... **НО где, скажи, когда без жертв искуплена свобода?!**“

მხოლოდ თავის განწირვით შეიძლება მოვიპოვოთ ჩვენს პირობებში ადამიანური დამოკიდებულება იმათგან, ვისაც ხელში ჩაუბლუჯავს ჩვენი ბედის ნასკვი. — მოითმინეო... მოთმინება კარგია, ადამიანის ღირსებაა, მაგრამ იქ, საცა კითხვა შეეხება ადამიანურ ღირსებას, უფლებას და გრძნობას — მოთმინა ან სილაჩრეა, ან შეუგნებლობა, ყოველ შემთხვევაში კი სამარცხინო და ადამიანის გამათახსირებელი ხასიათია. სული ტკბილია, ყველას უნდა სიციცხლე, მაგრამ თუ შევიგინებენ შენს წმინდათა-წმინდას, გაგიტოლავენ ფეხქვეშ სულსაც და ყოველგვარ ადამიანურ ღირსებასაც, რაღათ გინდა ან სული და ან სიციცხლე!“ 1).

ლაღო კეცხოველის წინააღმდეგ აწყობენ უსაზიზღრეს პოლიტიკურ შუთხელებას, რომლის მეთაური პირსისტილიანი როტმისტრი რუნჩი ლაღოს მოკვლამდე შეიდი დღით აღრე სწერს, აუცილებელია მიღებულ იქნას „განსაკუთრებული ზომები“ თვითმპყრობელობისათვის ამ საშიში რევოლუციონერის წინააღმდეგო. მოკვლა დაეკისრა გუშაგ დერგილევს-1903 წ. 17 აგვისტოს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე. ლაღო კეცხოველი

1) „ლაღო კეცხოველი“, რსდმპ კავკასიის კავშირის გამოც., 1903 წ., გვ. 28—33.

თავის კამერაში მოჰკლეს ფანჯარაში ნასროლი ტყვიით. ტყვე ვულში მოხედა და მაშინვე გარდაიცვალა.

ასე საზიზღრად გაუსწორდა ეანდარმერია მგზნებარე რევოლუციონერს.

რევოლუციონერი

ლადოს მხეტური მოკვლის ამბავი სწრაფად მოედინა პოლიტიკურ აბოზოქრდა პოლიტიკური განყოფილება. მალე კეცხოველის მოკვლის ამბავი ქალაქშიაც ვაიგეს. თბილისის მუშები, რომლებსაც უყვარდათ ლადო, წყველაკრულვას უთელიდნენ საზიზღარ ჯალათებს.

მეტეხის ციხეს ყაზახები შემოარტყეს.

ლადო საშიში იყო პოლიციისათვის არა მარტო სიცოცხლის დროს, არამედ სიკვდილის შემდეგაც. ვერაფერს მკვლელებს შეეშინდათ მიეცათ კეცხოველის ცხედარი დასაქრძალავად. მუშებისა და უახლოესი ნათესაეებისაგან ფარულად ეანდარმებმა დაქრძალეს იგი ლამით თბილისის სამხედრო სასაფლაოზე.

ლადო კეცხოველის მოკვლის გამო რსდმპ თბილისის და ბაქოს კომიტეტებმა გამოუშვეს პროკლამაციები. ბაქოს პროკლამაციაში ეპიგრაფად აღებულია მაქსიმ გორკის სიტყვები: „О смелый сокол, в борьбе с врагами истек ты кровью...“

„ასეთ მებრძოლთა საუკეთესო ძეგლსა და ჯილდოს, — სწერდნენ პროკლამაციაში, — წარმოადგენს თავდადებული ბრძოლა იმ თვითმპყრობელობასთან, რომელმაც იგი მოჰკლა, იმ ველურ თვითნებობასთან, რომელიც ხელიდან გვაცლის ჩვენს საუკეთესო მეგობრებს, ჩვენ იმედი გვაქვს, ამხანაგებო, რომ მოკლული მეგობრის მოგონება მტკიცედ დარჩება ჩვენს ხსოვნაში და ეს კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს რწმენას, რომ ახლოა ჩვენი წმინდა საქმის გამარჯვება“.

ლადო კეცხოველმა მთელი თავისი ბრწყინვალე, მშვენიერი სიცოცხლე მთლად შესწირა რევოლუციურ ბრძოლას მუშათა კლასის საქმისათვის.

მისმა გმირულმა სახემ — უდრეკი, უშიშარი პროლეტარული რევოლუციონერის სახემ ამიერკავკასიის და საქართველოს რევოლუციონერი პოლმედიკების არა ერთი და ორი თაობა აღზარდა.

„პრავდა“. 1937 წლის 11 ივლისი.

## ლიგერაგუჩი უკონგის ირეუკი სინჰინდისათვის

ქართველი ხალხის სახელოვანმა ხელმძღვანელმა ამბ. ლ. პ. ბერიამ საქართველოს ბოლშევიკების მე-10 ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ქართული საბჭოთა მწერლობის საკითხებს. ამ მოხსენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის. მასში მთელი სიზუსტით და სიღრმით არის გარკვეული ქართული მწერლობის განვითარების უკანასკნელი პერიოდის ყველა ძირითადი პროცესი, მასში საკვებით სწორად და მართებულად არის შეფასებული ქართული საბჭოთა ლიტერატურის ყველა მომქმედი ძალა, მოცემულია ქართული საბჭოთა მწერლობის დღევანდელი ვითარების მთლიანი სურათი და დასახულია ლიტერატურული ფრონტის საბრძოლო პროგრამა—ის ძირითადი ამოცანები, რომელთა წარმატებით განხორციელებით ქართულმა საბჭოთა მწერლობამ უნდა შესძლოს ღირსეული პასუხის გაცემა მის წინაშე წამოყენებული მოთხოვნებისათვის.

ამბ. ლ. ბერიას მოხსენება განსაკუთრებულად ამახვილებს საბჭოთა სამწერლო საზოგადოებრიობის ყურადღებას რევოლუციური სიფხიზლისა და იდეური ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობაზე ლიტერატურის დარგში. იგი მოითხოვს ჩვენგან, საბჭოთა მწერლობის მთელი კოლექტივისაგან გამანადგურებელი ბრძოლის გაჩაღებას კლასობრივად მტრული იდეოლოგიის ყოველგვარი ნარჩენის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და საბჭოთა ხალხის მოსისხლე მტრების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ გამოიყენონ საბჭოთა ლიტერატურის ფრონტი თავიანთი შავბნელი და ვერაგული ზრახვებისათვის.

ყოველდღიურად იზრდება საბჭოთა ლიტერატურის როლი და მნიშვნელობა სოციალისტურ მშენებლობაში. ყოველდღიურად ღრმავდება ჩვენი მწერლობის კავშირი მუშათა კლასის საბრძოლო და შემოქმედებითს პრაქტიკასთან. ძლიერდება საბჭოთა ხალხის სწრაფვა და სიყვარული მხატვრული ლიტერატურისადმი. მწერლობა ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად გადაიქცა კომუნისმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ უმანვილეს იარაღად, მშრომელი მასების კომუნისტურად აღზრდის ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორად.

ამიტომაც სავსებით ბუნებრივია, რომ სოციალიზმის გამარჯვებებით ვაცოფებული უკანასკნელი ნაშხვრეები განადგურებულ კონტრრევოლუციური კლასებისა, საბჭოთა ხალხის დაუძინებელი და მოსისხლე მტრები ყურადღების გარეშე ვერ დასტოვებდნენ საბჭოთა კულტურის ფრონტს და ყოველშრივად შეეცდებოდნენ შეეფერხებინათ სოციალისტური მწერლობის ზრდა-განვითარების საქმე.

იმ მოღალატურ-მავნებლოური მუშაობის მთელ სისტემაში, რომელსაც აწარმოებდნენ საერთაშორისო ფაშიზმის სისხლიანი აგენტები — კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ბუხარინული ბანდები ჩვენი ქვეყნისა და საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ, გარკვეული ადგილი უჭირავს მავნებლო-დივერსიულ მუშაობას, მიმართულს საბჭოთა ლიტერატურის ძალთა დეზორგანიზაციისაკენ, საბჭოთა მწერლობის დარგში პროლეტარიატისათვის მტრული და უცხო იდეების დანერგვისაკენ.

ცნობილია, რომ სისხლიანი ფაშიზმის პირისხლიანი აგენტები — ტროცკი და ბუხარინი ყოველთვის ებრძოდნენ პროლეტარული კულტურის მშენებლობის იდეას. მათი კონტრრევოლუციური „თეორიები“ მუშათა კლასის მიერ საკუთარი კულტურის მშენებლობის შეუძლებლობის შესახებ, მათი შეხედულებანი კულტურული რევოლუციისა და სალიტერატურო პოლიტიკის საკითხებზე, ყოველთვის შეადგენდნენ იდეურ საზრდოს ყველა კონტრრევოლუციური ლიტერატურული დაჯგუფებისათვის: ავერბახელეებისათვის, „ლიტფრონტელებისათვის“, „პერეველელეებისათვის“ და სხვ.

საბჭოთა ხალხის მოსისხლე მტრებმა ბუხარინმა და რადეკმა სცადეს საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობის ტრიბუნაზე გამოეყენებინათ თავიანთი კონტრრევოლუციური „იდეების“ საპროპაგანდოდ საბჭოთა ხალხისა და სოციალისტური კულტურის წინააღმდეგ.

ბუხარინი ამ ყრილობაზე გამოვიდა „განსწავლულ ლიტერატურათმცოდნის“ ნიღაბში და პოეზიის ბუნების „მაგიური“ და „სასწაულებრივი“ თვისებების შესახებ ლაყბობით ცდილობდა უარეყო პოეტური შემოქმედების კავშირი ქვეყნის სამეურნეო-პოლიტიკური ცხოვრების საბრძოლო ამოცანებთან, ცდილობდა საბჭოთა პოეზიისათვის გეზი მიეცა საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან, მუშათა კლასის საბრძოლო პრაქტიკისაგან გამოთიშვისა და განცალკევებისაკენ. იგი თავს დაესხა პოლიტიკური პოეზიის იდეას. იგი თავგამოდებით შეებრძოლა პროლეტარული რევოლუციის უდიდესი პოეტის, ვლადიმერ მაიაკოვსკის პოეტურ მემკვიდრეობას, ხოლო საბჭოთა პოეზიის წამყვან ძალად და სანიმუშო მონაპოვად გამოაცხადა ისეთი პოეტების შემოქმედება, რომლებიც ყველაზე მეტად არიან ჩაკეტილი თავიანთ ვიწრო ინდივიდუალურ ნაქუქში, ყველაზე მეტად არიან დამორებული სოციალისტურ სინამდვილეს, საბჭოთა ხალხის საბრძოლო მიზნებსა და იდეებს.

ცხადია, სოციალიზმის მოსისხლე მტერი და სისხლიანი ფაშისტის ვარეწარი აგენტი ბუხარინი ამ შემთხვევაშიც ხელმძღვანელობდა მანებლური განზრახვით — დაეჩლუნგებია საბჭოთა ლიტერატურის პოლიტიკური სიმახვილე, მოედუნებია პოეტური შემოქმედების სპონსორული უნარიანობა და კომუნისზმისათვის ბრძოლის არსენალიდან განაწილოს ხსენებული ბასრი და მახვილი იარაღი, როგორცაა კომუნისზმის დიადი იდეებით შთაგონებული საბჭოთა პოეზია. ამავე ყრილობაზე ფაშისტურ-ტროცისტული ბანდების მეორე აქტიურმა მონაწილემ კ. რადეკმა ასეთივე მანებლურ-დივერსანტული კონცეპტია განავითარა მსოფლიო რევოლუციური ლიტერატურის მიმართ. მან საესებით უგულვებელყო და შეეცადა ყოველმხრივად დაემციობებია კაპიტალისტური ქვეყნების იმ რევოლუციურ პოეტთა შემოქმედება, რომლებიც თავგანწირულად იბრძვიან დასავლეთის რევოლუციურ მუშათა კლასის პოზიციებზე და რომელთა ლექსებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მასების რევოლუციური ამოძრავების საქმეში. ამგვარი მოღალატური ხერხით რადეკმა სცადა არევე-დარევე შეეტანა რევოლუციური ლიტერატურის საერთაშორისო ბანაკში და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ფრონტისათვის ჩამოეცილებია მუშათა კლასისათვის ყველაზე მეტად თავგამოდებული ლიტერატურული ძალები.

იმის მაგალითს, თუ როგორი თავგამოდებით ცდილობს კლასობრივი მტერი შეიჭრას ლიტერატურის დარგში და გამოიყენოს იგი თავისი კონტრრევოლუციური ზრახვებისათვის, გვაძლევს ქართული საბჭოთა ლიტერატურის სინამდვილეც. ცნობილია, რომ მთელი რიგი წლების მანძილზე საქართველოს მწერალთა ორგანიზაციას თავმჯდომარეობდნენ ხალხის მოსისხლე მტრები, ჯაშუშები და დივერსანტები მ. ტოროშელიძე და ა. თათარიშვილი, ხოლო საქართველოს საბჭოთა ლიტერატურის ძირითად ბეჭდვითს ორგანოს „მნათობს“ რამდენიმე წლის განმავლობაში რედაქტორობდა ფაშისტურ-ტროცისტული, ჯაშუშურ-ტროცისტული ცენტრის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გ. ყურულაშვილი. ცხადია, რომ ხალხის ამ მოსისხლე მტრებს თავიანთი მოწოდებით და პროფესიით საერთო არაფერი ჰქონდათ საბჭოთა ლიტერატურასთან, მათ არაფერი აკავშირებდათ მხატვრულ მწერლობასთან, მაგრამ თუ ისინი მაინც დაფიქრებით ცდილობდნენ მოეკალათებიათ საბჭოთა ლიტერატურის ხელმძღვანელ პოსტებზე, ეს მხოლოდ იმისათვის, რომ უფრო მოხერხებულად გაეშალათ მანებლურ-დამანგრეველი მუშაობა, მიმართული საბჭოთა მწერლობის რიგების დეზორგანიზაციისაკენ, საბჭოთა ლიტერატურის საბრძოლო უნარიანობის მოედუნებისაკენ, მისი დაკნინებისა და დაჩაჩანაკებისაკენ.

მათ არ შესწევდათ ძალა და უნარი სისრულეში მოეყვანათ ეს ვერაგული და მოღალატური განზრახვა. ისინი არასოდეს არ სარგებლობდნენ

ავტორიტეტით და პოპულიარობით საბჭოთა მწერლობის ფართო მასაში თუ არ ჩავთვლით რამდენიმე გამონაკლისს, — იმ გაზრდილ და უმადრუკ ერთეულებს, რომლებიც თავიანთი მოქალაქობრივი და შემოქმედებითი მოვრაფიით მომზადებულნი იყვნენ ხალხის მოსიხსნელ-განთავისუფლებელ მისაქცევად.

მიუხედავად ამისა, შეუძლებელია ითქვას, თითქოს ტოროშელიძეს, ყურულაშვილს და თათარიშვილს ზოგიერთ შემთხვევაში თვალთმაქცურად არ მოეხერხებოდათ გაეკეთებოთ კლასობრივი მტრის შავ-ბნელი საჭმე ჩვენი მწერლობის რიგების დაქსაქსვისა და დეზორიენტაციის მიმართულებით.

ის ვარემოება, რომ საბჭოთა მწერლობის ორგანიზაციაში სათანადო სიმაღლეზე არ იღვა ბოლშევიკური თვითკრიტიკა, საშუალებას აძლევდა ხალხის ამ გარეწარ მტრებს მოეკალათებიათ მწერალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელ პოსტებზე.

საბჭოთა ლიტერატურის სინამდვილეში უფრო ღრმად შეჭრა და მოკალათება მოახერხა კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ლიტერატურული აგენტურის იმ სახეობამ, რომელიც ცნობილია „ავერბახელობის“ სახელწოდებით.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის არსებობის უკანასკნელ წლებში ამ ორგანიზაციას სათავეში მოექცა მუხანათურად შენიღბული ბანდა ტროცკისტ-მუხარინელ მანებლებისა და დივერსანტებისა, ავერბახის, სელივანოვსკის, მაკარიევის და სხვათა მეთაურობით. სწორედ იმ წლებში, როდესაც სოციალიზმის გამარჯვებათა ნიადაგზე და ჩვენი პარტიის ბრძნული სალიტერატურო პოლიტიკის მეოხებით ლიტერატურულ ფრონტზე ძირითადად განადგურებულ იქნა ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული მწერლობის ბანაკი, როცა ძველი მხატვრული ინტელიგენციის საუკეთესო ძალებმა მასობრივად პირი იბრუნეს მუშათა კლასის პოზიციებშისაკენ. ხოლო პროლეტარიატის წიალიდან გამოსულმა ლიტერატურულმა თაობებმა გერჩენეს იდეურ-შემოქმედებითი ზრდის მაღალი ტემპები — სწორედ ამ პერიოდში ლიტერატურული ფრონტის ხელმძღვანელ ორგანიზაციაში მოიკალათა ხალხის მტრების თვალთმაქცურმა ბანდამ, რათა შეეფერხებია სოციალისტური ლიტერატურის წინმსვლელობა, ჩაეშალა ბრძოლა სოციალისტური კულტურის შემდგომი წარმატებებისათვის.

ლიტერატურულ ძალთა იდეური კონსოლიდაციის იდეას გარეწარმა „ავერბახელებმა“ დაუპირისპირეს გამძაფრებული ჯგუფობრივი კინკლაობის პრაქტიკა. პარტიის სალიტერატურო პოლიტიკის ძირითად აზრს — განსალი მხატვრული შეჯიბრებისა და შემოქმედებითი კონკურენციის პრინციპს მათ დაუპირისპირეს „ნაპოსტოველური“ ჯგუფის ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული ჰეგემონია. მწერალთა შორის იდეურ-აღმზრდე-

ლობითი მუშაობა, მათ შესცვალეს ჭედმადლური ბრძანებლობისა და ყოყობის უხეში მეთოდებით.

„ავერბახელებმა“ ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის პარალელურად გამოიშვეს ეგრეთწოდებული „პროლეტარული ლიტერატურული ხაზი“, „ნაპოსტოველურ“ შეხედულებათა მთელს დაქვემდებარების ყოველი შემადგენელი „პრინციპი“ გადმოტანილია კონტრრევოლუციური ტროცკიზმის „იდეური“ არსენალიდან.

სალიტერატურო პოლიტიკის დარგში „ავერბახელები“ ხელმძღვანელობდნენ პირწავარდნილი ტროცკისტული ლოზუნგით: „აკავშირე ან მტერი“, რომლის მიხედვითაც უპარტო საბჭოთა მწერლების დიდ ნაწილს კლასობრივი მტრის ბანაკისაკენ ერეკებოდნენ.

„ავერბახელებმა“ დღის წესრიგიდან მოხსნეს სოციალისტური ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდისათვის ბრძოლის ამოცანა და პროლეტარული მწერლობის შემოქმედებით მეთოდად თვალთმაქცურად გამოაცხადეს „დიალექტიკურ-მატერიალისტური შემოქმედებითი მეთოდი“, რაც მოასწავებს მუშათა კლასის მსოფლმხედველობის — მატერიალისტური დიალექტიკის უხეში ვულგარიზაციისა და გაყალბების აშკარა ცდას.

„ავერბახელების“ მიერ საბჭოთა ლიტერატურაში შემოტანილი ყოველი ლოზუნგის ანალიზი აშკარად გვიჩვენებს მათი ავტორების კონტრრევოლუციურ-მავნებლურ ბუნებას.

საკმაოა, გავიხსენოთ გარეწარ „ავერბახელების“ მიერ შეთხზული ისეთი რეაქციული გამაყალბებელი „შემოქმედებითი ლოზუნგები“, როგორც იყო „ცოცხალი ადამიანი“, „პარამონიული ადამიანი“, „უშუალო შთაბეჭდილებათა თეორია“, „პოეზიის ვადემიანურება“ და სხვა, რათა საესებით ნათელი გავხადოთ „ნაპოსტოველური გენერალური ხაზის“ კონტრრევოლუციური შინაარსი, მისი უშუალო კავშირი ტროცკისტულ-ბუხარინულ კონტრრევოლუციურ შეხედულებათა მთელს სისტემასთან.

ყველა ამ მავნებლურ-კონტრრევოლუციურ ლოზუნგს დიდის გულმოდგინებით ნერგავდა ქართულ ლიტერატურაში მთელი რიგი წლების მანძილზე საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყოფილი „ავერბახული“ ხელმძღვანელობა, დღეს უკვე საბოლოოდ მხილებული ტროცკისტ-ავერბახელის ბ. ბუაჩიძის მეთაურობით.

ამხ. ლ. ბერიას მოხსენებაში მოცემულია საესებით სწორი და ამომწურავი შეფასება იმ გამხრწნელი და მავნებლური მუშაობისა, რომელსაც ქართულ ლიტერატურაში აწარმოებდა ბ. ბუაჩიძის ჯგუფი — კონტრრევოლუციური ავერბახელობის ეს პირწავარდნილი ფილიალი. როცა ჩვენმა პარტიამ 1932 წლის 23 აპრილის ისტორიული დადგენილებით განაანადგურებელი მახვილი ჩასცა კონტრრევოლუციურ „ავერბახელობას“, ლიტერატურული მავნებლობის დახელოვნებულმა „ატამანებმა“



კვლავ განაგრძეს შენიღბული და არალეგალური ბრძოლა მარტინის ამ ისტორიული დადგენილების რეალიზაციის წინააღმდეგ.

დღეს უკვე გამოჩვეულია, რომ „ავერბახელებმა“ შექმნეს „ბარალე-ლური ლიტერატურული ცენტრი“, რომელიც მიზნად ისახავს მანებ-ლურ-პროვოკაციული საშუალებებით ჩაეშალა ლიტერატურული ფრონტის ახალი ხელმძღვანელობის მუშაობა და საბჭოთა მწერლობის ხელ-მძღვანელ პოსტზე ისევ ტროცკისტული ბანდა დაებრუნებია გარეწარი ავერბახის მეთაურობით.

საესებით ანალოგიურ „მუშაობას“ ეწეოდა ქართულ სინამდვილეში ბ. ბუაჩიძე. 23 აპრილის ისტორიული დადგენილების შემდეგ მას არსებითად არ უარყვია არც ერთი ავერბახელი შეხედულება. პირიქით, იგი ახალ-ახალ გამოცემებად ბეჭდავდა თავის ძველ რაპულ-ავერბახულ სტატიათა კრებულებს და ახალ წერილებშიაც თანმიმდევრულად ანვითარებდა ტროცკისტულ-ავერბახულ თვალსაზრისს. იგი ცდილობდა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია ჩვენი მწერლობის ნაწილი, შეექმნა მწერალთა რიგებში ურთიერთ უნდობლობისა და უკმაყოფილების ატმოსფერო, კვლავ აღედგინა ლიტერატურული ფრონტის ძალთა დაქსაქსულობისა და ჯგუფობრივი კინკლაობის პრაქტიკა, საბოტაჟის გზით, თუ აშკარა წინააღმდეგობის გაწევით, ჩაეშალა საბჭოთა მწერლობის ორგანიზაციის ღონისძიებანი.

ქართულმა საბჭოთა მწერლობამ დაუნდობლად ამხილა ტროცკისტ-ავერბახელის ბ. ბუაჩიძის მანებლური „საქმიანობა“ და იგი განდევნა საბჭოთა მწერლების რიგებიდან. მაგრამ ამით როდი თავდება ბრძოლა კონტრრევოლუციურ ავერბახელობასთან. ცნობილია, რომ ბ. ბუაჩიძემ შესწლო თავისი გავლენის ქვეშ მოექცია ზოგიერთი ამხანაგი (კ. მელაძე, ვ. ლუარსაბიძე და სხვ.). მათ თავიანთი უანგარო მუშაობით უნდა დაამტკიცონ, რომ საბოლოოდ გაემიჯნენ რაპულ-ავერბახულ პოზიციებს.

საბჭოთა მწერლობის საბრძოლო ამოცანაა—დაუნდობლად აღმოფხვრას ჩვენს მწერლობაში „ავერბახელობის“ უკანასკნელი ნარჩენები და საბოლოოდ გასწმინდოს ლიტერატურული ფრონტი ამ მანებლურ-კონტრრევოლუციური მოვლენის ყოველგვარი ნაშთისაგან.

კონტრრევოლუციური ტროცკისტული ლიტერატურული აგენტურის მეორე სახეობას საბჭოთა ლიტერატურაში წარმოადგენდა „ლიტ-ფრონტი“, რომელსაც ქართულ საბჭოთა მწერლობაში აგრეთვე ჰყავდა თავისი ფილიალი, დღეს უკვე საესებით მზილებული და განადგურებული ქიქოძე-ნაროუშვილის კონტრრევოლუციური ჯგუფის სახით.

„ლიტფრონტი“ იყო სირცოვ-ლომინაძის მოღალატური კონტრრევოლუციური ბლოკის დასაყრდენი მწერლობის დარგში. ეს ორი კონტრრევოლუციური ლიტერატურული დაჯგუფება—„ავერბახელები“ და „ლიტფრონ-

ტლები“ — გარეგნულად თითქოს „ებრძოდნენ“ ერთმანეთს, მაგრამ ამ „ებრძოლას“ მხოლოდ თვალთმაქცურ-კარიერისტული ხასიათი ქონდა. არსებითად არავითარი იდეური წინააღმდეგობა მათ შორის არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

გავიხსენოთ თუნდაც საქართველოს მაგალითები. ცნობილია, რომ გორგოლაძე-გორგოლაძეების ოჯახი, რომელიც „ლიტერონტელი“ პ. ჭიჭინაძის მეთაურობით არსებული დაჯგუფებები ქართული კლასიკური ლიტერატურის დისკრედიტაციისა და გაბიაბრუების საქმეში. ისინი თანაბარის თავდავიწყებით ესხმოდნენ ჩვენი კლასიკური მწერლობის სწორედ იმ უდიდეს წარმომადგენლებს, რომლებიც ყველაზე მეტად უყვარს ჩვენ ხალხს. მათი შემოქმედებითი მემკვიდრეობის შებლაღვიბითა და აბუჩად აგდებით „ავერბახელები“ და „ლიტერონტელები“ ცინიკურად შეურაცყოფდნენ საბჭოთა ხალხის ლიტერატურულ გემოვნებასა და თვალსაზრისს და ამ მანევრით ცდილობდნენ, ერთის მხრით, ხალხის ფართო მასებში უკმაყოფილება გამოეწვიათ ჩვენი პარტიის სალიტერატურო პოლიტიკისადმი, ხოლო მეორეს მხრივ — მუშათა კლასისათვის ხელიდან გამოეცალათ სოციალისტური კულტურის მშენებლობის ისეთი მძლავრი იარაღი, როგორცაა ლენინურ-სტალინურად ათვისებული და გამოყენებული კულტურული მემკვიდრეობა.

თუ „ავერბახელები“ „უშუალო შთაბეჭდილების“, „ცოცხალი ადამიანის“, „პარმონიული ადამიანის“ და სხვა ამგვარი ყაღბი, რეაქციული ლოზუნგებით ცდილობდნენ საბჭოთა მწერლობა აეცდინათ ჩვენი დიადი სოციალისტური სინამდვილის და მისი გმირი ადამიანების ღრმად გამოხატვის გზიდან, ამავე მუხანათურ მიზანს ისახავდნენ „ლიტერონტის“ ქართველი ნაბოლარები, რომლებმაც რევოლუციური რომანტიზმის გაყალბებული ვაგებით სცადეს საბჭოთა ლიტერატურის აცდენა სოციალისტური რეალიზმის პოზიციებიდან და მწერლობის მთავარ ამოცანად თვალთმაქცურად და პროვოკაციულად დასახეს მომავლის მხატვრობა, ხოლო ამავე დროს მათ კონცეპციაში ეს „მომავალი“ ჩვენი დიადი სოციალისტური სინამდვილისადმი დაპირისპირებულ და საწინააღმდეგო ცნებას წარმოადგენდა.

როგორც „ავერბახელობის“, ისე კონტრარევოლუციური „ლიტერონტის“ ქართული ფილიალი მთელი სიმკაცრით იქნა მხილებული და განადგურებული. პ. ჭიჭინაძე და ფ. ნაროუშვილი კარგა ხანია განდევნილნი არიან საბჭოთა მწერლობის რიგებიდან, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ქართული „ლიტერონტული“ დაჯგუფების ზოგიერთ ყოფილ მონაწილეს (პ. ჩხიკვაძე, დ. ბენაშვილი, გ. ნატროშვილი) არაფერი დარჩათ გასაკეთებელი იმისათვის, რომ საბოლოოდ აღმოფხვრან თავიანთი სამწერლო მოღვაწეობიდან „ლიტერონტულ“ შეხედულებათა მანევრარჩენები და საბჭოთა მწერლობის მთელს კოლექტივთან ერთად მონაწილეო-

მა მიიღონ ლიტერატურული ფრონტის იდეური სიწმინდისათვის ბრძოლაში.

ამხ. ლ. ბერიამ თავის მოხსენებაში საქართველოს პოლმედიკების მე-10 ყრილობაზე ილაპარაკა აგრეთვე ქართული სამედიცინო ლიტერატურის უახლოეს წარსულში არსებულ სხვა ლიტერატურულ დაჯგუფებათა შესახებ, როგორც იყო: „აკადემიური მწერლობის ჯგუფი“, „არიფიონი“, „ცისფერი ყანწები“ და „ლუფელების ჯგუფი“.

ეს ლიტერატურული დაჯგუფებანი არ წარმოადგენენ მარტო ისტორიულ კატეგორიებს თანამედროვე საბჭოთა მწერლობის თვალსაზრისით. მართალია, ეს დაჯგუფებანი დღეს დღეობით აღარ არსებობენ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ დაჯგუფებათა წიაღში გამოშუშებული იდეების ნარჩენებს ეხლაც ვხვდებით ქართულ საბჭოთა მწერლობის სინამდვილეში.

უდაო ფაქტია, რომ მწერალ კ. გამსახურდიას უკანასკნელ რომანშიაც მკაფიოდ გამოხატეს იმ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეების გავლენა, რომელთა ნიადაგზედაც გაერთიანებული იყო ე. წ. „აკადემიური მწერლობის ჯგუფი“, ხოლო მწერლობის სოციალისტური სინამდვილიდან მოსხლეტისა და განყენების ის „თეორიები“, რომლებსაც ხსენებული ჯგუფი იცავდა, დღესაც პოულობენ თავის გამოხატულებას ზოგიერთი მწერლის აზროვნებასა და შემოქმედებაში (მაგ., პოეტი კ. ქიქინაძე).

ის ვარემოება, რომ ვარეწარმა მიხ. ჯავახიშვილმა საბოლოოდ დაკარგა საბჭოთა მწერლისა და მოქალაქის სახე და მთლიანად ჩაეფლა მოღალატურ-მავნებელურ-ჯავშეშურ მუშაობის კონტრრევოლუციურ წუშმეში, იმით უნდა აიხსნას, რომ იგი ბოლომდე ერთგული დარჩა კონტრრევოლუციურ იდეებისა, რომლებითაც თავის დროზე სულდგმულობდა „არიფიონის“ კორპორაცია. ხოლო „ცისფერი ყანწების“ ლიტერატურულ-მოქალაქეობრივი ტრადიციების ლოგიკამ ზოგიერთი ყოფილი „ცისფერი ყანწელი“ (გ. რობაქიძე, ნ. მიწიშვილი, პ. იაშვილი) ჩვენი ხალხის მტრებისა და მოღალატეების, სისხლიანი ფაშიზმის ბანაკში გადაისროლა, და ზოგი მათგანი კი (ტ. ტაბიძე, გ. ლეონიძე) საბჭოთა მწერლის ღირსების შეურაცხმყოფელ კავშირ-ურთიერთობათა ქსელში გაახვია.

ყველა ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ საბჭოთა ლიტერატურის ფრონტზე ჩვენ საქმე გვაქვს კლასობრივი მტრის გაცოფებულ წინააღმდეგობასთან, კლასობრივად მტრული იდეოლოგიის ჯერ კიდევ აღმოუფხვრელ ნაშთებთან. ამიტომ მწერლობის დარგშიაც ყოველად დაუშვებელია მიღწევებით დაკმაყოფილებისა და უდარდელობის იდიოტური სენი. შემტევი რევოლუციური სიფიზღე და იდეური ბრძოლის გამაბვილება აუცილებელ პირობას წარმოადგენს სოციალისტური მწერლობის შემდგომი განვითარებისათვის.

კლასობრივი მტერი ყოველშრივად და ყოველგვარი საშუალებებით ცდილობს შეაფერხოს საბჭოთა ლიტერატურის წინსვლას და დაქაქსოს მისი შემოქმედებითი ძალები და შებღალოს მისი იდეურ-მხატვრული ღირსება. მაგრამ ხალხის საზიზღარი მტრების ამ ვერაგუდევრულ ქმედებას წინ ეღობება საბჭოთა მწერლობის ძირითადი მასის ერთსწრაფი მუშაობა — ლენინ-სტალინის პარტიის დიადი იდეებისადმი. საბჭოთა მწერლობის უდიდესი უმრავლესობა უსაზღვროდ ერთგულია საბჭოთა ხალხისა და ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოსი — საბჭოთა პატრიოტიზმის უმაღლესი და უწმინდესი გრძნობით არის გამსჭვალული მთელი ის შემოქმედებითი მუშაობა, რომელშიაც ასეთის გატაცებით და თავდადებით არის ჩაბმული ყოველი ქვეყნის მწერალი.

ჩვენი სამშობლოს მთელ ხალხთან ერთად საბჭოთა ლიტერატურა ემზადება დიადი პროლეტარული დღესასწაულისათვის — ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლის თავისათვის. ამ უდიდეს ისტორიულ თარიღს ქართული საბჭოთა მწერლობა უნდა შეხედეს ახალი შემოქმედებითი ენტუზიაზმით, ახალი მხატვრული მიღწევებით. დიადი სახალხო დღესასწაულისათვის სამზადისის პერიოდში ქართველმა საბჭოთა მწერლობამ უნდა გვიჩვენოს თავისი უნარი და შესაძლებლობა ხალხის საუკეთესო მისწრაფებათა გამოხატვისა, ჩვენი გმირული ეპოქის შესაფერი მხატვრული სახეების შექმნისა.

ბოლშევიზმის დაუფლება, ლენინ-სტალინის მოძღვრების ღრმად შესწავლა, ჩვენი დიადი სოციალისტური სინამდვილის ყოველდღიურობასთან მეტი სიღრმით და ორგანიულობით დაკავშირება აუცილებელ პირობას წარმოადგენს ჩვენი მწერლობის მიერ ამ უღარესად საპასუხისმგებლო ამოცანის წარმატებითი განხორციელებისათვის.

# უჩიდეში

(რომანი \*)

სასამართლოს ოთახიდან დავეითი დაღვრემილი გამოვიდა და თითქო უნებლოეთ აიენის ხარიხას დაეყრდნო.

ეტყობოდა მძიმე ფიქრები ესია.

თავით-ფეხებამდე შეიარაღებული ფარეში ჩაგუნაა ერთგულ მცველად ცოტა მოშორებით თავს დაადგა და ჩვეულებებისამებრ ბრძანების ასასრულებლად განემზადა.

ბავშობიდან იყო დავეითთან შეზრდილი და იცოდა ყოველი მისი ჩვეულება. ასეთ ჩაფიქრებისას წინეთ უფრო ხშირად და ადვილად შეეპრებოდა ხოლმე, რაიმე სახუმაროს შეჰკადრებდა და „შევ ფიქრებს“ გაუფანტავდა, მაგრამ ამ ბოლო ხანებში ამას ისე იოლად ვეღარ ახერხებდა. გრძნობდა, რომ დავეითი თანდათან შორდებოდა მასაც, მისგანაც კი რჩეობდა მარტოობას, და ერთგული შინაყმა გულ-დათუთქული იყო, მაგრამ რა ექნა? არ იცოდა სხვა რამ სამკურნალო ძალა. ამიტომაც ბოლო ხანებში მდუმარედ უცდიდა, ელოდებოდა, სანამ მთავარი თვით არ მიმართავდა.

მაგრამ აგერ მოჰბერა საღამოს საამურმა ნიავმა.

მზე ეთხოვებოდა ზუგდიდის არე-მარეს.

ღიბა-ზურგა უკვე მიჩრდილული იყო, მხოლოდ სათანჯიოს სადარაჯო კოშკს ჯერ კიდევ ერტყა ქონგურებთან ოქროს სარტყელი.

მოშორებით კი გალურჯებული ყვირი, ჭითაგოლა და ცაშიკბული ზღაპრული ვეშაპივით იყო გაწოლილი.

დავეითმა თავი აიღო და ამ სანახაობას მიაშტერა თვალი.

— ჰმ! რა გარინდულია ეს ბუნება! თითქო არაფერი არ ხდებოდეს მის ზურგზე... ეგ ლურჯი მთები გალაგნად რომ შემოგვევლებია და ვითომ

\*) გაგრძელება იხ. „მნათობი“ 1935 წ. №№ 2, 3, 4, 5, 10, 11, 12.

გვიცავს მტერთა შემოსევისაგან, გაწყდა უკვე... სათანადოს ტყვეთ კი, ენგურს ვაღმა, შეთქმულები დაბანაკებულან ჩემს წინააღმდეგ.

ამ დროს ნიავმა მოუტანა მის სასმენელს ჩხოუშიას წყლის ჩხრიალი. ოდნე გაელიმა:

— რას ლიკლიკებს ნეტა ჩემი ჩხოუშია? ყოველივე მიმდინარებს, ყოველივე წარმავალიაო?.. გარდივლის, გაჭრება... ეს შეთქმულებაც, სხვა ამზობიც... მეც გაეჭრები, ჩემი ტახტიც, სამეგრელოს დამოუკიდებლობაც... რუსის ორთავა არწივი კლანჭს ჩაავლებს ჩემს ოქროს ვერძს?

სიცივე შეეჭრა ტანში. ზე აიხედა: შავი ღრუბლები გროვდებოდნენ სწორედ მის თავზე. თავი მოიბრუნა და ჩაგუნაას შეველო თვალი. ტბილად შეჰლიმილა:

— წვიმას ხომ არ აპირებს?

ჩაგუნაამ ნაბიჯი წინ გადადგა, ცოტა თავდახრით მოახსენა:

— შეიძლება ამაღამ გახლდეთ. ჯერ კი არ იქნება.

დავითმა სიყვარულით გადაავლო თვალი ჩაგუნაას მთელს აღნაგობას: მშვენიერი ვაგაკაცი, სიცოცხლით და ძალღონით აღსავსე, მისთვის თავდადებული.

გაიფიჭრა:

— აი კაცი, მართლა ერთგული ჩემი. სხვა არავითარი ინტერესი არა აქვს, გარდა ჩემი სიცოცხლის დაცვისა... თვალეში შემომცქერის, „გულის გაველა“... რა უნდა ვისურვო, რომ თავწართმევით არ მოინდომოს შესრულება...

როგორღაც გულს მოეფონა. ახლო მივიდა ჩაგუნაასთან, კიდეც უფრო მახლობლურად შეჰლიმილა და მხარზე ხელი დაადგა.

გაბედნიერებული ჩაგუნაა წელში გაიმართა და თამამად უთხრა.

— დადიან! დღეს რომ ახალ სასტუმრო სახლის მშენებლობა არ დაგითვალისწინებია?

დავითი ღიმილითვე დაეთანხმა და გაემართნენ.

აქ თითქო მართლა გამოცოცხლდა დავით: მართალია, დღე ღამეს უკვე ეყრებოდა, მაგრამ თურქი კალატოზები, რაჰველი ღურგლები და სხვა უფრო „შავი“ საქმის მუშები ადგილობრივ მკვიდრთაგან, სადადიანო სუანეთიდანაც ჩამოყვანილნი, მაინც ვაცხარებით მუშაობდნენ, რადგან ნაბრძანები იყო დაჩქარებით აეგოთ ეს განსხვავებული, უკვე ევროპულ ყაიდაზე მოფიჭრებული სასტუმრო.

შთავრის დანახვაზე ზემდეგმა ანიშნა და კიდეც უფრო გაცხოველდა მუშაობა. მაგრამ დავითი ამეამად ღმობიერ გუნებაზე იყო და, რომ დაინახა სიბნელე უკვე ხელს უშლის მუშაობასაო, უბრძანა და შაბაში გამოაცხადებინა.

ჩაგუნაამ ზემდეგს რალაც ჩასტურჩულა და მუშებ შორის მიმღერ-  
ლებმა შემოსძახეს ძველის-ძველი სიმღერა:

„შინ ავაგე, ვაგოსა  
ვოო, შინ ავაგე-გე!“

მარტენულნი  
ბიზლიჩიძეაა

დავიდს სახეზე სიხარული გადაეფინა: ძალიან უყვარდა ეს სიმ-  
ღერა.

დავითმა მოსძებნა უკვე გადახურული საღებინო დარბაზის ერთი მო-  
შორებული კუთხე, ჩამოჯდა ერთ თალიან ნიშოს ქვის ჩამოსაჯდომზე და  
ისე დაუწყა სიმღერას ყურისგდება.

— მოდი აჭ, ჩაგუნაეა... — მეგრულ გეარს ქართულად ამაგრებდა მთა-  
ვარი, — ეშმაკი კაცი ხარ... იცი, რომ მიყვარს ეს სიმღერა და იმიტომ  
ამღერე ახლა...

ჩაგუნაა გახარებული იყო, რომ მთავარს ასიამოვნა.

— მაგრამ შენ არ იცი, რატომ მიყვარს?.. ჯერ ერთი მძლავრი სიმ-  
ღერაა... გამარჯვების მოისმის ხმები... გახარება ხალხის, ადამიანის, რომ  
მან სძლია სამუშაოს, გაიმარჯვა საქნარზე, „შინ აავო“ საჭირო შენობა,  
დაესახლა, მოეწყო... „ვაგე-გე!“

ცოტა ხმაც აუყოლა დავითმა მოდენილ სიმღერას.

— მაგრამ გესმის შენ რამე ამისი? აა, ჩაგუნაეა? თუმცა თვით ხარ  
კარგი მომღერალი... გახსოვს, ბავშობაში მასწავლიდი „კეისრულს“... ძა-  
ლიან წმინდა ხმა გქონდა და მე ვერ მოგვეწოდებოდი ხოლმე. ჰა, ჰა, ჰა!...  
მაგრამ „შინ ავაგე“ უფრო იმიტომ მიყვარს, ჩემი სეხნიის საყვარელი სი-  
მღერა იყო...

დავითი ცოტა ჩაფიქრდა.

ჩაგუნაას შეეშინდა კვლავ „სიმძიმელში“ არ ჩაეარდესო და ამიტომ  
თუ შეუბრუნა:

— ბევრჯერ გიბრძანებიათ, რომ საქართველოში ოდესღაც დიდი მე-  
ფე იყო დავით აღმაშენებელი და მის დროს მღეროდნენ ამ სიმღერასო.

— დიად... — ცოტა შეგვიანებით წარმოსთქვა დავითმა. — დიდი მე-  
ფე იყო... აღმაშენებელიც იმიტომ უწოდა ხალხმა, რომ მან მართლა  
ააშენა მაშინდელი საქართველო... ჯერ ერთი მტრებისაგან იხსნა სამ-  
შობლო, არაბთაგან გაანთავისუფლა ქვეყანა, დაიბრუნა დედა-ქალაქი  
თბილისი, გააძლიერა სახელმწიფო, ალაგმა შინაური მტრები და „იწყა  
შენებად ქვეყნისა ამისა.“ სასახლეები, მონასტრები, ქსენონები, საწურთ-  
ნელნი, აკადემიები, გზები და ხიდები მოჰყვინა ქვეყანას... ა? ჩაგუნაეა?..  
იმან ალაყვავა სამშობლო. ეხლა კი, ეხლა სადა გვაქვს ეს სამშობლო?..  
ბაგრატიონებს მუხრუქი მოუჭირეს და დანებდნენ... იმერეთის სოლომონი  
ტრაპიზუნს გაიქცა... გურიელი მოაშთვეს და გურია გადაჰხვეს... ერთიდა

მე დავჩი ქართველი მოდგმისა. ლეთის წინაშე შარვაშიძეც და დადიშკელიანიც ქართველები არიან, მაგრამ... ჩემმა მტერმა დაიწყო მათი ჩმედი... დადიშკელიანი ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდაა და გაუნათლებელიც. მერმე კიდევ მისი ქვეყანა ისე შექედლია მთის ვიწროებში, აქეთ გამოსულა და ქვეყნის რეგება კი არა, საშიშარია თვით არ შეიქვეყნოს დედიან-ბუღიანა... შარვაშიძეს კიდევ დაბლის გზაზე დამდგარ ოსმალებთანკენ უჭირავს თვალი და იმავ დროს სახლში, სამურხაყანოში, რომელიც ჩემს სამთავროს მისი ინტრიგის წყალობით ჩამოგლიჯა, რუსის ჩინოვნიკი უზის და თვითაც არა გაუდის—რა ამ მხარეში... არაეინ არ არის, არა, რომ საქართველო კვლავ გააერთიანოს, სამშობლო აღადგინოს.

— შენ, დადია? შეცნიერების და სიბრძნის ზღვა ხარ, — მოწიწებით წარმოსთქვა ჩაგუნაამ.

— რას მარგებს მერე ეს ცოდნა? „არა ვიქმ“ ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობასა! მხოლოდ მე—„არა ვიქმ“ კი არა, „ვერა ვიქმ“, მაგრამ ხალხი სად არის, თვით ხალხი ჩაგუნავა?.. გლებობა, ეს უმთავრესი ნაწილი ჩვენი ქვეყნისა, ეს ცხოვრების დოვლათის ნამდვილ შემქმნელი?.. რას უცდის? რად არ ამოიღებს ხმას სამშობლოსათვის? — მაგრამ...

აქ მწარედ ჩაიციხა დავითმა და განაგრძო:

ჩაგუნაა უნებურად გაფითრდა. სადღაც შორეულ შეგნებაში ემწევა კალაც. მაგრამ მის გამოსახატავად ფიქრის გამძლეობა არა ყოფნიდა. გამოთქმით ზომ სულ ვერ გამოთქვამდა, თუმცა ამ შეუგნებელ-შეგნებულის გამოთქმა არც კი დაუპირებია.

ჩაგუნაა კიდევ იმის ფიქრს უტრიალებდა, რომ მთავარი რაღაშიაც უსამართლო იყო, სადღაც ტყუოდა, მაგრამ აბა სად შეეძლო ამ „მეცნიერებისა და სიბრძნის ზღვას“ გამკლავებოდა, შედაეებოდა. გზაც რომ არ იცოდა! აქი თვითონ შეადარა „ზღვას“ და ეს შედარება პირფერობით არ მოსვლია:

აგერ ახლაც უყურებს ამ მის თანშეზრდილს, ამ შერვეულსა და საყვარელ პირისახეს, ისმენს მის ხმას, მის სიტყვებს, ესე მკაფიოდ, ისე დადასტურებით გამომეტყველს, და კვლავ მოკრძალებით იმსკვალება.

დავითი მისი სათაყვანოა. „ლეთის ცალი“ კაცია მისთვის და განა იგი შეიძლება შესცდეს რამეში? შეიძლება ცოტა გაჯავრებული იყოს და ცოტას აკარბებდეს, მაგრამ განა ამისთანა დიდკაცს, ასე დიდ საზრუნავეებით დატვირთულს არ მიეტყვება, რომ ზოგჯერ გაჯავრებით ცოტა მეტი რამ წარმოსთქვას?

პასუხი შეუგვიანდა ერთგულ ყმას, მაგრამ მაინც მოახერხა:

— გლებები შენი ერთგულები არიან, დადია!

დავითმა აღმაცერად შეხედა.



ჩაგუნაა ეხლა სულ ერთიან „დაიბნა“. გულუბრყვილოთ გაიფიქრა: „დადია რაღაზეაც მიწყრება, მხოლოდ უსამართლოდ კი მირისხმობო“.

დავითმა შეამჩნია, რომ ერთგულ ყმას დიდი მწუხარება მიჰყვება, წამოდგა და აღერსით კვლავ მხარზე ხელი დაჰკრა:

— არ გიწყრები, ჩაგუნავა, არა, რას მოიღრუბლე! შენს უარყოფით დადით ვაფასებ... ჩემი გული არც შერყეულა... ეხლა კი წავიდეთ დედამისთან...

და გაემართა. ჩაგუნააც მორჩილებით გაჰყვა, „გულიც საგულეში ჩაუჯდა“, მაგრამ ეხლა ამან გააკვირვა: „მოხუც დედოფალთან რაზე მიბრძანდება, აქი თითქო უბრაო არიანო“ და ჩაუფიქრა:

„ეტყობა ძალიან შეშფოთებულია დადია... დღეს როგორღაც მოუსვენრად ირჯება. იქ, სასამართლოშიც დიდი სისასტიკე გამოიჩინა, ჯოლორიას მაინც მეტისმეტი შეურაცყოფა მიაცენა: წვერი გაპარსა თავმომწონე თავადიშვილს... დადია ბუნებით არ არის სასტიკი კაცი და ეს თუ წყინს, რომ დღეს საერთოდ სასტიკად იქცეოდა. ან შეიძლება, ნასაუზმევს კაბინეტში რომ შეიკეტა, მუხრანბატონთან და პატოცკისთან ერთად, იქ შეხვდა რაიმე დიდი საწყენი? ოჰ, ეს პატოცკი!!!“

პატოცკი არ უყვარდა ჩაგუნას. ვერ გეტყოდათ რათა, მაგრამ მისკენ „გული არ ერჯოდა“, ან შეიძლება იმისთვის, რომ პატოცკი ჩაგუნას არაფრად არ აგდებდა: ისე ჩაუვლიდა გვერდით, რომ სალამზე პასუხსაც არ აღირსებდა? შეიძლება ესეც, მაგრამ ჩაგუნაა გულის სიღრმეში ალოთი გრძნობდა, რომ პატოცკი ვერ იყო სანდო კაცი.

ეხლა კი აკვირვებდა დავითის ასეთი უცებური საქციელი და გულის წარით მოელოდა, აბა რა იქნებაო.

მხოლოდ, როდესაც მართა დედოფალთან შევიდნენ, რაც იქ ნახა, იმან გული დიდათ აუჩუყა:

მართა წინდაწინ არ გაუფრთხილებიათ და შესვლისას მოხუცი დედოფალი ტახტზე იჯდა ფეხ-მორთხმული და ქარვის სურნელოვან კრიალოსანს ათამაშებდა. ფერხით ხალიჩაზე მისი ერთგული მოახლე, საჩხერიდან ჩამოყვანილი გოდამბრელიძის ქალი, ლერწამისა უჯდა და „ჭილილა და დამანას“ უკითხავდა.

ახლად შესულებმა მოასწრეს ლერწამისაგან მკაფიოდ წაკითხული წინადადების მოსმენა:

„ამისთანა კაის ვისმე მოყვრობა-მუსაიფობა, გულის ჯავრისა და ნალეელის აღმოხოცაა, და მისი გულის ნათელი ჩემი გულის სარკის ბნელს გაანათებს“...

— მართალი უთქვამს მაგის დამწერს, — ხმაძალა წარმოსთქვა დავითმა: — და აი მოველ, დედა-ბატონო, შენთან, რომ „გულის ჯავრი და ნალეელი ამოვიხოცო“.

მხოლოდ ამ სიტყვების თქმაზე დაინახა მართამ მისი პირში. მაგრამ არ აჩქარებულა. ლოყებზე კი გადაჰკრა სიხარულის სიწითლემ და თვალბშიც ბედნიერება ჩაუდგა.

ეს შეამჩნია დავითმა და სვედიანის ღიმილით დედის გულშიც კარდში ჩაეხვია.

საოცარი!

ეს რა ესმის ჩაგუნაას ყურებს? დავითი ქვითინებს?

ნამდვილათ: ტანი უძგვავებს, ყრუთ მოისმის გულამომჯდარი ქვით-ქვითი.

დედამ შვილი ტახტისაკენ წაიყვანა, ჩამოსვა და ბავშვით თავი კალთაში ჩაადებინა, თან ნაზი ალერსით თმაზე ხელი გადაუსვა.

კარგა ხანს იყვნენ ასე. შემდეგ დავითი თითქო მოსულიერდო, წელში გაიმართა, ერთი გადახედა დედას, შემდეგ ხელი ჩამოართვა და ეამბორა, თან დააყოლა:

— არაფერი მითხრა, დედა! ეს მინდოდა მხოლოდ... მომიტევე, ეხლა კი უნდა წავიდე...

დედა წამოდგა, სახე გაფითრებული ჰქონდა, მაგრამ თავს დამშვიდებულად აჩვენებდა. ჩუმად შვილს შუბლში აკოცა, უსიტყვოთ გაისტუმრა.

დავითი და მისი მხლე ოთახიდან გავიდნენ თუ არა, მართამ სახატეს მიაპყრო თვალი და სასოებით პირუჯვარი გამოისახა.

შემდეგ თითქო თავისთვის, მაგრამ ლერწამისას გასაგონათ კი წარმოსთქვა:

— ეხლა კი ვიცი, რაც უნდა მოვიქმედო.

კოტა შედგა, ბოლოს ლერწამისას უბრძანა:

— პეხუ ჩაჩავა მომიყვანე.

თითონ კი ოთახში იწყო სიარული.

პეხუც მალე გაჩნდა.

— პეხუ, ცხენები დაამზადე და ძალიან მცირე ამალა ეხლავ მზათ იყოს.

— სად მიბრძანდები, დედოფალო?.. მთავარი ყოფილა შენთან. — ზომ არაფერი გაწყენინა ჩემმა გაზრდილმა?

— შენ გაზრდილს შეველა უნდა, პეხუ... მეც მის საშველად მივდივარ ეხლა...

— თუ ესეა, ჩემი თავი შენი ჰირის სანაცვლოდ იყოს, მაგრამ სად?

— შეთქმულებთან. ინგურ გაღმა.

— დედოფალო... —

— არაფერი მითხრა...

— მთავარმა ბრძანა?

— დედის გულმა მიკარნახა...

— შეიძლება სჯობდა შეთქმულ დელანების მამა დიდი ნიკო გვე-  
ნახა.

— პირველად მეც ვე ვიფიქრე, მაგრამ პეტრე ამბობს (აქაი... კოსო და  
ისედაც სჯობს პირისპირ ვინახულო გიორგი და ბესარიონი...)



— უნდა გკადრო...

— არა, წადი, ცხენები დაამზადე.

— დედოფალო, წვიმას აპირებს.

— თუნდა წარღვნა წამოვიდეს... დედის და დედოფლის მოვალეობა  
უნდა შეევასრულო.

— ენგურში ვერ გავალო, დედოფალო, წყალი მომატებული იქნება...  
ჩემის ფიქრით დიდი წვიმა იქნება, მინდვრად დავრჩებით ხელედში\*).

— „არ გადავალს გარდუვალის მოშავალი საქმე ზენა“ — წაიხმარა  
რუსთველი დედოფალმა და პეხუც დარწმუნდა, რომ აქ უკვე წინააღმდე-  
გობა არ გაუვიდოდა და მორჩილებით გავიდა ოთახიდან.

ნახევარი საათის შემდეგ ხუმრებრივად ცხენოსანი ნაბადდაყურულები  
გავიდნენ მთავრის უკანა ეზოდან და რუხის გზას გაუდგნენ.

არვის შეუმჩნევია, რომ მათ შორის დედოფალი მართა და ლერწამი-  
საც ერია, აგრეთვე ნაბადში გახვეული და ბაშლაყ პირშეფუთონული.

— კ ბ —

თავლის წინა ოთახში შინაყმებ შორის მოსძებნა ყაბალაბ პირ-ახვე-  
ულმა ჯოლორიამ თავისი ძიძიშვილი ბეჩუნა ჩვამაია.

დაუძახა და გარეთ გაიყვანა.

გარეთ უკვე კარგა ბნელოდა. თან ჩამოქრუხანებული ცა კი-  
დეც უფრო საზარო შთაბეჭდილებასა ჰქმნიდა, მაგრამ ჯოლორიამ  
ყაბალახი შემოიხსნა და ბეჩუნას ხელი ახლად გაკრევილ წვერზე მოივლო:

— ხედავ რა მიყო მავ ძაღლმა მთავარმა?

ბეჩუნა აღშფოთდა:

— ვაი შენ, ჩემო თავო! მოგიკვდა შენი ბეჩუნა!

— კარგი, ეხლა წუწუნს დავეთხოვოთ... მე მივედივარ... ეს წერილა  
შმაგის გადაეცე...


— არ გეახლო?

— არა, შენ არა... სად არის ჩემი ახლად ნაყიდი მურზა ფაჩულია?

— მურზა... ბატონო... ამბობენ, ეს ამბავი რომ გაიგო, სულ იმუქრე-  
ბოდა და შემდეგ საღლაც გადაიკარგაო.

— რაო? იმუქრებოდა? ერთი იმას დამიხედე! მოსძებნე საცა უნდა  
იყოს... და თუ რამე შებატყე ისეთი... ხომ იცი... მაშინ წადი, მისი ოჯახი

\* ) ხელედი — წარღვნისებური წვიმა.

მოთხარე და მისიანები სულ ჩემთან წაასხი... არ დაზოგო, თუ წინააღმდეგობა გავიწიონ რამ...  


ბეჩუნა ისმენდა ბატონის განკარგულებას, მაგრამ ვულში მისი იმას ფიქრობდა, როგორი სანახავე უნდა იყოს „ზოკილი ჯოჯოხეთი“ კლესიონელში თუმც თვალი შეაჩვია, მაგრამ კარგათ მაინც ვერ ატარებდა. კლორია კი ჩურჩულათ, მაგრამ მტკიცე, შეუვალის კილოთი განაგრძობდა:

— ამას გარდა მოსძებნე ის გლეხის ქალები, აი დღეს რომ მათგანთან პირში წამიდგნენ... ერთმა მათგანმა ჩემი წვერიც კი გაჰქელა თურმე...

— უუ, წვეული რუსუნდია იქნებოდა...

— არ ვიცი მათი სახელები... მოსძებნე, გაჰკოჭე ისინიც და თუ ვინმე მამაკაციც ახლავთ და წაასხი, ხომ იცი საითაც...

— კი ბატონო.

აი უბრალო „კი ბატონოში“ ბეჩუნამ ბატონის საამურად ბევრი ღეარძლი ჩააქსოვა.

— შენ დას, ძილხანს კი უთხარი, რომ თვალყური ადევნოს კორძეებს...

— ჩვენს ქალბატონს?

— ჭკუით იყოს, თორემ მალე ნახავს, როგორი ქალბატონიც იქნება... ეს არ მოუწონა თავის ვულში ბეჩუნამ ჯილორისას: კლეოპიკას შერთვა დიდის ამბით მოხდა. შმაგი არ აძლევდა მეგრულ დგებიას თავის მშეთუნახავ დას. იმერეთში აპირებდა გათხოვებას, ერთ დედის ერთა თავად მიქელაძისთვის უნდოდა მიეთხოვებინა და დგებიას მაშეალები დიდხანს ტყუილ-უბრალოთ იწუხებდნენ თავს...

ეს კარგად ახსოვდა ბეჩუნას. თვითაც ბევრი გარჯილობა მიუძლოდა ამ საქმეში და სწორედ უფრო ამისათვის აფასებდა კლეოპიკას მისი ბატონის ოჯახში შემოსვლას. სასახელო იყო მისი რძლობა, ასეთ განთქმულ სილამაზის ქალის ქალბატონობა დგებიას ოჯახში და ესლა რას უპირებს ჯოჯოხეთს? დამაშაკები უნდა მიუჩინოს?

არ არის საკადრისი საქმე, მაგრამ რაკი გაზრდილმა უბრძანა, ცხადია, ამასაც შეუსრულებს — თვითონაც და მისი და ძილხანიც. ეგრეც მოახსენა:

— ძილხან ერთგულია, ბატონო.

— ჰო და ეგრე უთხარი შენ ძილხანს, რომ აქ მოახლეებში საპორიკანოთ და შინაყმებში სალაკიკოთ არ ჩამომიყვანია.

— ოჰ, როგორ გეკადრება!

— ქალბატონს იმიტომ ვაახლე, რომ ერთი წუთით არ მოაშოროს თვალი, მისი ერთი ნაბიჯიც არ გამოეპაროს... ესლა კი ცხენი გამომიჯანა.

\* ზოკილი — „გაპარსული“, გახოკვისაგან უნდა იყოს წარმომდგარო.



- მარტო მიბრძანდები?
- არსად წამოგცდეს: გიორგი ჭკადუაშელთან.
- შეთქმულებთან?
- მაშ როგორ გგონია, ბეჩუნა. მთავარს შევარჩენ ჩემს შტაბში მჭკრევეს?
- მერმე იქ წასვლა რად ვინდა? მიბრძანე და...
- ნუ სულელობ! შენ აქ რას გააწყობ... შენი ღონეც ვერაფერს გიშველის... რამდენს მოერევი! შინაყმები გაგაკოჭავენ...
- მაშ რა მოგიფიქრებია, სქანი სანთელი! \*)
- შე ჩერჩეტო! მე რომ შეთქმულებს მივემხრობი, ეს ცოტა იქნება? მთელი სალიპარტიანო გამომყვება და მთავარს ვილა დარჩება? ჩიქვანუბი? ნოლელ დადიანებს და მის მომხრეებს, მე და სალიპარტიანოს ვერ გაგვიძლებს მთავარი... აქამდინაც შშავის ხათრი მჭონდა, მთავრის დიდი ერთგულია, თორემ ეგ განა სამთავრო კაცია? დაუნდობელი, თავადების მოძულე, გლებების გაყიდვაც კი აგვიკრძალა თავის ჭკუაში... თვითონ კი ძალიან იძენს ყმებსა და მამულებს... ჩვენ გვართმევს და თვითონ იძენს — ვნახოთ, ვნახოთ!... ცხენი გამომიყვანე!

ბეჩუნამ და ერთმა შინაყმამ მოჰგვარეს ჯოლორიას მისი ბედაური. ძლივს იქერდნენ. ხტოდა და კეინტრიშობდა, თავში იწევდა. მაგრამ ჯოლორია ელვის უსწრაფესად მოახტა უნაგირს, თავის სიმძიმით თითქო წელში გაზნიჭა საყვარელი მერანი და თან ლაგამი ისე მაგრა მოუწია, რომ ცხენი ყალბზე შედგა და „კიშმინი“ გააყეთა. „შესარულე, რაც დავიბარეო“, მიძახა ბეჩუნამ ჯოლორიას და გაუტია.

შხედარიც და მისი ცხენიც ძალე ღამის წყველიადმა ჩაყლაბა.

ბეჩუნა კი იმ წამსვე შშავის საძებნათ გაემართა. ეკატერინე დედოფლის კარზე მონახა. ნარდს ეთამაშებოდა თავის მტერ-მოყვარე მიჭაიას.

ბეჩუნა თავს დაადგა, მაგრამ ვერ შეუშალა მათი ხორხოცი. ორივე მონარდე ფახი-ფახობდა:

— ეს კარები ხომ ჩაგიკეტე... ახლა სად წამიხველ კორძაია?

— ისეთი ციხე-სიმაგრე ვინ მოგცა, რომ ჩემი კაცი ტყვეობიდან არ დაგიძვრეს, მიჭაია?

— ხომ კარგათ მყავს ჩარაზმული? თათარი ქალს მომათხოვებს.

— თათარს ვინ ჩივის, ნეტაევი ქართველს არ მიეთხოვებინა შენთვის ქალი. შიმშილით კლავ, შე უბედურო...

მიჭაიას რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ისეთი კამათელი მოუვიდა, რომ გარეთა შაშის კარი გააღებინა.

— ფუო, შენ კამათლობას რა უთხრა! მაგრამ აგორე, კორძაია... კიწი-კიწი, კიწი-კიწი, ბიკო... — და მარჯვენა ნეკი გაიშვირა მიჭაიამ, მო-

\*) სქანი სანთელი — შენ სანთლად დაიწვი.

წინააღმდეგეს დიდი კამათელი არ მოუვიდეს, პატარა დაუჯდესო.

მაგრამ კორძაიამ ისე ეშხიანათ გაავგორა კამათლები, რომ ერთი მათგანი ბზრიალასავით დატრიალდა და ბოლოს შაშათ დაჯდა კორძაიამ იაქეს კარზე დამწყვედელი კაცი გადმოიყვანა და გაუფრთხილეს კარზე მიქაიას ქვიშარი მოუკლა.

— უპ, რა უთხრა მაგ ძაღლის ძვალს... — და კამათლები შეაგინა მიქაიამ.

— კამათლის რა ბრაღია, კნიაზო... — რუსულად ასწია მიქაია კორძაიამ. — თამაში უნდა იყოდე, თამაში, ყმაწვილო.

— რა ჭნას კარგმა მონარდემან...

— უპ, კარგ თუ არა...

მაგრამ აღარ აცალა მიქაიამ:

— აბა, კამათელო, შენი ჭირი შენეყარა... ერთი ფანჯი დუ, თორემ ჩაერჩი ყაზახი... დუ, დუ, კამათელო!..

მაგრამ კამათლებმა არ გაუგონეს და დაურჩა ტყვედ მოწინააღმდეგეს.

ნაღვლიანათ აიღო თავი მიქაიამ და ამ დროს შეამჩნია შმაგის ზურგს უკან მდგომი ჯოლორის ძიძიშვილი.

— რა იყო, ბიძია, საქმე გაქქეს რამე? ჩემთან ხომ არა?

— არა, ბატონო, აგერ შმაგისთან ბარათი გაბლავთ.

— ბარათი? — თავი არ აუღია შმაგის. თავის სახლში უკანასკნელი კარებიც ჩაპკეტა და მზიარულათ გამოაცხადა:

— ხომ გაკურთხე კიდევ, „ჩემო ახლოს მეზობელო“ და ახლა რას მერჩი... — შემდეგ ბენუჩას შეეკითხა:

— ჯოლორია სად არის, ბიჭო?

— ჯოლორია წაბრძანდა და ეს ბარათი მოგართავთ.

— წაბრძანდა? — აქ კი მიატოვა შმაგიმ ნარდის თამაში. საბეზე უხუმარო გამომეტყველება დაედვა და ბეტუნას ბარათი გამოართვა. ქალაღლი გადაშალა და კითხვის დროს მიქაიას ასე მიმართა:

— უეცრავათ, მიქაია, მაგრამ ეს ხელი წაგებული გაქვს და ახალი დავიწყეთ, მინამდე ამ ბარათს გადავიკითხავ.

წერილში თავის შეურაცხყოფას აუწერდა ჯოლორია და იმასაც აცნობებდა, რომ ამიერიდგან იგი თავს მთავრის მტრათა გრძნობს და როგორც მოიქცევა თვითონ იცის. არც შმაგის ურჩევდა დიდ ერთგულებას, რადგან ირწმუნებოდა, რომ სულ ერთია, ადრე თუ გვიან, სამეგრელო ამ მთავარს გადააგდებს და სხვამ რა ხეირი ნახა მაგის ერთგულებაში, რომ შმაგიმ ნახოსო.

არ მოეწონა შმაგის სიძის ასეთი რჩევა და საქციელი. გადასწყვიტა მთავარს ვინახულეზ ბვალ დილით მაინც და ვკადრებ საყვედურს — ასე არ უნდა მოქცეოდა თავმომწონე ვაჟი: წვერის გაპარვა ეს სა-

ჯარო გაბახებაა და ჯოლორისთანა გავლენიანი თავადი არ უნდა მოიმ-  
დუროს მთავარმა, მით უფრო ასეთ არეულ დროს. პირუცყუ სწორედ  
ეხლა უფრო სჭირდება ერთგულები და მოახერხოს ისე, რომ ჯოლორია  
კვლავ როგორმე გონიერულათ მოიმზროს, თორემ გიტყვიან და ად-  
ვილად შეიძლება მტრების ბანაკშიც გადავიდესო. **შეზღოვნიყუ**

ჯოლორია არ სწერდა, თუ საით გაემგზავრა, მაგრამ წერილი ამითი  
არ თავდებოდა და შმაგიმ ქვევითაც ჩაიკითხა.

ტყუილა ელოდა მიჭაია ნარდის გაგრძელებას. შეატყო, რომ შმაგის  
ამის თავი არ ჰქონდა.

(გაგრძელება იქნება)



# ორი ირემი

კომკავშირის მთას — ორი ლითონი —  
ორი ირემი დგას აღმართული,  
ქვეზე შემდგარი და გარინდული  
და ელვასავით რქადახლართული.

მობეტიალე ქვეყნით ქვეყნამდე  
შავს ბრინჯაოში სახეშეცვლილი,  
უცხოეთიდან ორი ფეხმარდი  
ტფილისს მოადგა გადმოხვეწილი.

შათზე ხშიანად ჩანგს დამშვენდება  
ერთი სიმღერა — როგორც ზღაპარი:  
— ნახეს ირმებმა მთა სამშვიდობო  
და სამუდამო თავშესაფარი.

აქ სიყვარული და გასართობიც,  
აქ მშვიდობა და არ ჩანს მდედარი,  
წინ მოედანზე ბეერიც მნათობი  
და რამოდენა დულს შადრევანი,

ის აპურობილი ცაში მკლავებით  
რა ჩქარ ჩანჩქერებს ისერის ბარაქით  
და როგორც ტბაში ჩანს ვარსკვლავები  
შირს ნათურებით იწვის ქალაქი.

შებინდების ფამს შთის საყვირები  
ლხენით, კრიალით ქალაქს ჩაპყეფენ,  
მოირკალება ხალხით ირმები  
და მათ წინ ფერხულს გააჩაღებენ.



ქალაქს გადასცემს პანგებს მზიარულს  
გორზე ხეივნის მწვეანე სუფრები  
და რეკავს, რეკავს, ხმა გამყივარი  
ადამიანთა თავისუფლების.



მაშინ ირმებიც — ორი ლითონი —  
როგორც ეღერა და ზარი ხალასი,  
აყვირდებიან, ვით საყვირები,  
რომ ხმამ ქალაქზე გადაიაროს;  
ასე შეჰხარის მთიდან ირემი  
ბედნიერებას ადამიანურს.

მთაზე შეყრილი ორი ირემი  
დგას მედიდურათ რქებდახლართული;  
ნახეს ირმებმა ქვეყნად პირველი  
თავისუფლება ნებადართული.

შებინდების ეამს მთის საყვირები  
ლხენით, კრილით ქალაქს ჩაჰყეფენ,  
მოირკალება ხალხით ირმები  
და მათ წინ ფერხულს გააჩადებენ.

გამოძახება, დაკვრა, თამაში,  
ბეჯრი ჭალი და სხივის სირმები  
და გამყივარ ხმით ყოველ ლამეში  
თავს დაჰყვირიან ტფილისს ირმები.



ალ. ჭუთათელი.

# პიროსპირო

რომანი  
მეოთხე წიგნი

სოფლიდან სადგურამდე \*)

მატარებელი დილის ათ საათზე მოდიოდა სადგურზე და კარისმერეთიდან აღრიანად უნდა გასულიყო კორნელი ვეჭილის ესტატე მაყაშვილის შესახვედრად. შეილის გაღვიძება არ დასჭირებია ტერეზას: გარიყრა-ემდე თითონვე გაღვიძდა. შუალამე კარგა ხანია გადასულიყო, სოფელს ჩასძინებოდა და ჩამიჩუმიც კი არსით ისმოდა. სიჩუმეს არღვევდა მხოლოდ მდინარის ლოდებზე გრიალი და მამლები ომახიანი ყვილი. ბოლოს მამლები ყვილიც მისწყდა. როდესაც კორნელის ისევე გამოეღვიძა, განთიადს მოედწია კიდეც. დახანძრებულ აღმოსავლეთით თანდათან იღვიძებდა რიჭრაჟი. ბოლოს ზეკარიდან ამოგორდა ძოწისფერი მზე. სხივი დაარქო ხანჯალივით ყვირილას, და აბრიალდნენ მდინარის პირად ჩარაზმული ბროწეულის ყვავილები.

კორნელიმ საჩქაროდ ჩაიკვია, ნასაუზმევს შეეჯდა ბიძა ოტიასგან ნათხოვარ ახლად გახედნილ კვიცზე — „კუკურიზე“. აგოია დედის ფაშატ ცხენზე „ხაბარდულაზე“ შესვეს. კორნელის მიხაკისფერი ფრენი და გალიფე ეცვა. აზიური ჩექმა ღეზებით. თავზე წითელყალმიანი ქუდი ეხურა. ხმალი და ტყავის ბუდეში ჩაგებული ნაგანი ეკიდა. ერთი სიტყვით: ნამდვილ ოფიცერს ჰგავდა და არა არტილერიის ჯარისკაცს. აგოიას კი პაჭიკები და წულები ჩაეცვა. თავზე პილის ქუდი დაეხურა. ხოლო მწყემსის ჩანთის ნაცვლად, მოხარშული თმით, ხაჭაპურებით და ხილით საე-სე ეჭიმ მზედიხიელი სანადირო ჩაქმა ვაღბეკიდა. რკინის გზის სადგურ

\*) დასაწყისი იხ. „მთაბი“ № 4.

რამდე კარგა დიდი მანძილი იყო და საგზალი დასჭირდებოდათ. ტერეზამ სათიბის ბოლომდე მიაცილა შვილი. დაარჩა და გამოეშვიდონ.

ორლობეში გაეიდნენ. დაღმართი რომ გაიარეს, კორნელიმ ეკან მიიხედა. მალაღორამდე გორაკებია და ერთ მთვანზეა სოფელი მკლასენი, კორნელის დედულეთი. გოლიათ თაიგულებივით ვადაშლილ ცაცხებს შორის წმ. გიორგის ეკლესია მოსჩანს. მის ვალავანში მარხიან ცნობილი მემამულენი: ტერეზას დედმამა, ხოლო კორნელის პაპა-დიდედა, დარბაისელი და ტბილი „დედუა“. ასე ეძახდნენ შვილისშვილები დიდედას.

მდინარის გაღმა, დავაკებულ ადგილას კარისმერეთის ბაზარია: ორი ქუჩა დუქნებით და მოედანი. იქვეა: სკოლა, თეატრი, ფოსტა, აფთიაქი და საავადმყოფო. ბაზრობა იყო. მოედანზე ჩალვადრებთან და ურმებთან თავშეყრული, ღარიბულად ჩაცმული კაცები, ქალები ირეოდნენ. თავი, ჩაბალახის მაგიერ, ზოგს ჩერით წაეკრა. ზოგს, ჩოხის მაგიერ, ხამი ჩითის დაკონკილი ხალათი და შარვალი ჩაეცვა. ზოგს უაზრო თვალები ჰქონდა, ციებიანის ყვითელი სახე, სისხლისგან დაშრეტილი, გატანჯული, ნაშიშ-შილევი. გლებთა შორის უფრო ჯანსაღად გამოიქვირებოდნენ ფრონტი-დან დაბრუნებული ჯარისკაცები. ჯარიდან ამათ ჩამოჰყვით მახარა, სახაზინო ტანთსაცმელი. თუმცა ჯარისკაცებსაც დასტყობიათ შიშვილის სუსხი.

კარისმერეთში უმთავრესად მევენახეობას მისდევენ. სიმინდის ნაკლებობა აქ ყოველთვის საგრძნობი იყო, მაგრამ ამ ომიანობის უამს ძალზე შემცირდა სოფლად მუშის ხელი და მიწის დიდძალი ფართობი დაუმუშავებელი და ხელუხლებელი იყო. მემამულეთა მიწებზე მოწყული ჰრინახულის მესამედი არ ჰყოფნიდათ გლებებს. ეხლა ფრონტიდან დაბრუნებულნიც სარჩენი გახდომიათ. ქვემო იმერეთიდან და სამეგრელოდან მოტანილი ცოტაოდენი სიმინდი კი ძალზე ძვირად ფასობდა. პური, სიმინდი, ნარმა, საპონი არ იშოვება და თუ გამოჩნდა, ცეცხლის ფასად ღირს, ვერ მიეკარებო, — სჩიოდნენ გლებები. ფრონტიდან ჩამოსულ ჯარისკაცებს შაშხანები ეკიდათ და ისე დადიოდნენ ხალხში. ერთმა მათგანმა სთქვა:

— მთავრობამ კავშირი გაწყვიტა რუსეთთან და პური საიდან გეკნებათ?

სკოლის დირექტორმა იოაკიმე აბულაძემ უპასუხა:

— პური აღარც რუსეთშია.

გლებებმა შესძახეს:

— რუსეთში პურს რა გამოლევს!

სწორედ ამ დროს გამოჩნდა მოედანზე კორნელი სამხედრო, ბრწყინვალე ტანთსაცმელით, ცხენზე მჯდომი. ხალხმა ეხლა მას დაუწყო ცქერა. მხედარი გასწორდა. მოიღუშა, მრისხანე თვალებით სადღაც შორს იქი-

რებოდა, თითქო სოფელში უჩვეულო გმირი და ჯარის სარდალი ჩამოსულაო. იხტიბარს უტეხდა მხოლოდ ჩანთით და ქილის ქუჩით სანჩოპანჩოსავით მოჩანჩალე აგოია. მეზობლები, ვაკრები, მკედლეები, ხარახები სტოვებდნენ სამუშაოს, თავაზიანად დგებოდნენ დასჯილნი კარგედნენ მხედარს. განსაკუთრებით თავაზიანად მიესალმა გიგეჯი მხედარს, მოხუცი მკედელი კალისტრატე. კორნელი კრთებოდა, მორცხვობდა, ყურის ბიბილომდე წითლდებოდა. დირექტორთან მოკამათე ჯარისკაცმა იცნო მხედარი და მისი ვინაობით დაინტერესებულ, განაბულ ხალხს განუცხადა: ეს ექიმის გიორგი მხეიძის შვილიაო.

კორნელი და ბატარეიდან გამომარული ჯარისკაცი რაყდენ ტურიაშვილი მიესალმნენ ერთმანეთს. რაყდენმა ოტია მდიენის ცხენს გავაზეხელი გადაუსვა, მოსართავები გაუსწორა. მერე ფაფარზე დაადო ხელი-მხედარს აპხედა და შეეკითხა: როდის ჩამოდიო. ეხლა სხვა ჯარისკაცებიც მივიდნენ. ჯარისკაცებს გლეხები მიჰყვნენ და მალე კორნელის გარშემო დიდძალი ხალხი შეგროვდა. ზოგი ლმობიერი თვალებით შესცქეროდა, ზოგი კი ისე მრისხანედ, თითქო შექმას უპირეზსო. კორნელის დანახვისას ჯარისკაცებს მოაგონდათ მეფის არმიის სიასტკე და სუსხი. კორნელი თვალს ვერ უსწორებდა მათ, უზერხულობას გრძნობდა. ყოველივე ამის გარდა ხალხთან პირისპირ დგომასაც არ იყო ჩვეული. მაგრამ ერთი მოხუცი გლეხი, ჯაჯანა მანჯავიძე მოლიმარი თვალებით შესცქეროდა და შეჰხაროდა მას. როდესაც რაყდენმა გაიგო, კორნელი ბორჯომიდან ჩამოსულაო, შეეკითხა:

— მართლა, ბევრია გერმანიის ჯარი ჩვენში?

კორნელიმ უპასუხა:

— ჯერჯერობით ორ დივიზიაზე მეტია ჩამოსული, მაგრამ კიდევ ბევრს მოელოან.

ჯარისკაცებმა ამრეზით გადახედეს ერთმანეთს. მერე რაყდენმა ბატარეის ბიჭების ამბავი გამოჰკითხა კორნელის, და ცოტა ხნის საუბრის შემდეგ მხედარი გზას გაუღვა.

ეხლა აგოიასთან გააბა საუბარი. აგოიამ დაინახა, თუ როგორის პატივისცემით მიეგება კორნელის ხალხი და ამის გამო ქალბატონის შვილს ეხლა დინჯად, ზორიდებით უპასუხებდა, ჭირისა და ლხინის მომსწრე, დამთავრებული კაცივით. ადრე იცის ადამიანის დაკაცება სიღარიბემ, გაჭირვებამ, მოჭარბებულმა შრომამ და ჯაფამ. ტერეზა მხეიძის უზარმაზარი ოჯახი, ეზო-გარემო მის კისერზე ტრიალებდა. შეუფერებელ შრომას დალი დაემჩნია: მზისგან ვატრუსულ სახეზე და სქელბაგეთა კიდევანზე ნაოჭიც კი გასჩენოდა, და შარშანს აქეთ უფრო გამხდარი ჩანდა. ქალბატონისა და მისი შვილებისადმი აგოიას ერთგულება, უზომო დასაქმება ბატონყმურ ურთიერთობას მოგაგონებდათ კორნელის ლმობიერი და ადამიანური მოპყრობა კი აოცებდა. მასთან ყოფნაც ამისთვის უხაროდა.

ჯარისკაცებმა თვალი გააყოლეს კორნელის. ერთმა მათგანმა, გელაქტონ გელაშვილმა დაიწყო:

— თუ ეს წყობილება არ დაინგრა, ასეთები ერთი ათასად გამრავლდებიან და დედას გვიტირებენ. მაშინ უნდა გამოვეთხოვოთ... მაშინ მამულის და მიწა-წყლის მიღებაზე ფიქრს.

რადენმა უპასუხა:

— მაგის დედას ტერეზა მზეიძეს რა ისეთი მიწა-წყალი გააჩნია? შენ მაგის ბიძის, ოტია მდივნის ადგილმამული უნდა იკითხო! სდის და ვადასდის!

გელაშვილმა შენიშნა:

— ვიცი, მერე ჩვენ ვინ მოგვაშაეებს მის მიწა-წყალს, თუ ახლავე არ ჩავიგდეთ ხელში!

მოხუცმა გლეხმა ჯაჯანა მანეთაიძემ დაარიგა ჰკუაზე თავადაზნაურობის მოძულე ახალგაზრდები.

ჯაჯანას მწყურისფერი ჩოხა ეცვა და ხელში შეინდის გრძელი და ორკაპი ყავარჯენი ეჭირა. გელაშვილი მოხუცს შეეკითხა:

— რა ტკბილი ცხოვრება გაქვს მერე მზეიძის მიწაზე შრომისგან? დღე და ღამე მიწაში ოფლი უნდა ჩააქციო და ჭირნახულის გაყოფის დროს მესამედი და მეოთხედიც არ მოგიწევს!

მოხუცმა მიუგო:

— მერე ამ გაჭირვებულ ცხოვრებას ჩვენ ვინ შეგვაცვლევინებს? ბატონუმობას ჩვენ გადავადებდით, რუს ხელმწიფეს რომ არ მოესურვებია?! ვნახოთ: იქნება მთავრობამ მართლა ჩამოართვას მემამულეებს ნორმაზე მეტი მიწები და ჩვენ გადმოგვცეს. კომისარმა რომ გამოგვიცხადა, არ გახსოვთ: მალე დამფუძნებელ კრებას მოვიწვევთ და იქ გადაწყდება მიწის საკითხიო?

ასეარად შემარიგებლობას ჰქადაგებდა ტერეზას დედის, დარეჯან მდივნის მონათლული და ტერეზას ყანის მოზიარე მოხუცი გლეხი ჯაჯანა მენეთაიძე. ჯარისკაცები ხმამაღლა უტყევენ. მათ კამათზე ხალხი შეგროვდა. ნამდვილი მიტინგი გაიმართა.

— უცადე დამფუძნებელ კრებას! ვინც ჰკუა ისმარა და ხელთ იგდო მიწა, შერჩა და შეერგო. ჩვენც იმ გზას უნდა დავადგეთ! — ცხარობდა გელაშვილი, ახოვანი და მგელივით მუხლმეგარი გლეხი-ჯარისკაცი. მას აღარ სურდა სხვის მიწაზე მუშაობა. აღარ სურდა ეძლია მიწის პატრონისათვის ჭირნახულის მეტი წილი.

— წართმევა რა ჰკუა? აკი შეიდ დესეტინაზე მეტს ნორმის მიხედვით მემამულეებს აღარ უტოვებენ! — აწყენარებდა დირექტორი იოაკიმე აბულაძე, მსუქანი და მწითური კაცი.

— ნორმა თქვენ ქალაღზე გიწერიან. შეიდ დესეტინას კი არა, ორმოცს, სამოცს და მეტსაც უტოვებთ მემამულეებს ნახე, რა ხდება

ბიბლიოთეკა

ქართლში, კახეთში, იმერეთში და ყველგან: შემამულეებს კი არ ჩამოუტრეს მიწები გლეხების სასარგებლოდ, არამედ, პირობით უმიწაყლო გლეხები დააზარალეს! — ესარჩლებოდა გლეხებს რუსეთიდან ჩამოსული სტუდენტი ნიკო გოცირიძე.

წერილი ცოლშვილის პატრონი ჯარისკაცი აბესაძე ვეიცხრდა:

— მომიზომოს მიწის კომისიამ სამყოფი ნაკვეთი მიწა და მე გაჩვენებთ, როგორი მოსავალი მოვიწიო და როგორ ვაცხოვრო ცოლშვილი!

— რა მოსავალი უნდა მოიწიო, როდესაც აზრადაც კი არა აქვთ დაპირებული მიწების მოცემა? — ცხარობდა გელაშვილი.

— მენშევიკები თითონ თავადები და აზნაურები არიან და მიწას შენ მოგცემენ? — გაიქნია უიმედოდ ხელი რაქდენმა.

მოედანზე ზღვა ხალხი ირეოდა. გლეხები ემოწმებოდნენ ჯარისკაცებს, აგინებდნენ მენშევიკურ ხელისუფლებას და აშკარად იმუქრებოდნენ... მილიციელნი სდუმდნენ. მეორე დღეს დირექტორი იოაკიმე აბულაძე ქუთაისში წავიდა და სამაზრო კომისარს განუცხადა: მიწის საკითხის ვარშემო კარისმერეთსა და ახლომახლო სოფლების გლეხობაში დიდი მღელვარებაა, რომელსაც შესაძლოა არეულობა მოჰყვესო.

რა იცოდა კორნელიმ, თუ მისი ბაზარზე გავლა ცხარე კამათის საბაბი ვახდებოდა!

კარისმერეთი შორს მოიტოვა: ღელე გაიარა. იქვე ბუმბერაზი არყის ხე იდგა. შრიალეზდნენ ლითონის თხელი ფურცლებივით მკერივი და მაგრად შეკრული ვერცხლისფერი ფოთლები. საიდუმლოა უძველესი ამ შრიალში დამარხულიო, ვაიფიჭრა კორნელიმ. ახლად ვახედნილი, გრძელფაფარიანი კვიცი შეაჩერა. თითქოს ისიც ყურაცქვეტილი ისმენდა ასწლოვან არყის შრიალს. არყის ქვეშ დედალი ინდოური მიდიოდა ჭუკეებით. ლაღის ოდენა ნაცრისფერი ჭუკები სწრაფად აბიჯებდნენ ბალახზე ჩხირივით პატარა, გაბზარულ, შავზოლებიან ფეხებს და უმწეოდ ჭუკ-ჭუკებდნენ. ჭორი როგორ შენიშნავდა დიდ სიმაღლიდან გოლიათ დედა-მიწის ზედაპირზე მოფუსფუსე ამ უჩინარ წერტილებს? უცხო ქმნილება ინდოური წარბაზიდული, შიშით და გაოცებით გასცქეროდა უსაზღვრო ცის ტატნობს. ირგვლივ მიუწვდომელი და მოუთხოვრებელი მღუმარება სუფევდა. უცბად ინდოურის წითელი და მოლურჯო ჩინჩახვი ბაყაყის ლაყურებივით გაიბერა. ინდოურმა კულის ყელის მაგვარი უცნაური ხმა გამოსცა — „კულკულო“ და გაიქცა. ჭუკები დაფრთხნენ. კორნელიმ შევარდენი დაინახა; იგი არყის ხეზე შემოჯდა. წყლისფერი, ბასრი თვალები ჰქონდა. აგოია ცხენიდან ჩამოხტა. კომბლის მსგავსი მოკლე ჯოხი აიღო და შევარდენს გასტყორცნა. ვადაფრინდა ფრთამარდი ფრინველი. ფრთები დაარწია, მერე პლანერივით გაშალა და მთისკენ წერტილივით მიიწურა. კომბალი ძირს დაეცა და მაცვლისა და კურკანტელის ბუჩქში

გაიჩხირა. არყის ხე ნამინდერალის ახლოს იდგა გლეხის ჯაჯანა მონადირის ვენახის კიდეზე. მზიანი დღე იყო, ცა სარკესავით სუფთა. კორნელი ისევ ყურს უგდებდა უმძაფრეს სიჩუმეში არყის შრიალს. მზიან საყველ ზედაზენსა და სარკოიას იქით, ლამაზგორაა, გორამილაღობა წყაქისწყვეტი და საირმე. ამ მთებს გასცქეროდა კორნელი. შევარდენმა წყაქისწყვერზე მომხდარი შემთხვევა მოაგონა.

ამ ხუთი წლის წინად კორნელი იონასთან ერთად მოგზაურობდა: მაღალი მთის წვერიდან მზის ამოსვლა უნდა ენახა. იონა ბუნების სილამაზის მოტრფიალუ ადამიანი და მთამსვლელი იყო. ღამე სარკოიაზე გაათენეს იმ ვარაუდით, რომ გათენებამდე ასტლიყვენ წყაქის წვერზე, საიდანაც იშლება მზის ამოსვლის წარმტაცი სურათი. სარკოიიდან კარგად მოსჩანდა შუბივით აწვდილ მთაზე კოცონი. იგი წარმართთა ცეცხლივით კიაფობდა მთელ ღამეს. იონა და კორნელი შეპყვენენ ბილიკებს და მზის ამოსვლამდე მიაღწიეს კიდეც წყაქისწყვერს. მთის წვერზე დეკა, ღვია, ეკლიანი ბუჩქები და წყაქის მწვანე შქერი გაშლილიყო. აღმოსავლეთით წითელი ზოლი ფართოვდებოდა, ცა ღვიადა, ცეცხლი ეკიდებოდა. მზე შორეულ ხევიდან, საღლაც ქვემოდან ამოდითადა, თითქო ძოწეულ ზღვიდან ამოგორდაო. ავარვარებული უზარმაზარი ბურთივით ხტოდა, თამაშობდა, ლაპლაპებდა.

იონამ და კორნელიმ გული გაიძღეს ამ სურათის ქვრეტით და წყაქისწყვერიდან დაბლა დაეშენენ. ალპიური საძოვრები ჩაირბინეს, ტყეში შევიდნენ, მერე სოფელ სარკოიას დაადგნენ თავზე. ტყეში ათასი ფრინველის ყრიაშული ისმოდა. ზოგი მათგანი თითქოს იძახდა: შვილო გოგიაო და ზოგიც: კაფე თესეო. სარკოიაზე ჯანიანი მუხის ტყეა მიფენილი. ხევით, მაღალ მთებზე კი — წიფლისა და ურთხმელის ხშირი ტევრები. იქ ნახავთ აგრეთვე უხავს ხეებს: ხოჭო ტანის კვირჩხებს, რომელთაც მოხუცი გლეხის წვერულვაშით დაპკიდიათ კუნძებზე ნაცრისფერი ხავსი და ფითრი.

მზის ამოსვლის შემდეგ შესწყდა ფერადჯუბიან ჩიტთა ყრიაშული, გალობა, და მთაში გულისმყოდავი და უძირო სიჩუმე ჩამოდგა. ხანდახან თუ გაიგონებდით ძელქვისა და წიფლის ტოტებზე დაუდგრომელი კოდლის ბოხ კაკუნს. ნისკარტით სიჩქნიდა ფუტუროს და მსუქან ქიას აძვრენდა. კოდალას ალაღმა ჩამოუქროლა და საირმესკენ წაიღო, სადაც აგოიას მსგავსი ყმაწვილი მწყემსავედა ბატონის ნახირს. მწყემსმა კომპალი შესტყორცნა მის თავზე გადავლებულ ალაღს და კოდალა გაადგდებინა. კოდალი ბალახში ჩავარდა და ალისფერი სისხლით დაღამა. გამხმარ ფიჩხს ჩასქიდა ბრჭყალები, ზედ მაგრად მიეკლა: თავსეუშველიო, ფიქრობდა, და როდესაც მწყემსმა აიყვანა, გულშემშარავი ქყვიელი მორთო, თითქო ყელი გამოსქრესო. კორნელიმ მიირბინა და გამოართვა მწყემსს

ფრინველი. ალაღს მახათივით ჩაერჭო კოდალასათვის თავში ნისკარტი. კორნელის მუკში საშინლად სძვერდა და ფართხალუნდა. კიდევ ცოცხალი პატარა ჩიტის გული. ნისკარტზე მიწებებული მკვდარი ჭია შენიშნა. ძალიან შეეცოდა ფერადგუბიანი და ლამაზი მკვდარი კველად ჩაუფიქრდა ცნობისმოყვარე ყმაწვილი ბუნების მოვლენათა აზრს და ქვეშეცნეულად სწვდებოდა: ძლიერისაგან სუსტი და ჩია ქმნილება განწირულიაო. კოდალას არჩივი ჭია იყო, ხოლო ალაღისათვის — კოდალა. ამაზე შორს აღარ წასულა მისი ფიქრი და განზოგადოება.

კორნელისა და მზით გატრუსული, ტიტლიკანა, ჩანთაგადაკიდებული ყმაწვილის ყურთასმენა დააფრთხო უცნაურმა ყვილმა. ცას გაჰხედეს: არწივები იბრძოდნენ, ვოლიათ ფრთებს მოიქნევდნენ, კარგა მანძილზე მოსცილდებოდნენ ურთიერთს, ირაოს გააკეთებდნენ და მერე საშინელი ძალით დაეჯახებოდნენ ისევ ურთიერთს მკერდით, მაგარ ნისკარტსა და ხანჯალივით ალესილ ბრჭყალებსა და დებს სკვამდნენ. ცოდან თოვლის ფიორივით მოცვივოდა ბუმბული. კორნელი და მწყემსი-ყმაწვილი შეკრთნენ. მების დაკვრისგან ნახშირისფრად გაფატრულ უზარმაზარ მუხბას შეაფარეს თავი. არწივები გადაფრინდნენ. კორნელი მთის ტაფობზე გავიდა. ხელში გაჩრილ, ცივსა და გაშეშებულ კოდალას დაჰხედა. გაფშეკლ ფეხში წააგლო ხელი და შორს გადისროლა. უმნიშვნელოდ და არარად ეჩვენა კოდალას სიკვდილი ძლიერი და ლალი არწივების ბრძოლის წინაშე. მწყემსმა ჩანთიდან წითელი ვაშლი ამოიღო. ალესილი კბილები: თავივით ჩაარჭო და ერთი კორნელის და იონას მიაწოდა. ნახირი შეაგროვა. წიფლის ტყეში შერეკა, რადგან ამ ტყის იქით უფრო გაშლილი და კარგი საძოვრები იყო. იონას და კორნელის ჩხიკეთა ჩხავილი შემოესმათ, მაგრამ არა თუ ეხლა, შემოდგომაზედაც არ მიუტკეცია კორნელის ყურადღება, როდესაც ჩხიკეები ჰხეკდნენ, აგროვებდნენ და ხის ღრუში ჰყრიდნენ წაბლისა და წიფლის კაკალს ისე, როგორც სარკოიის გლეხები თავიანთ ჭირნახულს სასიმინდე-ხულაბედელში. მაგრამ ყმაწვილობისას და ჭაბუკობისას ნახული და განცილილი მერე ასწონა გონების თვალთ, როცა დავაგაკეთა, როცა ჯარში და ომში წაიყვანეს.

ეს მოაგონდა არყის ქვეშ გაშტერებულ კორნელის. წავიდეთ, გვაგვიანდებაო, — შესძახა ვაოკებულ ჯარისკაცს ავოიამ. კორნელი კი ასე ჰქვირობდა: „ამ მთის იქით პირველზე უფრო დიდი და მაღალი მთაა. მეორეზე მაღალი მესამეა და ასე მერვე და მეცხრე ყველაზე უფრო ბუმბერაზია, თოვლით გადალესილი ზამთარ-ზაფხულსაც და ვინ იცის, რა ამბავია ამ ცხრამთას იქით! მე მომწყვედეული ვარ მთათა შორის. არყის შრიალი აესებს არემარეს და ვინ იცის, რაებს ჰმბობს მისი შრიალი?

ავოიამ წყალი სთხოვა ღობეზე გადმომდგარ გოვას, მოხუცი გლეხის ჯაჯანა მენთავიძის შვილიშვილს. ცოტა ხნის შემდეგ თავსაფრიანი, ლამაზი ჭალი ჩამოვიდა კიბეზე და ღობისკენ გამოსწია. ერთ ხელში საინი



ეჭირა, ხოლო მეორეში პატარა დოქი. საინზე ხაჭაპურები ეწოდებოდა. უნდა იყოს შვილის, ლუკაიას ცოლი, მიესალმა კორნელის. კორნელიმ იცნო იგი.

— ჩვენ წყალი ვითხოვეთ, ეს რად გინდოდა, სალომე? *ქაქუცა*

— ჯაჯანა და ლუკაია ასე არ გაგიმასპინძლებდნენ! *ქაქუცა*

სალომეს გოგონას თხილით სავსე საინი ეჭირა. სალომემ ხაჭაპურები ვადასცა, მერე ტინჭილაში ღვინო ჩაასხა და კორნელის წააწოდა.

— ეს არის ვისაუხმეთ. ღვინის მოყვარული კაცი არა ვარ, — იპატივებდა თავს კორნელი, თუმცა იცოდა: უარი შეურაცყოფა იქნებოდა სტუმართმოყვარე სოფლელი ქალისათვის. სალომეს ტინჭილა ჩამოართვა, ტუნზე მიიღო, ასწია, ლილისფერ ცას შეჰხედა და ლოკლიკით დალია ცივი ცოლიკაური. მერე ხაჭაპურს კიდე მოატეხა. მოეწონა.

— პურის ფჭვილი მჭონდა ცოტა შენახული. ახლა ისიც გაგვითავდა. პურს ვინ ჩივის, სიმინდიც აღარ იშოვება. ჯაჯანა და ლუკაია თავს არ იზოგავენ, მაგრამ წლიდან წლამდე სამყოფი სიმინდი მაინც ვერ მოვიწიეთ, — შიამყარა საინო სახის ქალმა სხაპასხუპით კორნელის, რომლის ყურადღება მიიპყრო ღობესთან დარცხვენით მდგარმა მასპინძლის გოგომ.

იგი თხუთმეტი წლისა იქნებოდა. თეთრი ფერხორცი და ოქროსფერი დაკვარცენილი თმა ჰქონდა, მოცისფრო თვალები, მკერივი და აშოლტილი ტანი. შთაბეჭდილებას ვერ ანელებდა ღარიბული ტანსაცმელი და ბალახში დასველებული მისი მომსუქნო შიშველი ფეხები. გოგოსთან საუბარი მოუწონდა კორნელის, მაგრამ სალომე არ ათავებდა ლაპარაკს სიმინდზე, მოსავალზე, და მანაც შენიშნა:

— წელს, მგონი, კარგი პირი უჩანს მოსავალს?!

— კი, ჩემო ბატონო, თუ გვაღებ ამ შეგვაწუხა, ჯერჯერობით კარგი პირი უჩანს და წლის სარჩოც მოგვივა! — მიუგო სალომემ.

კორნელის მოეწონა ღვინო, და როდესაც სალომეს ქალმა ქეთუმ მეოთხე ტინჭილა შესთავაზა, გაუღიმა და ისიც წვეთამდე დასცალა. მადლობა გადაუხადა მასპინძლებს და გზას გაუდგა. აგოიას მთელი ხაჭაპური დაეთრია და მადიანად შეექცეოდა. კორნელის საფიქრალ საგანს როდი შეადგენდა ჭირნახული, პური და სიმინდი. კორნელის თვალწინ ედგა ეხლა სოფლელ გოგონას ქეთუას სახე. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ შეაჩერა ცხენი — „კუკური“. ქანდაკებასავით გაშეშდა უნაგირზე. ცხენი იყო კისერმოღუნული, გავასქელი, თხაფეხა და ჩქარად მატარებელი. მის აქტივტილ და პატარა ყურებს შორის ბუმბერაზი მთები მოსჩანდნენ. კორნელის ფიჭი თითქო ვერ გასცდა ამ მაღალ ქედებს. შორს ცხებკოშკების ნანგრევები მოსჩანდა. ღვინით შეხურებულ კორნელის ეგონა, „კუკური“ რაშივით გადაიფრენდა ცხრამთას და მიადღწევდა „ქაჯეთის ცხენს“, ნესტანს. აგოია ღმილით შესცქეროდა „კუკურის“ ფეხების ბაკუნს,

თამაშს და ხტომას. კორნელიმ მოუქნია: ცხენი აღდილოდან დაიშრა, მოსწყდა, თავკუდი გაიშვირა და ისარივით გაფრინდა გამოვრდებულ ყანის პირად. მკერდით მიაპობდა ჰაერს, მაგრამ „ჭაჯეთის ციხის“ ნაცვლად კორნელი წისქვილთან შეაჩერა.

წისქვილი არხზე იდგა. გამურული და გაქვარტლული კედლები ჰქონდა. ორი თვალი ბრუნავდა, რახრახებდა. წისქვილის წინ გლეხები იდგნენ. ქვე ახლოს ცარიელი ურმები დაეგდოთ.

კორნელიმ იცნო ღრმად მოხუცებული გლეხი, კარისმერეთის ბაზარში მოკამათე ჯარისკაცის ვალაქტიონ გელაშვილის მამა — გოჯასპირ. ყალიონს ამოუღებდა იგი და ასე ესაუბრებოდა გლეხებს. კორნელი მიესალმა მათ. გლეხები გაკვირვებული უცქერდნენ მხედარს. კორნელი ცხენიდან ჩამოხტა, თუთუნი გაახვია ვაზეთის ქაღალდში და ცეცხლი სთხოვა გლეხებს. გოჯასპირმა კვესაბედი ამოიღო, გაჰკრა და ანთებული ნამცეკი მიაწოდა. კორნელის ღვინო ჰქონდა შემეჯდარი და ეხლა თამამად ეჭირა თავი გლეხებთან.

— ეს კვესაბედი კიდევ არ მოიშალე, გოჯასპირ?!

მოხუცს გაუკვირდა: ჩემი სახელი საიდან იცისო. კორნელიმ ვინაობა გაუშხილა. მოაგონდა ბიძის ოტიას სიტყვები, თუ როგორ დაესახლა გოჯასპირის მამა — ყმა გლეხი თავის ბატონის, ოტიას მამის არჩილისგან გამოსყიდულ მიწის პატარა ნაკვეთზე. ვენახისა და ყანის მოვლა არავინ იცოდა მასავით მთელს სოფელში. ასეთი იყო მისი შვილი გოჯასპირიც და ამის გამო აძლევდა ოტია მას თავის მამულს სამესამედოდა.

კორნელის მოაგონდა აგრეთვე მარანი, გაროფილი და როკივით მაგარი, ძელქვის საწნახელი. ამ ვეშაპივით გაწოლილ უზარმაზარ საწნახელში ჩადიოდა გოჯასპირ ყურძნის ვასატეხად. სააღდგომო კვერცხივით იღებებოდა გოჯასპირის ბანჯგელიანი წვივები საფერავის წურვის დროს. თითქოს სისხლის მდინარეში განბანილანო. ზედ მწერები ესეოდნენ და ჰკებენდნენ. აწევბოდა დეკაკი ყურძნის წვენით განბანილ, ყურძნის ჰაჭითა და კურკით გახეხილი ვეება ტერფებით მტევნებს, სწყულტდა ყურძენს და ტკბილით ვალეშოლ საწნახელს ღარზე რაკრაკით სდიოდა ალისფერი ჩქეფი. ჩაფებით მიჰქონდათ აუზიდან ჩაბალახით თავწაქრულ ოტიას ბიჭებს ტკბილი და მერე მიწაში ჩაფლულ და ჩაკირულ ქვევრებში ასხამდნენ. მოჭრილებდნენ ერთი მეორეზე გაბმული ყურძნით სავსე ძარიანი ურმები ორლობებში, აღმართზე, და კორნელი, აგრეთვე მისი ტოლი ბავშვები ესეოდნენ კრახუნა ყურძნის ქარვისფერსა და უტკბილეს მტევნებს. სამზადის გვერდით დაპირქვავებულ, დახვავებულ სიმინდის ზვინებზე ისხდნენ ოტიას ყანის მოზიარენი, გოგო-ბიჭები, ტაროებს არჩევდნენ, ხოლო მოურავი აყრევიენებდა სასიმინდეში გოდრებით სიმინდს. ისმოდა ტრრეზას და მისი ღების ელენეს და თამარის ოხუნჯობა, გოგო-

ების კისკისი. პაპა-დიდედის — არჩილისა და დარეჯანის განკარგულება, ძახილი. მათი ჭირნახულის მოწვევასა და შენახვას ორმოცამდე კაცს დასტრიალებდა თავს: მოჯამაგირენი, ყანისა და მამულის მოზიარენი. შინაურნი და მეზობელ-გარეშენი.

სიხარულითაჲსა

ვახურობული კეცის ოდენა მთვარე დაჰლადლადებდა ზედაზენს. შუალამე გადასულიყო. შემოდგომის ქარშოშმანისგან შარიშურებდნენ, სისინებდნენ ვაზის ვაყვითლებული, გახეცებული ფოთლები და გამხმარი ჩალის ლერები.

ყოველი შემოდგომის ბოლოს, როცა ჭირნახულის მოწვევა და შენახვა გათავდებოდა, მდიენები ვახშამს უშართავდნენ ნადს. აი. ებლაც სამზადში გოგო-ბიჭები ტრიალებდნენ. ცხვარს, გოქს, ინდოურს და ქათამს ამზადებდნენ. როცაედა გოგო ეკვირინეს ხელისგულის ცემისგან ცერზე შემდგარი საცერი — მერდინი. დღეს კორნელის ბიძა, ოტია მდიენი დადგება თამადად და „ამ ზედაზენის ყაზახებს კარგა ლამაზად დაათრობს და კისერსაც მოსტეხს“. სუფრაზე სოფლის განთქმული მომღერლები გოჯასპირ, ნესტორ, გელაშვილები და ტურიაშვილები შეიყრებიან. ოტია იქარის სამზადის გვერდით კაკლის ხის ქვეშ, დაბალი სუფრების გაშლას. სიგუნაევას ღუქნიდან და სამიკიტნოდან სიპიტო მეარღნეც კი ჩამოუყვანია და ამ მთვარიან ღამეს დილამდე გააყრუებს ზედაზენს „ტუნია-ტურჩანას“ კრიალი. სამზადში დები ტერეზა და ელენე თავზე დასდგომოდნენ ჯანიან გლუხს გოჯასპირს, საპონს აწვდიდნენ, ხელში სპილენძის თუნგი ეკავათ და ყურძნის წვენიში ვალოპილ, ბანჯგვლიან წვივებს აბანინებდნენ ნელთბილი წყლით. ვაი შენს ტყავს, გოჯასპირ, შენი ფეხის ოფლი და ნაწური უნდა ვსვათო, ჭირდავდნენ. გოჯასპირის ოფლის სუნს იყნოსავდნენ, აბედისა და ხის ქერქის მაგვარს. კისკისებდნენ ბროწეულივით დაბრაწული, ჭვირითიანი და საქმარშვილოდ მომწიფებული ქალები. ენაწყლიანი მოუბარი იყო გოჯასპირ. აჯამეთის ტყეში და მთაში მხეცებზე ნადირობის და მრავალი საოცარი ამბის სწორუბოვარი თხრობა იცოდა.

— სათიბის ახლოს. აჯამეთის პირად დათვის შექყრია ბიძია პაატა. უნდა მომეკლა, მაგრამ ტყეში შემასწროო, — უთხრა ტერეზამ.

— სათიბთან დათვი ჯერ არავის უნახავს! — არ სჯეროდა გოჯასპირს პაატას თქმული.

დაკარწახებული ხვანჯრიანი შალვრის ტოტები ჩამოუშვა, პაქიკები და წულა ჩაიცვა. ქროდა, ელვარე თვალები მიაპყრო ჯიგრიან, ატკარცალებულ ტერეზას და ელენას. წაბლისფერ წვერ-ულვაშზე გადაისვა მხეხედ დამწვარი, ნიჩაფივით ფართო ხელი და ბატონის ღამაზ ქალებთან შეხების სურვილმა აიტანა. ამ დროს უკანა კარებთან რაღაც აბურღულდა. მერე კარები შემოაღო და თვალები შემოანათა. შეატრუხა გო-

გოს, ეკვირინეს ვახურებულ კეცზე დასაგებად გამზადდებულ კომი გაუვარდა ხელიდან და ნაკვერცხალზე დაეცა, კომი აშშინდა, ბოლისა და ნამწვრის სუნი დააყენა. ყველანი შეშინდნენ. შეკრთა გოჯასპირიც. „რა არის ეს? ტყიდან გამოვარდნილი ნადირი ხომ არ შეუდგენს ყველას კარებსო“, — გაიფიქრა. მართლაც, სამზადის კარებში უზარმაზარი ნადირის თავი გამოჩნდა. ტერეზა, ელენე და გოგო-ბიჭები წივილ-კივილით გაიქცნენ წინა კარებისკენ. ნადირმა ზღურბლზე გადმოაბიჯა, სამზადში შემოგორდა და ბაჯბაჯით წამოვიდა. რბილად აბიჯებდა ბალახს, ქვას, ნაძვის კოკოლებსა და წიწვებს შეჩვეულ თათებს რუხი ხაცისფერი დათვი. თავისიერს მალლა სწევდა და შავი ნესტოებით იჭერდა სამზადში დამდგარ ხორცისა, ტყბილეულისა და მწარე კვამლის სუნს საუკუნეთა მანძილზე უკაცური, უდაბური მთისა და ტყის ნადირი. დინგი გააჭანა. მწვანე სანათურების მსგავსი, ბრაზიანი თვალები მიანათა გოჯასპირს. გოჯასპირმა ხელი მოავლო მაშინ კუთხეში მიყუდებულ გავარვარებულსა და სამართებელივით მოპირულ ცულს. თითონაც ნადირივით დააბრიალა შუაეცხლით განათებული თვალის კაკლები. ხშირი და გაფანჩული წარბები აზიდა და ჯანიანი ხელით აღმართა ცული, წისქვილის დოლაბივით ამოძრავდნენ გოლიათი ბეჭები და ის იყო, უნდა გაემოტყიდან მოვარდნილ ნადირისთვის შუბლი, რომ ტერეზამ გულშემზარავად მიაკივლა. რაედენის მამა ნესტორი ზურგზე მოახტა ნადირს, ყურში ჩასქიდა ხელი, აღარ უშვებდა, ჩაპბლუჯა. მოხერხებულად უნდა ჩაეცა ხანჯალი, მაგრამ ნესტორის ხელში ცარიელი ტყავი შერჩა. დათვის ტყავიდან გამოძვრა ლამაზი ასული, ფერმკრთალი და ცოცხალმკვდარი თამარი.

— თქვე ოჯახჭორებო, დას მიკლავდით!? — მიძახა ოტიამ ვანცვიფრებულ და მოტყუებულ გლეხებს გოჯასპირსა და ნესტორს.

ასე გადარჩა სიკვდილს ლალი და მაკვიტი თამარ, რომელიც დათვის ტყავში გაეხვია, დაოთხვებდა, მდიდრულად მორთულ დარბაზიდან სამზადს მიეპარა და გლეხების დაფრთხობა დააპირა.

მოაგონდა გოჯასპირს პირისპირ მდგომ კორნელის დედის მიერ ნამბობი ეს შემთხვევა. მოაგონდა დედულეთი.

— რატომ არ ამოდი ზედაზენში: ოტიას უნახავი მიღიზარ? — შეეკითხა გოჯასპირ.

— სტუმარს მოველით ტფილისიდან სადგურზე, მერე ყველა ერთად ამოვალთ. — უბასუხა კორნელიმ. საათს დახედა: ცხრა საათი იყო. შეეშინდა. არ დამიგვიანდესო.

— არა, ბატონო, სადგურამდის ათი ვერსიც არ იქნება. სულ ნაბიჯით რომ იაროთ, ამას ერთ საათში მაინც გაივლით. ჭალაჭიდან კი მატარებელი თორმეტ საათზე ამოდის და ჯერ რა დროს დაგვიანება, — უბასუხეს გლეხებმა.

— უიმე, აგერ არ ყოფილა ოტიას ცხენი! — წამოიძახა გოჯასპირმა, როცა შეხედა წისქვილის სვეტზე მიბმულ „კუკურის“.

კორნელი დააცქერდა მოხუცი გლეხის გოჯასპირის მოლიმარ სახეს. დანარჩენი გლეხები, რომელთაც გოჯასპირთან ერთად ჩამოხეტნიან შეწყნარებულნი და საფქვევი, მოშორებით იდგნენ, ჩამოკონკილნი, რაღაცეას მათსა ზრილნი, მდინარის პირად წაფერდებულ ტირიფებივით. ფეხზე პაკიკები და ქალამნები ეცვათ. ოთხმოცი წლის გოჯასპირს წელამდე სცემდა თეთრი წვერი. გაფანჩულ წარბებში განირჩეოდა ბალნის სამი ღერი, ყველაზე გრძელი და წამწამებამდე გადმოფენილი. გოჯასპირს ჯერ კიდევ ბასრი, არყის ქერქისფერი თვალები ჰქონდა, აეალო მიწასავით წითელი, სისხლით საესე და მუხის კანივით დასეთქილი, ჯანიანი კისერი. ძარღვები ფესვებივით შემოზღარათოდა ხელზე. კორნელის მოეჩვენა, თითქოს გოჯასპირის ეღალ ჩოხას დედამიწის, მაქრის, ღვინისა და ქაქის სუნი ასდისო, ხოლო ტანსა და მკაფას—თონის პურისა და გომიჯისა. მიუხედავად გოჯასპირის ხნიერებისა, მისი ვეება ხელები ჯერ კიდევ განაგრძობდნენ მიწასთან ბრძოლას ლექმა პურისათვის.

საუბარი აქაც ომიანობას შეეხო — კორნელმა უამბო, თუ როგორ იბრძოდა მის შვილთან, გალაქტიონთან ერთად ჯავახეთში, როგორ გამოსჭრა გალაქტიონმა ტყეში საკაცე და როგორ აიტანეს დაჭრილი ჯარისკაცი ცაგურიშვილი და მოკლული ბაჭრაძე ბრძოლის ველიდან სოფელში, მერე შიმშილიანობაზე დაიწყეს ლაპარაკი.

— ოღონდ მიწები დაგვირიგოს მთავრობამ, თორემ მოსავალს ნუ გეშინია, სამყოფს მოვიწვეთ, — ამცნო სოფლის ხმა კორნელის ჩამოკონკილმა და დასაწყლებულმა მოხუცმა გლეხმა, რომელსაც ქამარში წაერკო აბედივით დაბეგვილი და შრომით დაკოყრებული ხელის ცერი.

— მიწებს ვინ მოგვაშავებს, — დატუქსა გოჯასპირმა.

სხვისი იმედით გაამპარტავენებული მხედრის საუბარი და სიტყვა-პასუხი თავისი წესებისა და ადათკანონების ჯიუტ მცველს და ჯანჯალა გოჯასპირს არ მოეწონა. უიმედოდ ჩაიქნია ხელი. კორნელმა ვეება ხელის ზურგზე დაზღმურდლული, შირმაგარასავით პირლია იარა შენიშნა და მისი შეხვევა ურჩია. გოჯასპირმა გაიღიმა:

— რა უჭირს? უნდა გენახა, რას ჰგავდა: ხარის თვალივით მაჯდა! კორნელი შეეკითხა, თუ იწამლეო, გოჯასპირმა ოჩოკოჩივით ბოხი ზმით უპასუხა:

— ყურწუმელეის ნემო დავადევი, დავამწიფე და მერე დანის წვერით ავიხიე.

კორნელი განცვიფრებული მიაშტერდა გოჯასპირს. უცნაურად ეჩვენა გოჯასპირის თვალები: „თითქოს ისინი ატარებენ ჩვენი ხალხის შრისხანე და ძველისძველ სიბრძნესო“, — გაიფიქრა. მერე მთის კალთებზე მიფენილ ვენახს და ტყეს გაჰხედა: მოხუც გოჯასპირის არყის ხის

ქერქისფერი თვალები იხედებოდნენ მთიდან, ტყიდან, სოფლებს, ყოველი კუთხიდან, და კორნელიმ რატომღაც გაიფიქრა: „ტყის ღმერთი!“

პაერში ნედლი ხის, ნაადრი მიწის, თევზის, მდინარისა და ტყეების სუნი იდგა. წისქვილის ბორბლები ხრიალებდნენ, და ხუნძის ქვევრით განცვიფრებულმა კორნელიმ იგრძნო ქვეყნის მარადემა სრიალი თავისი გოლიათი ჩარხის გარშემო. წისქვილის თავზე ამართული ბებერი მუხა შრიალებდა...

## სადგურზე

„ამ დროს ოსმალეთის ჯარები იყო იმერეთში შემოსული და ციხე-სიმაგრეებიც იმათ ეპირათ...“  
სიკო კანდელაკი: „იმერეთის მეფე სოლომონ დიდი“.

კორნელი სადგურს მიუახლოვდა. ბაქანზე ქართველ მილიციელთა და სამხედრო პირთა გვერდით ოსმალელი ოფიცრებიც იდგნენ. მათ ტანსაცმელი გერმანულ ოფიცრთა ტანსაცმელს ჰგავდა. ფოლადისფერ ფრენს პორტუპეი და კორტიკი უმშვენებდათ. რკინის გზის ხიდს დალიანდაგს გასცქეროდნენ გაშეშებულნი. ცოტა ხნის შემდეგ ორთქლმავლის კივილი გაისმა და მატარებელმა სადგურს მოაშურა. ეშელონი გაჩერდა. ვაგონებში უცხო და შავგვრემანი ჯარისკაცები ისხდნენ. თუმცა ამათაც გერმანული ჯარისკაცების მსგავსი სამხედრო ტანსაცმელი ეცვათ მაგრამ ისინი კოლონიური ლაშქარის ჯარისკაცებს მოგავგონებდნენ. ბაქანზე გაშეშებულ ოფიცერთან მივიდნენ ეშელონის ჯუჯა მეთაურნი და, სამხედრო წესისამებრ, დიდის ამბით, ევროპელთა გაპრანჭული და ყალბი მიმოხვრით, შიქასტებით მიესალმნენ ერთმანეთს. ამთიმა ქვევამ და ბრწყინვალეობამ თითქო დაჩრდილა ჩვენი მილიციელნი და მეთაურნიც. ასკერები ვაგონიდან არ ჩამოდიოდნენ. ბაქანზე თავშეყრილნი გულისყურით, მდუმარეთ, შექმუხნილი და სასოშიხდილი სახით ათვალეირებდნენ მათ.

ბაქანის ახლოს, მსბლით და ვაშლით სავსე გოდრებთან ჩაცუცქულიყუნენ ავი დროებით დასაწყლებული და მსოფლიო ომით გამათხოვრებული ჩვენი სოფლელები. უგონო ბაღის გულუბრყვილო ღიმილით და თვალებით მისჩერებოდნენ ისინი ასკერთა ეშელონს, უცხო სანახაობას. ჩამოკონკილი საცვლების მავგარ ხალათსა და შარვალში გამოწყობილ-დაგლეჯილი ჩაბალახით თავწაყრულ და ზაიასავით გაყვითლებულ გლეხთა ღიმილი ეკალივით დაესო გულზე კორნელის: „ნეტა რა არის სამხიარულლო ჩვენი ქვეყნის დამპყრობელ ასკერთა ეშელონების ხილვაში“ — ჰფიქრობდა. შრისხანედ გასცქეროდა ოსმალთა ოფიცრებს და ჯარისკაცებს, თითქო პირადად იმათი ბრალი ყოფილიყოს მსბლითა და ვაშ-

ლით მოვაჭრე გლეხების უბედური სანახაობა. ასკერთა ტანსაცმელი და იერი ძალზე განსხვავდებოდა მათი ოფიცრების ტანსაცმელისა და ჯარისკაცთა შორის დიდი უფსკრული იყო გათხრილი. ზოგს ფეხთ გეხებადა, ასკერებს წვერი გაუბარსავი პქონდათ და ისედაც შავი ტან-შეწამლევი მათი სახე არაბთა სახეს ემსგავსებოდა. ქერა ნაკლებად ღრია მათში, და ისინი ციებიანსა და შიმშილით მობრწინლს ჰგავდნენ. ომისგან დაღლილობა და ტანჯვა აღბეჭდოდათ სახეზე. უინტერესოდ, სასაქალოსკენ გარეკილი პირუტყვის უფრო, კაეშნიანი და მორჩილი თვალებით უცქეროდნენ ვაგონებიდან ბაქანზე თავშეყრილ ხალხს, ბაზარში გოდრებთან ჩაცუცქულ, მათებრ ღარიბ და უფლებააყრილ ქართველ სოფლელებს. ეშელონის საბარგო ვაგონებს რუსულად ეწერა: „მ ადგილი ცხენისათვის და 24 კაციისათვის“-ო. კორნელის ყურადღება მიიპყრო ვაგონის ღია დარბიდან მაცქერალმა ერთმა ასკერმა. უნებოდ, უაზროდ იცქირებოდა იგი და ასე შეექცეოდა ბატიბუტს. რამდენიმე ქართველი ვაგონთან მივიდა. ერთმა მათგანმა თათრულად გააბა საუბარი ასკერებთან. ოფიცრმა შერისხა ჯარისკაცები და მათაც შესწყვიტეს ქართველებთან საუბარი.

„ამ ჯუჯა და ჩანჩურა ოფიცრების მედიდურება ჩვენზე გამარჯვების მოპოებით არის გამოწვეული“, ფიქრობდა გულისტკივილით კორნელი და მათდამი მტრული გრძნობით იმსკვალებოდა. იბტიბარს არ იტყნდა, ტანსაცმელს ისწორებდა და ისიც მედიდურად სეირნობდა სადგურის ბაქანზე ოსმალელი ოფიცრების გვერდით, არა როგორც დამარცხებულ ქვეყნის შვილი, მონა-მორჩილი, არამედ როგორც თანასწორი და კიდევ უფრო მეტიც. ისინი გაკვირვებით უცქერდნენ ქართველ მეთაურებზე უფრო. შნოიანად და ლაზათიანად ჩაცმულ არტილერიისტს, რომელსაც სრულიად არ ეპარებოდა ეხლა ეჭვი იმაში, რომ იგი ოსმალელ ოფიცრებზე გაცილებით უფრო ღირსეულია და ევროპული კულტურით აღჭურვილი. შერე სადგურის იქით აღმართულ მთებსა და ტყეს გაჰხედა და იმ მთიდან და ტყიდან კვლავ გოჯასპირის სახე და მისი არყის ქერქისფერი თვალები იხედებოდნენ. „ტყის ღმერთი“ — გაიფიქრა ისევ კორნელიმ და ქართველ მეთაურს შალვა კიკნაძეს შესჩივლა:

— შალვა, ვინ მისცა ოსმალეთის ჯარს ასეთი თავისუფალი მიმოსვლის უფლება საქართველოს რკინის გზებზე?

ორთქლმავალის კბეზე ჩამომჯდარიყო მაზუთით გაზუნული მემანქანე. მისი კბილების რკალი და თვალის გუჯა თეთრად ანათებდა. მემანქანე ზედიზედ აბოლებდა თუთუნს და მეთაურის კიკნაძის მაგიერ უხსნიდა კორნელის:

— თანახმად ხელშეკრულებისა, ოსმალეთს უფლება ეძლევა გაატაროს პათომიდან ბაქოსკენ რკინის გზით ჯარები.

კორნელი არ იცნობდა ბათუმისა და ახალციხე-ახალქალაქის მახრების დაპყრობის შემდეგ მენშევიკური მთავრობის მიერ დადებული სამარცხვინო ხელშეკრულებას, რომელმაც საქართველო ისლამის ლაქრის დერეფნათ აქცია.

— როგორ მეორდება ისტორია! — უპასუხა მემანქანის კიკნაძეს, ახოვან ქერა ვეჯაცს, კორნელიმ:

განა ამ დღეში არ იყო იმერეთი მეფე სოლომონ დიდის დროსაც? თვრამეტი წლის მეფე სოლომონი რომ ტახტზე ავიდა, ოსმალეთის ჯარი ქუთაისის, ბაღდადის, შორაპნისა და ხრესილის ციხეებში იდგა.

ამ ისტორიულ ცნობებს იონას მიერ მიცემულ წიგნიდან აწვდიდა კორნელი მემანქანეს და მეთაურს კიკნაძეს.

ამ შორაპანმა და მისმა ციხემ ისევ იხელეს, ფაშა ახმედის ნაცვალთა ოსმალეთის ჯუჯა მეთაური, — სთქვა ეს და ოსმალთა ოფიცრისაკენ მიიხედა კორნელიმ. მერე კიკნაძეს უთხრა:

— შენი მოგვარე პირველი ფაშა მამედ-ალი კიკიანი ქუთაისის ციხეში იდგა დიდძალი ჯარით და მბრძანებელიც ის იყო ყველა დანარჩენი ფაშებისა.

ფაშა კიკიანის ხსენებაზე კიკნაძეს განცვიფრებული ცისფერი თვალები აუციმციმდა.

„ალაჰმა უწყის ვისი ნაშეირია ქართველი: არაბთა, მონღოლთა, სპარსთა თუ ოსმალთა? ის მეთაური ჩემსავით ქერა კაცია და თვალებიც ჩემებრ ცისფერი აქვს“, — ფიქრობდა კიკნაძე.

— რაჟის თავადმა როსტომ ერისთავმა და არგვეთის თავადმა ლევან აბაშიძემ შემოიყვანეს თათრები სოლომონ მეფის მამის! აღექანდრეს მეფობის დროს. ამით გაულეს ციხის კარები, განაგრძობდა ისტორიულ ექსკურსს კორნელი და იძახდა: — როგორი პარალელებით და ანალოგიებით მიიმართება საქართველოს ისტორია!

მეთაურს კიკნაძეს ძალზე მოეწონა განათლებული ჯარისკაცის ლაპარაკი.

მემანქანისა და კიკნაძის გარდა, ეხლა სხვა ოფიცრებიც, ჯარისკაცებიც და მოქალაქეებიც შეგროვდნენ. ეს კორნელის პირველი საჯარო ავტორიტატი იყო.

როდესაც ოსმალთა თავგასულობა ყოველგვარ საზღვარს გასცდა, თვრამეტი წლის სოლომონ მეფემ მხედართმთავრები, წარჩინებულნი დაიბარა და დაიძახა: ამგვარ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობიაო. ნულარმც გამთენებია აღდგომა, თუ თათრები იმერეთიდან არ გაერეკო, და გარეჯა კიდევ! — უამბობდა კორნელი სოლომონ მეფის დროინდელ ამბავს გარშემო შეყრილ ხალხს. ხალხი ზიზლით გასცქეროდა ასკერებს და მათ ოფიცრებს.



— საქართველო იმ დღეში ფეოდალებმა და თავადებმა ჩააგდეს და ეხლაც ეს უბედურება ქართველ თავადაზნაურობას, ნაციონალისტებს და მენშევიკებს უნდა მოეკითხოთ! — ჩამოსძაბა ორთქლმავლის კიბეები/კორნელის მემანქანემ.

ვიცით ვისაც უნდა მოეკითხოს! — უპასუხა <sup>მარკუნულე</sup> ~~მარკუნულე~~ <sup>მარკუნულე</sup> მარკუნულემ პასუხი ვეღარ დაასრულა, რადგან ბაქანზე ზარი დარეკეს, სადგურის უფროსმა სამგზავრო კვერთხი მიაწოდა მემანქანეს, ხოლო ობერმაც წასვლისა დაუსტენია.

ოქმალთა ეშელონის წასვლის შემდეგ მატარებელი დაგვიანებით ჩამოვიდა ტფილისიდან: თორჰეტ საათზე, ესტატე მაყაშვილმა დაინახა სადგურის ბაქანზე კორნელი, რომელიც გადაციცებით მისჩერებოდა ვაგონებს. კორნელიმ ჩემოდანი ჩამოართვა, სადგურში შეიყვანა. ცბელოდა და ესტატემ ლიშონის წყალი დალია ბუფეტში. მერე სადგურის უკან მიბმულ ცხენისკენ გაეშურა. მოყვითალო, საზაფხულო კოსტუმი ეცვა. წვევზე შემოიჭირა შარვალი და ინგლისური ქინძისთავით დაიმაგრა, ისე, როგორც ველოსიპედზე ჯდომის დროს იკიან. ჩემოდანი საშუალო ზომისა და მზატე იყო. ყვირილამდე აგოიამ წამოიღო, ხოლო ყვირილის შემდეგ კორნელიმ გამოართვა და მუხლზე შეიდგა. „ხაბარდულაზე“ მჯდომი ესტატე აღტაცებული იყო ზემოიშვრეთის ბუნებით, მაგრამ ბუნების ჭერუტა ხელს არ უშლიდა ვეჭილის ენამჭვევრობას. მთელი გზა ლაპარაკობდა იგი საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე.

იმდენი ახალი ამბავი უამბო ესტატემ კორნელის, რომ გზა შეუმჩნევლად დალიეს.

## კამათი პატარა კამათლებით კარისმეჩეთში

„ნიაზ ბარდღა თეკლათელი,  
მისი ცენი — კამათელი!“

(პემორტლი ლექსი).

ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა. ცაცხვის ქვეშ, ფართო ფარდაზე, ვარდო, ესტატე, ნინო და კორნელი წამოწოლილიყვნენ. ესტატე ექიმის მზეიდის ბიბლოთეკაში შერჩეულ წიგნს კითხულობდა, ნაპოლენზე. თეთრი შარვალი და ხალათი ეცვა. გულაღმა იწვა. ხანგამოშვებით წიგნს მკერდზე დაიდებდა, ცას მიაშტერდებოდა, თვალს მოლულავდა ღიმილით მეოცნებე თავადი და კორნელის მიჰპართავდა:

— ისტორია ბედიაო, იტყოდა ნაპოლეონი და ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ესოდენი დიდი გამარჯვებებით როგორ შეიმსახებოდნენ ყოფილი კორსიკელი ოფიცრის სამხედრო დროშები, როგორ გახდებოდა იგი ომისა და დედამიწის ღმერთი? თუმცა ცხოვრების უკანასკნელ ეამს ბედმა უმუხთლა. მისი ბედთან თამაში, არტისტულად მიხედვით, საშუაროსთან და ადამიანებთან დასრულდა წმ. ელენეს კუნძულზე სიკვდილის წინ გენიოსი მხედართმთავარი და იმპერატორი არაფრით აღარ განსხვავდებოდა ჩვეულებრივ ფრანგ მოქალაქისაგან და მორწმუნე კათოლიკესაგან.

— მაკედონელი, პანიბალი, იულიოს კეისარი და ვერც სხვა ვინმე მხედართმთავარი ვერ შეედრება მას! — შენიშნა კორნელი.

ესტატემ განაგრძო:

— ვერც ჩვენი სააკაძე და ერეკლე მეფე. თუმცა ერეკლეზე პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდი ამბობდა: ევროპაში მე ვარ პირველი, ხოლო აზიაში ერეკლეო.

ამ დროს ტყიდან ეზოში ცხენი შემოაჯირითა პლატონ მოგველაძემ. პლატონს ეცვა საზაფხულო, ნაცრისფერი, ხაზებიანი ფრენი ჰალსტუკით, გალიფე და გერმანული გამაშები. თავზე ჭილის შლიაპა ეხურა. ტყაის ბუდეში ჩაგებული ცეისის ღურბინდი ჰქონდა. გაპარსული იყო და მსახიობს ჰგავდა.

იონა დიდი ამბით მიეგება, ცხენი გამოართვა და აგოიას გადასცა. აგოიამ მოსართავები მოუშვა და აჭაფებული ცხენი ეზოში გაატარა. პლატონმა ხელი ჩამოართვა ყველას. სტეკი გამაშზე შემოიკრა და კორნელის შეეკითხა:

— როგორი ცხენია?

შავი გიშრისფერი ჩერქეზული ულავი მართლაც ლამაზი იყო: პატარა თავი, მოხდენილი აქვეტილი ყურები, მოლუნული, გრძელფარჩიანი კისერი და სქელი გავა ჰქონდა. პლატონს შეუქვს თავადის მიჭელადის ცხენი. მერე პლატონი სკამზე დაჯდა, შლიაპა მოიხადა. მარაოსავით დაჩრხია ვახურებულ სახესთან, ცხელოდა. კრიჭინა განუწყვეტლივ ჭიჭინებდა.

— კარისმერეთი ნამდვილი აგარაკია. უკვე დაგტყობიათ აქ ყოფნა! — უთხრა მან ვარდოს და ნინოს. ნინოს რამდენიმე ქათინაურით გაუმასპინძლდა. შემდეგ ტფილისის ამბები გამოჰკითხა ესტატეს.

— მე ყოველთვის მაგას ვამტკიცებდი, — უპასუხა პლატონმა.

სახლიდან სტეფანე გამოვიდა. იონამ გაიცინა:

— ამტკიცებდი თუ არა გერმანიაზე აღებულ გეზის უპირატესობას. ეს მე არ ვიცი. მაგრამ სტეფანე რომ შენზე უფრო ნასწავლი და ფილოლოგიის მცოდნე კაცად სთვლის თავის თავს და კამათში შენი დაპარცება არ ეეჭვება. — ეს კი კარგად ვიცი. — უთხრა პლატონს იონამ.

პატივმოყვარე პლატონს ეწყინა არაჩვეულებრივ, ზეკაც ადამიანის ამ მომავლად, ჩვეულებრივ მასწავლებელთან გატოლება. წამიერ პრიღუმა, მაგრამ თავს სძლია, გაიღიმა და იონას უპასუხა.

— რა დროს კამათია, ჯერ სული მოგვათქმევენ!

სტეფანემაც უხერხულობა იგრძნო:

— ამას ყურს ნუ უგდებთ, ეს ცნობილი პროვოკატორია!

სტეფანემ და თვით იონამაც გაღიხარხარეს. იონა ისევ ოხუნჯობის ეშხე მოვიდა.

— კარგი, მერე იკამათეთ. ახლა წამოდი, საცოდავს დაბეგვილი ექნება საჯდომი...

ნინო ფარდაგს დაემხო თავით.

— არ გამიგონია ფილოსოფოსის ჯირითი. ცხენზე ჯდომისა რა იცის პლატონმა, მე ვასწავლე ჯარში ცხენოსნობა, სიტყვა ამ ბიჭმაო — გაიშვირა თითი კორნელისკენ იონამ.

— ღმერთო, რა უცნაური კაცი ხარ; ჯერ არც კი მოესულვარ და გინდა ეხლავე წამკიდო ამ ხალხს! — უსაყვედურა იონას პლატონმა.

როდესაც პლატონმა ხელპირი დაიბანა, გასუფთავდა და ცაცხვის ქვეშ დაჯდა, იონამ კვლავ წააქეხა:

— პლატონ, მართლა უარყოფ შენ რომანტიზმს, როგორც ლიტერატურულ სკოლას?

— დიახ! — განაცხადა პლატონმა.

სტეფანე აღშფოთებულა, — უპასუხა იონამ.

— აღშფოთება არაფერ შუაშია. მე ვსთქვი: ასეთი მტკიცება შე-  
მცდარია მეთქი! — შენიშნა სტეფანემ.

— დამეთანხმეთ, ცნება რომანტიზმი — შეიცავს მეტის-მეტად გა-  
ურკვეველ და მრავალნაირ ლიტერატურულ მოვლენას, — დაიწყო პლა-  
ტონმა.

— პირიქით — მიუგო ესტატემ — რომანტიზმი, როგორც ლიტერა-  
ტურული მიმართულება გარკვეულია.

— არა, — შეედავა პლატონი, — რომანტიზმი, ისევე, როგორც რე-  
ალიზმი და ნატურალიზმი შემადგენელი ელემენტია იმ დიდისა და ერ-  
თად-ერთი მარადიული სკოლისათვის, რომელსაც სიმბოლიზმი ეწოდება. აქ  
ეპოქები, ეკონომიური და სოციალური მათი ვითარებანი არაფერ შუა-  
შია. არიან გენიოსი და უნიჭო პოეტები და მწერლები. პირველნი კარ-  
გად სწერდნენ, ხოლო მეორენი ცუდათ. ესტილე, შექპირი, გოეთე,  
დოსტოევისკი, ბოდლერი სიმბოლისტები იყვნენ, ვინაიდან — რეალურ სი-  
ნამდვილეში და წარმავალ მოვლენებში ისინი ზერეალურს და წარუ-  
ვალს სჭერებდნენ. ზომ გახსოვთ გოეთეს მიერ „ფაუსტში“ თქმული  
სიტყვები: „Alles Vergangliche ist nur ein Gleichnis“, ე. ი. ყოველივე  
წარმავალი სიმბოლოა, მხოლოდ იგულისხმება: წარუვალისა.

— ეს თქვეთ მასეა. სადღა გაპქრნენ სხვანი? ვანა ლიტერატურის ისტორიისათვის სიტყვა „კარგი და ცუდი“ ერთნაირად ღირსებული არ არის? — შეეკითხა სტეფანე.

— ეგ თქვენი საქმეა: მკვლევართა, კრიტიკოსთა ~~მანქანების~~ ~~მანქანების~~ — უბასუბა პლატონმა.

კამათი კიდევ დიდხანს ვაგრძელდა. ესტატე ერეოდა კამათში, იონა კი აღფრთოვანებული იყო: ისმენდა ქართველ ინტელიგენტთა „ბრძნულ“ კამათს. კამათის შედეგად სტეფანე დარწმუნდა, რომ საქმე პქონდა სიმბოლისტთან, დეკადენტთან, პარადოქსების მოყვარულ ინტელიგენტთან, მეტაფიზიკოსთან და მისტიურად განწყობილ პოეტთან. პლატონმა კი სტეფანე ჩასთავალა მცოდნე ფილოლოგად, მაგრამ რომელიც უფრო გაშორებია ტრადიციულ კვლევას, ლიტერატურის სასკოლო კურსს.

ვარდო და ნინო კამათის გარეგნულ მხარეს აქცევდნენ მხოლოდ ყურადღებას, მათ პლატონ მოგველადის არტისტული ქცევა აჯიღოებდათ. პლატონი უძრავად დაჯდა დახატული „ზეკაცის“ მსგავსად. სახის კუნთები დაძაბა და შეუქიანი თვალით გაპხენდა შორეულ ქედებს, თითქო მიუწევდომელსა და მოუთხრობელზე ჰფიქრობსო. მერე ღურბინდი მოითხოვა. იონამ სთქვა:

— რაქალეჩუმისა და სევანეთის მთები ჩემს ეზოდან უკეთ სჩანს. ეხლა ყველანი მის ეზოში შევიდნენ.

## გველი

„ამას ვრძნობს, უკვირს თითონაც  
ტყვეს თვის ბუნების ცვალება.  
შეიგნო კამა გველისა  
ქაჯთაგან იყო ზმანება“.

ვათა: „გველის მკამელი“.

იონას ეზო ნახევარი ქცევაც არ იქნება. შიგ ქობის მსგავსი ფიცრული პატარა სახლი დგას. სახლის წინ დიდმართი ერთბაშად ეშვება, რის გამო კოლინდარით დათესილი ეზო გორაკის შთაბეჭდილებას სტოვებს. ძირს უზარმაზარი ძელქვებია და მის იქით მართლაც ხელის გულივით მოსჩანს რიონის ველი, რაქალეჩუმისა და სევანეთის მთები. მოწმენდილ დღეს დაკვირვებული თვალი რიონის სადგურს და მთის ძირში თეთრძოლივით გაწოლილ ქალაქ ქუთაისსაც შეაჩჩნევს. პლატონმა ღურბინდში გაიხედა, თვალზე მოაწყო და დაიძაბა:

— შეხედეთ, რა კარვად მოსჩანს თეთრულდი და უშბა.

დურბინდი ვარდოს გადასცა. ვარდომ დაინახა მატარებელით აწვილილი, კონუსის მსგავსი თეთრული და ბუმბერაზი უშმა როდესაც დურბინდში ცქერა მოსწყინდათ, იონამ სკამები გამოფრქვევითის ქვეშ დასვა სტუმრები. კორნელი და ნინო ეზოს უკან ეხვეოდნენ. ჯიშვართან ტალავარი იყო გაშენებული და საგანგებო ჯიშვანი ვაზე-ბით შეფოთილი.

— ეს ვაზეები ფრანგმა ავრონომმა უფეშკაშა იონას. ვოლგოპიონს ეძახიან. ამ მსხმოიარე ვაზის მტევნები შვიდ-რვა გირვანქას იწონიან. შავი ქლიავის ოდენა მარცვალი იცის, როგორც თვალის ჩინს, ისე უფრთხილდება ამ ტალავარს იონა. დედი მისის შვილია ვინმე, გაბედავს და თუნდაც ერთ მარცვალს მოსწყვეტს უიმისოდ, — უთხრა კორნელიმ ნინოს.

— ძუნწი ყოფილა! — შენიშნა ნინომ.

— არა, მაგრამ კანონად აქვს შემოღებული: უმისოდ არაფერ ახლოს ხელი მტევნებს. თითონ თავის ხელით უფრო მეტს მოგართმევს, ვიდრე შენ თვითონ შესჭამ: სადესერტო ყურძენს — მუსკატს, ქალის-თითას, რომელიც გნებათ, — უპასუხა კორნელიმ.

ლობეზე გადავიდნენ და მუხნარში შევიდნენ. ტყეში გრილოდა. ტყის პირად, ხრამში შწიფე მაყვალი შენიშნეს და მას დაუწყეს კრეფა. მაგრამ ჯაგებს იქით, მინდვრის ბოლოს უფრო მსხმოიარე მაყვალი იყო. ხმელი ეკლები ედებოდა კაბაზე ნინოს. კორნელიმ ხელი მოჰკიდა და მოხერხებული ბილიკით წაიყვანა. გავიდნენ თუ არა მინდორზე, ნინომ გულშემზარავად შეჰკივლა, გადაბტა და ხელი ჩაჰკიდა კორნელის მკლავში. კორნელიც შეერთა, ნინოსთან ერთად დაიბია უკან. გული საშინლად უცემდა, მაგრამ ნინოს მიანიც ანუგეშებდა: ხომ ხედავ, ჩვენგან შეშინებული ვარბისო. მართლაც, თოხის ტარის ოდენა გველი აჩქარებოთ მიიკლანებოდა მინდორზე მახლობელ ბუჩქისაკენ. ჩემად და უხმოდ მოცურავდა, თითქო ბალახზე ფერცხლის წყალი იღვრებო. კორნელი გაიტაცა კიდევ ამ უცნაურმა მოძრაობამ, გაშტერებული უცქეროდა ქვეწარმავალს. ნინოს თვალზე ხელი აეფარებინა. კორნელიმ მოისაზრა: გველი ბუჩქში შეგვასწრებსო. და დაიძახა: მოვკლათო. დაფაცურდა, ქვები მოსძებნა.

ნინოს კივილზე შეშინებული ვარდო, ესტატე, სტეფანე, იონა და პლატონიც მოცივიდნენ და ნინოს დაუძახეს:

— რა მოგივიდა?

კორნელიმ უპასუხა.

— გველია! და ბუჩქში შემძვრალ გველს დიდი ქვები დასცხო.

ახლად მოსულნიც შეიარაღდნენ ქვებით, მაგრამ იონამ განაცხადა:

— რადგან ბუჩქებში შეგვასწრო, გვიანლა არის, ხერელზე ჩაძვრებოდა.

ნინო ცუდად გახდა. მიწის ფერი დაედო. გული უღონდებოდა. წითელი მესტებით დამშვენებულ შიშველ ფეხებზე და წვეწვამზე — მხედებოდა, თითქო ქვეწარმავალი შეპხებოდეს — მაგარი, ცივი, სისხლის და ხანგელა ტანით.

— რა საშინელია, არ შემძლია გველის დანახვა, — ჩიოდა შიშით და საშინელი ზიზღით ნინო, ატირებული ბავშვივით ეხუტებოდა დედას.

პლატონმა კი სალაპარაკო მასალა იშოვნა:

— გველით მოვიდა ცდუნება ქვეყნად. გველი ცდუნების, სიბრძნისა და მიჯნურობის სიმბოლოა. ლერწმოსის გველის შხამით მოწამლული ისრით ვანგმირა გმირმა პერაკლემ მონა-მსახური კენტავრი ნესი თავისი მეუღლის, ტურფა დეანირეს ვატაცებისათვის. გარბოდა მდინარე ევენზე თქარათქურით კენტავრი და ხელთ ეპყრა მიჯნურს ღმერთ-ქალის აფროდიტის ტოლი დეანირე. გავიდა კენტავრი ზაფრანისფერ ნაპირზე. დაეცა და სიკვდილის წინ შედედებული სისხლი გადასცა პერაკლეს ცოლს, საყვარელ დეანირეს. ამ თილისმით — ლერწმოსის გველის შხამით მოწამლული სისხლით — დაღუბა შემდეგ შეუცნობლად დეანირემ უძვირფასესი თვისი მეუღლე, ელადის გმირი პერაკლე... ლემნოსის კუნძულის მოგე-ქალთან ქრისტესთან აღერსისა, მიჯნურობისა და ცდუნების ეამს მოშხამა ყვავილნარიდან გამოცურებულმა გველმა ჰელენეთის ჰაბუკი გმირი ფილოქტეტე. პეთოსის მითთ გამართულ კოცონზე სწვავდნენ პერაკლეს, როცა აკურთხა ჰაბუკი ფილოქტეტე გმირად და აღთქმა დაადებინა: ქალთან ცდუნება არასოდეს იგემოო. ფილოქტეტეზე სოფოკლე ამბობს: „შენ უბედობა გარგუნა ღმერთმა: იგემე ქრისტეს შინაბუნების გუშაგი გველიო“. გაიხსენეთ კლეოპატრა, რომელმაც უცნაური სიკვდილი ისურვა უპაყოფილი სიყვარულისათვის: შიშველი ძუძუსთავი მოალერსე გველს და აკბენინა. მუსიკით გრძნეულ გველის პიფონის მაგარ საღებებში განიცდიდა უტკბილეს ვნებათა ღელვას კართაგენის მხედართმთავრის ჰამილკარის ქალი სალამბოც... გაიხსენეთ გველის ჰამით გამეცნიერებული მინდია...

აღარ ვაათავა პლატონ მოგველაძემ ცდუნების, სიბრძნისა და მიჯნურობის ხატის-გველისათვის საცნაური, ზოლო დამსწრეთათვის უცნაური საუბარი. კორნელი კი ეცვმა შეიპყრო: რალა მიანცდამინც მე და ნინოს შეგვეფეთა ის ურწმუნო. ვაი, თუ ცუდი ნიშანიო.

ლოგინზე დააწვინა ნინო. გულის დასამშვიდებელი წვეთები დააღვინა, კორნელი სასთუმალთან მიუჯდა და შეშინებულ ასულს აწყნარებდა:

— გველიც ბუნებისაგან შობილია, ნინო, და თუ წინასწარ აღებულნი აზრით არ მიუდგები, ლამაზიცაა ერთგვარად. შხამიანი რომ არ იყოს,



კორნელიმ წამოიძახა:

„Все, все что гибелью грозит,  
Для сердца смертного таит  
Неизъяснимы наслажденья —  
Бессмертья, может быть залог“.



ასე ამბობდა პუშკინი, მერე დაუმატა: ხომ გახსოვს ბარათაშვილის  
— ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,  
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;  
ნუ დამიტვიროს სატრფომ გულისა,  
ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის“.

ან კიდევ გავიხსენოთ ლერმონტოვის:

„Полденный жар, в долине Дагестана  
Свинцом в груди лежал недвижим я“.

ამ სიტყვებს ისეთი შნიშვნელობა მიეცა და ისე წინასწარმეტყველურად ახდა მის თავზე, რომ გინდა იფიქრო: შუადღის მზით აღმოდებულ და გარუჯულ დაღესტნის ველზე მთვლემარე პოეტის ყოვლისმზილველი სული წინასწარ სწვდებოდა, ალბათ, თავის ბედისწერას. ამბობენ: ლერმონტოვის დუელის დღეს საშინელი გვაღვა და აღმური იდგა, ხოლო დუელის შემდეგ ელვაქუხილი ატყდა და კოკისპირული წვიმა წაშოვიდაო. არა მგონია ბუნება თანაუგრძობდეს ადამიანს. პირიქით, იგი გულგრილი და უინტერესოა ადამიანის ბრძოლა-კიდილისა და დაცემის, გამარჯვებისა და დამარცხების მიმართ. „დაე ისმოდეს სამარის კარად ნორჩი ცხოვრების აფუგუნება და გარს ეკვლუყად ბრწყინავდეს მარად ცივ გულგრილობით საესე ბუნება!“ ამბობს პუშკინი, — დასძინა კორნელიმ.

ნინო განცვიფრებული უსმენდა კორნელის და ეხლა ერთი რამ შენიშნა: კორნელი ბევრ რამეში ჰბაძავდა პლატონს. მეტყველება, სახის იერი, მიხვრა-მოხვრა, — ყოველივე მოაგონებდა პლატონს. პლატონ მოგველაძისა და გრიგოლ ცაგურიშვილის გავლენა ხელსახები იყო. ახალი ლიტერატურული ჯგუფის „სიბრძნეს“ და „გემოვნებას“ უნაყოფოდ არ ჩაუფლია. თუმცა კორნელი მეორე სათავეთაც იკვებებოდა. იგი მშობლებისგან იანდერჩა მან. დედისგან: პრაქტიკული უნარი, შრომისმოყვარეობა. მამისგან: ზუსტი მეცნიერებისა და ხელოვნებისადმი სიყვარული. მშობლებისგან იანდერჩა მან აგრეთვე ხასიათის ორმაგობაც. დედისგან: გარკვეული მიზანდასახულება, ნიეთიერ უზრუნველყოფისკენ სწრაფვა. მამისგან: უზრუნველობა, თავდავიწყება, ერთის მხრივ: თავდაქერილობა, სიძინჯე, სიჯიუტე და ნებისყოფის სიმტკიცე, მეორეს მხრივ: აღვირაშლილობა, სიფიცხე, უნებისყოფობა, თავმციმულობა და ყველაფერზე



ხელის ჩაქნევა. ამიტომ სტოვებდა კორნელი მერყევ და დაუღვენელ ადამიანის შთაბეჭდილებას მსოფლმხედველობის და ზნეობის განთავსებისას, მიჯნურობისა და ყოველგვარ საქმიანობისას.

— კორნელი, ჩემის აზრით, შენც ფილოსოფოსად უნდა შეგვიდე შენი ძმის სტეფანეს კვალობაზე: ~~ლ... კ...~~ იცი! — ურჩია ნინომ.

— ენახოთ, შეიძლება მედიკურ ფაკულტეტზე შევიდე. მაღლობა ღმერთს, ევროპისკენ გზა ხსნილია. ჩემი ნატვრა, მგონი, შემისრულდეს. ესტატემ მითხრა: მთავრობა ასი სტუდენტის გაგზავნას აპირებს უცხოეთშიო. იმათ რიცხვში კიდევც რომ არ მოვხვდე, დედის მამული კინკარეული რომ გავყიდოთ, უცხოეთში რამდენიმე წელს მაცხოვრებს, — უბასუბა კორნელიმ.

ნინომ მოიწყინა: ოთხი ან ხუთი წლით მაინც მიმატოვებს კორნელიო. კორნელი თითქო მიუხედა გულისთქმას:

— შენც რომ უცხოეთში წამოხვიდე, ძალიან კარგი იქნება: ტფილისის უნივერსიტეტი და კონსერვატორია დიდს ვერაფერს შეგძენს.

ნინომ ნაღვლიანად წარმოსთქვა:

● — მე დედმამა როგორ მომიშორებს! — და თვლები ჭერს მიაბჯინა. რუხი, სადაფისფერი კაბა ტანზე შემოტმასნოდა. ტანის აღნაგობა საჩინო გაბდა: თქო განიერი, წელი ვიწრო, მკერდი თანაბრად ირბეოდა, თითქოს ორ ცოცხალ არსებას ზედ ტუბილად სძინავს და სუნთქავსო.

„უცხოეთში ჩემი წასვლა საეჭვოა: ხუთი წელი უნინოოდ იქ რა გამძღებინებს“, — ჰფიქრობდა კორნელი.

ნინომ ფეხიფეხზე გადიდო. წვივზე უხვად ჰქონდა შავი ბალანი ამოსული. „ამბობენ, ტანზე თმა ბედნიერების, ჯანის მაჩვენებელია. მე ისიც გამიგონია: ტანზე თმა ენებიათობის ნიშანიც არის“, — გაიფიქრა კორნელიმ და ისევ გადახედა ლოგინზე გაშხლართულ ნინოს შეეგვრებან ფეხებს. ეკლით გაკაწრულ იარიდან სისხლის ეონა ვერ შეეჩერებია იოდს. კორნელი შეეხვეწა — ისევ წავიცხებ იოდსო. ნინომ უარი უთხრა. კორნელის მოავონდა სკოლის ამხანაგი, ამ ხუთი წლის წინად რომ გარდაიცვალა ალისმერეთში. საცოდავი ალიკო. მოსტანში გაიკაწრა შიშველი ფეხი ეკლით. სისხლი მოეწამლა. ტფილისიდან ვერ მიუსწრეს წამალი, სისხლი შეუდგდა, ხერხემალი გაუშეშდა და ტფილისიდან ჩამოსულ მამას დაუხედა საშინელ ტანჯვაში გარდაცვლილი ერთადერთი ვაჟი. მამა ჰქუაზე შესცდა ჯავრისგან და ერთი წელი საგივეთში ჰყავდათ.

— არ შემიძლია შენს იარას და სისხლს ვუცქირო! — უთხრა კორნელიმ. მიზეზი, თუ რისთვის არ შეეძლო ეცქირა, აღარ უთქვამს: შეშინდებაო, გაიფიქრა. ისევ მოჰპოცა ბამბით სისხლი. იოდი წასტო და სახვევით შეუტრა. კორნელის მაგარი და გახურებული ხელი ედებოდა ლოგინზე წამომჯდარ ნინოს გრილ წვივზე და სიამოვნებას ჰგვრიდა:

— რა ცხელი ხელი გაქვს! — უთხრა და ხელზე ხელი დააბჯა. კორნელიმ შეიბყრო იგი და ზედ აკოცა. ათრთოლებული კორნელი კი შუაზე გაყოფილ გიშრისფერ თმაზე გადაუსვა. მერე დიდრონ თვალებში ჩაჰხედა. თმა გაუსწორა და პატარა, ვარდისფერი ყურის მქონე კამო-უჩინა. ყურზე ხელის ფათური ელიტინებოდა ნინოს. კამო-უჩინა შეკუმ-შული კატასავით იკრუნჩხებოდა შეკავებული და ვნებიანი სიცოლით. ხელი დაუქირა კორნელის და თითონვე მიიკრა ბავშვივით ჩვილსა და აღმურიან ლოყაზე. თვალები განაბა. ნეტარებიდან გაიჩინდა. ეხლა ორი-ვე ლოგინზე იჯდა ერთმანეთის გვერდით, ვაჟის ძარღვებში მძაფრად იწყო დენა სისხლმა. თვალები არყის ხეზე შემომჯდარ შევარდენივით უბრწყინავდა. დამაგრული მკლავი შემოაქდო მაზედ მიყრდნობილ ქანც-მილეულ ნინოს, ზეაიტაცა, მუხლებზე დაისვა და გულწასულივით მო-ღვედილი ქალის ტუჩებს დაეწაფა.

ესოდენ ხელსაყრელ და სანეტარო საბაბად იქცა კორნელისათვის ნინოს წვივზე ეკლით გაკაწრული ნემსის ყუნწისოდენა იარა.

## ქალბატონისა და ნაუზუვის შეპიჯებაანი

„გაცილებით უფრო ადვილია რომელიმე გმირის ტანსაცმელის ამომწურავად დნახვა, ვიდრე მოთხრობა იმისა, თუ რას განიცდის და გრძნობს იგი, ოანაც ალაპარაკო ის“.

ს ტ ე ნ დ ა ლ ი. წერილიდან: „ვალტერ-სკოტი“.

ამ დროს მოხუცი გლეხი სამზადს მიაღვა. ტერეზა გულჯაბანით სტენი-და გობზე გაფატრულ გოქს. მუცლის ღრუს უქსებდა მოხარული ბრინჯით და ჯიგრიით. შეჭამადის შეკმაზაში ტოლი არ ჰყავდა მას.

— აქა მშვიდობა! — დაიძახა მოხუცმა გლეხმა და სვანური ქული მოიხადა.

— ჯაჯანას ვახლავარ. ასე როგორ დაგვივიწყე შე კაცო, ერთი თვეა, რაც არ მოსულხარ ჩვენსა! — მიესალმა ტერეზა დედის მონათლულ გლეხს ჯაჯანა მენგაიძეს.

— თქვენს თავს რა დამავიწყებს, ქალბატონო, რას ბრძანებ! — მიუგო მან.

— რა ვიცი: თავი კი მოგვანატრე და! — შენიშნა ტერეზამ და ხელთ ჭოიმარჯვა ნემსი და კედის ძაფი გაფატრული გოქის ამოსაკერად.

— ხომ იცი, ქალბატონო, ეს ყანის მოროდო, ეს ვენახის მოწყვეთ—  
იშართლებდა თავს ჯაჯანა.

— შე კაცო, თავნაყარ სიმინდის მოროდი ვის გაუგონია? — დასცინა  
ტერეზამ.

გამტყუნებულმა გლეხმა თავი ჩაჰკიდა. ცოტა ხნის ღემილის შემდეგ  
ისევ დაიწყო:

— ქალბატონო, შენი კორნელი არ ვნახე ბაზარზე? მადლობა  
ღმერთს, შინ მშვიდობით დაგბრუნებია! ჩემ ეზოსთან გაჩერებულიყო  
ცხენით.

— სალომეს ხაჭაპურები ჰქონია და კარგა ლაზათიანადაც დაუ-  
თერია... ასე უნდა ჯაჯანა? ღვინო ჯერ რა მისი საქმეა? — უსაყვედუ-  
რა ტერეზამ.

— ღვინო იმისთანა მომწიფებული ვაყვაცის საქმეა, აბა, ჩემისთანა  
გადაყრუებული ბებერისთვის რაღა ღროსიაა!? — უპასუხა ჯაჯანამ და  
დასძინა: — გამიწერა ღმერთი, შინ არ ვიყავი, საკადრისი პარტივი ვერ  
ვეციო! — ჯავრობდა ჯაჯანა. — რა დიდებული ვაყვაცი დამდგარა!

— რაღა ვაყვაცი, რა? დაუჩემებია: შვებულემა მითავდება და ისევ  
ჯარში უნდა წავიდეო! — მიუგო ტერეზამ.

— არა, ქალბატონო, ჯარში რა უნდა! მთელი ჩვენი სოფლის ბიჭები  
ერთი კაკალი აღარ აპირობს ჯარში დაბრუნებას! — გააფრთხილა ჯა-  
ჯანამ.

— კი, მაგრამ ყველა მაგ გზას რომ დაადგეს, ვინღა იომოს? ხომ  
აგვაწიოკა მაშინ თათარმა? — გამოიღო საქვეყნო საქმისათვის თავი ტე-  
რეზამ. „ჩემი კორნელი თოფხარბაზნის გრიალში და ტყვიაში უნდა იყოს  
და სოფლის ბიჭები შინ იჯდენ, აფსუსი არ არის!“ — ფიქრობდა.

— თათარს, ქალბატონო, ჩვენ რას დაეაკლებთ ურუსოდ? — ჩაიჭნია  
უიმედოდ ხელი ჯაჯანამ.

— ჩვენი თავის იმედი თუ არ გვექნება, ჩემო ჯაჯანა, რუსეთი ახლა  
საიდან გვიშველის?

— არ გვინდაო, ქალბატონო, ურუსეთოდო: ასე ამბობს მთელი სოფე-  
ლი! — შეატყობინა სოფლის აზრი ტერეზას ჯაჯანამ.

— ჰო, და მასე რომ ამბობენ, იმიტომაც ვიმარჯვებთ! — შენიშნა  
გულისტკივილით მხეიძის ქალმა მოხუც გლეხს. გუჯაბახით გაჭონილი  
ხელი დაიბანა თუნგში გაცხელებული წყლით და წინსაფარზე შეიხოცა.  
მაიკომ შამფურზე წამოაგო გოჭი. ფეხებით ზედ მოაკრა. ნაკვერცხალო  
გამოჩხრიკა და ლადართან დარქობილ ორკაბიან პალოგზე გასდო. სა-  
ინზე დასძმულ ძმარში გახსნა კვერცხის გული და ბატის ფრთით წაუცხო  
ტაბუცუნი გოჭს, რომ უფრო მოხდენილად შებრაწულიყო.

ჯაჯანას ნერწყვი მოადგა:

— რა გოჭია, ქალბატონო! ძუძუზე აყვანილი — შელიანად / შესა-  
ტყვერია!

ტერეზამ უბასუხა:

— რვა გოჭი კიდევ მყავს.

ჯაჯანა თვალს ადევნებდა ამ შიმშილიანობის ეამს მისთვის უჩვეული სადილის შხადებას. მერე წდიდრულ სახლკარს გახვებდა, ჩაახველა და ტერეზა სამზადიდან გაიხმო:

— ქალბატონო, სიტყვა მაქვს და თუ ქცალია, მინახულე ერთი აქით.

ტერეზა სამზადიდან გარეთ გაჰყვა და გაქვარტლულ კედელთან ვრძელ სკამზე დაჯდა. კრილოსანი ამოიღო. გვერდით ჯაჯანა მიუჯდა. შვინდის ორკაპიანი ყავარჯენით დაუწყო მიწას ჩხრეკა, ხაზეა და ასეთი საუბარი გააბა:

— დიდი მღელვარებაა, ქალბატონო, გლებობაში, მემამულეების მიწები უნდა ძალით დავიკავოთო!

ტერეზა აიშრიხა:

— შე რაღა დამრჩა წასართმევი, ჩემო ჯაჯანა!?

— შენ მართლა რაღა დაგრჩა, ქალბატონო, წასართმევი, მაგრამ შენ მშაზე ოტიაზე კი იმუქრებიან. ამდენი სახნავ-სათესი უცდებო. სარკოიას ტყეზეც აქვთ მიტანილი გუმანი!

— რაც მთავრობის კანონით ეკუთვნის, იმას ვინ წაართმევს და რაც არ ეკუთვნის, ის აკი ჩამოართვეს: შუბანის მამული, საყანე ადგილები ყვირილაზე... მეტი რაღა უნდათ? მაგრამ მეგელი ხომ იცი, ჩემო ჯაჯანა, შტაცებული ნადირია. ერთხელ თუ შეეჩვია ფარას, მშვიდობით მერე. — მანამდე არ მოეშვება, სანამ დიდი ნავაზი არ დახვეს და დაქინჩავს. ნუ გეშინია, ჩვენც გამოგვიჩნდება მცველი. მოგერიე და წაგართვიო — ეს რომელ კანონში და სამართალში სწერია!? — ცხარობდა ტერეზა და კრილოსანის მძივებს მარცვლიდა აღელვებული.

— ჯაჯანა, შენ და შენი ღმერთი, მართალი მითხარი: მაქვს თუ არა მე ჩამოსართმევი მამული? — შეეკითხა ბეჯითად დოინჯშემოდგმული ტერეზა და თვალი თვალში გაუყარა მოხუცს.

— არა, ქალბატონო, ჩამოსართმევი მამული სად მოგეძეება?! — უბასუხა ცბიერად ჯაჯანამ, მაგრამ ამ ურყევს დასტურს დაბალი ხმით მიაცოლა: — თუ ჯინქარეულის საყანეებზე არ შეგედავენ? ჯინქარეული, ქალბატონო, რამდენი ქცევა იქნება? შეიღზე მეტია, მგონი, არა? — დაიწყო ჯაჯანამ რატომღაც ჯინქარეულის ფართობის გამოძიება.

ეკალივით ეცა ვულზე ტერეზას ეს ამბავი. ჯინქარეულზე ყოფილა ლაპარაკიო, — გაიფიქრა. შეეშინდა, არ ჩამომართვანო და ორი ქცევა დაეკლო!

— შეიდი კი არა, ხუთიღ არ იქნება!

— ხუთი რაღა არ იქნება, ქალბატონო?! ჩემ ეზოს აქრავს, ყოველ დღე ვხედავ, შიგ ვტრიალობ და თვალთაც ვატყობ: ~~ქვეყნის~~ შეიდი ქცევა იქნება, — აცივდებოდა ჯაჯანა.



ტერეზამ გაიფიქრა: „ცუდათ ყოფილა საქმეო“ — ასეთი შეწუხებული არ უნახავს ჯაჯანა. ვაფითრდა, მერე ხმამაღლა შეეკითხა:

— თუ გინდა, ათი ქცევაც იყოს! მერე რა? ჯინჯარეული რომ წამართვან, მერე მარტოკა ნაბოგირევი გვატბოვრებს? — ბრახობდა დონიჯ-შემოდგმული ტერეზა. წარბი მრისხანედ აუზიდა. თვალეზი გაავეებული ქორივით უელავდა, ჯაჯანას ნუსხავდა. წახდა ჯაჯანა. მაგრამ მაინც შეაპარა ნუგეში:

— ნაბოგირევი რას გეყოფა, ქალბატონო, მაგრამ ზეარბელო, ქარბაგი და ქვასაბეტყელა შენი არ არის?

ტერეზა ვერ ელვოდა ჯინჯარეულს და ეხუცა ეს მოიმიზუნა:

— ზეარბელო და ქარბაგი მწირო მიწა გაბლავს!

— მწირო საიდანაა, ქალბატონო, ჯინჯარეულს ბევრად სჯობია: ყვირილა-სილავს და ნოყიერია, — იმედებდა ჯაჯანა.

— თუ გინდა ნოყიერიც იყოს, ჯინჯარეულთან მაინც ვის რა ხელი აქვს? — კიდევ უფრო ვაფითრდა ბრახისაგან ტერეზა.

ჯაჯანა სდუმდა. იშშუშნებოდა. თეთრ წვერზე გადაისვამდა ხელსხანდახან შეაპარებდა ქალბატონს წაბლის კაქარივით კრიალა თვალს, მერე ისევ მიწას დააქკერდებოდა, ვერ გაებედნა იმის თქმა, რაიც სურდა.

— მართალია, ქალბატონო, არა, მე ისე მოგახსენე... იფიქრე: თუ ვინცობაა გაწყრა ღმერთი და მიწების დატაცება დაიწყეს, ქალბატონისთვის არ სჯობია ჯინჯარეული მისი თანხმობით მე და ჩემ ლუკაიას ვადმოგვეცეს მეთქი? მთავრობა დატაცებულ მიწებს თუ უკან დაუბრუნებს მეპატრონეებს, მაშინ ჯინჯარეულიც შენი იქნება? — გაბედა ბოლოს ჯაჯანამ, მაგრამ სჯობდა არ გაებედნა, ვინაიდან ტერეზამ „ქვა და კობივით“ მიყარა:

— არ მომწონს, ჯაჯანა, მართალი გითხრა, ეს შენი ლაბარაკი! ცუდათ ვიფიქრია! მტერი იფიქრებდა ასე და არა მოყვარე... რას ბრტინობ: როგორ თუ მომტაცებენ მამაბაბისეულ მიწებს?! რომელი ანანოვი მე ვარ და რა იმდენი მიწები მე მაქვს, რომ ჯინჯარეული წამართვან?

ტერეზა თოფნაკრავივით წამოდგა. ნელა წამოდგა აგრეთვე წელში გატეხილი ჯაჯანაც.

— არა, ქალბატონო, სხვანაირად არ იფიქრო. მე და ლუკაია ცხოვრებულ დარეჯანის და შენს ამაგს ვერასოდეს ვერ გადავიხდით, შენს სასარგებლოდ გეინდოდა საქმის გაჩარხვა და იმიტომ მოგახსენე. ისე კ

შენ იცი, თუ შეგჩნა, ქალბატონო, ჯინჰარეული, ეს მანქანა... უნდა მომცე გაისისათვის საზიაროდ, ხომ იცი, იქვე ვარ: მუშაობას არ მივყავლებთ, — იმართლებდა თავს ჯაჯანა. ტერეზა მანქანას უკმაყოფილოდ წაიღო: „ჯინჰარეული მის ეზოსთანაა, მადა ვახსნია ღმერთს! მანქანა ჩავდებთ მოუწადინებია ამ წამსდარ ყაზახს! დედის მონათლული რომ ამას მიპირებს, მტერი როგორ დამზოგავს!“ — გაიფიქრა და უპასუხა:

— თავიდანვე ასე გეთქვა, შე დალოცვილო! გატაცებაზე რო მიდგეს საქმე, ბევრი რამის მოტაცება მინდა, მაგრამ ვინ დამანებებს?

ჯაჯანამ ქალბატონს წვერზე ხელი გადაისხვა, მერე ყავარჯუნს დაეხრებოდა, თვალეზი აუტყვემლდა, ხმას უშალა და ტერეზას გაღმა შეედავა გამოღმის დასარჩენად:

— შენ შინ ზიხარ, ქალბატონო, და არ იცი, რა ამბავია ხალხში, ჯარისკაცები ამბობენ: რუსეთში მემამულეების მიწები გლეხებს გადაეცა და საქართველო რა წითელი კვერცხიაო! დღეს თუ ხვალ იარაღით აპირობენ ვამოსვლას და მიწების ძალით წაღებას. მერე ნეტავი იცოდე, ვინაა ის ჯარისკაცები, ხალხს რომ აჯანყებენ!!

— ვინ ჯარისკაცებია? — შეეკითხა ტერეზა.

— რომ ვითხარა, არ დაიჯერებ. გოჯასპირის შვილი ვალაქტიონი და რაჯდენ ტურიაშვილია ამ საქმის წამომწყები და მეთაური. ახლა ხომ მიხედი, ქალბატონო, რა მიძღვლებდა მეთქვა შენთვის: ჯინჰარეული დროებით გადმომეცო და იქნებ შეგინახო მეთქი. შენ კი სხვაფერ იფიქრე... საქვეყნოდ თავმოსაქრელ და საჯაყ საქმეს მე შენ გყადრებ? რამ ვაფიქრებინა ეს, ნათლია? — ეუბნებოდა ნიშნის მოგებით, უმიზეზოდ შეურაცყოფილი და მართალ კაცივით ჯაჯანა. მაგრამ არც გაქექოლ ქალბატონს და არც მოხუც გლეხს არაფერი სჯეროდათ ერთმანეთისა.

— თავს ლაფი კი დავსახი ვალაქტიონს! ყაჩაღ გოჯასპირს ყაჩაღი შვილი ეყოლებოდა, აბა! როგორ იქნებოდა! მამაჩემის აღზრდილის შვილი რომ დაქვევას მიპირებს, სხვა რა ხერის დამაყრის?!

— ვაგვიგონია! — აიწურა მხრები გლეხმა, ორივე ხელი გადაიქნია უიმედოდ, სახე დაეღრია, წარბები ეშმაკურად აძგება, გლეხის ეს მანქანა-გრეხით და ზემოიშრულ კილოთი, თქმული და გამღერებული: „ვაგი... გონია“ ამის მთქმელი იყო: — შენგან არ მიკვირს, ქალბატონო, სხვა კი არა, ისეთი დროება დადგა, რომ აღარც დედიშენის მონათლული დაგინდობს და აღრც ღვიძლი ძმა, რაღა თქმა ვინდა!“ — მერე ისევე განაგრძო: — აბა, ქალბატონო, ეს არის, რომ მიკვირს. პირში არ უთხარი: ეს საქმე არ გამოვივით და ტყვილა თავს ნუ წააგებთ მეთქი, მაგრამ ვინ დაგიჯერა! ასე, ქალბატონო, ჯინჰარეულის იმედი შექნება, — დაეღრია ჯაჯანა.

— კი, ჩემო ჯაჯანა, ჯინქარელს საზიაროდ შენს შეტს არავის მივცემ, — შეპირდა ტერეზა.

ჯაჯანა წავიდა. ტერეზა დიდხანს ქაქანებდა ღოჭინტისფერ და მთქოსთან:

— ხედავ, როგორ ვათავებდდა ხალხი და რა გზას დაადგა: მოგერიდა წაგართვია!

იონა სამზადში შევიდა, ტერეზას შესჩივლა:

— სტუმრები შიმშილით დაიხოცნენ და სადილი დააქარეთ!

გაკაპასებულმა ტერეზამ აგდებულად უპასუხა მაზლს:

— სტუმრები კი ზრა და მალე გზაზე დაეწყებთ ღოღვას და წოწიას მოწყალეების სათხოვნელად!

იონას გაუკვირდა: ქკუაზე ხომ არ შეცდა დედაკაციო, და ჰკითხა:

— რა ამბავია, რა მოვივიდა?

ტერეზამ უამბო ჯაჯანას ნალაპარაკები.

— ქვეყანა ისე წახდა, რომ ჯაჯანა და ლუკაიაც წართმევის და წაგლეჯის გზას დაადგნენ — ჰყვიროდა ტერეზა.

სამზადში ამ დროს სტეფანე და კორნელიც შევიდნენ. ტერეზამ მიიმწყვდია ისინი კუთხეში. საჩივრებით და ქაქანით ტვინი გამოოულაყა სადილი, სტუმრები და მათი პატივისცემა აღარ ახსოვდა დასახლის. იონა გაბრაზდა:

— ოტიას იმდენ მამულს რომ არ შეარჩენდნენ, ახლა ვაიგე, აბა, რისი თავისუფლება და რევოლუციაა, თუ გლეხებმა ველარასფერი მიიღეს?

ტერეზა მოტყდა:

— კარგი, ოტიას თავი დავანებოთ, ჩვენ რა ისეთი მემამულე ვართ, ჩვენც რომ ნიშანში ამოულივართ?

იონამ უპასუხა:

— ჯინქარელს თუ დაგჯერდნენ, კარგია, შენ ნუ მომიკვდები.

ტერეზამ ხელი ჩაიქნია, თითქოს: ახირებულ ადამიანს რა უნდა ველაპარაკო, მერე დაცინვით უპასუხა:

— მარტოკა თეატრი, მუსიკა და ლექსები თუ გეყოფათ, ამასაც ვნახავ!

იონა რომ წავიდა, ტერეზამ შვილებს განუცხადა:

— მაგის აყოლა ჩვენ არ გვარგია! იონას ერთი ქცევა ვენახი, ეზო და სამარცხვინო სახლი-კორომელა უდგია. ხელს არავინ ახლებს, და რას დაეძებს. მე ვიკითხო, მე საცოდავმა!

## სრუ სწავლულის და სრუ დონეუანის აღსარება

მეცნიერული

„...ვიყოფე პალატუკები, ქალები ზემოქერილი კაბით, დაწვრილებით ბერლინიდან მოგწერ. შევიარე კაფე რესტორანში: „ოლიმპიაში“. ეს საზოგადოება სახლია და სხვა არაფერი!

რისთვის ვინახულე მე ეს დასავლეთი? მოაცილეთ მას ტექნიკა და ის იტყუება ნებვის ბინძურ გროვად ვიტანჯები უსამოუზროდ... დაედივარ შლიაპით, როგორც იდიოტი. შენატრება ჩვენებური, სოფლის დედაკაცი...“  
(ვიმნე როდენკოს რომეა ევროპის გამო, მისი წერილებიდან: „როდენკო პარიზში“).

იონამ პლატონ მოგველაძე თავის „კორომელა“ სახლის ოთახში შეიყვანა. მის პატარა სახლი, უფრო სწორად: ქოხი, ორი თვალისაგან შესდგება. ერთში აკლდამასავით პატარა საძინებელი ოთახია და მის უკან საეკუპანაო. მეორეში კი: მიწის იატაკიანი სამზადი ფართო ბუხრით. კუთხეში დგას თიხის დიდი ქოთნები. დერგები სავსე წნილით. ყველით, დოქები წოიითი, კეწარაბით, ჯობზე ტყემლის ტყლაპები ჰკიდია. ამ სოფლური ბუხრის წინ უყვარს შემოდგომით და ზამთრობით იონას პურის ჰამა. ერთხელ პლატონიც აქ ასადილა. პლატონმა მოიგონა ეს სოფლური, იდილიური პურის ჰამა, ქოთანში ამოლესილი ლობიო, ახლად ამოყვანილი ჰყინტი ყველი, ქაღები. ნაჭურლით თავდაცმულ, რკინისფერ კოკიდან ასხამდა იონა წითელ ლეინოს — ამბობს, რომელსაც სწორედ მაშინ უწოდეს „ერეკლე მეორე“.

საძინებელი ოთახი საკვირველებას წარმოადგენდა. შეაღებდით თუ არა აკლდამის ოდენა ოთახის უბრალო ფიცრულ კარს, წინ კედელზე, ჰერის ახლოს, ადამიანის კბილებდაკრეკილ ქალას დაინახავდით. მარცხნივ და მარჯვნივ თავის ქალას შექსპირისა და ბაირონის შავ ჩარჩოებში ჩამული სურათები ამკობდნენ. მარჯვნივ კუთხეში მინიატურული ბუხრის თავზე ლეთისშობლის დიდი სურათი იდგა რაფაელისა. მარცხნივ წიგნით სავსე განჯინა. განჯინაში როგორც ეწყო შექსპირის, ბაირონის, გოეთეს, პუშკინის, ლერმონტოვის თხზულებები. თაროზე შოთას, ბარათაშვილის ილიას, აკაკის, ყაზბეგის, ვაჟას და სხვა ქართველ მწერალთა წიგნები ელაგა. ქვედა თაროები სავსე იყო, „მოამბით“, „დროებით“, „ცნობის ფურცლით“. განუხებულ ფურცლებს თუთუნის ფერი დასდებოდათ. აქ იყო: წარსული საუკუნის დამლევე „ქართველთა ამხანაგობის“, „ველის“ რედაქციისი, „წერაკითხვის საზოგადოების“ და სხვათა მიერ გამოცემული წიგნები: „გიორგი სააკაძე და მისი დრო“ ანტონ ფურცელაძისა, „იმერეთის მეფე სოლომონ დიდი“ სიკო კანდელაკისა, „საბრძნე



სიცრუვისა“, საბა-სულხან ორბელიანისა, „ქადაგებანი“ ვასტორე ქაისკო-პოზისა და სხვა მრავალი. მარჯვნივ ფარდავ დაფენილი ტანსაცმელი მუთაქებით, რომელზედაც იონა იძინებდა. მარცხნივ კედელზე დაკრული იყო დატანებული. ფანჯრის წინ საწერი პატარა მაგიდა და მისი მარჯვნივ, ხოლო შემოსავალ კარებთან, კუთხეში — მინიატურული მაგიდა. მაგიდაზე ეწყო: სარკე, ჯაგანარა თავისა და ტანსაცმელისათვის. მის გასწვრივ კუთხეში — თაოვები: ესეც წიგნებით და ეურნალებით დატვირთული.

საკვირველი ასეთნაირად მორთულ ოთახში მაინცდამაინც არაფერია, მაგრამ კედლებისთვის რომ შეგეხედეთ, უთუოდ გაოცდებოდით. შპალერის ადგილი ათასნაირ ზომისა და ხასიათის სურათებს, პორტრეტებს დაეკირათ: რეპროდუქციულს, ფოტოგრაფიულს, ეურნალიდან ამოჭრილს და ღია ბარათებზე დახატულს. რას არ ნახავდით კედელზე: თემატიურ დომხალს. სტილის აღრევას. საკვირველი ის იყო, რომ ეს პროვინციული და ავადმყოფური სიყვარული ღია ბარათებისადმი უმართებელო იქნებოდა აგვეხსნა იონას კუდი გემოვნებით და ჩამორჩენილობით. იგი მოწყვეტილი იყო ქალაქს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დროს, სიბერის ეამს სოფელ კარისმერეთში ეს სურათები და ღია ბარათები ასრულებდნენ. ალბათ, იონას წინაშე ფანტომების როლს კულტურისა და ხელოვნებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებათა მოვანებისა და შენარჩუნებისათვის. აქ ნახავდით მესხიშვილს, ნუცა ჩხეიძეს, ვასო აბაშიძეს, კახალოვს, მოსკოვს, ადელგეიმსა და მრავალ სხვა მსახიობს სხვადასხვა როლში, ნაპოლეონს, რუსეთის პეიზაჟს და ეგვიპტის პირამიდებს, ტოლსტოის, პუშკინის, გოეთეს, ილიას და აკაკის სურათებს, ჩარჩოებში ჩასმულს და კედელზე დაკიდულს, ფილოსოფოსთა, დიდ პოეტთა თქმებს, აფორიზმებს და ათას სხვას. საწერ მაგიდის ზემოთ დიდი სურათი ეკიდა: „ქრისტე მოციქულთა შორის“...

პლატონის ყურადღებას იპყრობდა ყველაზე მეტად იონას ფოტოგრაფული სურათები: ლამაზი ყმაწვილი იონა მუნდირში გიმნაზიელობის დროს, ზტუტუა თმით და ჯილის ოდენა შეჭიანი თვალებით, იონა გადგრეხილი უღვაშებით, ჩოხა-ახალუბში და იარალში ჩამჯდარი ვაჟაკი, იონა და მესხიშვილი, იონა შეახნის კაცი შლიაპით ევროპულ კოსტუმში გამოწყობილი ესაუბრება ფრანგ აგრონომს. იონა და ზდანოვიჩი, იონა ურემთან, ყანაში უბრალო გლეხურ ტანსაცმელით, იონა სოფლად არხის გაყვანის დროს. ამ სურათებში სჩანს ხალხოსანის იონას ბიოგრაფია.

როდესაც პლატონ მოგველაძე ოთახში შევიდა, იონამ კუთხეში აყუდებული გრძელი ყვარჯენი აიღო და მისი ბოლო ადამიანის თავის ქალას ყბის ძვალზე დააქირა. ქვედა ყბამ იწყო მოძრაობა და ქალა ხან დახურავდა ხანს, ხან კიდევ გააღებდა:

— იონა, რასა შერები, რა საშინელება! გაანებე თავი! — დიძმა პლატონმა და ოთახიდან კარში გაეარდა.

— ზეკაცი ვარო რომ იძახი, აი, შეხედე, ზეკაცი *საქართველო* ეს არის! — ხითხითებდა იონა.

— რად ვინდა ოთახში თავის ქალა? — უკვირდა პლატონს.

— ეს ევგენიმ მიფეშკაშა. ეკიდოს აქ, რომ ყოველთვის მახსოვდეს ადამინის ცხოვრების ამოება, უპასუხა იონამ სერიოზული სახით, და შემდეგ საუბარი ჩამოაგდეს ირანელი ლირიკოსების ომარ-ხაიამისა და საადის ლექსებზე და შექსპირის მიერ „ამლეტში“ გამოთქმულ ამოებაზე. ეს იყო ძველისძველი და გაცვეთილი თემა. იონამ მოიგონა:

— ომარ-ხაიამი მიმართავს მეგობარს და ეუბნება: შეჩერდი! ფრთხილად დააბიჯე ფეხი დედამიწას — ვინ იცის: ეს მტვერი შენს ფერხთა ტერფების ქვეშ იქნებ მზეთუნახავი ქალის ნეშტისა და მისი წარმტაც თვალების ნაშთია.

პლატონმა აღტაცებით დაიძახა:

— როგორი დაწვლილებული და სწორუპოვარი ხატოვანებით სწერდნენ ირანელი პოეტები! და მოიყვანა გოეთეს ცნობილი აზრი ირანელ ლირიკოსებზე.

რადგან იონამ ასეთი მკოდნე კაცი და ხელოვანი ხელთ იგდო, მაგიდის ყუთი გამოსწია და ლერმონტოვის ლექსის „ანგელოზის“ თარგმანი წააკითხა. მოგველამე ათასნაირად გასინჯა ლექსი, ზოგან რითმები და ცალკე სიტყვები დაუწუნა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ასე უთხრა:

— დიდის ოსტატობით ვითარგმნა!

იონას იამა და გაიღიმა. კიდევ გადაავლო თვალი პლატონმა თარგმანს.

— შენი თარგმანი ბარათაშვილის ლექსებს მაგონებს. მიკვირს, რად არ აქვეყნებ? საერთოდ რად არ მიპყობ ხელს თარგმანს? — ლექსი გამოართვა და აღუთქვა: ტფილისში ჩავალ თუ არა, მაშინვე დაეაბუქდინებო.

ბარათაშვილის თავყვანისმცემელ იონას გაეხარდა, მაგრამ პლატონის შემდგომმა მსჯელობამ გააოცა:

— ჩინებული ლექსია ლერმონტოვის „ანგელოზი“, ქერუბიმთა გალობის მსგავსად ამეტყველებული, თითქო არფების შორეული აკკორდები მოისმის ციდან. მაგრამ მე არა ვარ ასეთი პოეზიის მოტრფილე. კაეშნითა და ცრემლით საეყ ქვეყნის გმობა, ასკეტიზმი, სხეულის დათრგუნვა და მის ნაცვლად სულისათვის ცხოვრების მინიჭება ქრისტიანების ბუნებიდანაა გამოვლენილი და იგი არ ეგუება ქართველს, რომელიც წარმართია. ბერძენთა კულტურის გავლენა დიდი იყო ჩვენზე. დედამიწის სჯულს და სიჯანსაღეს, წარმართობას უფრო მძლავრად უღვია ფესვები ქართველობაში, ვიდრე ქრისტიანიზმს, შენდამი მოძღვნი-

ლი ჩემი ლექსი „Sic transit gloria mundi“ სწორედ ამ გაგებთ მაქვს დაწერილი.

იონამ სთხოვა პლატონს წაეკითხა ეს ლექსი. მაგრამ პლატონმა უარი განაცხადა, ეხლა სათანადო განწყობილებაზე ვერა ვარომაჲსმან შექმნა:

— მუსიკა ნასადილევს არის კარგი. როგორ დაგვხმონა ტექსტამ? სადილი ძალზე დაგვიგვიანა და ვინ იცის, იქნება ჩვენი სტუმრები იგონებთან კიდევ!

სტუმრების მოგონებაზე პლატონმა ესტატე მაყაშვილი და მისი ოჯახი შეაჭო. იონამ გაიღიმა:

— შე რომ შენი ამბავი ვიცი, ნინო შენ არ გადაგიჩრებოდა! პლატონმა იწყინა:

— რას ამბობ, კაცო? ნინოს მიჯნური ხომ კორნელია? — მერე ჩაფიქრდა და სთქვა: რამდენჯერ უნდა დაიდავოს ის საცოდავი ჭაბუკი სანამ შეიგნებდეს, რომ ქალები არ არიან ღირსნი მამაკაცთაგან მაღალი სიყვარულისა. გაიარს ეამი და ეგ თავდათობა და ყმაწვილკაცური აღტაცება, სასოება და მაცდური ოცნება განიკვეთება გონების ბასრი მახვილით. მაშინ მასაც სატანურ სიამოვნებას მოგვრის ქალთა შეცდენა, მათი დაცინვა. მაშინ ისიც ჩემებრ გაიჩენს უბის წიგნაკს, სადაც აღნუსხული იქნება დონჟუანური სია.

— სატანა და დემონიც კი მიჯნურობაში ეძიებდნენ, ჩემო პლატონ, შეძრწუნებულ სულისათვის სიმშვიდეს. — უპასუხა განაბულ თვლით ჭირისა და ლხინის მომსწრე იონამ.

— იონა, მე ბევრი რამ მინახავს, შემისწავლია და განმიცდია აქ, ჩვენში, და იქ, უცხოეთში; იცი, რამ მომიყვანა მე ამ დემონურ განწყობილებამდე?

— არა.

— მეც ვიყავ ერთ დროს უმანკო ბავშვი, უმანკო და უგუნური. მესმოდა დედა — პოეზიის ტბილი ნანინა. ვწუწნიდი ქვეყნად პეპელასავით ყვავილების სიტკბობებს და მან დამათრო, გამაბრუა. ბოლოს, მეც უზანგებში შევადგი ფეხი და ჩემი მერნით გადვიარე სახეებითა და სიმბოლოებით დაბურული ტყვარი. შეეთამაშა მაშინ ჩემს თვალებს ელევა და მეხი. როცა თავმოტყუება, ეს თამაში დასრულდა ბასრი გონების ამოწვდილი მახვილით, გამოსავალი ვეძიე და ერთად-ერთ გზად მივიჩნიე თვითმკვლელობა. აღარ ვეძახდი და შევესტიროდი ამერიდან უცხო ასულთ: მარიამს, ნინოს! სიჭაბუკის ეამს მეც მიყვარდა თავადის ახალგაზრდა, უმანკო და მშვენიერი ქალი, აღტაცებით თავყანს ვცემდი. მასში შევიმცნე ქართველთა წმინდა ასულის ნინოს ხატი, სიმბოლო ჩვენი ქვეყნის მარად ქალური სულისა და რა მივიღე სამაგიეროდ: იგი ცოლად გაჰყვა ღიბიან კომერსანტს.

— ეჰ, სიყვარულიც აქირებს საქმეს! — ამოიოხრა იონამ ასე, რომ ეტყობოდა: მასაც დაუღვრია ოდესღაც სიყვარულის გამო მძულარე ტრემლი.

— ამის შემდეგ შევიმტნე კეშმარიტი ბუნება ქალისა და მძულარე ტრემლი.

„ცრუ დონეუანმა მეთქი“ იმიტომ ვამბობ, რომ მისთვის უცხო იყო ნამდვილი, დემონური თვისებანი კლასიკური ტიპის დონეუანისა და უცხო იყო აგრეთვე თვითკმაყოფილი ფემინისტის კაზანოვას მავგარი გრძნებითი წყურვილიც დატკობისა. მისი დონეუანური ნიღაბი ვერ გასცდა მდარე მსახიობის ნიღაბს. ამ ყალბი ნიღაბის ტარება სჩვეოდა მას არა მარტო ქალთან ურთიერთობის ეაშს, არამედ ყოველ ადამიანთან, იდეასთან, ურთიერთობის ეაშსაც, რაც ყალბ, ცრუ მსახიობად აქცევს პიროვნებას, უფრო ხშირად კი — პროვოკატორად. ეს ცრუ დონეუანი უკითხავდა ეხლა იონას უბის წიგნაკში ჩაწერილ დონეუანურ სიას, სიას უცხოეთში გამოცვლილ ქალებისას, „ფრაუს“ და „მადამების“, რომელნიც თვითონვე ერთობოდნენ, ალფონსად აქცევდნენ პლატონს თავიანთ ვნებათა ღელვის ავხორცობისა და სქესობრივი აღვირაშლილობის დასაკმაყოფილებლად. ვერ ჰგრძნობდა ამას „ქალის მოძულე“ ცრუ დონეუანი და უამბობდა იონას გულისამრევე სიძვა-სიმრუშის ამბავს: დიდი შოთა ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში სწერდა: „მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში“ო. — მარტო ცრუ დონეუანის დაღი როდი დააჩნია ეგროპამ პლატონ მოგველაძეს, რაც იონასთან მისი შემდგომი საუბრიდან სჩანს.

— იონა, ნეტა იცოდე, ეგროპა და მისი კულტურა რა უცხოა ქართველისათვის. დიდ სიმარტოვეს ეგრძნობდი მე ეგროპის ქალაქებში. მიგდიოდი ობლად და თვალწინ აღიმართებოდნენ გოლიათი ქარხნების საკვამურები, ცამწვდენი სახლები, საპყრობელასავით. დგანდგარებდნენ ასფალტმოსხმული ქუჩები. მიზბოდა უამრავი ტრამვაი, ავტო, თითქოს ქალაქს ნადირთა ხრო შეესიაო, თითქო იშლება მარაოსავით ქუჩაო, თითქო მოძრაობს თეთრ ზეწარზე კინოსურათიო, ლიცლიცებდნენ ლამპიონები, ლიანდაგები, ლიფტები. მინახავს დიდი ქალაქები, სადაც ოქროს მოპოებისათვის ქიშპობა, მოტყუილება და მტრობა დასახულა ცხოვრების ცნებად. მახსოვს შეათე სართულის ფანჯრის მოაჯირზე როგორი სასოებით რწყავდნენ პატარა თიხის და რკინის ქოთნებში ჩარგულ ყვავილებს სისხლნაკლული, გამხდარი ბავშვები. იქ დედის ნანა: მანქანათა არის ხათქანი! ბავშვთა სათამაშონი: ვაგონი, ავტო. დიად, ოცნების სიმბოლოანი: ცათამწვდენები, სადგურები, ქარხანა, ოქრო. ყვავილების წილ სურნელებას გიკმევს მაზუთი. ჩემს იქ ყოფნაში იწყებოდა მსოფლიო ომი. შე შემეშინდა ამდენი სისხლის. შემეშინდა გადასროლილი ათასი გვამის. განა ისინი ტომრებია, ბამბით აღსავსე? განა მათ გულში არ იძ-

როდა თბილი და ალისფერი სისხლი? ეს კითხვები მჭონდა ვერანი. და მე დავტოვე ოკეანე, დიდი ვეროპა. მომჭონდა გემით საქართველოში გული გაქურდული. ამაოდ დავუშვი კაიუტის ფარდა, ურდულე და გადაყარე ჯიბიდან გროშები, რადგან ვეროპას ეცინება ქვეყნის პრეზიდენტის. ვიდრე ვეძებნაზე შლიაპით, ჰალსტუკით, როგორც ჩვენი მატრონი, გაიძვერა და აღარ მახარებდა დღე ხვალინდელი. სიკვდილის შიში კვლავ მხურავს ტვინზე ისე, როგორც ქვევრს სარქველი, ორგო! და თუ რამ დამრჩენია კიდევ ამ ქვეყნად სათაყვანებელი, ეს ჩვენი ქვეყანაა, მისი წარმტაკი ბუნება. სადაც პირველყოფილი სიჯანსაღეა, მიწის სკულე და არა მკვდარი მატროია, ვეროპის მოსაწყენი და ავადმყოფური კულტურა. ასე დავსახე მე ჩემი დარჩენილი ცხოვრების უკანასკნელ მიზნად: დაბრუნება ჩემს მშობელ ერთან და მიწასთან, — დაასრულა ამ ცრუფილოსოფიური როშვით გაბრუნებულმა პლატონმა თვისი აღსარება.

იონამ შენიშნა:

— კი, მაგრამ შენი ქვეყანა მიჰყვება ვეროპის კულტურის გზას და არა პირველყოფილ კარჩაკეტილობას.

— ჩემი ქვეყანა შინგამოზრდილი ვაქრუქანები, მწერლუკები, საცოდავი და პროვინციული კულტურტრეგერები როდია! საქართველო ვაყა და არა ილია მისი ნაცოდვილარი!

— ჩვენი ხალხის მესაიდუმლე ილიაა! იგი გვასწავლიდა: კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია, ქვაკუთხედიო.

— ჯანსაღ გზას ააცდენთ!

იონა აიმრიზა:

— კაცო, ვეროპაში გაგზავნეთ, სწავლა-განათლება მიგაღებინეთ და იხლა შენს ქვეყანას მრავალი საუკუნით უკან ეზიდები? გზას აცოდენილხარ, ჩემო ძმაო! გამოიყენე შენი ცოდნა და ვეროპული კულტურა. მიჰხედე შენს ხალხს. მოეკიდე ოჯახს. ეგ ახირებული აზრებიც თავიდან ამოვარდება. დამიჯერე: უცოლობამ ასეთი ახირება იცის კაცისა. რა უყოთ, რომ სიკაბუჯის მიჯნურობა გაგიცრუვდა!

პლატონმა შეატყო, რომ იონამ სერიოზულ საუბარს ოხუნჯობა შეაპარა და ასე უბასუხა:

— იცი, იონა, სოფელში დასვენებული ვარ. ქალი მენატრება, ჩვენებური სოფლის გოგონა, კულტურით გაურყვენელი, ბუნების შვილი. უნდა გამოეტყდე: დიდ სქესობრივ სიჯანსაღეს და აღტყინებას ვგრძნობ. მივივრს, როგორ სძლებ უქალოდ სოფელში?

იონას გაეცინა.

— იმდენი შენ იხარე, რამდენ გათხოვილს და გაუთხოვარსაც გაეცლოს ჩემს ხელში!

4. „მნათობი“, № 6 — 7.

პლატონი დააცქერდა იონას წითურსა და სისხლით სახეს სახეს, საფეთქელზე ამორცვილ, დაძაბულ და მუხლუბოსავით გაწილით ხარღეს, კაკლის კაჭარის ოღენა თვალებს. იონას კეხიანი დიდი ცხელი პანდა; დაღრენილი, ზორციელობის მანვენებელი ნესტოები, ნეკაქნეკი კლუღივით შეპარსული ჭაღარა წვერი მოხუც სატირს, ფანს ამსგეგნებდა, თუქუქა.

— კანჭები, კანჭები, კანჭები, დაინახე? — განაბულ თვალთ შეეკითხა იონა.

— რა კანჭები? — გაუცვირდა პლატონს.

— ნინო მაყაშვილის შიშველი კანჭები მაგიყებენ! — უპასუხა იონამ და ნესტოები უფრო აუთრთოლდა, გაუფართოვდა.

— ფანე ხარ, ნამდვილი ფანე! — შესძახა სიცილით მოგველაძემ და დასძინა:

— შენ კორნელის სატრფოს თავი გაანებე თუ ჩემი პატივისცემა გინდა, ყოფილი ნაბოჭაულარის ბაქრაძის ჭალი მომიპატიე!

იონამ გადაიხარხარა და ცივი უარი მიარტყა:

— არა, ძმაო, შენი გულისთვის კარისმერეთში საროსკიპოს ვერ გავხსნი. თუ მაინცდამაინც გინდა, აგერ მოიკალ ქინი! — განჯინა გამოაღო და კოლოფში სასოებით შენახული ღურბინდის მსგავსი აპარატი და სურათები გამოიღო, პლატონს გადასცა, გამადიდებელი მინების წინ სურათები ჩაუწყო და გაახედა. პლატონმა მამაკაცი და შიშველი დედაკაცი დაინახა. მეორე სურათის ჭერეტისას ცხოველივით ამოიჭმინა.

სამარცხენო იყო ამ უცოლო მამაკაცთა საქციელი და მათი ბაასი ამჟამად, იმ ადამიანების ბაასი, რომელნიც ამ რამდენიმე წუთის წინათ თითქოს „მაღალ მატერიებზე“ მსჯელობდნენ.

## ბაზრის მოედანზე.

„ის დაწვევლილი პრისტავი

გადამეკიდაო:

სტრაენიები დამასია

ჩინმენდლებითაო“.

(ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცის მიერ ჩონგურზე დამღვრებული).

იონამ ნაბდის ჭუდი დაიხურა და კორნელის უთბრა:

— მედილიყნეს დავაბარე ჭუთაისიდან გაზეთები ჩამოეტანა და სამკითხველოში დატოვება. წავიდეთ: მუდამ სახლში ხომ არ უნდა იჯდე!

ესტატემ პლატონს შესჩივლა:

— რამდენი ხანია გაზეთი არ წამიკითხავს, რა ხდება ამ ქვეყანაში?  
 — ლაღ, არაფერი არ ვიცი!

შესაძლებელი ყოფილა ქვეყანას მოსწყდეს და ისე იტყვიან: — უკეთესია  
 სხვა პლატონმა.

იონა და კორნელი სოფელში შევიდნენ. ეზოში და ტიშკის წინ  
 გლეხები იდგნენ: გრამიტონს გაუმარჯოს, ლუკაიას ვახლავარ, იუსტი-  
 ნეს სიცოცხლეო, — ესალმებოდა გლეხებს იონა და ისინიც დიდის მო-  
 წიწებით უკრავდნენ თავს ამ სოფლის მოამაგეს. ყველას სამისოს ეტყო-  
 და იონა: დაკარგული ხარი იპოვე თუ არა? ვიცოდი, ინდელაძე ქურ-  
 დობას არ იკადრებდა: კინაღამ თავი არ მოსჭერი კაცსო, — ეუბნებოდა  
 იონა ლუკაიას. სერაფიონი და ნიკიფორე საფიცრე ხის გამო ერთმანეთ-  
 ზე ნაჯახით რომ მიიწიენ ოტია მდივნის ტყეში, უთუოდ უნდა შევა-  
 რიგოთ: სოფლისთვის სირცხვილიაო, — არიგებდა კეუაზე იუსტინეს. არხი  
 დროზე რისთვის არ დაკეტეო, — აფრთხილებდა გრამიტონს. ათას სხვა  
 პირვარამზე და საჭიროებაზე ჩამოუგდებდა სიტყვას სოფლელებს იონა.  
 ებლა ხმამაღლა ლაპარაკობდა, გლეხთა ენით და კილოთი ქაქანებდა.  
 ძნელათ თუ გამოარჩევდით სოფლელებისაგან. ალბათ, იმის გამო, რომ მი-  
 სი დედა ბაბილინა გენძეხაძე გლეხი ქალი იყო. გლეხები გულისყურით  
 უსმენდნენ იონას: იჯერებდნენ მის რჩევა-დარიგებას. ყველა კი არა.  
 ბევრს არა სჯეროდა მისი ზნეობაზე ჭადაგება. დასცინოდნენ კადეც  
 განსაკუთრებით ის, ვინც იცოდა მისი წუწკი ბუნება ლამაზ გოგონებ-  
 თან დამოკიდებულებაში. როდესაც იონა და კორნელი ბაზარს მიუახ-  
 ლოვდნენ, მზე ტყისკენ გადაიხარა.

სამკითხველოში მედილიძენე დათიკოს მართლაც დაეტოვებინა გა-  
 ზეთები. მაგრამ გაზეთები ძველი იყო, ერთი კვირისა და ათი დღის წინათ  
 გამოსული. სამკითხველოს წინ სტუდენტები, მოსწავლე ახალგაზრდები,  
 ადგილობრივი მოსამსახურეები, გლეხები და ჯარისკაცები იდგნენ. სამკითხ-  
 ველო იყო კარისმერეთის კლუბი. ხალხი მიესალმა იონას და კორნელის.  
 სტუდენტები ეკითხებოდნენ კორნელის: როდის ჩამოდიო და რა გაიგეს, უკ-  
 ვე სამი კვირაა რაც კარისმერეთში ყოფილა, გაუკვირდათ: ამდენ ხანს შინ  
 რამ გაგაძლებინაო. კორნელის ამხანაგებმა — ბიძინა შარაბიძემ და გიგო თა-  
 ვაძემ მოაგონეს ტფილისი, ალექსანდრეს ბაღში ბოლშევიკური მიტინგის  
 აკლების დროს დაჭრილი ვანო მახათაძე, მუშტაიდის საბედმყოფო და  
 კორნელის ძმა — დოსტაქარი ვეგენი მზეიძე. სტუდენტები ნიკო გო-  
 ცირიძე და კირილე მემშარიაშვილი დაინტერესდნენ: ნეტავ სად არის  
 ახლა ვანო მახათაძეო. ნიკო გოცირიძე, შავგვრემანი და ახოვანი ახალ-  
 გაზრდა, პეტროვგრადის სამხედრო მედიკურ აკადემიაში სწავლობდა,  
 ოქტომბრის რევოლუციის დროს მეორე კურსზე იყო. ბოლშევიკებს  
 მიემხრო. სამხედრო რევოლუციური კომიტეტის განკარგულებაში იყო

და მახათაძესთან ერთად მონაწილეობას იღებდა იმ რაზმში, რომელმაც ზამთრის სასახლე აიღო. ამ დღიდან დამეგობრდნენ ისინი განთავსების სიხარულით შეკავშირებულნი. ეხლა შემთხვევით იყო ნიკო, ჩამოსული სოფელში: ავადმყოფ დედის სანახავად. როდესაც მჭკრემულს სოფლებში მცხოვრებ გლეხთა და ფრონტიდან დაბრუნებულ მსახურთა აღშფოთება და აჯანყებისათვის მზადება გაიგო, ტფილისში აღარ გაბრუნებულა. მათი ხელმძღვანელობა იკისრა.

ტყუილად კი არ ახლდა მას ნაგანიო შევიარაღებული ორი ყოფილი ჯარისკაცი: ვალაქტიონ გელაშვილი და რაქდენ ტურიაშვილი, რომლებიც ეხლა კორნელის ესაუბრებოდნენ, ბრივადისა და ბრძოლის ამზავს იგონებდნენ. ნიკოს ამხანაგი კირილე მემშარიაშვილიც მედიკურ ფაკულტეტზე სწავლობდა კიევის უნივერსიტეტში. იგი კარგად იცნობდა კორნელის ოჯახს, ძმებს — ევგენის და სტეფანეს:

— უთუოდ ვინახულვებ სტეფანეს, შესანიშნავი პედაგოგი და აღამიანია. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მისი ხელმძღვანელობით ექსკურსია მოვაწყვეთ და მთელი აღმოსავლეთი საქართველო თითქმის ფეხით მოვიარეთ, — სთქვა კირილემ. იონამ მოაგონა:

— ექსკურსიის შემდეგ ჩვენსა არ იყავით?

კირილემ უპასუხა:

— ათი კაცი მიგვიპატივა სტეფანემ. ჰო, რა პატივი გვცა ქალბატონმა ტერეზამ!

შემდეგ კირილემ გაიხსენა, რა და რა ქალაქები, სოფლები, მონასტრები, ციხე-სიმაგრეები, ისტორიული ძეგლები და სიძველენი ინახულეს ექსკურსანტებმა აღმოსავლეთ საქართველოში.

დაბალ ტანის კაცმა გაიციანა და მეჩხერი კბილები გამოაჩინა:

— ბატვამ შეგვარცხინა საჩხერეში აკაკი წერეთელთან, თორემ ისე დიდებული ექსკურსია იყო.

ყველანი დაინტერესდნენ, თუ რა ჩაიდინა ბატვამ აკაკისთან.

საჩხერეში აკაკი წერეთელმა მიგვიპატივა სადილზე. აკაკი კარგ გუნებაზე იყო, მოხუც დას ეხუმრებოდა: ხედავ რა საცოლ-შვილო ყმაწვილები გვეწვივნენ, აირჩიე საქპროო. ამ დროს ბატვამ კიტრი ვათალა, პატარა ნაჭრებად დასჭრა, ნაჭერს ხელით იღებდა, ჩანგალზე აგებდა და ასე აწოდებდა აკაკის დას, თვით აკაკის და ყველა ჩვენთაგანს, — სთქვა კირილემ. გაიციანეს.

იონამ გაზეთი „ერთობა“ გაშალა და კითხვის დაწყებამდე დინჯათ წარმოსთქვა:

— ნეტავ ორი-სამი წელი კიდევ ეცხოვრა მცხოვანს და მოსწრებოდა ახალ დროებას! — მერე ხმამაღლა წაიკითხა ახალი ამბავი, რომე-



ლიც უკვე ახალი აღარ იყო და კარგა ხანია ჩამოიტანა კარისმკრეთში ტფილისიდან ესტატე მაყაშვილმა: „ჩვენი ჯარები გავიდნენ ანაჟორიდან ფსანაჟორისკენ. ტყვედ წამოიყვანეს სამასამდე, ფრონტზე შეკრებულა სიკვდილით დასჯა მოლაღატეთათვის. გრივალისკენ მიმავალი აუტეხეთ ოცდარვა ზარბაზნიდან. ჩვენმა ჰაერობლანებმა დასწრეს წაყარა მოწინააღმდეგეთა ბანაკში, ბევრია დაპატიმრებული“.

ნიკო გოციროძემ ვაკვირდება გამოსთქვა:

— ნეტავ, სად იყო ეს ზარბაზნები და ჰაერობლანები მაშინ, როდესაც მენშევიკები ოსმალეთს ეომებოდნენ?

კირილე სამოქალაქო ომის დროს კიევიში იყო და ნიკოს უპასუხა:

— ისე, როგორც სამზრეთ რუსეთში კონტრრევოლუციის ბატონობის დროს, ამ ზარბაზნების და ჰაერობლანების დიდი რაოდენობა, ალბათ, ჩვენშიც გერმანელი ჯარების სარდლობამ მოაწოდა მენშევიკებს. — გალაქტიონ გელაშვილმა გესლიანად შენიშნა:

— უვარგისი თოფებით, ნაჯახებით, და თოხებით შეიარაღებულ გლეხკაცობის წინააღმდეგ ბრძოლაში მენშევიკები დიდ ვაჟკაცობას იჩენენ. ოსმალეთთან ომის დროს კი გამოჩნდნენ და სამარცხვინოდ დამარცხდნენ!

იონამ უპასუხა:

— გალაქტიონ, გლებობა რომ სამართლიანი მოთხოვნებით გამოდის, ეს უდავოა! მართლაც, რევოლუცია მოხდა, მაგრამ გლებობამ დღესაც ვერ მიიღო მიწა. საჭიროა ბრძოლა მიწის რეფორმების განხორციელებისათვის: მუჭთახორა შემამულეებს უნდა ჩამოერთვათ მიწები და გადაეცეთ უსასყიდლო გლეხკაცობას.

გალაქტიონმა უთხრა:

— შენ თავის დროზე განაცხადე უარი მამიშენის მიწაწყალზე და რაც დატოვებული გაქვს, ისიც ცოტაა შენთვის. — იონას გაეხარდა:

— მე რომ მამიჩემის მამულეების შემკვიდრე ვყოფილიყავ, მაინც გლეხობას დავურიგებდი მიწას!

გალაქტიონი დაეთანხმა:

— შენ კი დაარიგებდი, მაგრამ ახლანდელი მთავრობა ჩვენ არ გვაძლევს და მემამულე თავის ნებით შენ მოგცემს მიწას?

იონამ ჰკუთხე დაარიგა:

— კი, მაგრამ აჯანყების და ძალადობის გზა ჩვენი ქვეყნის ახლანდელ პირობებში, ჩემის აზრით, არ ივარგებს: მართლაც, როდესაც ოსმალთა ჯარმა ბათომი დაიკავა და ოზურგეთის მაზრაზე განაგრძობდა შეტევას, ამ დროს სამეგრელოში და აფხაზეთში აჯანყება დაიწყო. რა წნას მთავრობამ: ოსმალეთს ეომოს თუ შიგნით აჯანყებულებს?

გალაქტიონი დაიბნა. უცხად ვერ მიუგო ამ კითხვაზე პასუხი და ამის გამო კამათში ისევ ნიკო გოციანიძე ჩაერია:

— მენშევიკები შეუერთდნენ ნაციონალურ-ბურჟუაზიას, მოსწყვეტეს საქართველოს მშრომელი ხალხი ჩვენ მოძმე რუსეთის რევოლუციონერებს გერმანიისთან ფოთში დადებულ სამარცხენო ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ მუხლების მიხედვით საქართველო იმპერიალისტურ გერმანიის ახალშენად იქცა. მენშევიკებმა ჩააბარეს გერმანელებს რკინის გზებზე კონტროლი. შემოიღეს მონოპოლიზაცია ბუნებრივ სიმდიდრეთა და გადასცეს მათი ექსპლოატაციის უფლება ქართულ-გერმანულ სამთო-მადნო სამრეწველო საზოგადოებას.

— ბოლშევიკები ყველგან ანარქიას და აჯანყებებს გეწყობდით. ამიტომ ჩვენი ხალხი ადვილად შეურიგდა უცხო ძალის ბატონობას, იმ იმედით, რომ იგი დაამყარებს ჩვენში წესრიგს. — უპასუხა გიგომ.

— გერმანელებმა მართლაც დაამყარეს „წესრიგი“. გაამარეს პოლიციური წყობილება, მიმართული პროლეტარიატს წინაღმდეგ. დაიწყეს გლეხთა აჯანყებების ჩაქრობა. გერმანული სარდლობის დახმარებით ქართველ მემამულეებმა მოახერხეს ფეოდალურ და ბატონყმურ უფლებათა აღდგენა, გადასახადებისა და ბეგარის აკრეფა თავის სასარგებლოთ. რადგან იმპერიალისტურ გერმანიის დახმარების გარეშე მენშევიკები ვერ შეინარჩუნებდნენ ძალაუფლებას, ამიტომ ისინი ადვილად ურიგდებოდნენ ოკუპაციას, ჩვენი ქვეყნის გადაქცევას იმპერიალისტურ გერმანიის ახალშენად. — სთქვა ნიკომ და სამკითხველოსთან თავშეყრილ ხალხის გასაგონად განაცხადა:

— აი, მენშევიკური საქართველოს დამოუკიდებლობა. იგი ფიქცია! მენშევიკებს ფეხებზე ჰკიდიათ საქართველოს მშრომელი ხალხის ინტერესები. ისინი ნაციონალურ ბურჟუაზიის ინტერესებიდან გამოდიან და ამით ხელმძღვანელობენ.

ნიკო უფრო გაცხარდა:

— ნუთუ თანაგრძნობას და აღფრთოვანებას მოელოდით იმ ხალხისაგან, რომელსაც თქვენი ბატონობის შედეგად, გარდა შიმშილისა, სიტტვლისა, ტყვიისა და ყუმბარებისა, თქვენგან არაფერი არ მიუღია?

გალაქტიონმა მზგალითიც მოიყვანა:

— მე აგერ კორნელისთან ერთად ვიბრძოდი ოსმალეთის წინააღმდეგ ჯავეხეთის ფრონტზე, მაგრამ რა ჯილდო მოგცა მერე მთავრობამ მე და ჩემისთანებს? ისევ უმიწაწყლოდ დავრჩით და ცოლშვილი შიმშილით გვეხოცება!

კამათმა მწვავე ხასიათი მიიღო. ზოგი ფეხზე იდგა და ზოგიც გრძელ მკამზე იჯდა სამკითხველოს წინ. ამ დროს სამიკიტნოდან გამოვიდა ისონი ჯანჯღავა, ჩოხაახალუხში გამოწყობილი ახოვანი და მალაღ

ვაჯაკია. მოედანზე შეჩერდა. კის სათავეზე ჩამოჯდა. ბაზარს გახედა. სამკითხველოს წინ ატეხილ ქოთქოთს დაუგდო ყური. ნაღვლიანი თვალები გააშტერა, გაიღიმა. ბუხრის ქუდი გაისწორა. ენა გააძოგდო. შეატრიალა და მოკეცა. ბაგე-კბილებში გააყვება, გაიბეტა. ~~რე მუხუქოსე~~ თი საოცარი და ძლიერი ხმა გამოსცა ზედიზედ, ~~ამხ~~ ~~სსსსსსსსსსსს~~ შეკრანენ. ბაზარში მიკიტნის ბიჭებმა სიცილ-ხარხარი ასტეხეს: სამფა, იტალიური ბრანწი დაარტყა იასონმაო, — ყვიროდნენ. გამხდარი შევარდენივით მხარაჩეჩილი, მაღალი ვაჯაკია ნელა წამოდგა. სამკითხველოსკენ დააპარდაპირა.

— იასონი მთვრალია, რაც გითხრათ, ყველაფერი მართალია თქო, უთხარით, თორემ დედას გიტირებთ! — გააფრთხილა ამხანაგები გიგომ.

იასონი ვაჭრის შვილი იყო, მევენახეობის სკოლა ჰქონდა დამთავრებული ტფილისში. ერთი წელი მოსკოვში დაჰყო კურსებზე. მაგრამ იქ ლოთობას და ჩხუბს გადაჰყვა და 1916 წელს ისევ სოფელში დაბრუნდა. ჩოხა შეიკერა და კარისმერეთის „ავარებთან“ და მოქეიფე ძმაბიჭებთან გააბა კავშირი. ამ კავშირმა ნაყოფი გამოიღო და მალე ჩხუბში კაცი შემოაკვდა. კარისმერეთის ძმაბიჭებს ძალიან უყვარდათ იასონი არა მარტო მისი ვაჯაკობის, სიპარდის, პურმარაილის გამო, არამედ მისი ჩინებული საოხუნჯო ლექსების გამოც.

იასონმა ფართო ხანჯალი დაიკავა ზელში, შველივით გადაეველო თავზე არხს და ხმაგაკმედილი სტუდენტების წინ გაჩერდა შუბლმოღუმული და რისხვასავით ტანაწურული. შარზეაო, — წასჩერჩულა გიგომ ბიძინას და გაიღიმა.

— რა გაცილებს, შე ღვთის გლახა!? — შესძახა იასონმა და ქერა, გრძელი უღვაში გაისწორა ბრანით.

— არ გამიცინია იასონ! — უპასუხა გიგომ და შიშისაგან გააცივა.

— ფეხებზე მკიღია მე შენი სტუდენტობა! სტუდენტი მე შენზე აღრე ვიყავი, მოსკოვი მოვიარე, მაგრამ რა ყრია სტუდენტობაში, თუ თავში არაფერი გაქვს?!

— მართალია, იასონ! — დაემოწმა გიგო.

— აქ სოციალიზმი უნდა დამყარდეს, იქ კაპიტალიზმიო! ვინ გკითხავთ, აუგე ჩემო ნაღუმო, ქვეყნის საქმეში რომ ერევით?!

— მართალია, იასონ, ქვეყნის საქმეს ჩვენ ვინ გვკითხავს!

— თქვენდონი ცოდნა ამ გოგრაშიც მოიძებნება, მაგრამ ხომ ხედავთ, მაგ საქმეში არ ვერევი?

— მართალია, იასონ, ჩვენდონი ცოდნა ვიცი, რომ შენც გაქვს.

— მერე ეს სტუდენტური ქუდი რომ დაგიკოსებია მაგ გასივებულ თავზე, შე მათხოვარო, ნაცნობს არ უნდა მოუხადო?

— მართალია, იასონ: ნაცნობს უნდა მოუხადო...

— აქ მოდი! — შეჰკივლა იასონმა. სიჩუმე ჩამოვარდა და შეხვეულად გათაყვებული, დაბალი და მოკუნტული სტუდენტი შიშით დასტახით წარსდგა აყუდებულ ვაჟაკის წინაშე. იასონმა ნიჩაბივით ფრიალა ხელი ამოსდო ნიკაპქვეშ, თავი მალა ააწვინა და უყვირა: *ქონე!*

— ვის აბითურებ, შე მაიმუნო, მართალია, მართალია, რომ იმანი? ყველაფერი მართალი რაგაა, მე შენი დედა?! — გაბრაზდა იასონი. უზარმაზარ ხანჯლის ტარზე გაივლო ხელი და ნახევრამდე ამოვიდა. გიგო კინალამ მუხლებზე დაეცა შიშის გამო და იასონს შეევედრა:

— იასონ, ბიჭო, ჩემთან ხანჯალი რათ გინდა?

იასონმა ფერწასულ და აკანკალებულ გიგოს გადახედა ხანჯალი ქარჭაშში ჩაადო:

— ეს მართალია, მართალია: შენისთანა მაიმუნთან ხანჯალი რათ მინდა! — უთხრა და გაიცინა.

იოვლივ ხარხარი ატყდა. გიგია, ეს პატრონმკვდარიო, — გაიღიმა გალაქტიონ გელაშვილმა. იასონმა რაედენ ტურიაშვილი გაიხმო. რაღაც უთხრა და მერე სამიკიტნოში წაიყვანა.

ცოტა ხნის შემდეგ სამკითხველსთან ოთხი მილიციელი მოვიდა. მილიციელნი შორიხალოს შეჩერდნენ, გაფითრებული სახით ათვალთვალდნენ გალაქტიონს და ჩურჩულით ბქობდნენ.

— გალაქტიონს შენ მოკიდებ ხელს! — უთხრა ერთმა მეორეს და როდესაც რაედენ ტურიაშვილმა მოედანი გადასჭრა და იასონთან ერთად სამიკიტნოში შევიდა, მილიციელებმა მაინც გაბედეს და ახლეს ხელი გალაქტიონს. გარს შემოეხვივნენ და წინადადება მისცეს აფყარა იარაღი.

გალაქტიონმა გაიფიქრა: ელიზბარ ბაქრაძეს ჩემი დატუსაღება გადაუწყვეტიაო. ყოფილი ბოქაული ელიზბარ ბაქრაძე ეხლა კომისრად იყო კარისმერეთში.

გალაქტიონმა სახეზე შეატყო მილიციელთ, არ მოეშვებოდნენ, ამიტომ თვლის დახამხამებაზე უმაღ შეაჯახა ორი მათგანი ერთმანეთს, დუქნის წინ არხის წყალში გადაუშებ და ნაგანზე ხელი იტაცა. ეტყობოდა, მამის, გოჯასპირის ჯანი და ღონე შეილსაც გამოჰყოლია. რაედენ ტურიაშვილი დუქნიდან გამოვარდა, გალაქტიონის მიერ წყალში გადაყრილმა, ამოწუმპულმა მილიციელებმაც რევოლვერებზე გაიკრეს ხელი, მაგრამ ვერ შეჰბედეს ყოფილ ჯარისკაცებს შებრძოლება. გალაქტიონმა გოლიათივით გადაჰხედა ქონდრის კაცებს, და ოცდათხუთმეტი წლის ვაჟაკმა დამცინავად ჩააგუგუნა:

— თქვე ღმერთაღლებო, ჩემზე პატარა კაცი ვერ მონახეთ კარისმერეთში, მე რომ შეჰკიდავებით?!

მილიციელებმა ხელი ვერ ახლეს მას და პირში ჩალაგამოვიღეს გონი  
გაიპარნენ. აღელვებული ჯარისკაცები სამიკიტნოში შევიდნენ და ვაჟა-  
რის განსაქარებლად ლენო გადაჰკრეს.

რაქდენმა თვალი მოჰკრა ელიზბარ ბაქრაძეს. დაუძებნა დაიქნა  
ნოში მიიპატივია. მილიციის უფროსი შეშინებული იყო და უარყოფდა:  
მე არ დამივალეზია მილიციელებისათვის თქვენი განიარაღება და დაპა-  
ტიმრებაო. გალაქტიონმა გააფრთხილა:

— თუ ჩვენს დაპატიმრებაზე ხელი არ ავიღია, წუთისოფელს გამოვა-  
სალმებთ! იასონმაც დაარტყა კვერი გალაქტიონის სიტყვებს:

— რას ერჩი ამ ხალხს, თავი შეინახე!

ამ დროს სამიკიტნოს წინ გაატარეს დაპატიმრებული ჯარისკაცი. დას-  
ციონოდნენ და მუჯღუგუნის ცემით მიჰყავდათ. გალაქტიონი ვეფხვივით  
გადახტა არხზე, ნაგანი იშიშვლა და მილიციელებს გულზე დააღირა. გა-  
ლაქტიონმა და რაქდენმა აჰყარეს მილიციელთ შაშხანა და რევოლვერი.  
ჯარისკაცი გაანთავისუფლეს. საპირფარეშოდან ყოფილი ჯარისკაცები  
— გიოგრი ამესაძე და ერმილე ფაიქიძე გამოვიდნენ. გალაქტიონის მი-  
ერ წყალში გადაყრილმა მილიციელებმა კარისმერეთის მთელი მილიცია  
წოიყუანეს — თხუთმეტი კაცი. ბაზრის თავში მოსახლე გლეხის ეზოდან  
ოთხი ჯარისკაცი გადმოხტა და შაშხანით ხელში გამოიქცა ბაზრის მოედ-  
ნისაკენ. ჯარისკაცები და მილიციელები პირისპირ დადგნენ და შეტაკე-  
ბა ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო.

ვინ შეატყობინა სოფლელებს ბაზარში მომხდარი ამბავი, ალაჰმა უწყ-  
ყის. საკვირველი იყო მხოლოდ, როგორ შეგროვდა ასე სწრაფად ამდენი  
შეიარაღებული გლეხი? იონა, გიგო და ბაზარში მყოფნი შეშინდნენ,  
ლუქნებში შესცივიდნენ, ვაჭრებმა ღუქნებს დარაბები მიახურეს. ნიკო,  
კირილე, კორნელი და ბიძინა კი, პირიქით, გალაქტიონ გელაშვილს და  
მილიციის უფროსს შეჰყურებდნენ. შეიარაღებული ჯარისკაცები — გლე-  
ხები იმედს ჰმატებდნენ გელაშვილს. მილიციის უფროსს ნაგანი მიუშვრია  
და შესძახა: აიყარე იარაღიო. ცუდ მდგომარეობაში ჩაეარდა ელიზ-  
ბარ ბაქრაძე: ყოფილი ჯარისკაცები გაიფანტნენ, ღუქნის ქვის სვეტებს  
და ხეს მოეფარნენ, საფარი იშოვეს და შაშხანები გადმოიღეს. მილიცი-  
ელნი კი თავის მხრივ თაოსნობას ვერ იჩენდნენ. მათ უფროსს მოქმედე-  
ბის საშუალება აღარ ჰქონდა და იარაღი გადასცა გალაქტიონს. ამ დროს  
ერთი ჯარის კაცი მილიციელთა გუნდს მიუახლოვდა, ხელით სასროლი  
უღმზარა მოიმარჯვა და დაიყვირა; დაყარეთ იარაღი, თორემ ივაფეთ-  
ქებო. ამის შემდეგ გალაქტიონმა და რაქდენმა აიძულეს ბაქრაძე გაეცა  
ვანკარგულება, არ გაეწიათ წინააღმდეგობა მის მილიციელებსაც. ბაქრა-  
ძემ განკარგულება გასცა და მილიციელებმა იარაღი დაჰყარეს. ამრიგად

ჯარისმერეთის მთელი მილიცია განიარაღებული იქნა. განიარაღების მოთავედ და ხელმძღვანელად კი გოჯასპირის შვილი გალაქტიონი გელაშვილი გამოაცხადეს.

გელაშვილი  
გარკუნული  
გინზლიჩოსიქა

## მუხის ქვეშ.

„...ამაყად ელი აედარსა,  
ქარს არ უყადრებ თავსო;  
ელვა და ქექა-ქუხილი  
ვერ შეგიბზიან წარბსო“.

(ზიანა: „მუხას“).

როდესაც სოფელში შეიარაღებული ჯარისკაცები შევიდნენ, ქაღლეზია ყეფა ატყდა და ტიტლიყანა ბავშვები შუკაზე გამოცივდნენ. ჯარისკაცებმა აუქციეს გვერდი სოფელს და სარკოიასკენ გაემართნენ. მილიციის განიარაღების ამბავი ელვის სისწრაფით მოსდებოდა სოფლებს. მოხუცი გლეხი გოჯასპირ ჭიშკართან შეეგება გალაქტიონს და მის ამხანაგებს:

— ეს რა ჩაგიდენია, შე მგელკაცო? — უთხრა მან გალაქტიონს, — ამიერიდან ტყეს უნდა შევაფაროთ თავი. ამ საქმეს მთავრობა ასე არ დატოვებს!

შვილმა განრისხებულ მამას უპასუხა:

— გათავდა გოჯასპირ: უკან დასახვეი გზა აღარაა! დღეიდან შეტევაზე უნდა გადავიდეთ?

— ეჰ, შვილო, მაქარი გიდულს ძარღვებში, მოიცა: თავს გაგიხვრეტენ და მაშინ, როგორც ჭურის სასულედან, ისე ამოქჭრება შენი ამბოხის ძალაც! — გააფრთხილა გოჯასპირმა.

ნიკო გოცირიძეს ეწყინა გოჯასპირის ეს ბედითი, დაყვივებული სიტყვა, მაგრამ, გალაქტიონმა დამშვიდებით უპასუხა მოხუც მამას:

— მეფის ჯარში ვიბრძოდი, თოფზარბაზნების გრიალში ცუფდილვარ, იქ საკვიდილის არ შემშინებია და ახლა, როდესაც ღარიბი გლეხების და მართალი საქმისათვის ვიბრძვი, საკვიდილი რას შემაშინებს?!

გოჯასპირ მოტყდა.

— მთავრობის ჯარი კარისმერეთის მილიცია ხომ არ გგონია, ათი და ოცი თაფით რომ დაანარცხო? — გააფრთხილა შვილი და მის გარშემო შეგროვილ ჯარისკაცებს გადახედა.

— მთელი ზემოიმერეთის გლეხობაა აჯანყებული და ზემოთში ოცი თოფიც გამოჩნდება და ათასიც! — მიუგო გალაქტიონმა.

— მერე ამ ხალხს ვინ ზოუყრის თავს და ვინ უთაოსნებს? — შეუკითხა გოჯასპირ, ხშირი და ვაფანჩული წარბები შეკჳარა და იმას დაეძრდა ფიქრში წასული ბერიკაცი.

— ამიტომ მოვედით აქ და სწორედ ამის თაობაზე გეტყვით ნათესაობით — უპასუხა გალაქტიონმა და გააცნო გოჯასპირს აჯანყების შესახებ ხელმძღვანელი: ნიკო გოცირიძე და კირილე მეძმარიაშვილი.

გოჯასპირმა უნდობლად შეათვალიერა სტუდენტები. კარისმერეთის მილიციისათვის წართმეული მაშხანები და რევოლვერები რაედენის სახლში დაალაგეს და ოთახის კარები გამოკეტეს.

ღრუბლიანი ღამე იყო, მაგრამ მთვარის შუქი მაინც ატანდა. გოჯასპირმა ოტია მდიენის საზიაროდ აღებულ მამულის ქიშკარს დღევანდის რგოლი აპხადა, ურდული გამოიღო, დიდი ბოქლომი გახსნა გასაღებით და ხალხი მამულში შეუშვა. იგი ღინჯად, აუჩქარებლად მოქმედებდა. მერე დღევანდის რგოლი ისევ ჩამოაცო ქიშკარს და მალაღი მუხისაკენ გაუძღვა შეიარაღებულ ჯარისკაცებს. მამულის თავში, მინდორზე ასწლოვანი მუხა იდგა, გოლიათი, დაგრაგნილი, ვეება ტოტებიანი, რომელიც შორიდანვე გამოიჩინებოდა მთელს ზედაზენში მისი უზარმაზარი ტოტების შრიალი ოდნავი ნიავის ქროლვის დროსაც კი ზღვის გმინვას და ხმოვანებას მოგაგონებდათ. მის ქვეშ თეთრი და ყვითელი ყვავილებით აფერადებულ მოლზე უყვარდათ მდიენებს წოლა და კრახუნა ყურძნის ქამა. მოწმენდილ დღეს ხელისგულივით მოსჩანდა იქიდან კავკასიონის ბუმბერაზი ქედები. ამ მუხის მაკტერალი უთუოდ გაიფიქრებდა: წარღვნა, გრიგალი და ქარიშხალი. — არ არის ძალა ისეთი, რამაც დასძლიოს დაგრაგნილი ფესვებით დედაშიწაში ჩაქედილ ამ გოლიათ მუხასო.

ამ მუხის ქვეშ შეგროვდნენ გლეხები. გოჯასპირ და რაედენის მამა ნესტორ მიწიდან ამოკუნძულ ფესვებზე დასხდნენ. ნიკო გოცირიძე გვერდით მოისვენებდა. სხვები კი პირდაპირ მოლზე მოთაესდნენ. ნიკომ დაიწყო:

— ამზანაგებო, იმას, რაც დღეს კარიმერეთის ბაზარში მოხდა, ეწოდება გლეხთა აჯანყება მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ!

დამსწრეთა შორის უმძაფრესი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს დღეს მომზადარ ამბის მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა ახლა იგრძენო. ზოგმა თავიკ კი ჩაპკიდა შიშით. გოჯასპირმა ხელი გაისეა წელამდე დაფენილ თეთრ წვერზე და მალულად შეაპარა თვალი თავის შვილს. ასე ეჩვენა: თითქო გაანათაო ღამეში გალაქტიონის თვალმა. ნიკო გოცირიძემ განაგრძო:

— ასეთი აჯანყება ხდება საქართველოს ყველა კუთხეში, ოსეთში, სამეგრელოში, აფხაზეთში, დუშეთში... დღეს თქვენ მოისმინეთ მთავრობის ცნობა დუშეთის მაზრის აჯანყებულ გლეხთა დამარცხების შესახებ.





— ლენო რომ არ გაგვეტანა ქვემო იმერეთში და სამეგრელოში სიმინდზე გადასაცვლელოდ, შიმშილით ამოვწყდებოდით.

— ახლა ალარც ლენო გვაქვს და ალარც სიმინდი!

— მუხლში და მკლავში გამომელია ძალა უღვენიველს გლეხებმა ნიკოს.

გოჯასპირმა დაავუგუნა:

— ინჯრაზე ერთი ბოთლი ლენო თუ არ დაველიე, მუშაობას რა ხევი ექნება?!

კირილე განცვიფრებით მიაშტერდა.

— რას ამბობ, გოჯასპირ?—უთხრა მან.—მე რომ ერთი ბოთლი ლენო დავლიო, შემეტყობა და მერე მუშაობაზე რაღა მაფიქრებინებს?

— შე კაცო, ერთი ბოთლი ლენო როგორ დავათრობს ვაეკაცს? ძარღვებში წაეა და ჯანზე მოგიყვანს! — უპასუხა გოჯასპირმა.

ამ დროს გოკის ქყვიტინმა დაარღვია სოფლის სიჩუმე. ნიკო შეწუხდა:

— რათ გინდოდათ გოკის დაკვლა? ჩვენ განა ვახშმისთვის გვცალია?

— შე კაცო, უბურმარილოთ როგორ გავიშვათ? ოჯახი გვაქვს და ერთი ჭიჭა ლენო არ უნდა დავგილიოთ?

ნიკომ შენიშნა:

— აკი ლენო გამოგველია და მუხლში ძალა გამოგვეცალია?!

გოჯასპირმა გაიღიმა და ისევ ჩაავუგუნა:

— ერთი ჩაფი ლენო მაინც არ უნდა შეგვენახა შენისთანა სტუმრისთვის?

ღრუბელი გაირღვა. მთვარე გამოვიდა და ასწლოვან მუხის ქვეშ მსბდომნი დღესავეთ გაანათა. მოხუცი გოჯასპირ შართლაც ტყინ კაცოვით იჯდა და აბოლებდა ყალიონს.

(გაგრძელება იქნება)



გიორგი ქუჩიშვილი

# კოიკო ხსოვნას

შენ მწერლობაში  
 აქ აიღვი პირველად ფეხი,  
 აქ აგებილა, როგორც მხატვარს,  
 მახვილი თვალი;  
 აქვე იგემე რეგვენ მეფის  
 ძალა უკმები  
 და რომ ჩაეჭროთ შენში ბრძოლის  
 მგზნებარე ალი, —  
 ჯერ ისევ კაბუკს მოგისაჯეს ციხე — მეტეხი.  
 სად არ იყავი, რა არ ნახე,  
 რას არ გაუქელ,  
 ცხოვრება შენთვის იყო გულქვა  
 დედინაცვალი,  
 მაგრამ ვერ შესძლო შეერყია  
 შენში ის ფუძე,  
 რომლის კლდე-გულზე ფრთებს იღეწდა  
 ეამთა ვრივალი.

მძინარე მონებს აღვიძებდი  
 მეღვარი ბუკით,  
 მოვლე რუსეთი,  
 მოიხადე საქვეყნო ვალი  
 და შენს დიდ სახელს,  
 მოკაშკაშეს  
 უკვდავს ჰყოფს ჩვენი  
 დიდი აწმყო  
 და მომავალი.



# ლოცობა

ჩოქინია

ყარუში. \*)

როცა ბიბილოსაგან ასხლექტილი ბონდო ჩირგვებში გადავარდა, ლელოსკენ გაქანებულ ქიშვარდის ჩოჩქოლი და შეკვივლება შემოესმა. ეს ხმაური ბექობის მხრიდან მოდიოდა, სადაც ქალიშვილები იდგნენ. ბურთაობის გირგლს მორიდებულნი. ამ არეულ ხმებში ყველაზე უფრო ნათლად ქიშვარდის თითქოს ციკინოს ხმა შეიცნო. გული რაღაც ცუდის წინადაგრძნობით შეეკუმშა, მაგრამ თამაშის აზარტით გატაცებულმა ეს არეული ხმაური ცნობიერების ზღურბლს ვერ გადააშორა. უკანაც არ მიუხედავს, შეეშინდა, ვაი თუ ახლა უკვე, ლელოს ზღუდეს მიღწეულს, ვინმე მწვედეს ხალათშიო. როცა ბურთი ლელოზე გააგდო და შემობრუნდა, იმ ადგილას, სადაც ბონდო დაეცა, შემოჯარული ხალხი დახედა. რის ვაი-ვაგლახით მოახერხა წრის გარღვევა. უსიამოვნო სურათი გადაეშალა თვალწინ. გულწასული ბონდო მიწაზე იყო გართხმული. ელიზბარა და სეფერა მის მობრუნებას ცდილობდნენ, ლოყაზე სცემდნენ, ყურის ძირებს უსრესდნენ. ქალიშვილები ვიშვიშობდნენ. ციკინოს საიდანაც წყალი მოჰქონდა პეშვებით.

— ცუდ ვუნებაზე ვარ, — მილუქული ხმით ამოაყოლა მძიმე ამოსუნთქვას ბონდომ, როცა ცივი წყლის მისხურებისაგან თვალები გაახილა და ირგვლივ მიმოიხედა.

ქიშვარდი თავდახრილი იდგა. მას ზეახედვისა რცხვენოდა, ეჩვენებოდა, თითქოს შეგროვილი ზღვა ხალხი მხოლოდ მას მისჩერებოდა და სტუქსავდა. აბა, ვინ დაიჯერებს ახლა, ფიქრობდა ის, რომ მან განზრახ არ გაისროლა ბონდო ასეთის თავგამეტებით, რომ ვანგებ არ მეალეწა ის ეაზის ძირს. ყველაზე მეტად კი ის ფიქრი ზარავდა, რომ ციკინო ამრიგად ახსნიდა მის საქციელს. ამიტომ არიდებდა თვალს ციკინოს, რომელიც ბონდოს დაკაწრულ ლოყიდან სისხლს სწმენდდა და თვალებ-

\*) დასაწყისი იხ. „მნათობი“ № № 3 და 4

ზე ჩამოშლილ ქოჩორს უსწორებდა. სირცხვილის გრძნობას ღაწურს დაუკო-  
თო: ქიშვიარდის შეშურდა მიწაზე გამოტილ მკენესარე ბონდოს კოფა.  
ხომ ასე ბუნებრივი იყო ციცინოს ზრუნვა დამარცხებულ ბონდოს მი-  
მართ, მაგრამ რამდენი სინაზე ამოივითბა ქიშვიარდის მკლავს ქიშვიარდის მოძ-  
რაობაში, ბონდოსადმი მიპყრობილ თვალეზში. რა სიამოვნებით შეენაცვ-  
ლებოდა ახლა ბონდოს, თუ ციცინოს აღერსიანი ხელი შეეხებოდა. ამ  
ორმაგი გრძნობით შებოჭილი ქიშვიარდი უხერხულად იდგა, თითქოს ერთ  
ადგილას მიკრულაო. არ იცოდა, როგორ მიშველებოდა მის მიერვე და-  
მარცხებულ მოწინააღმდეგეს, რომელსაც დაცემისას კოჭი ეღრძო.

ბონდო ფეხზე წამოაყენეს. ტკივილისაგან სახე ეღმიჭებოდა. სეფერა  
და ელიზბარა მხრებში შეუდგნენ და სახლისაკენ წაიყვანეს. ციცინოს  
რომელსაც ბონდოს ჯუბა და ხალათი ჰქონდა მკლავზე გადადებული,  
უკან გაჰყვა. ბელო და კლეოპატრაც მათ აედევნენ. ქიშვიარდის ერთხანს  
სცადა გაჰყოლოდა მათ, მაგრამ შენიშნა, რომ არავინ ეპატიებოდა და  
ციცინოს თითქოს არც კი ამჩნევდა მის იქ ყოფნას. ნაცემი ძალღივით  
დაბრუნდა უკან. გული ატკინა ციცინოს ასეთმა გულგრილობამ. მის  
გულში ბონდოს მდგომარეობით აღძრულ შიშს შურმა დასძლია, ის ახ-  
ლა ციცინოს ქცევაზე ფიქრობდა და არა ბონდოს ნაღძობ კოჭზე.

არა, მძულვარებით, წყრომით რომ შეეხედა ციცინოს მისთვის, რომ  
დაეტუჟა, გაელანძღა, ამას უფრო ადვილად აიტანდა, მაგრამ ეს სრუ-  
ლი უყურადღებობა, თითქო ციცინო ვერც კი ამჩნევდა მის იქ ყოფ-  
ნას! ნუ თუ ასე დაშორდა იგი ციცინოს, ნუ თუ ასე უცხო გახდა მის-  
თვის? ეს კი მეტის მეტი იყო. ერთხანს რეტდასხმულივით იდგა. ერთ ად-  
გილს სტკეპნიდა. შემდეგ კვლავ სცადა დამარცხებულ ბონდოს დაწევა.  
რამდენიმე ნაბიჯი წასდგა წინ. შემდეგ ყოყმანით შესდგა, ისევ უკუაგ-  
დო ეს აზრი, დამარული გამობრუნდა უკან, ისევ თამაშში ჩარევა სცა-  
და, მაგრამ ციცინოს მოპყრობით გულმომპარულს არაფრის ხალისი  
ალარ ჰქონდა.

ბურთი კი ისევ შეეკრათ და გირგლით მოჰქონდათ მელიქაურლების  
ლელოსკენ. უკვე მოედნის შუაგულამდე ჩაეტანათ. ღობე აღარ იდგა  
ზეზე და მესერი. ხალათები ყველას შემოფხრეწილი ჰქონდა. ყმაწვილები  
შაინც თავმომწონედ ჩაუვლიდნენ გვერდს ქალიშვილებს, საწვიმრებით,  
ჯუბეებით და ხალათებით დახუნძულნი ისევ ბეჭობზე რომ შეგროვი-  
ლიყვნენ. ბურთაობის მიწურულს მელიქაურლების მხრიდან რამდენიმე  
ცხენოსანი ჩაერია თამაშში. ისინი დიდხანია გზის პირას იდგნენ, ლო-  
ბეს მოფარებულნი, და ელოდნენ, — როდის გადაუგდებდნენ ბურთს.

ბოლოს საყვალამ მართლაც ამოღლიტა ბურთი და თავიანთ ცხენოს-  
ნებს გადაუგდო. ცხენოსნები დაიძრნენ, მაგრამ ქვეითები არ შეეპუნენ  
და ღობიდან ამოგლეჯილი სარებით წინ გადაუდგნენ. ცხენოსნები ერთი  
მეორეს უგდებდნენ ბურთს და ცდილობდნენ დამბღურების წრის ვარდ-

ვევას. ერთი მელიქაურელი მხედარი დაწინაურდა კიდევ, მაგრამ ნაპო-  
ლეონა აფთარიევით შეუხტა ცხენოსანს და ორივენი ძირს ჩამოვარდნენ.  
ხალხი მოაწყდა და ისევ შეიქნა წეწვა-გლეჯა. მაგრამ კიდევ უნდა  
ზინდი ჩამოწვა. ბურთის ირგვლივ ბღღენას კი ბოლო უნდა მოეხეობო-  
ვი ჩაერია და, როგორც იყო, გააშველა მოშულარნი.

— ჩვენია ლელო, ჩვენი! — იძახდნენ სამღვთაოელები.

— ფათ ხართ, ფათ! — შემარიგებელი კილოთი სთქვა გიორგიმ. —  
თუ ასე გულდაგულ იბრძოლებთ გარდამავალი დროშისათვის, მაშინ  
ჩაის ხუთწლედს ოთხ წელს კი არა, ორ წელს შევასრულებთ. ასლა და-  
ვიშალოთ და საოქტომბროთ ითამაშეთ გასაქვეითაი.

მობურთავეები აიშალნენ. რაიონიდან ჩამოსული მანქანები სირენების  
ყვირილით მიარღვევდნენ ხალხს.

მამია, ქიშვარდი და სილოვანა ერთად ბრუნდებოდნენ შინისაკენ.  
მთელი დღე ბურთის ღლეტით დაქანცული სილოვანა გასაწყურად იყო  
გამხდარი. მწუხრზე ნადინების ქალას გრილი ზენაქარი ჩამოაყვა. სილო-  
ვანა ცხრომ აიტანა, ცახცახი დააწყებინა.

— დავილუპე კაცი მგონი ციებამ გამიხსენა, — შეწუხებული ხმით  
სთქვა მან. მობუზული მიდიოდა, თითქოს ცდილობდა ზორბა ტანი შეე-  
კუმშა და ცივი ნიავისაგან დაეფარა.

მამიამ თავისი ჯუბა ათხოვა. მაინც ვერ იქნა და ვერ გათბა.

— მთელი გულბოყვი მტკივა, არ ვიცი, რამ დამამტვრია ასე, — კბი-  
ლების კაწკაწით ამზობდა სილოვანა.

მუხლები ეკვეთებოდა. ქიშვარდის და მამიას მხრებს დაყრდნობილი,  
ძლივს მიადგამდა ფეხს.

სეფერას და ელიზბარასაც ამ დროს ტაატით მიჰყავდათ კოკინარძობი  
ბონდო. ციციწო, პელო და კლეოპატრა უკან მიჰყვებოდნენ.

— განგებ ქნა მაგი ქიშვარდიმ, განგებ ამოუგდო კოკი ბონდოს, მა-  
გრამ მაგას უტირებთ ჩვენ ყოფას! — მუქარით სთქვა ელიზბარამ.

— რაზე ხარ ახლა ასე კვიმატი! — გამოეჭომაგა ციციწო ქიშვარ-  
დის, — აბა რა მისი ბრალია! ვის არ მოსვლია მარცხი ლელო-ბურთში? აბა  
დაენებებია ლელოს გატანა, თუ რა? ან დარა ინტერესი ჰქონდა ბონდოს-  
თან ქიშვარდის?

— შენ ჩემზე უფრო კარგათ იცი, რაცხა ინტერესი ჰქონდა და ტყვი-  
ლა რას იცავ?

ამ გადაკრულ ლაპარაკზე ციციწო დაიბნა. პასუხის ვაცემა ვერ  
მოახერხა. ელიზბარამ ბონდოს ხელი უშვა. პელოს და კლეოპატრას მიუბ-  
რუნდა.

აბა რა იყო, რომ ჩააფრინდა პერანგში და მიაბღერტა ვენახზე, რაც  
ძალი და ღონე ჰქონდა?

ბონდომ ელიზბარას დაუხმარებლად სცადა გავლა, მაგრამ ქვეშევრდები დაუხსლტა და ისედაც ტკივილისაგან გულშეღონებულმა იქვე ჩიკეცა. სახე გაუფითრდა. შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. სეფერას მიეცოდნო მკერდზე. ამ დროს სწორედ ციცინოს ეზოს იყვნენ მსაჯულნი. ელიზბარა ალაგებზე გადახტა წყლის გადმოსატანად. ქოჭინანს დაეხმარებოდა იმ გამოიხედა და თვალებზე ხელმოჩრდილებული წამოვიდა ქიშკართან შემდგარ ხალხისაკენ. როცა სეფერას მკერდს მიყრდნობილი ფერწასული ბონდო იცნო, ქოჩივით მივარდა ციცინოს.

— რამ გავაშტერა, გოგო, შემოუძეხი ხალხს ეზოში! მობრძანდით, თქვენი პირიმი, შარაზე რომ დგებართ, ჩვენ სახლი ხომ არ დაგეწვია! — სთქვა ალვასიმ ჩვეულებრივი გაწიაპებული ხმით. კაცი ვერ გაიგებდა, ამ ხმაში სხვისი დაცინვა იყო ჩაქსოვილი თუ წრეს გადასული მოკრძალება და ბოდიში.

ალვასიმ ქიშკარი ფართოდ გამოაღო, ბონდო სახლში შეიყვანეს, ლოგინზე დააწვინეს. ნაღრძობ კოჭში საშინელ ტკივილს გრძნობდა, თითქოს ვიღაც ფეხში ჩაფრენია და თედოდან მოგლეჯას ლამობსო. ტკივილისაგან იწმასანებოდა, სახე ეგრიხებოდა. გმინავდა. ელიზბარამ თავისებური მოუქნელობით ჩასკიდა ბონდოს ფეხში ხელი და სცადა ნაღრძობი კოჭის ფოსოში ჩაგდება. მაგრამ ბონდომ ქალივით შეპკივლა და ელიზბარამაც ხელი უშვა. სეფერა ექიმის მოსაყვანად გავარდა. ალვასი სასთუმალს უსწორებდა ბონდოს, უძიროების გახდას შეელოდა. როცა ბონდომ შინ წასვლაზე ჩამოაგდო სიტყვა, ალვასიმ ციცინოზე მეტად გამოიღო თავი.

— ჩემი კოსტა არ მომიკვდება, არსად გაგიშვებ. — ეუბნებოდა ბონდოს. — ჩვენსას დარჩი, სანამ პაპულა დაბრუნდებოდეს თბილისიდან. — მენსაკადრისად არ ვართ მოწყობილი, მაგრამ კვი გულით რაც შეგვეძლება, პატივს გცემთ.

ბონდო სიხარულით ცას ეწვია. რამდენადაც ციცინოსთან დარჩენა ახარებდა, იმდენად შინ სიპიტოსთან ჩხუბი და ყაყანი ეზარებოდა. აქ ყველანი თავს ევლებიან, განსაკუთრებით ალვასი. ისეთ ფაციფუცშია ელფრიას ქალი, იტყვი, ციცინოზე მეტად აღფრთოვანებულია ბონდოს სტუმრობითო. თითქოს გრძნობს დედის გული, რომ აქ საღლიც მისი ქალის „ბედრღბალი“ ინასკვება და როგორ შეუქლია უმოქმედოდ იყოს.

როცა ალვასიმ თავისი უფროსი ქალიშვილები დაათხოვა, მუდამ სხვათა გათხოვების საქმეში ერეოდა, ყველგან მჩრეველი და მოთათბირე იყო, და ახლა, როცა საქმე მის უმცროს ქალიშვილს ეხება, როგორ უნდა იდგეს გულზელდაკრეფილი. როგორღაც თითონაც ხდება თავისი ქალის „გრძნობების“ თანაზიარი. იმიტომია, რომ ახლა თითქოს თითონაც ქალიშვილდება, თავს დასტრიალებს ბონდოს. ამ ფაციფუცში და სტუმრისადმი გადაქარბებულ ყურადღებაში სულ გადაავიწყდა მოხუცი ქმარი, რომელსაც „ოფოლენცია“ ისევ განუახლდა, ბურთაობაზე თუ დაქპარა.

სეფე უკანა ოთახში წევს, ბუმბულის ლეიბში ჩაძირულია. არ საბანში გახვეული. მაინც წამდაუწუმ კატასავით სასომიხდით და ატყებს, თანაც მშრალი, რაღაც გამომეტყველი ჩახველებით ეწვევს. ამ ჩახველებაში საყვედური და გულისწყრომა ისმის, თვითონ კი კერძო კერძო ცოლს თავისი არსებობა მოაგონოსო. მაგრამ ალევასიზე არ მოქმედებს ქმრის ჩახველება. ბუზღუნებს კიდევ, რაღა ახლა აუტყდა ხველა და ცხინკებაო. სად სცალია ალევასის სეფეს მისახედავად. ვახშამს აწვადებს, ისეთ ფაცი-ფუცშია, იტყვი, „ჯარ-სტუმარს“ ელისო, კეცების სიმბურვალით სახე-აფაკლებული დარბის ალევასი სამზადისსა და ოდას შორის, ხან ფქვილი გააქვს, ხან ყველი, ხან საცერ-მერდინი.

მხოლოდ მაშინ ამოითქვა სული, როცა ვახშმის მზადებას შორია. თითონაც საგარეოდ მოირთო, ფერუშარილიც კი გადაისვა ცეცხლისაგან ალექსილ სახეზე. მრგვალი, ფეხებ-მოხარატებული შავიდა მისწია ბონდოს ლოგინთან, ზედ სუფრა გადააფარა, ლურჯად დაჩითული. ამ სუფრას მხოლოდ განსაკუთრებით პატივსაცემ სტუმრებთან გამოაჩენდა ხოლმე ალევასი. „საგარეო“ სუფრას ეძახდა რატომღაც. ალევასის შვილები მუდამ ოხუნჯობდნენ ამ უცნაურ სახელწოდებაზე. საგარეოს რომ ეძახი, სტუმრად რომ მიდიხარ, მაშინ ხომ არ ისხამ ზურგზე სუფრასო. ვარიები მოართვა ბონდოს, წაირნაირად შემზადებული, კეცზე შემწვარი და ქინძ-ძმარში ჩაწყობილი, ტყემალში ჩახარშული და ყალიოთ შეკაზმული, მოიტანა ხაჭაპურები, მურაბა მრავალგვარი. მაინც ბონდოს დაუსრულებელი ბოდიშით გული გაუწყალა, შენი საკადრისი არაფერი გვაქვსო.

ალევასი თავისი გულგამაწყალბელი ბოდიშით მთელს სოფელში იყო ცნობილი. მეტ სახელად „ბოდიშას“ ეძახდნენ. ამიტომ ციციწო ახლა „სასაოწარკვეთილებას“ იხატავდა სახეზე, დედის ზურგს უკან ბონდოს ანიშნებდა ღიმილით, შეგკამა ხომ დედა ჩემმა თავისი ბოდიშებითო.

ბონდომ ეს მუნჯური ლაპარაკი თავისებურად გადათარგმნა, თითქოს ციციწო ანიშნებდა, როდის იქნება, რომ დედა მარტო დაგეტოვებსო. და ამ ფიქრმა სიამით აუტგერა გული, თვალები გაუბრწყინდა. მაშ ამ წუთში ის დედაზე უფრო ახლობელია ციციწოსათვის, მაშ ციციწო მოუთმენლად მოელის. მასთან პირისპირ დარჩენას! ბონდომ ცუდად გაიგო ქალის მუნჯური ლაპარაკი. ციციწოს ფიქრადაც არ მოსვლია ბონდოსათვის ენიშნებია, როდის იქნება, მარტო დავრჩებითო. შეიძლება ქვეცნობიურად ეს კიდევ სურდა, გულისძგერით მოელოდა ამ მომენტს, მაგრამ ვაჟს ასე აშკარად როგორ გაუშვლავნებდა?

ციციწო ბონდოს საცეკვაო წრეში დადიოდა. მათსაც ყოფილა ბონდოს სტუმრად სხვა ახალგაზრდებთან ერთად. მაგრამ ბონდოს ბათომიდან დაბრუნების შემდეგ ისინი ერთხელაც არ შეხვედრიან ერთმანეთს პირისპირ. მთელი სოფლის გოგო-ბიჭები კი ქორაობდნენ — ციციწო და ბონ-



დო შეცვარებულნი არიანო. ქიშვარდისაც ხომ ჩაუტანეს ამბავი ციციანო მთელ დღეებს ბონდოსთან ატარებსო. ზოგი სულწაწკრულებული მასაც ამტკიცებდა, უკვე დაინიშნენო.

ციციანოს ამ შეზღვევრების დროს ერთი სიტყვაც არ უნდა უთქვამს მასაგან „გრძნობების“ შესახებ. ეს იყო მხოლოდ, რომ ციციანოს თუ ყოველმობიას თამაშის დროს ბონდო მუდამ ციციანოს გამოარჩევდა, ყოველთვის მას აძლევდა უპირატესობას სხვა ქალიშვილების წინაშე. მაგრამ არაჩვეულებრივი არც აქ იყო რაიმე. ციციანო, როგორც კარგი „სახიერი“ ქალიშვილი, ახალგაზრდობის ყოველგვარ თავყრილობაში მუდამ გამოარჩეული იყო. ბონდოს გადაქარაბებული ყურადღება ციციანოსადმი მხოლოდ იმიტომ იწვევდა ამდენ მითქმა-მოთქმას, რომ ციციანოს მეგობარი ქალიშვილებიც ბონდოსაგან „გადარევს“ იყვნენ. შერი და მეტოქეობა იყო საფუარი იმ ქორებისა, ბონდოს და ციციანოს შესახებ რომ ავრცელებდნენ თითქოს ქიშვარდის გულის მოსაკლავად და ციციანოც არ იყო გულგრილი ამ მითქმა-მოთქმისადმი. ეს ჯიბრი და მეტოქეობა მასაც უღელვებდა გულს. მეტოქეობის გრძნობა ხომ ხშირად უდიდესი ბიძგის მიმცემია გატაცებისათვის. მაგრამ ყველაფერი ეს გარედან მომდინარეობდა. თუ რა აკავშირებდა ციციანოს ბონდოსთან, რა იზიდავდა მის საცეცვაო წრეში, რამ დააშორა იგი თავის სიყრმის მეგობარს ქიშვარდის, ეს ქალს თავისთვისაც ვერ აეხსნა.

ამ საღამოს თითქოს ბონდოსთან პირისპირ დარჩენას უნდა გადაეჭრა მისთვის ეს საკითხი. ამიტომ იყო, რომ ციციანოს რალაც გაურკვეველის მოლოდინში ასე ძლიერად უცებდა გული.

რა გულის ამბიქროლებელია და იმავე დროს რა მძიმე შეზვედრა, როცა ყველა შენს შესახებ ლაპარაკობს, ყველა „გიჩუჩხურებს“, — ფიქრობდა ციციანო. ამ ფიქრებში წასული როგორღაც გარინდებული იღვა, მასპინძლის მოვალეობა დაეიწყებოდა.

ალვასი კი ვერა გრძნობდა, რომ სუფრის გაწყობის შემდეგ მისი აქ უოფნა ახალგაზრდებისათვის შემზორკველი იყო. ერთის წუთით გავიდა გვერდის ოთახში, ნახევრად მძინარე ბაჭურია გამოიყვანა, ბონდოს საწოლის პირდაპირ ტახტზე ლოგინი გაუშალა და ისევ გავიდა. თუმცა ბაჭურიას იმავე წუთში ჩაეძინა, მაინც წამდაუწუმ გვერდს იცვლიდა. შესაწვავი გოჭივით ტრიალებდა. ალვასი ისევ განაგრძობდა ბოდიშებს, რატომ არაფერს სკამ ბონდოს ქირიმეო. არ ვიამა ხომ ჩემი გაკეთებული ხაჭაპური, აბა პაპულას ნახელვანებს შეჩვეული, ჩვენ რა უნდა მოგაწონოთო, და ისევ ფაციფუსს შეუღდა. ტკბილის კერი და ჩურჩულ: გამოიჩანა, „მოპეტაცებული“ ღვინო, ნადულები და ტკბილად უაყენებულნი. ახლა ამაზე მოჰყვა:

— არ ვიცი, შენ თუ მოგეწონება, საიასალოთ კია გაკეთებული, სულგადარებული ბეოლის და ვაშლის ხის ყურძნისგანაა დაწურული. რომ

ავადდუღეთ და მოვლოპრეთ, მთლად დადუღება არ ვაცდლებო, ანუ ჩავას-  
 ზით ტკბილად ბოთლებში და ქე დარჩა ასე მაქარივით. ვერხვდის ბოთ-  
 ლებმა ვერ გაუძღეს, სულ დახეთქა. ოთხი შამპანურის ბოთლი მქონდა,  
 სეფემ ჩამოიტანა რუსეთიდან, სილიბისტროსთან რუსეთში წაიყვანა, ბუ-  
 ფეტში. ამ ბოთლებში გადაჩნა. ორი ბოთლი კოსტას ჩამოსვლამდე გავხ-  
 სენით (ბონდომ შენიშნა, რომ კოსტას სახელის ხსენებაზე ალვასიმ მძი-  
 მედ ამოიოხრა). ეს ორი ბოთლი დარჩა. საგანგებოთ ვინახავდით, ალბათ,  
 ასეთ ძვირფას სტუმარს ელოდა, — დაასრულა ალვასიმ „მოპეტანაზეუ-  
 ლი“ ლენინის ქება, ერთი ბოთლი გახსნა და ქარვის-ფერის ლენინით აავსო  
 ტანწურწეტი სასმისი.

თითქოს „მოპეტანაზეულ“ ლენინსაც ალვასისავით უხაროდა ბონდოს  
 სტუმრობა, წინწყლებს ისროდა ქიჭაში. შემოდგომის სიტუბო ჩაპყო-  
 ლოდა, ბოთლში კორპს არ აჩერებდა. ბონდომ ლენინო დიდად უჭო,  
 მართლა საიასალო ყოფილაო. ორი სასმისი ზედიზედ დაცალა დედა-შვი-  
 ლის სადღეგრძელოო და მაშინვე იგრძნო, „მოპეტანაზეული“ ლენინის  
 ძალა.

ალვასის საბოდიშო მაინც არ გამოელია. უცებ თავში ხელი შემო-  
 იკრა:

— ნეტავ ჩემი სიკვდილი, ხელსახოცი დამვიწყებია! — ციციონს შეუ-  
 ტია, — შენ რაფერ გაშტერებულხარ, რომ ვერაფერს ამჩნევ!

სეფემ იხსნა ბონდო ამ ბოდიშების ნიაღვრისაგან — ხველა აუტყდა  
 მოხუცს, სუნთქვის შემკვრელი. გაბრაზებისაგან თუ იყო, რომ ასე უუფ-  
 რადღებოდ მიატოვეს.

ალვასი უხალისოდ წამოდგა და ავადმყოფი ქმრის მისახედად გა-  
 ვიდა. ბონდოს გულს მოეშვა, მადლობა ღმერთს, ძლივს მარტო დაერჩი-  
 თო, ვაიელო გუნებაში, მაგრამ საოცარი იყო: ასეთის გულის ლევით  
 მოელოდნენ ორივენი ალვასის გასვლას და ერთბაშად სამარისებური  
 სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ორივეს ბაგე შეეკრაო. თუ ალვასის აქ ყოფ-  
 ნის დროს ბონდო კიდევ პოულობდა სალაპარაკო მასალას, ჯღერობას ქა-  
 ლის ბოდიშების საპასუხოდ თავის მხრივ ბოდიშობდა — რად იწუხებთ  
 ამდენად თავსო, ახლა ალვასის გასვლისას თითქოს სასაუბრო წყარო დაუშ-  
 რა. ბონდოს შერცხება, რომ ენის მობრუნება ვერ მოახერხა, ვერაფერი  
 გამოსძებნა სალაპარაკო. ციციონც რაღაცას მოელოდა, თუმცა თითო-  
 ნაც არ იცოდა — რას. იქნებ იმას, რასაც სოფლურ სიტყვებისმარებაში  
 „გრძნობის ახსნას“ ეძახიან.

ციციონომ თითონაც არ იცის კარგად, თუ რა არის ეს. მას მხოლოდ  
 გაუგონია ამის შესახებ. ეს, მისი წარმოდგენით, რაღაც მგრძნობიარე სიტყ-  
 ვებია, რაღაც სხვა. უჩვეულო ენაზე ალაპარაკება, რაღაც სხვა სამყა-  
 როში ვადასვლა, მაგრამ ნუ თუ დღემილით გადადიან ამ სამყაროში?!

მით უფრო ეუცხოვა ციკინოს ბონდოს ერთბაშად დაღუპვებში რომ ის მთელ სოფელში ენაწყლიან და ოხუნჯ შოსაუბრედ არის ცნობილი. როგორც იმიტომ პატივებენ ყველგან წვეულებაში, როგორც საზოგადოების გამამხიარულებელს და გამართობს, ყველგან, ქეიფში თუ პანკმუხმანის-ლაშის თევაში მისი ხმა ყოველთვის ჩრდილავს სხვებში. მისი კომპოტომ შეარქვეს ზედმეტ სახელად ყარყუმი. ახლა კი უცნაური ამბავი მოსდის ბონდოს, ვერ იქნა და ვერ მოაბა საუბარს თავი, თითქოს ყელი გაუშრაო. თითონვე აოცებს თავისი დაბნევა. გასაკვირალი კი აქ არაფერია: ბონდოს, როგორც ბუნებით ყარყუმს, თავის ნიჰის ვასაშლეღად ჯარია-ნობა, ახალგაზრდების ხმაურობა და ზორზოცი ესაქიროებოდა. მას ხომ მარტო სხვის ხარჯზე შეუძლია ოხუნჯობა, სხვისი დაცინვა და გამას-ხარაგება, და ახლა, ქალიშვილთან მარტოდ დარჩენილს, საუბრის გაბ-შა უძნელდება, ამას არ არის დაჩვეული. თუ ქალს დაიმარტოხელებს, მაშინ მისი გრძელი ხელები უფრო მკვერვეტყველობენ, ვიდრე მისი ენა, აქ კი რატომღაც „ღლაბუცი“ არ ხერხდება. ამ საღამოს რაღაც ძალა არა თუ ენას, ხელებსაც უბორკავს.

მშვიდი, კაკაჩი ღამეა. მთვარეს კალოს სახედ შემოჰკვრია ნათელი წრე. ნიავი არ იძვრის. მხოლოდ თამისეამს ვეშაპის ძილისპირეულ ამოსუნთქვასავით თუ შემოიჭრება ბორიო ეზოში და ამ დროს მარანის ირგვლივ შემორგულ აკაციების კორომიდან რაღაც ნაზი, თითქოს მოტკბო სურ-ნელება იჭრება ოთახში. ბონდო იბნევა, არ იცის, საიდან მოდის ეს უც-ხო სურნელება, აკაციებიდან თუ ციკინოსაგან, ასკილის ყვავილისფერ კაბაში მორთული რომ უზის სასთუმალთან.

ქარის შემობერვაზე ცაცხვის მსუბუქი ტოტები საქანელასავით რელ-ნელა აღი-ჩამოდიან. კაკლის ხის უდრეკი ტოტები მედიდური სიჯიქით ხედებიან ზღვის სუნთქვას, აინუნშიაც არ აგდებენ ქარის შემობრევას, ბრტყელ ფოთლებს აბარტყუნებენ უდარდელად. მხოლოდ ალვის ხის წერილად დაჩეკილი ფოთლები შეკრთებიან ზოლმე, ბორიოს შემობერ-ვაზე აცხაცხვდებიან, აცმაკუნდებიან და დიდხანს შრიალებენ, თითქოს ჩურჩულით გადასცემენ ერთმანეთს ზღვაურის მოტანილ საიდუმლოს. ქარი ჩადგება, ეზოს სიმშვიდე მოიცავს, მაგრამ ალვისხის ფოთლები კი-დევე დიდხანს განაგრძობენ აფორიაქებულ ჩურჩულს. საბლში ყველაფერი მიწყნარდა. აივანზე მშოლიარე ყურმა მუქარით უბაკუნებს კუდს იატაკს, იტყვი, ვილაცას ემუჭრება, ეუბნება — ჰაიტ, არ გაბედოო.

ბაჭურიაც წამდაუწყემ შესაწვავი გოჭივით ტრიალებს და ბაჭურის ყოველ ვადაბრუნებაზე ტახტი ისე ქრიჭინებს, თითქოს ძვლები ემტ-ვრევაო.

ეს ხმებია, ბონდოს რომ აკრთობს და სითამამეს უკარგავს. რაღაც უჩვეულო გაუბედაობა ეუფლება მას ამ საღამოს.

ციცინომაც ვერაფერი გამოსძებნა სალაპარაკო. იქნებ ბონდოს სახის მტკივნეული გამომეტყველების ბრალია ეს. ახლა იცოდა, თუ რამდენად შორეული იყო ჯერ ბონდო მისთვის. ახალგაზრდებთან თვეყროლობაში, ქეიფში ან საცეკვაო წრეში მათ შორის არაფერიც არააქნებოდა. ახალგაზრდების ხმაური და ხორხოცი აესებდა. ახლა უკვე, შორისშიც შეხვედრისას, ეს სიშორე თვალნათლივით გახდა მისთვის. ბონდო ციცინოსათვის დღესაც ისევე უცხო იყო, როგორც თხუთმეტიოდ წლის წინათ, როცა გოგოსავით კულულა-თმებიან შეზღვეურის კოსტიუმში, ლურჯ, ბაფთა-მოვლებულ ქედში, ლაქის ფეხსაცმელში გამოწყობილ ბონდოს ხალხში გამოიყვანდა ხოლმე რუსეთიდან დაბრუნებული პუბლა. თითქოს ფეხშიშველა მოტანტალე მეზობლის ბავშვების შურისა და გაციების აღსაძვრელად რთავდა პუბულა მაშინ ბონდოს ასე უცხოად.

თითონაც ხომ ინდოურივით გაფხორილი დადიოდა მაშინ პუბულა, გოდორივით დარგვალბული, პარმალევით მიდგმული მკერდით, საესე მთვარესავით გაბადრული სახით, ლელვის მსგავსად დაყენებული თმით.

თუ ბონდოს მორთულობა გაციებს და აღტაცებს იწვევდა მაშინ ციცინოში, პუბულას ფარშავანგისებური მოკაზმულობა შურით აესებდა ალვასის გულს. „უნახავმა რა ნახაო“, — იტყოდა ალვასი გაამპარტაყენებულ-გაფხორილ პუბულაზე, რომელსაც ლარიბი მეზობლის ქალები თვალში აღარ უჩანდა. თითქოს დაცინვით ამბობდა ამას ალვასი, მაგრამ ყველაფერი მიიწე მის აღტაცებას იწვევდა. ყველაფერი საოცრად ეჩვენებოდა — უცხო რამ ყვავილივით გადაშლილი იაპონური ქოლგა, სპილოს ძვლისტარიანი მარაო, ბოა და მუფთა, რასაც პუბულა კარგსა და ცუდს ამინდში ერთნაირად ატარებდა და მისი სიმსუქნისაგან გაკუთხული თეძოებიც. ალვასის ხომ დღემდე შერჩა ეს შინაყმური აღტაცება სიპიტოს ოჯახის მიმართ. ალვასი და პუბულა დღესაც ზურგს უკან მუდამ ერთმანეთს კილავენ და ჭირდავენ, მუდამ ერთმანეთის ძვირს ამბობენ. ამ კილვას რომ კაცმა ყური დაუგდოს, იტყვის — ძაღლებივით არიან წაკიდებულიო, უერთმანეთოდ კი ერთ დღეს არ შეუძლიათ გაძლება.

მაგრამ თუ ალვასის და პუბულას მტერმოყვარულ დამოკიდებულებაში ხშირად ეონავს შური და სიზარბე, ბონდო ალვასის უზადო აღტაცებით მოსწონს, როცა მის ოჯახში ლაპარაკი ჩამოვარდება სამღვთოელ ახალგაზრდებზე და ასეთი ლაპარაკი არ შეიძლება ხშირად არ ჩამოვარდეს ისეთ ოჯახებში, სადაც გათხოვების პასაჟს მიღწეული ქალიშვილები არიან, ალვასი ბონდოს ყველაზე წინ აყენებს, მთელი სოფლის ახალგაზრდობაში გამოარჩევს ხოლმე, ცამდის აპყავს, უჭებს ქვევას, საზოგადოებაში თავდაჭერას. ჩხეთი მოლხენა და საზოგადოების ვართობა იცის, როგორც, მაგიჩემისგან გამიგონია, ერისთევებისას იცოდნო. რალაც ზეიადიძეების მოსდვამსო.

— რაცხა უცნაურია, სხივი აქ რაცხა სხვანაირიო, — გაიძახა მუდამ ჯღერისას ქალი, და ციცინოს ახლაც ყურში ჩასწვივდა ალვისის ალტაცების გამომხატული ეს „უცნაურია“; რალაც თავისებურად წაიკოს-თქვამს ამ სიტყვას ალვასი. ბონდოს ამ „უცნაურობას“ კიდევ უტყვის „შესახებ გამუდმებული ლაპარაკით ალვასის თავისი ჰაქს-შესახებ შეხვედრის განსაზღვრა თუ სურდა. ალბათ, ამიტომ თუ იყო, რომ ბონდოს ბათომიდან დაბრუნების შემდეგ ქიშვარდი აითვალწუნა ალვასიმ: ეაკუტაა. უკანდახეული, საზოგადოებაში დამორცხვება იცისო, მისვლა-მოსვლა და ლაპარაკი არ ეხერხებაო. ალვასის გულში ჯერ კიდევ სცოცხლობდა ძველი ქედმოდრეკილობა სიპიტოს ოჯახის წინაშე, სადაც ის წინათ თავის ქმართან ერთად შინაყმასავით მუშაობდა. სეფე ხომ ორ წელიწადს სიპიტოს ბუფეთში მუშაობდა მზარეულად. ახლაც ხომ ჰგონია ჯღერისას ქალს, რომ სეფეს ოჯახში ბონდოს საკადრისი არაფერი არის, ბოდიშებით რომ გაუწყალა გული.

მაგრამ საოცარი იყო, თუ რატომ იზიდავდა ცხოვრებაში გზა-გახსნილ ციცინოს ეს სასწაელებლიდან გამოგდებული, მუშაობაზე გულაყრილი „ალანცარია“ ბონდო? ახლა, ამ უხერხულ ღუმელში ხომ გრძნობს ციცინო, თუ რა უცხო, შორეულია მისთვის ბონდო. მაგრამ იქნებ ეს სიშორე და უცხოობა იზიდავს სწორედ, ან იქნებ ის თვისება ბონდოსი, რასაც ალვასი „უცნაურობას“ ეძახის. არა, ალვასის მიერ ბონდოს დაუსრულებელმა ქებამ უთუოდ გავლენა მოახდინა ციცინოზე და დააშორა იგი ქიშვარდის.

ქიშვარდი მოაგონდა უნებურად ციცინოს, რა დიდი განსხვავებაა ბონდოსა და ქიშვარდის შორის. თუ ბონდოს მარტო ჯარიანობაში ემარჯვება ოხუნჯობა და ხორხოცი, ქიშვარდი, პირიქით, სწორედ მაშინ ამოიღვამს ხოლმე ენას, როცა ციცინოსთან პირისპირ დარჩება. როგორი გულისხმიერია საუბარში, მთელი ყაზბეგის ზეპირად მოყოლა შეუძლია. როგორ გაუბრწყინდებოდა შავი თვალები, როცა „ელგუჯას“ ჰყვებოდა. ნეტა რად იცის დამორცხვება საზოგადოებაში, ქალიშვილივით რად წითლდება... რამდენი ხანია ქიშვარდი მათსა არ მოსულა ალვასის ბრალი, ბონდოს ჩამოსვლის შემდეგ რომ აითვალისწუნა, ცივად ხედება. კოსტაც დამნაშავეა, ვერ ითმენს კოლმეურნეობას მიზრობილ, გულდაგულ მომუშავე ხალხს. არა, თითონ ციცინოსაც მიუძღვის ბრალი. ბონდოს ჩამოსვლიდან რალაც ბურუსში გაეხვია თითქოს, მაშინვე ბონდოს წრეს მიეკვლია, თავისდა უნებურად მეტის-მეტად გაინაპირა ქიშვარდი. ალბათ, ბუტიაობს და განზე დგება, ფიქრობს ციცინო. თუ ჰგონია, რომ მე ბონდოსთან რამე „გრძნობა მაქვს“ და ამიტომ დგება განზე...

რატომღაც ამ ღუმელის წუთში მოენატრა ქიშვარდი. ქიშვარდი მისთვის ხომ ასე მახლობელია, ბავშობიდან თანშეზრდილი. მწვავედ მოუნ-

და მისი ნახვა. მაგრამ ნუ თუ ეს ბონდოსაგან სრული ჩამოშორების ფა-  
სით უნდა მოხდეს? ციციანომ იგრძნო, რომ ბონდოსაც ვერ შეეძლება ასე  
ადვილად. მას რაღაც აკავშირებს ბონდოსთან. უნდა შეიარაღოს უთუოდ  
ერთმანეთს ბონდო და ქიშვიარი.

ერკენულა

ამ ფიქრებში ვართულს დიასახლისის მოვალეობა შესაძლებლობა მო-  
აგონდა, როცა „მოპეტქმეხებულმა“ ღვინომ კორპი ამოავლო და ალვისის  
უცხოდ დაჩითულ სუფრაზე გადმოიღვარა. ციციანო დაფაცურდა, ნას-  
პინძლობას შეუდგა. ეხვეწებოდა ბონდოს, დედა ნუ მოგიკვდება, პატივი  
ნუ ვინდა, მიირთვი რამეთუ, მაგრამ ბონდოს რატომღაც გული არ უწევ-  
და ალვისის მიერ ასეთის გულმოდგინებით შემზადებულ ვახშამზე, მხო-  
ლოდ ვარიის ფრთა გაწიწკნა და ალუბალზე დაყენებულ არაყს აყო-  
ლებდა ზედიზედ ტანწერწერტ ჭიქიდან. ვერც ხაქაპურმა მოხიბლა და ვერც  
ვარიებმა. სიციხე მოიმიზეხა — არაფრის მადა არა მაქვსო.

ციციანო შეშფოთდა, სუფრა განზე მიდგა. მასპინძლის როლი ერთბა-  
შად მესასთუმლისაზე შესცვალა. მოიტანა ტილო და დოქი ცივი წყლით.  
წამდაუწუმ უცელის ბონდოს შუბლზე სველ ტილოს, თუმცა ავადმყოფს  
ვერცხვად დიდი სიციხე არ ემჩნევა.

უღღღღღში ჩაგარდა ბონდო. თავბედს იწყველის, რად შოვიგონე —  
სიციხე მაქვსო. ტვინი გაუყინა ამ სველმა ტილომ, მაგრამ ციციანოსთვის  
ვერ უთქვამს — არ მინდა ეგ ცივი ტილო თავზე, მომეშვი ესლიო. მაშინ  
ხომ ქალს ასე გვიან ღამით მის გვერდით ჯდომის საბაბიც აღარ ექნება.  
ამიტომაც, რომ მძიმე ავადმყოფის როლს იფერებს და ზოგჯერ სუნ-  
თქვას ყრუ კენესასაც ამოაყოლებს ხოლმე. სასიამოვნო ერთანტელი უც-  
ლის ტანში ქალის ალგანაინი ხელის შეხებისაგან. როცა ციციანო ტი-  
ლოს ადებს, სახეს ყოველთვის ისე მიიქცევს, რომ მისი ლოყა ციციანოს  
ხელის გულს მოხვდეს. ციციანოსაც უცნაური ერთგულა აიტანს ხოლმე ამ  
შეხებისაგან. უჩვეულოა ციციანოსთვის ყველაფერი ეს. პირველად უხდე-  
ბა უცხო მოწიფული ვაჟის მოვლა. და ბონდოც არა ჰგავს სხვა სამღვ-  
თოელ ვაჟებს. თითქო სოფლური იერი შეუცვლია, რაღაც სინაზე და კე-  
ლუცობა ემჩნევა ყველაფერში. ციციანოს თვალი მოსჭრა ბონდოს იასამ-  
ნის-ფერმა აბრეშუმის პერანგმა, ოქროს სამაჯურიანმა პაწაწინა ქალურ-  
მა საათმა, ნალოლიავებმა ფრჩხილებმა, ორივე ხელის ნეკზე მამლის დე-  
ზებივით რომ აქვს წაზრდილი. თითქოს გამომეტყველებაშიც, იდაყვზე  
დაყრდნობილი თავის გადახრაში რაღაც უცნაური დანაზება ემჩნევა  
ბონდოს.

მაგრამ ვერც ციციანოს მასპინძლობამ და ვერც მისმა მესასთუმლეობამ  
ვერ უშველეს ბონდოს საუბრის გამართვაში. ციციანომ იგრძნო, რომ ბონ-  
დოს საუბრის წყარო საბოლოოდ დაუშრა. ამიტომ პატეფონის დასადგმე-  
ლი პატარა მაგიდა მისწია ლოგინთან და პატეფონის დაქოქვას შეუდგა.  
მაგიდიდან ალბომი ჩამოვარდა. ბონდო ლოგინიდან გადმოიხარა, დას-

წედა და ფურცელა დაუწყო ალბომს, რომელიც აქრელებული იყო ლექსებით, ისრით განგმირული გულებით, ჩიტებით, ყვავილებზე მშვენიერი ბეპელებით, მთებიდან გადმომქუხარე ჩანჩქრებით, ერთმანეთისადმი გაწედილი ხელებით.

ერკენულნი

ციცინომ პატეფონის მომართვას თავი დაანება და გულმოდგინებით მიუჯდა ბონდოს. არ იამა, რომ ენაშვარე ბონდოს ხელში ჩაუვარდა მისი ალბომი, მაგრამ რა უნდა ექნა, ხელიდან ხომ ვერ გამოგლეჯდა ავადმყოფს. ბონდო კი გამოცოცხლდა, ამ ალბომმა თითქოს საკუთარ კალაპოტში ჩააყენა.

— ბიჭოს, პოეტები მომრავლებულან სამღვთოში! — სთქვა და ჩაიცინა.

პირველ გვერდზე ასახული იყო სკოლის დასრულებისა და ამხანაგებთან დაშორების „გულის ამჩუყებელი“ წუთები.

„ამ მსოფლიო ქვეყანაზე  
ბევრი სწულს და ბევრი ხარობს,  
ჩვენ კი გვინდა, ციციწო, რომ  
შენმა გულმა გაიხაროს“.

„ციციწო, დღეს უკანასკნელი დღეა ჩვენი სკოლაში ერთად ყოფნისა და ამ წუთს ყველა მოწყენილია და სტორის. დაუფიწყარო, ამხანაგო ციციწო. ვთხოვ, არ დაივიწყო მეშვადე ჯგუფი. არ შეღრკე მით, რომ დაეშორდებით ერთმანეთს და ველარ ვიზილავთ. არა, ეს არასოდეს არ მოხდება და არც ვფიქრობ ამას, რომ რომელიმე ჩვენთაგანმა დაივიწყოს ამხანაგები. ნუ დაივიწყებ ძველ ამხანაგებს, ისინი მუდამ მოგიგონებენ“.

და არა თუ შესავალი, მთელი პირველი ნაწილი ალბომისა ერთთავად ცრემლის ზღვა იყო. ეს ნაწილი 1930 წლამდე მოდიოდა და ის ყველა სხვა ალბომის გატკეპნილ გზას მისდევდა:

„ოდეს სიკვდილმა დაუნდობელმა  
ციცსა სამარეს მიმაგდოს მარად,  
მაშინ უმანკო შენი ცრემლები  
ამ ჩემ ნაწერსა დაეცეს ცვიარად  
და დაიძაბე, ჩემი და იყო  
აწ და მარადის, მარადის მარად“.

და ამ ტრაგიკული განწყობილებების გასამძაფრებლად იქვე თავის ქალა იყო დახატული. ვილიცას გული გასწყალებოდა ამ ზინზილით და სასაფლაოს მხატვრობით, გაბრაზებულს მიეწერა — „რა სულელური ნახა“.

ტიაო“. ამის საპასუხოდ ვინმე „ცელქს“ თავის მხრივ გონებამახვილად მიუწერიდა: „თვითონა ხარ სულელი, რომ ვერ მიხვდი, რა ნახა ვერა ეს, შენ ბატის ტვინო“. და იქვე გვერდით ფანქრის ფხვნილით მოყვანილ გულში ჩაწერილი იყო „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა“. *ერკუნეული*

ბონდომ მეორე გვერდი გადაფურცლა. აქ ახვირდებოდა ცხელი სიტყვების თხემზე შემდგარი, იალქნებ-შემოფხრევილი, უფსკრულის პირზე მიხდგარი ობოლი ნაფი იყო დახატული, ხოლო მის თავზე მოფარფარე თოლია.

მხოლოდ 1930 წლის შემდეგ დაწერილ ლექსებში ჰქროდა სულ სხვა სიო, სულ სხვა ანგზე ეღერდნენ, და სწორედ ამის ჩაასო კბილი ბონდომ.

„ჯერაც კიდევ მზის სხივები  
სოფელზე არ მოფენილა  
და შენ აღრე წამომდგარმა  
ჩამიარე გვერდში ტბილად.  
თოხი მხარზე ისე გშვენის,  
როგორც ვაკეცს ბარაქიანს,  
მიიჩქარი, რომ უშეელო  
ჩაის ბუჩქებს ბალახიანს“.

აქ ბონდოს სიცილი აუტყდა, ხველაც აუვარდა.

— ეს რა ახალი სიოს პოეტია! — წამოიძახა მან. შემდეგ სიცილისაგან ცრემლმორეულმა დაასრულა:

„ეკალის და გვიმრის მეტი  
რომ არ იყო, კარგად გახსოვს,  
მაგრამ დღეს კი მიტომ ხარობ,  
სიხარული გულს რომ აღხობს“.

ეს ვილაც მეორე აკაკი წერეთელიაო, წამოიძახა ბონდომ და ისევ ხარ-ხარი მორთო. მთლად თამარიანნივითააო.

„თოხი მხარზე ისე გშვენის,  
როგორც ვაკეცს ბარაქიანს“...

მთლად ისეთია, ბავშობისას რომ ვმღეროდით:

„ლექსი გითხარი ლექსიო,  
კოკმახურაზე შეგსვიო.“

— დიდებული პოეტია ვინცხაა, რომ გწერს, თოხი გშვენის მხარზეო. უფრო კარგი იქნებოდა, რომ ჩაეწერა, ძაან გშვენის ვოდორი ზურგშიო.



გოდორი მთლად პოეტური იქნებოდა. კაი გემოვნების კავალერი ყოფი-  
ლა. მაინც მითხარი, დედა ნუ მოგიკვდება, ვინაა მაგი „ვალდები“ რომ  
მოუწერია? ჭიშვარდი ხომ არ არის მაგი? ჭიშვარდიც ხომ სტახანოველია  
და იმასაც ზურგში გოდორ-მოკიდებული ქალები მოსწონს.

ციცინო გაკვირვებული შეჰყურებდა ბონდოს. წარბებზე შეუქრია.

— რა არის აქ ასეთი სასაცილო? — მიმართა ბოლოს ბონდოს. — შენ  
ხომ ირონისტი ხარ და არავის არაფერი მოგწონს, თორემ კაი გულით  
დაწერილი ლექსია. მაინცა და მაინც კოცნაზე უნდა დაეწერა ახლა, თუ  
რა! მუშაობა სასირცხვო ხომ არ არის?!. რატომ არ უნდა მოსწონდეს  
მუშა-ქალი? შრომა ვაქცალობააო, რომ სწერენ ვაზეთებში, არ წაგვიკით-  
ხავს შენ? ფონაც ხომ სტახანოველია და მისი სურათი „კომუნისტში“  
იყო დაბეჭდილი.

ფონას სახელის ხსენებაზე ბონდოს საზე უსიამოვნოდ დაეგრიხა. ფო-  
ნასთან ბონდოს ხშირად უხდებოდა შეჯახება. პირველი ბრიგადის ქალი-  
შვილებში ფონა ერთადერთი იყო, რომლის გულიც ვერ მოინადირა  
„შანციანმა ბიჭმა“, როგორც ბონდოს ეძახდნენ სამღვთოელი ქალიშვი-  
ლები. როცა ზოგჯერ ბონდოს მოეგუნებებოდა და გასართობად შუა-  
დღისას პლანტაციის ვადაივლიდა, მის გამოჩენას ფონა ყოველთვის და-  
ციინავი შეძახილით ხედებოდა: მობრძანდა კოლმეურნეობის გამგეო, რა-  
ზედაც მთელი ბრიგადა ხარხარს ასტეხდა. კვიმატ ლაპარაკში არც ბონ-  
დო ჩამოუფარდებოდა ფონას და ხშირად გაცხარებული პაექრობა გაიმარ-  
თებოდა მათ შორის, სანამ ბრიგადირი დანიელა არ დაიფრენდა ბონ-  
დოს — ზარმლობაზე ჩამოდიხარ და კიდეც ხალხს მიცდენო.

— არა, არ მომწონს ფონასთანა ქალები, — ტუჩაბრკით სთქვა  
ბონდომ და ალბომი განზე გადასდო. — ნამეტანი ყაძახივითაა. მერმე  
როგორი მკვებე ლაპარაკი იცის, კაცით შეგებმება ლაპარაკში,  
ერთიცაზე სინაზე არ აქვს. რაც გინდა სთქვი, ქალს ქალობა უნდა ეტ-  
ყოზოდეს. ამ ლაპარაკში ბონდომ წამოიწია და იდაყვებზე დაეყრდნო.  
კაცი იფიქრებდა, ასე კოცნალრძობი აპირობს არაბულა ცხენზე ამხედ-  
რებასო.

მისმა ნაუბარმა ციცილო ერთის წუთით მოსწყვიტა სინამდვილეს. ცი-  
ცილომ წარმოიდგინა, რომ თითონ ის იყო, ბონდოს წინ რომ მიაგვლევებ-  
და ამ სოცნებო „არაბულა“ რაშს — ბონდო თავის ჩაჩნურ ხალათ-  
ში და აზიურებში გამოწყობილი, ხოლო ციცილო ზოლებიან ტილო-  
აბრეშუმის კაბაში. როგორ დაამშვენებდნენ ერთმანეთს! ციცილოს ჯერაც  
არ გამოსვლია თავიდან ის სიტყვები, ვილაცამ გუშინ ბურთაობის წინ  
რომ წამოიძახა ერთად მოცეკვავე ბონდოსა და ციცილოზე: სწორედ ერთ-  
მანეთის შესაფერები არიან ეს შეჩვენებულლებიო. სხვისი გადალაპარაკება-  
გადმოლაპარაკება ახალგაზრდური გატაცებისათვის ხომ იგივეა, რაც ქა-

რის შემობერვა ცეცხლის გასაღვივებლად. ციციომ წარმოუჩინა, ვითომ ნათესავეებში მიდიან, პირველად—მამიდა ლილოსისას, ციციოს კრაკრება რომ ასწავლა, და მოეჩვენა, თითქოს ბორიო, ფანჯარაში რომ იჭრებოდა და ფარდას თავზე ახვევდა, ცხენების სრბოლს მსგავსად ნიავეჭარია, რომელიც მის ამაზონკას აფრიალებს. მაგრამ მშობლის სიტყვებში ამოკენესამ ერთბაშად გამოიყვანა ციციო ოცნების სამყაროდან და სინამდვილეს დაუბრუნა.

ბონდოს ზეზე წამოწევისას ნაღრძობმა კოკმა თავი გაახსენა და ტკივილისაგან საშინლად დაიგრძობა.

— ვაი, დედაც, კოკი! — ამოიგმინა.

თითქოს ამ ამოკენესებზე შეიცნო ციციომ, თუ რა უნიადაგო და ფუჭი იყო ბონდოს ოცნება კავკასურ ნაბადზე, არაბულა ცხენზე და ამაზონკზე. კოქნაღრძობი ბონდო ხომ იმიტომ იწვა ახლა მათსას, რომ შინ სიპიტოსთან ჩხუბი და ყაყანი მობეზრებოდა. მოაგონდა სიპიტოს დაუსრულებელი საყვედურები ბონდოს მიმართ, საცეკვაოდ რომ შეიყრებოდნენ, ოღას შანხარი რომ გაქჷონდა ბონდოს ჩამუხელისაგან:

— აბა სწავლაში და მუშაობაში არ ივარგე და ახლა მაგ ფეხების სანსალით თუ ააშენებ ოჯახს, მეგასაც ვნახავ! — ეუბნებოდა სიპიტო. მაინც და მაინც შორიდება არ იცოდა სიპიტომ ბონდოს სტუმრების წინაშე.

ახლა ერთბაშად ჩამოქვეითდა ციციო ოცნების რაშიდან. მისი ოცნება ამაზონკაზე ბონდოსადმი სიბრაღის გრძნობით შეიცვალა. ნიადაგს მოწყვეტილ სტენარედ მოეჩვენა. რაღაც მზრუნველობის გრძნობა აღეძრა ბონდოს მიმართ. გულში ციციო ჰეიშვილს პუპულას. უნდა გაამართლოს ბონდო, პუპულას გადააბრალოს მისი ყველა ნაკლი. მას ეკითხოს ბონდოს ცოდვა, იმან გააფუჭა, გაანებზიფრა, გააგულდიდაო, — ფიქრობდა ციციო.

— ეხ, კარგია კეთილი ცხოვრება, მაგრამ, შენ რომ ამბობ, მეგნაირი ცხოვრებით ახლანდელ დროში ამაზონკას კი არა, ჩითის კამბასაც ვერ შეიყვარავ. აბა, ძველადაც ვის ჰქონდა ამაზონკა და კარგი საგარეო ტანისამოსი? რაღაც ორ-სამ მოსახლეს მთელ სოფელში, — სთქვა ციციომ და თვალწინ ინდოურივით გაფხორილი პუპულა დაუდგა თავისი ბოთი, მუფთათი და სპილოს ძელის შარათი. — ვისაც არ გამოუცდია, ვერ იგრძნობს, რა ვაჭირება იყო წინად, მაგრამ მაინც ხომ ვახსოვს ბეოლის სხებაზე რომ მღეროდნენ ქალები:

„აპრილი აპრაგიდელი,  
ცხრაი და ათი მაისი,

ქალებო, ყაჭი დაისვი,  
 თუ შიტი იღარ გაკეთდეს,  
 კაბა-რუბაშკა ჩაიცვი“.



გერკონული

— წელიწადში ერთხელ პარკის გაყიდვაზე თუ ეღიწნებოდნენ, ეჭვი ეპარებოდათ თუ არა, რომ სიხარულით მოვლოდნენ აბრეშუმის პარკის გაყიდვას. — ციციწო ერთის წუთით ჩაფიქრდა ამ შორეულ წარსულზე და მერე განაგრძო:

— იცი, ერთი ჩვენი მეზობლის ქალიშვილი გაათხოვეს. ნიშნობაზე ნანათხოვრები კაბა ეცვა- მერე ქმარი სულ ეკითხებოდა თურმე, ნახვაზე რომ ვარდისფერი კაბა გეცვა, ის რა უყავიო, იმ კაბაში მომეწონე ძალიანო. საშინელ გასაჭირში ჩავარდა, სირცხვილით იწოდა. საწყალმა, არ იცოდა, რა ეთქვა, დედამამს ოჯახს ხომ ვერ შეარცხვენდა, ხომ ვერ იტყუოდა, დედამთილთან და მულეებთან — ნანათხოვრები კაბა გეცვა ნიშნობაზეო.

ბონდოს გაუკვირდა, რომ ამ ნანათხოვრებ კაბის ამბავზე ციციწოს რატომღაც საზე მოვლრუბლა და თვალის კუთხეებში ცრემლი მოადგა. ციციწოს ჩაეკითხა, აბა ვის ეცვა ჩვენს მეზობლობაში ნიშნობაზე ნანათხოვრევი კაბა, მე თუ ვიცნობო. ციციწოს სიწითლის აღმური მოვლო დაწვებზე.

მა თავისი უფროსი დის, გინატრის გასაჭირი უამბო ბონდოს, როგორც მეზობლის ქალიშვილის თავგადასავალი. ახლა თვითონვე შერცხვა, რომ ცრუთავმოყვარეობამ ნება არ მისცა სიმართლე ეთქვა თავისი ოჯახის წინანდელი ხელმოკლეობის შესახებ. და ერთხელ კიდევ იგრძნო ციციწომ, თუ რა შორეული და უცხო იყო ჯერ ბონდო მისთვის. აბა ქმნვარდის ხომ დაუფიქრებლად უამბობდა თავისი ოჯახის ყოველივე გასაჭირს.

ბონდო კი ისევე აცივდებოდა. მითხარ, ვინ იყოო. ციციწომ გვერდი აუქცია პასუხს.

— კარგია, რა გინდა, ვინ იყო, წასული ამბავია! შენ რომ ამბობ, — დაიწყო ციციწომ თავისი თავზე გაბრაზებულმა და საკუთარ ხმაში რაღაც უჩვეულო სიმტკიცე იგრძნო: — კაცს უნდა შეეძლოს ქალის რჩენაო. აბა მითხარი, რატომ უნდა იყოს ქალი ქმრის თვალების შემყურე, მთლად მისი მოიმედე? რატომ უნდა წამომძახოს კაცმა, მე გაცმევე, ვახურავ, გარჩენო? ისიც ორთვალა და ორფეხა არაა ჩემსავით? ახლა რომ ჩააბრეშუმებულ და ჩაკავერკოტებულია, ეს ჩაიში მუშაობითაა. თუ იმუშავენ, ამიზონკაც გექნება, პალტოც და ბოტიც, თუ დასაპყრდი და დაჯექი ნაცარში, ქე იქნები მუდამ ჩამოწეწილი. რა ჯობია შენი ხელით ნაშოვნს და შენაძენს!

— ეჰ, კაი ერთი, თუ ქალი ხარ! — სთქვა ბონდომ და ტყუილ თავიდან მოიშორა, — გულით ამბობ შენ ახლა მაგას? როგორ დარჯერო? რა სახალისოა ახლა ამ თავიარა სიცხეში ჩაის კრეფა? არ ვესმის, რას ეუჯიბრებით შენ და ჟონა ერთმანეთს? მე შენ ვერცხვავ, ვერცხვავ ვერცხვავ გამოხედა! ჟონა კიდევ პო, ისეთი მოდრანცულია. მწიფალი ხაჭაპურია. შენ კი სულ სარ გაეხარ მუშა-ქალს, ხომ გახსოვს კორესპონდენტმა რომ გითხრა გუშინ, კინოსთვის გამოდგებიო. დაგაუშნოებს ამდენი მუშაობა. ხედავ, თითები როგორ გათენგილი გაქვს ჩაის კრეფით! — უთხრა ბონდომ და ხელის გულზე ნაზად ხელი გადაუსვა.

ციციონომ თავის თითებს დახედა, მოაგონდა პირველი შეხვედრა ბონდოს ჩამოსვლისას. როგორ შერცხვა მაშინ თავისი შავთუთაში მოსვრილი თითებისა, და თავის თავზე ბრაზი მოუვიდა, ხელი გაინთავისუფლა ბონდოს ხელიდან, ცხარედ დაიწყო:

— არა, რატომ ამბობ ახლა მაგას, ბონდო?! შენ ვერ წარმოიდგენ, რა სახალისოა ბრიგადაში ჩაის კრეფა. ან და რა გაგაჩერებს სახლში, როცა ქვეყანა პლანტაციასია გასული? მე კი არა, მამაჩემსაც ვერ ვამაგრებთ სახლში, ვეუბნებით, მოხუცებული ხარ, დაისვენე, ნულარ მუშაობ, აწი ვეყოფა, ქე გარჩენენ შეილები-თქვა. ვერაფრით ვერ დავარწმუნე: — მთლად თუ არ დავსაპყრდი, სახლში რა დამაჯენსო. იცი, მე ჯერ სულ არ მიშვებდა ნენა ჩაის კრეფაზე, მკრთუბებოდა, ჭრა-კერვაში იმუშავებო. ქე გაქ ხელობა და რა გრჯის კოლექტივში მუშაობასაო. ნენაც, ჯღერიას ქალი რომაა, ამპარტაენობდა დედა შენივით, თავილობდა ჩაიში მუშაობას. მერე გაუგო გემო. წელს ასი დღე აქვს ნამუშევარი ახლა კოსტა რომ ჩამოვიდა ტაშკენტიდან, იმან აღსვარა ყველას გუნება. ბაქურის პიონერის გალსტუხი ჩამოადღლიზა, არ დამენახვო მაგ წითელი ტინკითაო. მთელი დღე ბლეჯელობდა ბაქურია. ნენასაც არ უშობს სამუშაოდ. დედა, რაფერ კალანდასავით მოველოდით მის ჩამოსვლას! რაფერ გაგვიცრუა იმედი! — ამოხვრით სთქვა ციციონომ.

ერთ წუთს დადუმდა, სახეზე ბინდი გადაეფინა, შემდეგ ისევ დაიწყო გატაცებით:

— არა, მართლა, ღამის თევასავით სახალისოა ბრიგადაში მუშაობა. შარშან ლათურში წაგვიყვანეს დამცველები სასწავლო კრეფაზე. ჩაქვიდანაც ამოვიდნენ. მკრეფავი რომ შეესია გადაეუფუნებულ ბუნქებს, მაშინასავით მუშაობდნენ ქალები. შენ ფაცია დოლიძე უნდა გენახა, რაფერ ღერიალობდა. დედა, რა სანახავია, სასწაულია პირდაპირ! კაცითვალს ვერ შეასწრობს, ისე ჩქარა კრეფს. ჟონა მებუთე ადგილზე გამოვიდა შეჯიბრებაში. მეც კარგად ვკრეფდი იმ დღეს. ჩემთან ფრტოვრადი მოვიდა, უნდოდა სურათი გადაერთმია, ერთ დიდ ბუნქთან დამაყენა, მე ბუნქის კრეფას რომ შეუდგეტი, ის აპარატს ასწორებდა. როცა აპარატა

— ეჰ, კაი ერთი, თუ ქალი ხარ! — სთქვა ბონდომ და ტელო თავიდან მოიშორა, — გულით ამბობ შენ ახლა მაგას? როგორ დაგეგერო? რა სახალისოა ახლა ამ თაკარა სიციხეში ჩაის კრეფა? არ შენაა, რას ეგვიბრებით შენ და ჟონა ერთმანეთს? მე შენ გეტყვი, დედა, ამერიკის გამოხვალ! ჟონა კიდევ პო. ისეთი მოღრანცულია, მეჩვეულსაა. შენ კი სულ სარ გავხარ მუშა-ქალს, ხომ ვახსოვს კორესპონდენტმა რომ გითხრა გულში, კინოსთვის გამოდგებო. დაგაუწნოებს ამდენი მუშაობა. ხედავ, თითები როგორ გათენგილი გაქვს ჩაის კრეფით! — უთხრა ბონდომ და ხელის გულზე ნახად ხელი გადაუსვა.

ციკინომ თავის თითებს დახედა, მოაგონდა პირველი შეხვედრა ბონდოს ჩამოსვლისას. როგორ შერცხვა მაშინ თავისი შავთუთაში მოსვრილი თითებისა, და თავის თავზე ბრაზი მოუვიდა, ხელი გაინთავისუფლა ბონდოს ხელიდან, ცხარედ დაიწყო:

— არა, რატომ ამბობ ახლა მაგას, ბონდო?! შენ ვერ წარმოიდგენ, რა სახალისოა ბრიგადაში ჩაის კრეფა. ან და რა გაგაჩერებს სახლში, როცა ქვეყანა პლანტაციოშია გასული? მე კი არა, მაშინმსაც ვერ ვამაგრებთ სახლში, ვეუბნებით, მოხუცებული ხარ, დაისვენე, ნუღარ მუშაობ, აწი გეჯობა, ქე გარჩენენ შვილები-თქვა. ვერაფრით ვერ დავარწმუნე. — მთლად თუ არ დავსაპყრდი, სახლში რა დამაჯენსო. იცი, მე ჯერ სულ არ მიშეებდა ნენა ჩაის კრეფაზე, მეჩხუბებოდა, ჭრა-კერვაში იმუშავეო. ქე გაქ ხელობა და რა გრჯის კოლექტივში მუშაობასაო. ნენაც, ჯღერობას ქალი რომაა, ამპარტანობდა დედა შენივით, თაკილობდა ჩაიში მუშაობას. მერე გაუგო გემო. წელს ასი დღე აქვს ნამუშევარი ახლა კოსტა რომ ჩამოვიდა ტაშეკტიდან, იმან აუსვარა ყველას გუნება. ბაქურობას ბიონერის გაღსტუბი ჩამოადლოლიზა, არ დამენახეო მაგ წითელი ჭინჭითაო. მთელი დღე ბლეჯელობდა ბაქურია. ნენასაც არ უშობს სამუშაოდ. დედა, რაფერ კალანდასავით მოველოდით მის ჩამოსვლას! რაფერ გაგვიცრუა იმედი! — ამოიხვრით სთქვა ციკინომ.

ერთ წუთს დადუმდა, სახეზე ბინდი გადაეფინა, შემდეგ ისევ დაიწყო გატაცებით:

— არა, მართლა, ღამის თევასავით სახალისოა ბრიგადაში მუშაობა. შარშან ლაითურში წაგვიყვანეს დამკვერელები სასწავლო კრეფაზე. ჩაქვიდანაც ამოვიდნენ. მკრეფავი რომ შეესია გადაფუფუნებულ ბუჩქებს, მაშინასავით მუშაობდენ ქალები. შენ ფაცია დოლიძე უნდა გენახა, რაფერ ღერიალობდა. დედა, რა სანახავია, სასწაულია პირდაპირ! კაცი თვალს ვერ შეასწრობს, ისე ჩქარა კრეფს. ჟონა მეხუთე ადგილზე გამოვიდა შეგვიბრებაში. მეც კარგად ვკრეფდი იმ დღეს. ჩემთან ფორტოგრაფი მოვიდა, უნდოდა სურათი გადაერთმია, ერთ დიდ ბუჩქთან დამაყენა, მე ბუჩქის კრეფას რომ შეუდექი, ის აპარატს ასწორებდა. როცა აპარატი

გააწყო, დამიძახა, აბა, ვიღებ ახლავ, მე ის ბუჩქი უკვე გარეული  
შქონდა. მეორე ბუჩქთან დამაყენა, სანამ ხელახლა მოაწოდდა აბრატს,  
ისიც ქე დავკრიფე. გამწარდა კაცი, გაჩერებულზე არ უმდოლა სურათის  
გადაღება.

სიზღიწიფიანა

ციცინოს თვალეზი, ჩვეულებრივზე უფრო წყლიანი, ვუფუნა გაუხდა,  
მთელი სახე გაუბრწყინდა. ისეთი აღფრთოვანებით ყვებოდა ამ შეჯიბ-  
რების შესახებ, თითქოს სურდა ბონდო ჩაის კრეფის სტაბანოველად გაე-  
ხადა. მათი კამათი იმ საჯომარდო ვარჯიშს ჰგავდა, ბაგირის გადაწევის  
რომ ეძახიან. თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ ვის გადასძლევს და  
თავის მხარეზე გადაიყვანსო. ბონდო ერთხანს მართლაც გაიტაცა ცი-  
ცინოს აღტაცებულმა თბრობამ, გულუბრყვილოდ შეეკითხა:

— რაფერ კრეფთ ამდენ ჩაის? რა ვიცი, მე რომ უცქერი ჩაის ბუჩქს,  
დუყს თვალით ვერ ვამჩნევ.

— მაგი იმფერი საქმეა, რომ თუ გულდაგულ არ მიუღეჭი, ერთ კი-  
ლოსაც ვერ მოჰკრეფ დღეში. მეც არ ვიცი, რაფერ ვკრეფ. პირველად  
რომ სწავლობ კრეფას, იბნევი, თვალი ავიჭრებოდა, გადაეუფუნებოდა  
რომ იყოს ჩაის ბუჩქი დუყებით, ისე მოგეჩვენება, ვითომ ახალი მოკრე-  
ფილიაო. მერე და მერე რომ გაეჩვევი, ტენიკას რომ გაუგებ, ადვილია,  
მიხეილ, დანახვა და მოწყვეტა ერთია. ერთ დუყს რომ წყვეტ, მეორეს  
ეძებ. დაღლალობას ვერც კი გრძნობ, ხელები, ასე გგონია, მისით მოძ-  
რაობენ. რაცბა გახალისებს შეჯიბრება, გინდა სხვას არ ჩამორჩე.

ბონდომ ჯიუტადა გაიქნია თავი, მოქანცა ამ ლაბარაკმა, მოწყენა იგრ-  
ძნო, რომ ამ საუბარმა ოდნავადაც ვერ დაახლოჯა ციციანოს. ციციანო  
ჯიუტად იღვა თავის აზრზე.

— არა, მავაში რაფერ დამარწმუნებ ახლა, რომ მუშაობა ასე გეხა-  
ლისებათ? ეპ, რა მოწყენილობაა სოფელში! ერთი ტირილში წავიდეთ  
მაინც სადმე, აი ფეხი რომ მომიჩრება. ცოტა გულს გადააყოლებს კაცი,  
თვარა საძაველ გუნებაზე ვარ. სკოლაში ამიწვიტინიეს და გამომავ-  
დეს, და აქაც ყველა მე შემომიჩნდა. თავის უბედური ვარ, მე ყველას  
კარგად ვეპყრობი, მე კი ყველა მემტერება. ქიშვარდიც სულ ჯიბრში  
მიღვას. ჩვენი ნათესავია და იმის წყალობით გაზეთში გამომქიქვს, ლექ-  
სი გამომითქვეს. ახლა ვერსად ფეხი ვერ გადამიღვამს, რომ პატარა ბე-  
შეებმა არ მომავყირონ „დობიროში ედურთე თავიო“. მე ყველასთან  
კარგი გულით ვარ, მე კი ყველა მიჯინდება. პესიმისტად გავხდის ასეთი  
მდგომარეობა, აბა რა იქნება! აბა სახლში მამაჩემს ქვა ვერ გაუძლებს.  
ნენა რომ არ იყოს, თავს დავიბრჩობდი, ან ტყეში გავეპარდებოდი. ვერ  
ვეწყობი მამიჩემის ხასიათს. ნამეტანი ეკონომია უყვარს, კრიყანგია. ვერ  
ავიწერ რა დღე დამაყენა ამას წინათ სტუმრებთან. პირდაპირ მომკრა  
თავი უცხო ხალხთან. იცი, ბათომში რომ ჩავბრუნდი ბარგის ამოსატანად,  
6. „მნათობი“, № 6 — 7.

ნაცნობები ამომყვენ შინ დედა ჩემმა სახლის მამალი დაჰკლა, ჩვენებურებიც დაეპატიეთ, ძაან მზიარულება გვექნებოდა, მარა მამაჩემმა ჩაგვიშაბა ყველაფერი. ჩემზე გულმოსული იყო, გაჯინიანდა, სტუმრებთან არც კი გამოვიდა. ჩვენ პარმალზე დავჯექით სადღეღმადღებლად კი, ოდის წინ ერთი რცხილის ჯირკი ევდო, განგებ მაშინ დღეღმადღებობა, ვითომ სხვა დრო ვერ ნახა ამისთვის. წარმოვიდგენია, რა მდგომარეობაში ჩავვარდებოდა? სტუმრებმა შეატყვეს მამაჩემს, რომ არ ესიაშვნა მათი მოსვლა. ასეა ყოველთვის, თუ რაიმე გამოსარჩენს გამოეღის, მაშინ სტუმარს ზედ გადაყოფა. ასე არ იყო, იმ იოსება ტენნიკოსს რომ გადაწურა თავზე, რაც ვადანახული კანიაკები ქონდა. ჩემი სტუმრებიდან აბა რა გამოსარჩენი უნდა ენახა და ამიტომ ქე მომჭრა თავი. იმ დღეს წავეინხუბეთ მე და მამაჩემი. სტუმრები რომ წავეინდენ, მომვარდა, აფტვირდა-დაყვირდა — შენ ჩემ ქონებას ქარს ვაატანო, ქეიფში და კარტში შეჭამო, მე კაპეიკს კაპეიკზე ვაწებებდი და ისე შევექენი ოჯახიო. ისეთი გულმოსული არ მახსოვს, არ ვიცი, რა ბუზარა შეუჯდა. ბრანისაგან ენა დაებორკა, ხელები უკანკალებდა. მე კიდევ ნალეინევი ვიყავი, გავებუმრე: რა ვქნა, ბაბა, ვაწებებ ამ წყეულ კაპეიკს კაპეიკზე, მარა არ ეწებება და რა უყო-თქვა. მე მეგონა, შეიშნობდა ზუმრობას, მთლად ვაცეცხლდა, როგორ ვათაუბლარდიო, ყბათ რომ მიღებ კიდევო. წამოიწია ჩემზე, ხელის შემოკვერა უნდოდა. დედა ჩემმა კივილი მოართო. იმან გააჩერა. ახლაც ძალიან აღრენილია ჩემზე. დედაჩემი რომ იყო სახლში, ნახევარჯერ სადილად არ გამოვიდიოდი, ნენას შემოჰქონდა საჭმელი ჩემ ოთახში.

— რაზეა ასე გულმოსული, კლასიდან რომ დაგიტხოვეს იმიზე? — შეეკითხა ცაცინო, რომელსაც ბონდო დიდათ დევნილ და დაჩაგრულ ადამიანად წარმოუდგა.

— არა, მაგას კიდე მოინელებდა. იმაზე სკდება გულზე, ოცი ოქროს თუმნიანი რომ გამომიგზავნა ბათომში „ტორგისინში“ ვადასახურდავებლად და მე წირვა რომ გამოუყვანე ორ კვირაში. ხომ იცი, მე ნათლია ჩემთან, იესიხისთან ვცხოვრობდი ბათომში. იესიხი სასტუმროს გამგეა. პო და მამაჩემს ჰქონდა თურმე დიდხინიდან ვადამალული ის ოქროს თუმნიანები. ელიზბარა ჩამოვიდა ბათომში, არაყი ჩამოიტანა გასაყიდი. იმისი ხელით გამოეგზავნა ის ოქროს თუმნიანები, ნათლია შენს ვადასახურდავებიო. ცხენის ყიდვას აპირობდა მაშინ. ვადასახურდავება მეც კი მოვახერხე. ერთი ამხანაგი მყავდა, ბერძენი მენავეის შვილი, არისტარხი პასბალიდი. იმ ოქროს ფულის ვადასახურდავებაში ის მომეხმარა და შექმაშიც იმან მიშველა. დიდი ხეთისპირიდან წაღებულა. იგეთი ყვინთვა იცის, რომ ზღვის ფსკერიდან ორშაურნიანი ამოაქვს. აბა ჩემ ჯიბეში რას დასტოვებდა! ნახევარი კარტში მომიგო. ყოველნაირი თამაში მასწავლა — ჩერე, ჩაქა, ფურთი, ტრილისტა. სანამ ვისწავლიდი, ნახე-

ვარი ქე მომიგო. მაინც ბედი არ ქონდა მამაჩემის ოქროს ფულს. სწორედ მაშინ ცირკი ჩამოვიდა ბათომში. არისტარხი ცირკის ქალაქს ვაცნო, მეც გადამიცა, რაც ფული დამრჩა, სულ იმათ მოეფინა/აი, ჩერე ძან სათამაშოა.

— სწავლას რად გაანგებ თავი, ახლა უაწავლელე <sup>მარკუნული</sup> გაგარა-  
გა? მართლა ის არითმეტიკის მასწავლებელი იყო დანაშავე, დედა შენი რომ სწეველის დღე და ღამე? — შეეკითხა ციცი, რომ საუბარი სხვა რამეზე გადაეტანა, — მართლა ასე ავი იყო?

— ავი კი არა, ცხვარივით კაცია, საშინლად გულკეთილი, უფასოდ ამაცალინებდა ჩამორჩენილ მოწაფეებს. მარა ისეა რალაც სასაცილო, დაბალი, დაგვაჯული, ლოტოს კოქს გავს, ფხიქვასავით შავი, თანზე უშველებელი კოქრო აქვს. ძველი ფასონის „ბუტილკა“ შარვალი აცვია, მოკლე, კოქამდე. რომ ნახო, სიცილით მოკვდები. ნამეტანი ხათრიანი კაცია და ხომ იცი, კისერი თუ დაღუნე, ყველა ზურგზე მოჯდომას მოგინდომებს. მოწაფეებს ავდებული ჰყავდათ, ალფაბეტას უძახოდენ. ისედაც ვერ ვიტანდი მათემატიკის გაკვეთილებს და ის ცირკი რომ ჩამოვიდა, სულ ქირივით შემძულდა. ერთხელ დამჯდარმა ეუბასუხე მასწავლებელს და იმაზე გამომავდეს სკოლიდან. იცი, ძალიან დალილი ვიყავი, მთელი ღამე ბილიარდს ვთამაშობდით მე და არისტარხი მეზღვაურების კლუბში. მეორე დღეს ალფაბეტას გაკვეთილზე ჩამეყვინათა. მასწავლებელმა გამომიძახა, ზეზეც არ აემდგარვარ, ისე უბასუხე, არ ვიცი გაკვეთილი-თქვა. ცხვარივით კაცია, მაგრამ ამან საშინლად გააბრაზა, როგორ ბედავ დამჯდარი პასუხის ვაცემასო, მეც რალაცამ შემიხუშტურა, სიტყვა შევებრუნე: „რაზე უნდა ავდგე, შენი სიმაღლე დამჯდარიც ქე ვარ-თქვა. მოწაფეებმა ისეთი სიცილი და ხმაური ასტეხეს, რომ მთელმა სკოლამ მოიყარა თავი, მასწავლებელი საშინლად ვაცეცხლდა, დღეიდან ან მე ვიქნები აქ, ან ქილიფთარიო. ამაზე გამომრიცხეს სკოლიდან. არა, ბედი რომ არ ექნება კაცს, ის არის. რალა ჩემს ბედზე ჩამოვიდა სწორედ წელს ის ცირკი! იმან ამიკრუა მთლად გული, თეარა იქნებ ქე მომებრჩო როგორმე იგი ტეხნიკუმი და მთლად ასე წყალ-წაღებული არ ეყოფილიყავი, — ნალღლინად სთქვა ბონდომ, ერთი წუთით მის სახეს ჩამოეცალა ჩვეულებრივი უდარდელობის გამომეტყველობა.

— წავალ, გადავიკარგები საღმე, — ვითომ სასოწარკვეთილმა სთქვა ბონდომ და ხელი ისე მოისევა ყელსა და მკერდზე, თითქოს ბოღმისაგან გული უწუხსო.

ამ დრამატიულ ეესტზე მისი მამლის დეზივით წაზრდილი ნეკის ფრჩხილი პერანგის ღილს მოედო და საკინძი გაეხსნა. ქალის თვალი ნის-და უნებლიეთ მოხვდა ვაეის მკერდს. უცნაური ბანახაობა გადაეშალა



ციცინოს თვალწინ: ბონდოს მკერდზე ქალის ზედა ტანი ეხატა, მომწვანო ლურჯ ტატუირობით შესრულებული. ქალის ვიწრო წელს თითქოს ხელთათმანში იყო ჩაქდობილი. ქვეშ სახელი იყო მიწვლილი კლარა.

ციცინოს განსაკუთრებით თვალში მოხვდა ვაჟის მკერდზე ამოდაღული ქალის აფუებული ძუძუ-მკერდი.

ზალაც წრეგადასული ვენებიანობით იყო ნაბატი ეს ქალის მკერდი. მის დანახვაზე ციცინოს სიწითლის აღმური მოედო სახეზე. თვალი მოაჩინდა. უნებურად საკუთარ მკერდზე დაიხედა. კაბის გულისპირი შეისწორა. ვაჟის მკერდზე დასკუპებული ქალი კი თითქოს გამომწვევად უცქეროდა ციცინოს. ნეტა ისე აქვს დახატული, თუ ვინმე ნამდვილი ქალის სურათია, — გაივლო მან გულში.

რალაც უცნაური მეტოქეობის გრძნობა აღედგა ამ თავხედურად მომზირალ ქალის მიმართ. ნეტა თუ მოსწონთ ვაჟებს ასეთი თამამი ქალები, გაიფიქრა.

ბონდომ შენიშნა ციცინოს შეკრთომა, მკერდზე დაიხედა სასწრაფოთ და პერანგის საკინძე შეიკრა.

მაგრამ უცებ გონების თვალით ციცინოს ოთახის მყუდროებიდან ცირკის ახმაურებულ დარბაზში გადავიდა. თითქოს ახლაც ჩაესმის ყურში მათრახების ტკაცანი, თოფივით რომ ვარდება, მოჯირითეების მალაყები ცხენის ზურგზე, დაგეშილი ფინიების აფორიაქებული წყავწყავი, ცხვირ-აღვივებული ტაკიმასხარების ღრეკა. მაგრამ ამ კალეიდოსკოპიდან მას ნათლად მხოლოდ ჯამბაზი ქალის კლარას თხილის წნელივით ღვეთო ტანი წარმოუდგება, ცირკის გუმბათის ქვეშ გაკიდულ ღერძზე მშვილდით გადადრეკილი. ათხსი თვალი მიშტერებია მას და ბონდოც თვალს ვერ აშორებს კლარას აფუებულ გულმკერდს, ზავერდის სამკერდულეობით შეკრულს. კლარას აღისფერი თმა, ყალბი მარგალიტების დიადემით შეკრული, ისლის ნაბარტყივით ჩამოიშალა ძირს, ქალი ნელ-ნელა ქანაობს გუმბათ-ქვეშ, მაგრამ აი ღერძზე გადადრეკილი ტანი საოცარი სისწრაფით იწყებს ტრიალს, — სამკერდულეობზე და კულდა ტრუსებზე მოვლებული ზიზილიპილოები თვალის მომჭრელად ბრჭყეილებენ და როგორც ვაჩალებული ნაკვერცხალი, სიბნელეში დატრიალებული, ერთი მთლიანი ცეცხლის ბორბლის სახეს ღებულობს, ისე ღერძის გარშემო მბრუნავი ქალის ტანი ერთიან მოელვარე რკალად იქცევა. თვალი ველარ არჩევს სხეულის ცალკე ნაწილებს. ბრუნვის სისწრაფე იმ დრომდე მატულობს, სანამ ცირკის დარბაზს არ შეარყევს მაყურებელთა ღრიალი — კმარა! კმარა! და კვლავ ნელდება მოძრაობა, კვლავ მშვილდით გადაიდრეკება ღერძზე ქალის ტანი, კვლავ ამოზურცავს საესე მკერდს. ირაოზე გასულ მიმინოს შეადარა პირველად ბონდომ ცირკის გუმბათის ქვეშ მოქანავე კლარა და ამ მიმინომ მაგრა ჩასქიდა კლანკები, აუმღერია

სისხლი, და თითქოს ამ კლანტების ნაჭრილობებზეა მკერდზე ამოდაღული ჭალის ეს სახე. შემდეგ მოაგონდა კლარას მკლავებზე გატარებული თავბრულამხვევი ღამეები მწვანე კონცხზე.

და ბონდო იგონებს ასეთსავე მთვარიან ღამეებს, როგორც ახლაც. ასეთ ღამეებში დადიოდნენ ისინი ცისფერ გვირგვინიან და ზინური იებიით, ჰორტენზიებით და ორხიდეებით დაფარულ კორდებზე, აყვავებული მავნოლიების, წერწყეტ ევკალიპტების, სანდალოვის ხეებისა და ხამროპსების, კრიპტომერებისა და მარაოსებრ გაშლილი პალმების ხეებში. ასეთივე მშვიდი ღამე იყო მაშინ, როგორც დღეს არის. ბუნების მენაინაეები, კრიკინები თავგამეტებით დასახოდნენ თავიანთ წრ... წრ... წრ...-ს და თითქოს მათი ხმით ძილმორეული ზღვა დუნედ აჩქებებდა ტალღებს ნაპირთან.

მთვარის შუქის განათებული ზღვის ზედაპირი თითქოს ასეტილად იღვავა და რეიდზე მდგომი გემები მდორედ ადი-ჩამოდიოდნენ ამ კედელზე. ზღვის ზედაპირი ოდნავ ირწყოდა, ზოგჯერ თუ წამოუბერავდა ზღვაური და მაშინ მსუბუქი ტალღები როკვით და რონინით წამოვიდოდნენ კენჭებით დაფარულ ნაპირისაკენ. მაგრამ ზვირთები ნაპირს ვერ აღწევდნენ, ტალღა ტალღაში იჭრებოდა, ამ კიდეში ძალა ელევოდათ. ქარწყლდებოდნენ და ჭაფი გაცრუებული იმედივით ქრებოდა ნაპირისკენ მოდენილ ახალ ტალღებს შორის.

— ძან ბუნების აღწერილობაა მწვანე კონცხზე! — სთქვა ბონდომ, თუნცა ამ ფერთა და სურნელებათაგან მხოლოდ კლარას ტანის მუსკამბროვანი სურნელება ჩაჩჩა მებსიერებაში.

— ამ საღამოების მოგონება ახლაც უმღერევს სისხლს, ახლაც ბონდო კარადის სარკეში მიშტერებია ციციოს მკერდს, მისი ენებიანი ხეღვა ცდილობს შეიჭვიტოს ასკილის ყვავილისფერ აბრეშუმის საფარველს მონა. მაგრამ რატომღაც თვალის ვერ შეუმართავს ციციოსათვის. უკვირს, ჭალის წელისკენ გაწვილი ხელი რად უდუნდება. ხელი მიიწვეს ციციოსაკენ, მაგრამ უჩვეულო გაუბედაობა ეუფლება ბონდოს ამ საღამოს.

მთვარის შუქი ფარდის ატურში იჭრება, რაღაც იღვმალ ნათელს ფენს ოთახს, საოცარ ფორაჯებად იშლება ციციოს სახესა და კაბაზე, თითქო გაზაფხულის უცხო პეპლები დამსხდარან ასკილის ყვავილისფერ კაბაზეო.

ხელი მიიწვეს ციციოსაკენ, უნდა შეეზოს ამ პეპლებს.

მთვარე თითქოს ბლონდით მოსაეს ციციოს, რაღაც პაეროვნად ზღის მას, თითქოს მთვარე სდარაჯობს მის კდემამოსილებას, იფარავს ბონდოს ხარბი თვალისა და ხელისაგან.

რა ემართება: ამ ტილომ თუ გაუცივა ძარღვებში სისხლი, ან ეს უცხო გარემო თუ აოკებს მის გამბედაობას, ან იქნებ ეს ბატონი უბიჯავს ღელებს, გოჭივით რომ ტრიალებს კრიკინა ტანსზე, ან ყურში, თითქოს მუჭარის ნიშნად, კლდს რომ აბაკუნებს პარმაოის იტაკზე.

— რა ვქნა, არ ვიცი, — ნალვლიანად დაიწყო ბოლოს მამაჩემს დაუჩემებია, ვინდა თუ არა გამეყარე, ცხენის ზურგზე ვადი და შენთვის დასახლდით. ცოტა მიწა და ხის მოსავალი შეგვრჩებაო. თურმე აწი ხის ნაყოფითაც ვერ ვისარგებლებთ იმ მიწებში, კოლექტივში რომ ვადავიდა. რა ვქნა, არ ვიცი, სად მაქვს ახლა ოჯახობის თავი...

ბონდო ისე შესცქეროდა ციციანოს თვალებში, თითქოს რჩევას და შეწყალებას ელოდა მისგან. ციციანოს ეუცხოვა, რომ ვაგი მის რჩევას და მღაირველობას საჭიროებდა. ბონდო ქიშვარდით უდრეკი და თავის თავში დარწმუნებული არ იყო. მას ეხლა ისე ეჭირა თავი, თითქოს გზაკვალი არევიდა და მეგზურს ეძებსო. ციციანო უნდა ყოფილიყო ეს მეგზური. და ციციანოს როგორღაც უცნაურად უტოკებდა გულს იმის განცდა, რომ არა თუ ლელობურთში, არამედ ცხოვრებაში დამარცხებული ბონდო მის დახმარებას საჭიროებდა. და თითქოს ამ მღელვარების დასაფარავად ისევე პატეფონს მიუბრუნდა.

გურული „ნანიანავდა“ დაუდო, ნაზი ნანიანა, გულს რომ ისე ესალბუნება, როგორც გრილი ნიავი ვახურებულ შუბლს ზაფხულის ცხელ დღეში. ნაზად ზუზუნებდნენ აბრეშუმის სიმები, მეოცნებე პანგზე ამოკონდათ ხმა მთქმელს და მოძახილს:

„სანამ ცოცხალ ვიქნები,  
შენ ჩემი ხარ, მე შენი“.

მხოლოდ კრიმანტული მიიწვედა ზევით, ვერცხლის ზარივით რეკდა, ნაირფერ ოქრომკედით ქარგავდა მუსიკალურ ქსოვილს, აჩუქურთმებდა უცნაური ხვეულებით.

— კარგი გრძნობების გამოხატულებაა, — თითქოს თავისთვის წარმოსთქვა ციციანომ.

აბრეშუმის სიმები მეტყველებდნენ მათ მაგიერ იმ მგძნობიარე სიტყვებს, იმ უჩვეულო ენას, რომლის მოსმენას ციციანო ამაოდ მოელოდა ბონდოსაგან. ბონდოც სულ განაზდა ამ ხმებზე. ციციანოს თვალებში შესცქეროდა და ხელზე ხელს უსვამდა, ციციანოს ხელი ლოყასთან მიიტანა. ქალი დააბნია ვაჟის ასეთმა სინაზემ. ამას სულ არ იყო შეჩვეული. მორცხვი და უკანდახეული სოფლელი ვაჟები ჯიქურად თუ მიეჭრებოდნენ ქალიშვილებს და გრძნობის გამოსახატავად ისეთის ძალით დაკრავდნენ მხარზე ხელს, რომ ბეჭს მოამტვრევდნენ. ბონდო კი ალერსიანი, კატასავით შემპარავი ხდებოდა. გრძნობდა, რომ იპყრობდა ქალის გულს

„სიყვარულმა გული დამწვა,  
სილამაზემ თვალები,“ —



ნალვლიან ჰანგზე ართავდენ მთქმელი და მოძახილი. მაგრამ ლოცვით, პირველ ტერფშივე იჭრებოდა კრიმანტულის საჩუქურთომო კვინდრის მარჯვენა და ამ ბინდს და ამზიურებდა ნალვლიან სიტყვებს, თითქოს მალამოდ ედებოდა „სიყვარულით“ დამწეარ გულს, თითქოს კრიმანტული შიგნიდან აშუქებდა მუსიკალურ ქსოვილს, მზიურ, იმედიან ელფერს აძლევდა ნას.

„აზვირთებულ ზღვას გაცეურავ.

შენ თუ გაღმა მეგულები“, —

იწყებდა პირველი გულდადაგული ხმით, რალაც სასოწარკვეთილების გამბედაობა ისმოდა ამ ხმაში, თითქოს წრეს-გადასული სითამამე. მაგრამ კრიმანტულის მოსწრაფებულ ხვეულებში:

„უა, უაზო, უაზო, ურუაზო, ურუაზო“-ში

მოისმოდა გურული სიჩაუქე, რალაც გულზვიადი გამოწვევა, თითქოს კრიმანტული ამბობდა „ძალი შემწევს წადილსაო“. აბრეშუმის ნაზმა სიმებმა კვლავ შექარა ისინი. კვლავ ამხედრდა ბონდო საოცნებო „არაბულა რაშზე“, კვლავ აიტაცა ციცინოს ცხენების ფლოკვების თქარათქურმა და გადაიყვანა ოცნების სამყაროში. მოგზენა, თითქოს ისინი, შეწყვეილებულ რაშებზე ამხედრებულნი, მიარღვევდნენ აზვირთებულ ზღვას, მისცურავენ საოცნებო ნაპირისკენ. სიმღერის მეორე მუხლში მთქმელიც, თითქოს კრიმანტულით გათამამებული, უფრო გაბედულად იწყებდა — აზვირთებულ ზღვას გავსცურავო, და ბონდოს ხელი ისე გაცურდა ციცინოსაკენ, თითქოს უნდა ცხენზე შეიმაროს და ჩამოვარდნისაგან გადაარჩინოსო. გატეხილი ღამის დაღლილობა იყო თუ ძილისპირულმა ნანინამ მოადუნა ციცინო, მან თითქოს ვერც კი იგრძნო ვაჟის ხელის შემოხვევა წელზე. ვნებით ატაცებულმა ბონდომ ვერ გააჩია, აბრეშუმის სილბო იყო თუ ქალის კანი, მისი ათრთოლებული თითები რომ ეხოზოდნენ. ვნებით შეპყრობილმა ქალი თავისკენ მიიზიდა. გაბრუებული ციცინო ერთხანს დაიბნა და ვაჟს მინებდა. მისი ლულამბარები ვაჟის ლოყას შეეხო, და ქალმა იგრძნო რალაც უხილავი ალი, იმისი მსგავსი, გახურებულ კეცისგან რომ შეუგრძენია, თმას შორიდან რომ შეუტრუსავს. თითქოს ბინდი გადაეფინა სახეზე, თითქოს რალაც აღისფერ ფრთებიანი დიდი ფრინველი აფართხუნებდა ფრთებს მის თავზე. ვაჟმაც იგრძნო ქალის ბავეტუჩის სიჩვილე და ის უცნაურად ნაზი სურნელება, აბრეშუმის აკაციის სურნელებაში რომ ერეოდა მთელი საღამოს განმავლობაში. ახლა შეიქნო, რომ ეს გამაბრუებელი ნულსაცხებლის სურნელება ასკილის აბრეშუმში გახვეული ქალის ტანის ფშვინვა იყო და ამის შეცნობისაგან თუ იყო, რომ რეტი დაესხა.

მაგრამ ამ დროს ოთახი რაღაც უცნაური ხმებით აივსება, რაღაც უცნაურად ბუყბუყებდა, ლულულულებდა, ყრუმუნჯივით სასაწიკვეთი-ლად ზმუოდა, რაღაც სამხეცეს კაკაფონია იყო ატეხილი.

ციცინოს პატეფონი დაუქოქავი დარჩენოდა და დისკოგრაფი ბრუნავდა, როგორც გელაზი გაჩერების წინ, წისქვილს წყალს რომ გადაუგდებენ.

ამ შენელებულ ტემპში ჟღერისაგან აბრეშუმის ძაფები თითქოს დამსხვილდნენ, თოკებად გადაიქცნენ. ნაზი წყრიალის ნაცვლად, უსიამოვნო გრუხუნის ხმას გამოსცემდნენ. ხმებმაც თავისი ადგილი გადაინაცვლეს, თითქოს ყველას ხმა გაუბოხდა. ვერცხლის ზარივით მრგვალი კრიმანქული ბანზე გადავიდა, მოძახილი მთვრალის დვრინად იქცა. შემდეგ სრულიად წაიშალა ტემპრითი ზღვარი შთქმელს, მოძახილსა და კრიმანქულს შორის. ყველაფერი ერთმანეთში აირია. მოისმოდა ქაოტიური ბუყბუყი, ლულულუდი, ზმუილი. ისეთი ხმები იყო, დათეს რომ აჯაგრებენ ბავშვების შესაშინებლად. ციციკოს რატომღაც მოელანდა დათვის ლულულუდი ჯარულაში.

ბონდო პირველი შეაკრთო ამ ხმებმა. შემოსალტული ხელები უშვა ციციკოს.

ციციკო ერთბაშად გამოერკვა, ბონდოს ხელებიდან დაუსხლტა. ვაჟს ისეთი განცდა ჰქონდა, როგორც მონადირეს, რომელსაც ბუჩქნარიდან ცხვირწინ ხოხობი აუფრინდებდა. ბონდო ბალიშზე დაეცა და სიმწარისაგან სახე დაედრიჯა, კინალამ გადმოვარდა ტახტიდან. ციციკოს შერცხვა, რომ ბონდოს ნაღრძობი კოკი ატყინა. გაუსწორა სასთუმალი და ტილოს დასველებას შეუდგა.

და ისევ გრძელდებოდა ღამე ალბომის ფურცელაში და ბათომის ამბების მოვანებაში.

გათენებული არც კი იყო, რომ სოფლის მყუდროება სკაჩიას ჩახლუჩაღმა ძახილმა დაარღვია:

— ყურადღება! ყურადღება! ლაპარაკობს სამღვთო! ამხანაგო ქალებო. მოათავეთ ოჯახობა! დააპურეთ ქათმები, აჭამეთ ბაღნებს, გაემგზავრეთ პლანტაციებში, დღეს პირველი ბრიგადა ჰკრეფს ნარუჯალში, მეორე ბრიგადა — ყრუს ნასახლებზე, მესამე — ოჩორჩხაში.

ბონდო თავის დღეში არ ამღვარიყო ასე ადრე და პირველად ესმოდა სკაჩიას საოხუნჯო „ტრანსლაცია“. ეს რადიოს მოშლილი „საყვირი“ იყო, რომელსაც სკაჩია ყოველ დილით უთენია ააჩხაველებდა ხოლომე და სოფელს ძილს უფრთხოებდა. მამახლუჩილი დიქტორის ნალაპარაკები გარკვევით არავის ესმოდა, მაგრამ ამ გადაცემის შინაარსი ყველამ ზეპირად იცოდა. ყველამ იცოდა, რომ ეს სკაჩიას ოინბაზობა იყო, დილით უთენია რამ მოვიდოდა კოლმეურნეობის კანტორაში. მის ჩახლუჩილ გადაცემას ქალები ყოველთვის სიცილით შიამხებდნენ:

— ვაი, დაიხრეხი შენ, სკაჩია!

მაგრამ მისი სახუმარო გადაცემა მაინც ყველას აგონებდა, რომ პლანტაციებში წასვლის დრო იყო.



მ ა რ ი ე ნ ე უ ლ ი

სკაჩია ომის ინვალიდი იყო, გერმანიაში ტყვედ ნამყარდა; ქრტიანებს ვაგაკი, მხეს რომ ეთამაშებოდა, ახლა მშვილდით წელში მოხრილიყო. მაგრამ კანტუზიას და ქრილობებს, სანგრების ტალახსა, წყალსა და თოვლში გდებას, ტყვეობაში გადატანილ გაჭირვებას ვერ ამოეშალა მის გულიდან ახალგაზრდული ხალისი. მთელი დღე კაპკაპივით დახტის. რა ხელობაა, რომ სკაჩიამ არ იცოდეს — სანადირო თოფების და ქოლგების შეკეთება, ვენტური სკამების გამოქსელვა. ასე გასიჩქვეთ, ახლა ველოსიპედების და პატეფონების შეკეთებაც კი ისწავლა. მაგრამ ესაა უბედურება, სამინლად მოუსვენარია. სახლში ვერ დგება. ყოველ დღე კოლმეურნეობის გამგეობაში უნდა ავიდეს. ყველაფერში უნდა ჩაერიოს, ყველაფრის შესახებ უნდა გამოსთქვას თავისი მოსაზრება: ახალი კულტივატორის აწყობის, ტუნგოს სანერგისთვის ნაკვეთის ამორჩევის, ფრენბურთის გუნდის ჩამოყალიბების, სახერბო ქარხნის ლოკომობილის გამართვის თუ საბარგულის გაფუჭებული მაგნეტოს შეკეთების, ბრიგადებს შორის გამწვევი ძალის თუ ნაკვეთების განაწილების შესახებ. ყველაფერზე დიდი რიხით კამათობს და ყველა თავის მოსაზრებას ჩვეულებრივად ერთი და იმავე საბუთით იწყებს.

— მაგ შე მკითხე შენ! პლენში რომ ვიყავი, იქ ჰქონდა მემამულეს ლოკომობილი...

ზოგჯერ იჭაც ჩაურთავს თავის ტყვეობის ამბავს, სადაც საბუთად არ გამოდგება და მაყურებლები სიცილს დააყრიან.

— საკოლმეურნეო ბრიგადებიც ხომ არ ყოფილა გერმანიის პლენში? ეს სკაჩია იყო, ახლა რადიოს მოშლილ რუბორს რომ აჩხავლებდა.

ციცინომ უნებლიედ გაიწია კალათებისაკენ. დღეს ნარუჯალაში კარგად მოსული, გადაეფუფუნებული ჩაი ეგულებოდა. რა მზიარულება იქნება. თანაც სტუმრის მარტო დატოვება ეძნელებოდა. კარგად ვერ გაერკვია — უხერხულად მიანდა თუ ენანებოდა ბონდოს დატოვება, ასეთი მუდარით რომ შესცქეროდა თვალბეჭდში. ყოყმანობდა, წასულიყო თუ არა ჩაის საკრეფად. კალათებს ხან ჩამრიღებდა კაულებიდან, ხან ისევ დაჰკიდებდა. ალვასი საუზმეს ამზადებდა. |

ციცინოს ყოყმანი პელოს ძმის ბიჭიკონას მოსულამ გადასწყვიტა. პელოს კოვერკოტის პალტოსათვის სასარჩულე მოეტანა. ციცინომ თავისი თავი დაარწმუნა, რომ პელოს პალტოს შეკერვა გადაუდებელი რამ იყო და დარჩენა გადასწყვიტა. ცოტა ხნის შემდეგ პირველი ბრიგადის წევრებმა ჩამოიარეს კალათებით და გოდრებით დახუნძლულებმა.

— დღეს ვერ წამოვალ, ქალებო, პელოს პალტო გაქვს (გასაოცრებელი) — გასძახა ციცინომ კიშკარზე მომდგარ ქალებს.

— ხო, ვიცით, რაცხა პალტო გაქვს შესაკერავი, მარჯვენა მხარეებით მიუგო ციცინოს სახეგაბადრულმა ეონამ. — წავედით ქალღმერთს, მხარეებით აპირებს სურათის გადაღებას, — სთქვა მან და ქალების ბრიგადა ნარუჯილასაკენ გაეშურა.

(გაგრძელება იქნება)



ჰაინრიხ ჰაინე

## ღაბრუნება სამშობლოში

1

სატრფომ შაბზნელ სიციცხლეში  
გამინათა ერთხელ ეშხით,  
მაგრამ მყისვე გაპქრა იგი  
და დავრჩი კვლავ სიბნელეში.

როცა ბავშვი ბნელში რჩება  
ეხუთება მაშინ სული,  
და შიში რომ განიქარვოს  
იწყებს მღერას ალგზნებულს.

მეც უცნობი ბავშვი ვმღერი  
გარს მარტყია ღამე ბნელი,  
და სიმღერით იფანტება  
შავი შიშის ჟრუანტელი.

2

მე არ ვიცი ეს რას ნიშნავს,  
რომ დამჩემდა დაღონება,  
და ზღაპარი ძველისძველი  
არ შორდება ჩემს გონებას.

საღამოა და რეინი  
ტალღის რხევით მილივლივებს,  
შთის მწვერვალი მოუქარგავს  
ჩამავალ შიშის ოქროს სხივებს.

ზევით, კლდეზე, ქალწული ზის  
თვალწარმტაცი, მომხიბვლელი,



და ივარცხნის ოქროსფერ თმებს  
ოქროსივე სავარცხელით.



შენის ოქროს სამოსელი  
სამკაული ძვირფას თვლების,  
და იმღერის აღზნებული  
გასაოცარ ძლიერებით.

მცურავი ზის ნავში მარტო  
შეპყრობილი სევდის ალით,  
ვეღარ ხედავს წყალში კლდეებს  
მიუპყრია ცისკენ თვალი.

აჰ, ტალღები ჩასძირავენ  
ჭაბუკ მცურავს თავის ნავით,  
ჯადოსნური სიმღერებით  
ამას იზამს ლორელი.

## 3

ჩემს მშფოთვარე სულს აღარ აბარებს  
გაზაფხულის მზის შუქი გრძნეული,  
ძველისძველ ციხის დიდ ბასტიონზე  
ვდგავარ მწუხარე ფიქრორეული.

ქვევით მდინარე მიიზღაზნება  
ის ლამაზია, მშვიდი, ცისფერი,  
ნაღვს მოაცურებს სიღრმეში ბავშვი  
თევზებს იჭერს და უსტვენს, იმღერის.

გალმა-კი მოსჩანს ჩამწყრივებული  
ძველ თალარების ლანდები ქრელი,  
ლურჯი ბაღები, ხალხით აღსავსე,  
ველზე ნახირი აურაცხელი.

სარეცხს რეცხავენ ქალები იჭვე,  
ხანაც მდგლოზე ხტიან სიპევირცხლით,  
და მოგუგუნე წისქვილის ქვევით  
მარგალიტებად იფრქვევა იფქლი.

დგას სადარაჯო მალალი კოშკი,  
როგორც კლდე რუხი და ხაესიანი,  
და წინ-და-უკან მიმოდის ღინჯად  
იქ ჯარისკაცი ფარაჯიანი.



ეთამაშება თავის თოფს იგი,  
მზის სხივებზე რომ ბრწყინავს, ელუარებს.  
— თოფი მხარს, სწორად სდევ ჯარისკაცო!  
ახ, ვისურვებდი მოგეკალ ბარემ!

4

დავეხეტები ტყეში და ვტირო  
მალალ ხეზე ზის შაშვი ხმატკბილი,  
რტოებს არბევს და თან უსტვენს ნაზად:  
— „რად ხარ მწუხარე, და მოწყენილი!

— მერცხლები — შენი ძვირფასი დები,  
რისთვის ვარ ასე, გეტყვიან უკეთ.  
ჩემი საყვარლის ფანჯრის მახლობლად  
საცხოვრებელი მათ ჰქონდათ ბუდე“.

5

ქარიანი ღამე არის, ბნელა,  
ცის ტატნობზე ვარსკვლავი არ ელავს.  
მწვანე ტყეში ვებეტები მარტო  
და ფოთლების შარი-შური შართობს.

შორით მოჩანს ტყის დარაჯის ბინა,  
ვბედავ — იგი ცეცხლის ალით ბრწყინავს.  
მაგრამ მე ის არ მიზიდავს, არა,  
იქ ყველაფერს მწუხარება ფარავს.

საეარძელში ზის ზებერი მკენარი,  
უსინათლო, მეტად შესაზარი.  
ქანდაკებას იგი მომაგონებს,  
სიტყვის თქმისაც აღარა აქვს ღონე.

ტყის დარაჯის ქერა ვაყიშვილი —  
იწყველებს, თავის ბედზე სჩივის.

ხან სიბრაზით იცინის, ხარხარებს,  
და თავის თოფს კუთხეს მიახალებს.

ტირის, ოხრავს ქალი ძაფის მრთველი,  
და ცრემლებით უსველდება სელი.  
ღრინავს, ბობღავს მის ფეხებთან აბლო  
მისი მამის მონადირე ძაღლი.



## 7

ჩვენ მებაღურის ქოხთან ვისხედით  
მოკამკამე ზღვის ვტკბებოდით ცქერით,  
აშაღლდა ცისკენ საღამოს ბინდი  
და დააბნელა ტატნობი ვრცელი.

შუქტურამ წითლად იწყო ციმციმი  
ზღვა გადასერა ალების ზოლით,  
და ჩვენ შევნიშნეთ კიდევ ხომალდი  
ნელინელ რბევით სივრცეში მსრბოლი.

ჩვენ ვბაასობდით გემთ დაღუპვაზე —  
რომ შეზღვაურთა სიცოცხლე მთელი  
ბეწვზე ჰკიდია ცის და ზღვას შორის  
და მათ სიხარულს შიში ფლობს ბნელი.

ვახსენეთ შორი სანაპირონი  
ჩრდილოეთი და სამხრეთი ვრცელი,  
მათი ხალხების ზნეჩვეულება  
საოცარი და გასაკვირველი.

განგის ნაპირი აყვავებული,  
მისი გიგანტურ ხეების ჩრდილით,  
ხალხი ლამაზი, მშვიდობიანი  
ლოტოსთან რომ ზის მუხლ-მოკეცილი.

და ლაპლანდიის პრტყელთაეა ერი,  
დაუბანელი, ტანად პატარა  
ცეცხლის პირს მსხდომი თევზს რომ ხრაკავენ  
და ყაყანებენ უაზროდ მარად.

ქალიშვილები გვისმენდნენ ხარბად,  
შემდეგ დუშილმა შეგვიპყრო ყველა,

თვალს მიეფარა ხომალდიც უკვე  
და ლამემ ზეცა ჩამოაბნელა.

## 8

მეთევზე ვოვოვ, კარგო,  
ხარ ლამაზი და მწველი,  
ნავი დასტოვე ნაპირს,  
მოდ, მომხვიე ხელი.

ნუ შიშობ აგრე დიდათ,  
მკერდზე მომაყრდენ თავი,  
შენ ხომ გაქვს მინდობილი  
ზღვისათვის შენი ნავი.

ჩემი გულიც ხომ ზღვაა,  
სჩვევია ლელვა დიდი,  
მის სიღრმეს ინახება  
პრავალი მარგალიტი!

## 9

მთვარემ სხივებით ააელვარა  
მოკამკამე ზღვის ლურჯი ზვირთები,  
მე საყვარელი მივიკარ მკერდზე  
და ჩვენი გულიც ატოკდა შვებით.

ძვირფასი ბავშვის სათუთ მკლავებში  
ვიგრძენ სიმშვიდე განუსაზღვრელი.  
— „ქარის შრიალი მოგესმის განა?  
ან რატომ გითრთის ეგ თეთრი ხელი?“

— „ეგ როდი არის ქარის შრიალი,  
ეგ ზღვის ქალწულთა მღერაა წყნარი,  
ისინი ჩემი დები არიან  
უფსკრულს ჩანთქმულნი, მიუსაფარი!“

## 13

გრივალი ცეკვავს, ზუზუნებს  
ღამეა გადარეული,



ჩენი ხომალდი მიფრინავს  
ზღვა ღმუის ცოფმორეული.

მთებისოდენა ტალღები  
შზუიან, ყალყზე დგებიან,  
თეთრ ქაფებს ზეცას აწვდენენ  
ურთერთს ეხეთქებიან.

შიშს შეუპყრია მგზავრები  
და მოელიან დახრჩობას,  
მე ვამბობ ჩემთვის: ნეტავი  
ათლა ჩემს სახლში მამყოფა!

## 15

ქუჩაში --- შენი ბინის მახლობლად  
ჩაივლი, როცა დილაა წყნარი.  
დავინახავ და გამიხარდება  
ხარ ფანჯარასთან მარტოკა მდგარი.

შენ მაკვირდები ცნობისმოყვარედ  
და მეკითხები თითქოს თვალებით:  
— შენ, უცხო კაცი, რა დაგემართა,  
ვინ ხარ, რისთვის ხარ ფერნამკრთალები?

— ვარ გერმანელი, ჩემს ქვეყანაში  
სახელგანთქმული, მგონად ხმობილი,  
იქ წარჩინებულ სახელებს შორის  
ჩემი სახელიც არის ცნობილი.

და რა მაკლია ჩემო გოგონავ?  
ვით ჩემს ქვეყანას — მეც ბევრი რამე.  
და უდიდესი გულისტკივილი  
მე არ მშორდება, ისევ მაწამებს.

## 16

ჩამავალი მზის შუქით ელავდა  
მოკამკამე ზღვის წიაღი ფართო,  
განაპირებულ მეთევზის ქოხთან  
ჩვენ, მღუმარენი, ვისხედით მარტო.



ჩამოწვა ბინდი, ზვირთი აგორდა,  
 იწყო თოლიამ ნაეარდი ზღვაზე,  
 და გადმოსცივდა ცრემლი დამწველი  
 შენს ლამაზ თვალებს, ტრფობით აღსაესეს.



ვხედავ ცრემლები დაგეცენ ხელზე,  
 მე დავიხარე მუხლებზე თრთოლით,  
 და თოვლივით თეთრ შენს ხელიდან  
 დავლიე ცრემლი — ანკარა ბროლი.

და იმ წუთშივე შევიქენ ავად  
 წამებისაგან მიკვდება სული,  
 ო, უბედურო, საბრალო ქალო  
 შენი ცრემლებით ვარ მოწამლული.

## 17

მთისა მწვერვალზე ლამაზი კოშკი  
 დგას ყვაველებით მთლად დაფარული,  
 შიგ სამი ტურფა ასული ცხოვრობს  
 ვიგემე მათგან მე სიყვარული.

შაბათს ვკოცნიდი ძვირფას იეტტას  
 იულიას კი — კვირა საღამოს,  
 ნაზ კუნიგუნდამ ანთებულ ვნებით  
 ორშაბათს შიძღვნა კოცნა საამო.

სამშაბათს კოშკში ქალწულთ გამართეს  
 ნადიმი დიდი და მრავალფერი,  
 და მათ ეწვია წარჩინებულნი  
 და საბატო სტუმარი ბევრი.

მე კი არ ვიყავ იქ მიწვეული  
 და მოუვიდათ სიბრიყვე დიდი,  
 შამიდებმა და ნათლიდედებმა  
 იჭორიკანეს, მორათეს ზითხითი.

## 18

შორს, ჰორიზონტზე გამოისახა  
 ვით ნისლოვანი სურათი დიდი,

ქალაქი თავის ციხე-კოშკებით  
გადანაბური საღამოს ბინდით.



უვარცხნის ქოჩორს და უხუჭუჭებს  
ნაცრისფერ ზვირთებს ნიავე გრილი,  
და უსვამს ნიჩაბს ჩემს ნავეში ზანტად  
მენავე კუშტი და მოწყენილი.

მზე კიდევ ერთხელ აიწევს ზევით,  
და ელვარება იფრქვევა მწველი,  
მე დავინახავ იმ ადგილს, სადაც  
დავკარგე სატრფო, იმედის მგვრელი.

## 20

დავებეტები ქუჩაბანდებში  
ეს გზაა ჩემი ნაცნობი ძველი,  
აქვეა ჩემი საყვარლის ბინა  
მიტოვებული, უკაცრიელი.

მაგრამ ვიწროა ქუჩები — მეტად  
ქვაფენილები — აუტანელი,  
სახლები ლამის დამენგრუნ თავზე,  
ბიწვჩქარები ნაბიჯით გრძელით.

## 21

ენახე დარბაზი — სად ერთგულებას  
შემპირდა სატრფო მწველ მებტყველებით,  
იმ ადგილს მან რომ ცრემლები ღვარა  
იკლაკნებიან ახლა გველები.

## 22

წყნარი ღამეა, გარინდულან ქუჩები თვლემით,  
ამ სახლში ჰქონდა ჩემს საუნჯეს ოდესღაც ბინა,  
დიდიხანია რაც დასტოვა მან ეს ქალაქი  
მაგრამ ეს სახლი იქავე დგას, სად იდგა წინად.

მის ახლოს მოსჩანს კაცის ლანდი — უცქერის ზეცას  
დაუკრეფია გულს ხელები. გრძნობს ტკივილს მწარეს,

შევზინდი, როცა დავინახე იმისი სახე  
ჩემი სხეულის ანარეკლი მაჩვენა მთვარემ.



საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
სამეცნიერო ცენტრი

შენ, თრეულო, მეგობარო, ფერმკრთალო მტრებო  
ზოდ ბაძავ ჩემი სიყვარულის დატანჯულ წამებს?  
ვინაც ამ ადგილს სამუდამოდ შე გამიმეტა  
და ტკივილებით დამითალბა მრავალი ღამე!

23

შენ იცი რომ ცოცხალი ვარ  
და ეძლევი ძილს უზრუნველს?  
ძველი ბოღმა გაიღვიძებს  
და დავამსხვრევ შე ჩემს უღელს.

შენ არ იცნობ ძველ სიმღერას —  
არ გსმენია არსად განა?  
მკედარმა ყრმამ რომ სატრფო ღამით  
სამარისკენ წაიყვანა.

ჩემო ბავშვო, მომზიბულელო,  
დამიჯერე ვარ ცოცხალი,  
და გახსოვდეს ყველა მტრებზე  
უფრო მეტი შემწვევს ძალი!

24

ოთახში მშვიდად მძინარე ქალწულს  
დალალებს მთვარე სხივით უფერავს,  
უცებ შეკრთება — მთრთოლვარე ჰანგთა  
მელოდიური მზესმისი ეღერა.

— მსურს გავიხედო, ნეტავ ვინ არი  
ტკბილ ძილს რომ მიკრთობს სიმების ეღერით?  
ხედავს: დგას ჩონჩხი იქვე სარკმელთან  
ქამანჩას უსვამს საკრავს და მღერის:

„ერთხელ დამპირდი ცეკვას ქალწულო  
სიტყვის გატება რისთვის დაგჩემდა?  
ღღეს გვაქვს ნადიმი სასაფლაოზე,  
ვიცეკვოთ ერთად, წამოდი ჩემთან!“



ქალწულს იმონებს ძალა ფარული,  
 ჩონჩხი კი მღერის ანთებულ სახით,  
 უეცრად იგი გამოვა გარედ  
 და ჩონჩხს მიჰყვება ნელი ცაბცახით.



ჩონჩხი იჩქარის, ქამანჩას უსევანს  
 ძელებს ჩხარუნით სიჩუმეს ბზარავს  
 მიბტის, შიცეკვავს და მთვარის შუქზე  
 შემადრწუნებლად შეარხვეს ქალას.

## 25

ვღვევარ, ვუცქერი საყვარლის სურათს  
 გარემოცული ფიქრებით მწველით,  
 და იღუმალად ჩემში ცოცხლდება  
 სახე ძვირფასი და საყვარელი.

თითქოს მშვენიერ მის ბაგეთაგან  
 გასაკვირველი გამოკრთის ღიმი,  
 და უეცარა ცრქვლებისაგან  
 სევდიან თვალთა იწყებს ციმციმი.

და უნებურად ჩემს ლოყებზედაც  
 მწველი ცრემლები ჩამოიღვარა,  
 ა, მშვენიერო, შენი დაკარგვა  
 ა შემიძლია ვიწამო, არა!

## 26.

მე ვარ ყველაზე უბედური ადამიანი  
 ძალმიძს ვატარო ტკივილები უზარმაზარი,  
 არაფერ არის მსოფლიოში ჩემზე ძლიერი,  
 ლამობს გასკდომას მკერდში გული მტკიცე, მაგარი.

ამაყო გულო, გოლიათო. შენ ხომ ეგ ვსურდა,  
 ორი მიზანი იყო მარად შენი დამწველი:  
 ბედნიერება სრულყოფილი ან უბედობა,  
 პირველის ნაცვლად შენ გმწვია უკანასკნელი!



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## 27.

მიპქრიან დღეები და მიაქანებენ  
თაობათ აჩრდილებს სამარის კარამდის,  
მაგრამ სიყვარული ჩემს გულში ფარული  
არასდროს მოკვდება, იცოცხლებს მარადის.

კვალად მსურს ვიხილო მე შენი იერი  
ვიდგე შენს წინაშე კრძალვით თავდახრილი,  
— ახ, როგორ მიყვარხარ ჩემო ქალბატონო!  
ტრფობით მომაკვდავმა ვითხრა სიტყვა ტყბილი.

## 28.

მესიზმრა: მთვარე სევდით მზირალი  
და მოწყენილი ვარსკვლავთ კრებული,  
თითქოს შორს — ჩემი სატრფოს ბინისკენ  
მივიჩქარადი გამაღებელი.

მივედი, ბინის შევალე კარი  
კიბის საფეხურს ვაკოცე ხარბად,  
რომელზეც მისი ფეხი დადგმულა  
და შეხებია ლამაზი კაბა.

მთვარიან ღამეს ეკვროდა სუსხი  
და კიბე იყო ყინვისებრ ცივი,  
და ფანჯრებიდან იცქირებოდა  
ფერმკრთალი სახე, აღსავეს სხივით.

## 29.

ობოლ ცრემლს ნეტავ რა სურს ვიციოდე  
სინათლეს მაკლებს, მტანჯავს, მაწვალებს,  
დიდიხანია იგი მესტუმრა  
და ჩემს თვალბში თრიაის და კანკალებს.

ვას ჰყავდა ბევრი და მოციმციმე  
მაგრამ ყველანი მოსწყდნენ ჩემს თვალბს,  
ზოგი თან გაჰყვა სიხარულის ქარს,  
ზოგიც — შემხუთველ ღამის ნაბრალბს.

და როგორც ბინდი განთიადის ეამს  
გაპჭრა ლურჯთვალა ვარსკვლავთა კრება,  
რომელიც გულში მე მაწვეთებდა  
ტანჯვა-ვაებას, სიამე — შეებას.



ახ, ჩემი ტრფობაც გაპჭრა ვით კვამლი  
და განეშორა ჩემს გულს ნაწამებს,  
შენ ჩემო ცრემლო, ობლად შთენილო  
უკვე დრო არის მოსწყდეს წამწამებს!

## 31.

აედარია, გრივალი ჰქრის,  
ციდან მოდის წვიმის თქეში,  
ვზივარ მარტო ფანჯარასთან  
ვიხედები სიბნელეში.

შორით მოსჩანს სანთლის შუქი  
და წყვილიაღში მკრთალად ელავს,  
ქუჩაბანდში ფანრით ხელში  
ვიღაც ქალი მიდის ნელა.

ეს დედაა, სახლში მიდის  
სანოვაგით დატვირთული,  
სურს ნამცხვარი გამოუცხოს,  
გაუხაროს ასულს გული.

ასული ზის სავარძელში  
უკამკამებს შუქით თვალი,  
და ტყბილ სახეს ულამაზებს  
ოქროსფერი თმის დაღალი.

## 32.

ყველას ჰგონია მე ესევედიანობ  
და სიყვარულის სენით ვარ ავად,  
მეც ასე ვფიქრობ — ეს მართალია  
ამაში უკვე ვრწმუნდები თავად.

ჩემო პატარავ, — მუდამ ვამბობდი  
შენი თვალების მზით მოხიბლული,

რომ გამოუთქმელ გრძნობით მიყვარხარ  
და სიყვარულმა გამოხრა გული.



ვიმეორებდი ამ სიტყვებს ხშირად  
როცა ვიყავი ოთახში მარტო,  
მაგრამ შენთან კი მე ვსდუმდი მარად  
და ვეძლეოდი ფიქრებს სადარდოს.

აღბათ ბოროტმა ანგელოზებმა  
სიტყვის თქმისაც კი წამართვეს ძალი,  
ახ, ჩემო თავო, მათი წყალობით  
გახდი უმწეო და შესაბრალო!

## 33

ზამბახის მსგავსი შენი თითები  
მინდა რომ ერთხელ დავკოცნო კიდეც.  
მივიკრა გულზე ის სიყვარულით  
და შემდეგ ჩუმად, ჩუმად აეტარდე.

ახ, იისფერი შენი თვალები  
არ მშორდებიან დღითა და ღამით,  
და მტანჯავს ფიქრი — ნეტავ რას ნიშნავს  
იმათი ტკბილი, ლურჯი კამკამი?

## 35

ორთავეს გულში ენთო აღმური  
და ატარებდნენ ტრფობას ფარულად,  
სურდათ ტრფილით დატანჯულიყვნენ  
და უცქეროდნენ ერთმანეთს მტრულად.

ბოლოს დაშორდნენ და ერთმანეთი  
სიზმარში ნახეს მხოლოდ თვალებმა,  
გარდაიცვალნენ და არ იცოდნენ  
მათ ერთმანეთის გარდაცვალება!

## 36

როს გაგიმხილე გულის დარდი და მწუხარება,  
თქვენ დაამთხარეთ და არჩიეთ ყრუ მღუმარება.

როცა აღგზნებულ ლექსით გითხარ ვარამი გული  
მაშინ ვისმინე ქების სიტყვა მე თქვენგან თქმული

ერკონულნი  
ხიზლირთიქა

37.

მოვუხმე ეშმაკს, იგი მეწვია  
მე გაოცებით შევაღლე თვალი,  
ის არც კოჭლია, არც საზიზლარი  
ტურფა კაცია, ოდნავ ფერმკრთალი.  
მომწიფებულნი ჰასაკით, კტულით  
არის ზრდილი და განათლებული  
დიდ დიპლომატის გონებით საესე  
კარგ მეთყველების ნიჭით გზნებული.  
შრომის უნარიც აქვს საკვირველი  
სოკრატს და ჰეგელს სწავლობს ის უკვე  
პოეტებს შორის აღმერთებს ფუკეს.

კრიტიკოსობის როლი დაუთმო  
ბებიას — საესეს მშვენიერებით,  
და დღეს ამართლებს ჩემს გატაცებას  
იურიდიულ მეცნიერებით.  
და მეუბნება — ჩემს მეგობრობას  
დიდ მნიშვნელობას არ აძლევს ახლა,  
თანაც იგონებს: ესპანელ ელჩთან  
დიდიხნის წინად ერთხელ რომ მნახა.  
როს დაეკვირდი მის სახეს კარვად  
მეც მომაგონდა, მართლა ვიგრძენი —  
ჩვენ ნაცნობები ვიყავით ძველი.

45

ჩემს სიმღერებში თუ ისმის კვალად  
ტანჯვით შობილი წუხილი წყნარი,  
ნუ გაგაკვირვებთ, არაფერია  
გთხოვთ ნუ იქნებით მოუთმენარი.

ვაივლის ფამი და დადუმდება  
გამოძახილი ტკივილის ძველის,  
და განახლებულ გულით გადმოსჩქეფს  
ახალ ჰანგების ნაკადი მწველი.

## 48

გულო რა მოგდის — ნუ იხუთები  
ბედს დამორჩილდი, გაუძელ ვნებას,  
და რაც წაგართვა ცივმა ზამთარმა  
ის გაზაფხულით დაგიბრუნდება.

ჯერ სიხარული მოგელის ბევრი  
მშვენიერია ქვეყანა ისევ,  
გულო გიყვარდეს შენ ყველაფერი  
რაც გხიბლავს, მოგწონს და გახალისებს.

## 49

ყვავილი ხარ წმინდა  
ტურფა, ნაზი მეტად,  
გიცქერი და გულში  
ისადგურებს სევდა.

მსურს ვილოცო შენთვის  
გითხრა სიტყვა წრფელი,  
რომ გამყოფოს ღმერთმა  
შარად მოშხიბვლელი.

## 51

როდესაც ვწევარ ოთახში მარტო  
და ირგვლივ მეფობს ღამე შავბნელი,  
მე თვალწინ მიდგას და არ მშორდება  
სახე ღამაზი და საყვარელი.

როცა შემიპყრობს თვლემა ფართლი  
და დამიხუჭავს ოდნაეად თვალებს,  
მყისვე გაჩნდება ჩემს ოცნებაში  
ქვირფასი სახე მე რომ მაწვალებს.

ღილით, როდესაც მარტო დამტოვებს  
მწველ ოცნებათა და ფიქრთა ჯარი —  
იგი მთელი დღე ჩემს გულში რჩება  
და განუყრელად სულ ჩემთან არის.



## 52

გოგონავ, წითელ ტუჩებიანო,  
შენი თვალები ლურჯად კამკამებს,  
ჩემო ძვირფასო და საყვარელო  
მე შენზე ფიქრით ვათენებ ღამეს.



გრძელია მეტად ზამთრის საღამო...  
ახ, ნეტავ შენთან მამყოფა მარტო,  
ვისსდევ შენს ახლოს მყუდრო ოთახში  
და საუბარით ტკბილით — გაგართო.

მივიკრა ბაგეს თავდავიწყებით  
შენი პატარა და თეთრი ხელი,  
და დავასველო ჩემი ცრემლებით  
შენი პატარა და თეთრი ხელი!

## 53

დღე მთაბარი აივსოს თოვლით,  
მზაფერი გრივალი საშინელ ქროლევით —  
ეხეთქებოდეს ფანჯრების მინებს,  
მე ეს სრულებით არ შემაშინებს —  
რადგან ჩემს მკერდში ფეთქს საყვარელი  
და გაზაფხულის შუქი ფარული.

## 54

ზოგი ლოცულობს მადონას ლამაზს  
და ზოგიც კიდევ პეტრეს და პავლეს,  
მე კი მსურს მარტო შენზე ვილოცო  
ო, მშვენიერო, მზეო ბრწყინვალე.

მიძღვენი კოცნა და ნეტარება  
იყავი ჩემთვის სიკეთით სავსე,  
დამწველო მზეო ასულთა შორის  
და უტურფესო მთელ ქვეყანაზე.

## 55

ეგ ჩემი სახე ნუთუ არ გიშხელს  
ვით მტანჯავს ტრფობა და საყვარელი,

შენ გსურს ისმინო ჩემს ბაგეთაგან  
თხოვნა მუდარის სიტყვები თქმული.

ო, ამაყია ეს პირი მეტად  
მას ძალუძს მხოლოდ კოცნა მხურვალე,  
დამკინავ სიტყვას წარმოსთქვამს მაშინ  
როცა ვერ უძლებს ტკივილის ალებს.



## 57

მე მსურდა შენთან ყოფნა ძვირფასო  
და მოსვენება შენს ახლოს ტკბილი,  
შენ იჩქაროდი ჩემს განშორებას  
და გიტაცებდა სულ სხვა სურვილი.

მე გაგიმხილე, რომ ჩემი სულის  
შენდამი ტრფობით ვარ შემწირველი,  
შენ რევერანსი მიძღვენ პასუხად,  
მორთე სიცილი გასაკვირველი.

და კიდევ მეტად შეყვარებულ გულს  
გაუძლიერე ცეცხლი დამწველი,  
განშორების ეამს ამბოროსაც კი  
არ მომეც ნება — ისე წახველი.

არაფერია... თავს არ მოვიკლავ  
რა-რიგ ვიტანჯო, ვიყვე ძლეული,  
ჩემო ძვირფასო და საყვარელო  
ასეთ რამეებს ვარ შეტყვეული.

## 56.

ძვირფასო, შენ ხარ შეყვარებული  
და ტკივილები გტანჯავს ახალი,  
გონებას ვიხშობს ბურუსი მკრთალი,  
და განათდება მგზნებარე გული.

ძვირფასო, შენ ხარ შეყვარებული  
თუმცა არ ამხელ და სდუმხარ მარად,  
მაგრამ ეილეთი ცეცხლს ვეღარ ფარავს,  
შიგ მოსჩანს გული ილით გზნებული.



## 58.

შენი თვალნი ტკბილად მოკამკამენი  
 მომხიბვლელი საფირონის ფერია,  
 ეპა, იგი სამგზის ბედნიერია  
 სიყვარულით ვისაც კი უცქერიან.



შენი გული, მკერდში ნაზად მტოკავი,  
 ნათელ შუქით სავსე ბრილიანტია,  
 ეპა, იგი სამგზის ბედნიერია  
 ვისთვისაც შიგ ტრფობის ცეცხლი ანთია.

ბავებები ლამაზ ლალის მსგავსია  
 ცივ გრივალს რომ ჯერ არ დაუსეტყვია,  
 ეპა, იგი სამგზის ბედნიერია  
 მიყვარხარო, ვისაც გრძნობით ეტყვიან.

ო, ვიცნობდე, ნეტავი, იმ ბედნიერს  
 ან მაჩვენა სადმე მოხეტიალე,  
 მის სიამეს მოვუღლებდი მე ბოლოს  
 დავტოვებდი ობლად — განატიალებს.

## 61.

მე მაწამებდა დღითა და ღამით  
 გამოუცნობი ფიჭვების რკალი,  
 მაგრამ განმკურნეს შენმა თვალებმა  
 და სასიცოცხლო შთამბერეს ძალი.

ეჭვნები მუდამ გარემოცული  
 შენი თვალების მწველ ბრწყინვალეებით,  
 თუმც არ მჯეროდა, რომ ჩემს გულს კვალად  
 დაიმონებდა ტრფობის ალები.

## 62.

დღეს თქვენ გაქვთ დიდი ზეიმი, ლხინი,  
 და თქვენი ბინა წარმტაცად ელავს,  
 გაჩირალდნებულ ფანჯრის მახლობლად  
 მაღალი ჩრდილი მოძრაობს ნელა.

მე აქვე ვდგევარ, ქვევით, მარტოკა  
 და სიბნელეში შენ ველარ მხედავ,  
 აბ, ერთხელ მაინც, ჩემო ოცნებაე,  
 ჩამოგახედა ჩემს გულში ნეტაე.

გულში — შენდამი დიდ სიყვარულის  
რომ ღვივის მარად აღმური მწველი,  
იგი თრთის, სისხლად იღვრება, მაგრამ  
ეს არის შენგან შეუმჩნეველი.



63.

მე ვისურვებდი ერთად-ერთ სიტყვით  
ვამომეხატა სევდა-დარდები,  
მიმეცა იგი ცელქი ჭარისთვის  
რომ შორს წაეღო მსუბუქი ფრთებით.

ის მოიტანდა შენთან, ძვირფასო,  
ამ სიტყვას, საეხეს სევდა-ვარამით,  
და მოისმენდი ჩემს მწუხარებას  
ყველგან, ყოველ წუთს დღითა და ღამით.

და როცა ფრთხილად ესტუმრებოდა  
შენს თვალებს თვლელა და სიმძიმილი,  
ვაიგონებდი ჩემს სიტყვას კვალად  
დაგიუფლებდა ვიდრე ღრმა ძილი.

64.

ვაჭქვს უამრავი თვალ-მარგალიტი  
რაც გასურს ყველაფერს განიჭებს ბედი.  
შენი თვალები მომზიბეღელია —  
ძვირფასო, კიდევ რაღა გასურს მეტი?

მე სიმღერები აურაცხელი  
ვუძღვენი შენს თვალებს — ტკბილ მოკამყანეს,  
ეგ სიმღერები იცოცხლებს მარად,  
ძვირფასო, მეტი კიდევ გასურს რამე?

მაგ მშვენიერი თვალებით ტურფავ  
მანამდე მტანჯე და გამაწამე,  
ვიდრე სულმთლად არ მომიღე ბოლო,  
ძვირფასო, მეტი კიდევ გასურს რამე?

••• გერმანული •••

ხარიტონ ვარდოშვილისა.



# დიდი ვარა

რომანი

ჟორანი 1)

— ყორანი! — ყვირის ადამიანი.

ყოზეფი ბალახიდან თავს ამოყოფს, თოფ-მომარჯვებული.

— ძალიან შორს არის, — ამბობს, — ვერ მოვახვედრებ.

ყორანი შორდება ფრთების ნელი რხევით. ისმის მისი ფრენის ხმა. დედამიწაზე დიდი სიმშვიდეა. მხოლოდ მინდვრის კიდეზე ნაკელის გროვა ჩუმად ხმაურობს, თითქოს რაღაც იწვისო.

— ეს რომ სანადირო თოფი იყოს, — ამბობს ყოზეფი, — მაშინ პო, ამით კი, აბა, მიდი და ერთი ტყვიით მოკალი!

— მეშინია, — ჩუმად ამბობს ბალახში მწოლარე ადამიანი.

— ვაგაკცს არ შეპფეროს ჭფრინჯლისა ეშინოდეს, ეღბნება ყოზეფი. — როგორ ფიქრობ, მე ნებას მივცემ, რომ დაგაჯდეს? შენ ფიქრობ, რომ მე, ჩემი თოფი... კარგი ვინმე ვყოფილვარ, თუ გეშინია!..

ყოზეფი ბალახზე დაიხრება, სადაც მთელი სიგანით მიწაზე გაშლართული ადამიანი წევს, უძრავ მხრებზე ხელს დაადებს და თავისი ბავშვობის ხმით მიმართავს:

— მე ვდარაჯობ, ძველო, შენთანა ვარ.

თვალებით დაუმატებს:

— მე, შენი ამხანაგი ვარ, მე. მაშ მეგობრობა არაფერი ყოფილა, თუ ვერ შეეძლებ ყორანისგან დაგიფარო!

— კარგი, — ამბობს ადამიანი, რომელმაც ყველაფერი გაიგო.

ყოზეფი თოფს ხელს გაუსვებს, ჩაიჩოქებს და ბალახზე გაწევბა. დუმილი დაეშვება და მთელი თავისი სიმძიმით დედამიწას დააწევბა.

— ფარაჯა გაიხადე? — ეკითხება ადამიანი. ყოზეფი არ უპასუხებს.

— გაიხადე მეთქი ფარაჯა? — ყვირის ადამიანი.

— რაო? — ვასცემს ხმას ყოზეფი.

1) დასაწყისი იხ. „მნათობის“ № 1 — 2-ში.

ადამიანი სწრაფად დაოთხდება. ყოველ მხარეს ათვალეირებს. მარჯვენა მხარი უფრო დაწეული აქვს, რადგან მარჯვენა ხელი უფრო მეტად უღევს.

— რა იყო? ისინი აქ არიან? მეძინა?.. ძველო, ტკივილი გაწუხებს?.

— არა, მხოლოდ გეკითხებოდი, ფარაჯა გაიხადე მეფე?..

— ხომ იცი, ძალზე დავიჭანცე, — ამბობს ეოზეფი, — თითქოს თვალეებს მოთხრიანო. აი გელაპარაკები, გიცქერი, შემდეგ კი უცბად, თითქოს უძირო კასრი ვიყო, როგორღაც ერთბაშად ვიცლები და ჩამეძინება ხოლმე.

— ფარაჯა გაიხადე? — ხელახლა ეკითხება ადამიანი.

— ჰო, ეგ შენც კარგად იცი, მაგრამ ახლა თითქმის ვერ ამჩნევ. გუშინწინ დავტოვე გამენის ტყეში კრევილის მახლობლად, იმ დროს, როდესაც ისინი ხილთან თოფის სროლით შეგვხვდნენ. გახსოვს, შენ მაშინ ბოძს მოეფარე?... ფეხებში მედებოდა, სირბილის დროს გადავაგდე... მითხარი, ძველო, დაიძინე?

— მეც გამხადე ფარაჯა, — ამბობს ადამიანი, — ნიავე რომ იყოს, თავს უკეთ ვიგრძნობდი. ეს საბანიც...

— გეტუროს საბანი, — ამბობს ეოზეფი, — ხელს ნუ ახლებ, ჯერჯერობით გფარავს, ხელს ნუ ახლებ... ტკივილები გაწუხებს?..

— არა, მტებლა და სიმძიმე მაწუხებს. ასე მგონია, ტალახში ვარ. არა, არაფერი მტკივა. ნეტავი წყალში ჩამსვა.

— წყნარად იწეკი, — ეუბნება ეოზეფი, — კარგს იზამ, თავს რომ ძალას დაატანდე და დაიძინებდე.

— არა, მხოლოდ ძილი არა, — ამბობს ადამიანი. — ხელი მომეცი ძველო. აი ასე, გეკიროს ჩემი ხელი. ჩემს ახლოს რომ ვგრძნობ, კარგია: ადამიანი საბნიდან ხელს გამოჰყოფს, და ეს ხელი ბალახზე პატარა შეცივით მიიკვლევს გზას, სანამ ეოზეფის ხელს შეეხება, ასე ხელი ხელჩაკიდებულნი რჩებიან.

გზა დაბლა ეშვება, დაცალიერებული, შემდეგ გორაკს უვლის და ზევით მიდის. ბოლოს ტყეში შეუხტევს.

— რამდენი ხანი იქნება, რაც ისინი წავიდნენ, ისინი, სხვები? — ეკითხება ადამიანი.

— დაახლოვებით ხუთი საათი.

— რა სთქვა ლეიტენანტმა? რომელ საათზე მოგეაკითხავენ.

— საღამოთი.

— მერე გვიპოვნიან?

— ფერდობზე ვართ, ზედ გზის პირას. მითხრა: ოთხთვალა მოვა, აქ დარჩითო.

— მითხარი...

— რა?

— უფროსმა ეკიმმა რა სთქვა?

— უფროსმა ექიმმა კი არა, უმცროსმა. უფროსი უკვე ცხენზე იჯდა. წინ იყო წასული. უმცროსი იყო, კიდევ ერთი არტილერიისტი და მე. ვუთხარი: ეს ეულია-მეთქი. შემდეგ ვკითხე: სად არის დაქვრივი მეთქი. ბარძაყშიო. მე ვთქვი: ჩემი ნაცნობია-მეთქი. შემდეგ მგაგრა მაგრა შეგებვიეს. არტილერისტს ორი პაკეტი შესახვევი მასხარა-მეტყველებს. რიდან ამოიღეს სქელი ახალი პერანგი. ზედ დაადეს და მოუჭირეს. შენი გადაყვანა ვუთხარი. ეცადეს. მაგრამ შენ გაიღვიძე და აღრიალდი. სწორეთ ამ დროს ასეულმა ჩაიარა, შემდეგ სამზარეულომ, და იქ იყო წითური ლეიტენანტი. ხომ იცი... ვუთხარი: აქ არის ეული-მეთქი. მიპასუხა: ოთხთვალაში მეტი ადგილი აღარ არისო. დარჩით მასთან, დაიცადეთ გზის პირას... მოგაკითხავენო. მაშინ არტილერისტმა მითხრა: ამხანაგი მეცა ჰყავს აქ. წავიდეთ, გადმოვიყვანოთ გზის პირას. შენთვის სულერთია, ერთს უღარაჯებ თუ ორს. იმასაც დასვამ ოთხთვალაზეო.

— სად-არის ის არტილერისტები?

— აგერ, პირდაპირ. შენ ვერ ხედავ, რადგან წევხარ. მე კი აქედან აგერ შენ გხედავ, მერე იმას.

— სძინავს?

— მან მოახერხა ჩაძინება და თავისი ტყვილების დაყუჩება.

ეოზეფი მკერდზე ხელს იკიდებს და ეუბნება:

— აი აქა აქვს ტყვია, სწორეთ შუა ადგილას.

— მომიახლოვდი, — ამბობს ადამიანი.

ეოზეფი უახლოვდება.

— დაიწიე.

ეოზეფი დაილუნება.

— ყური მიგდე, — ამბობს ადამიანი. — თუ ჩვენ ამას გადავურჩით, თუ ჩვენ ორივე გადავურჩით — შენცა და მეც, შენ ჩემთან სტუმრად ჩამოხვალ. სამხრეთიდან ხარ, არა? არც ისე შორს არის. ჩაჯდები მატარებელში და დიკონში ამოჰყოფ თავს. ჩვენც იქა ვართ. აი ნახავ, რა კარგათ მიგიღებს დედაჩემი. ჩვენ პატარა მოედანზე ვცხოვრობთ. დახურული ბაზრის მახლობლად. დედა უფოობით ირჩენს თავს. ნახავ, სამი მუშაქალი ჰყავს, შეიძლება გართობა. შენ დაბლა რბილ ტახტზე დაიძინებ. თუ შენს დიასახლისს ჩამოიყვან, ესეც მოგვარდება. ოჯახში ტკბილად ვცხოვრობთ, როგორმე მოვეწყობით. ჩვენს ზემოთ ფოსტალიონი ცხოვრობს, სულ დაეხეტება. თავის ოთახს დაგვითმობს ხოლმე... მე სტამბაში ვმუშაობ. ასე, ხუთ საათზე ვთავისუფლდები, შემდეგ კი, ვეტყვი: დღეს ჩემთან ეოზეფია-მეთქი, და წავალთ ერთად აღოლფთან და ნაკვერცხლებზე კარგ ლოკოკინებს შევაწვევიანებთ.

— ჰო, — სთქვა ეოზეფმა. — ჰო, ძველო!

ხეებს თეთრი ორთქლი ასდის, თითქოს ცეცხლი მოსდებიათო. იქ მიღლა, ნისლს ზემოთ მზე მგზავრობს; რუხი, პაპანაქება სიციხე ხუთავს ყველაფერს,

არტილერიისტი პირს დააღებს და ერთ წუთს ასე პირდაპირად რჩება. ისევ დამუწავს და სისხლის სქელი ჭაფი ნიკაბზე ჩამოედგება. ორჯერ, სამჯერ სჩადის ამას ჯიუტად, რის გამოც ნახევრად დასუსტულ ფერდაკარგულ თვალთა არშიას ოდნავ ფერი მიეცემა. მისი სისხლს თავი დააღწიოს, ბოლოს დაუსბლტება.

— მასვით! — ამბობს იგი.

— გამიშვი, — ეუბნება ჟოზეფი. — გესმის, მეორე წყალსა მთხოვს? ჟოზეფი არტილერიისტს თავქვეშ ხელს შეუყოფს. ფრთხილად წამოსწევს და ტურბთან წყლით სავსე თუნუქის მათარას მიუტანს. გასისხლიანებული ტურჩი მხეცივით იქცევა: დაეტაკება წყალს, დაღვრის, კბილებს ჩაავლებს თუნუქს და ბოლოს ხარბად დაეწაფება, სვამს წყალს.

— გმადლობთ... ტერეზა!

ვარდისფერი ნერწყვი მის ბაგეზე ბუშტებს იკეთებს.

ჟოზეფი მათარას შეანძრევს.

— წავალ, წყალს მოვიტან. — ამბობს.

ეულის შეხედავს.

— გესმის, წყლისთვის მივდივარ. მშვიდად იწეკი, ძველო. თვალში დახამამებაზე აქ გავჩნდები. არ იღრიალო.

— ყორანი?

— ძველო, ვაჟაკი ხარ თუ არა? ფრინველისა როგორ უნდა გემონოდეს? ფრინველის! გული გაიმავრე, გესმის, არ იღრიალო, აი იმის, მეორის ხათრით მაინც. ის წყნარად არის. სრულიად დადუმდა, შესძლო თავისი ტკივილების დაყუჩება. ისედაც გაჭირვებული, თავს ძალას ატანს, რომ მშვიდად იყოს. ამ წუთში აქ ვიქნები. ოთხთვალა თუ მოვიდეს, დააცდევინე.

დაღმართის ბოლოში, გორაკს გადაღმა, სამი მღუმარე შენობა შესცქეროდა ერთმანეთს: პურის ძნის სახმობი, ფერმა და საჯინიბო. დაფლეთილ მატყლის ლეიბს თავისი შიგნული გზაზე გადმოეყარა. ძნის სახმობი ცარიელი იყო. შუაში მხოლოდ ცხენის შარდის წუმზე იდგა და ძველი ტყავის ღვედი ეგდო. ჟოზეფი ფრთხილად შევიდა. პნელი კუთხეები დიდხანს ათვალიერა. ღვედი აიღო და აბზინდაზე მაგრა დაუწყო დახვევა.

ამ საჯინიბოში სამი ცხენი ყოფილა. ჯერ კიდევ იდგა აქ მათი სუნია.

— მაგრა გაუქლენთია აჭაურობა, — სთქვა ჟოზეფმა. — საკმარისია ჭალმა ცხენს ფაფარზე ხელი გზდაუსევას, რომ სავსებით დაიმორჩილოს.

ფერმაში კერაზე ანჯამებიდან ჩამოღებულნი ნახევრად დამწვარი კარი იდგა და იქვე ნაცარში კარის კავი ეგდო. რალაც რბილს დაადგა ფეხი, მკედარი ძალი ეგონა. ხვერდის ხალათი იყო, მუთაქასავით დახვეული. ალბათ თავქვეშ დასადებად გამოიყენეს.



ხოლმე, სურნელება, რომლისაგანაც საფეთქლები შადრევანის ტყეებით  
რეკს, თივისა და ცხენის ეს სუნი, ცხოვრების ეს სქელი სურნელება,  
რომელიც ქვესავით კანს უფხავს.

მარკუნული

ეჰ! ამას წინათ, ეს სუნი რომ ეცა, ფიწალი ხელიდან გამოსულია და  
ლებად რომ დაიხარა, ამ სურნელებით ყელამდე აივსო, და მოძრაობი-  
საგან საცვლებში გაენძირა ჭათამივით დახორკლილი ტანი, გასაფურჩქენად  
გააზადებულ, მაგრამ მოთენთილი. იმ წუთში ისე გრძნობდა თავს, თით-  
ქოს ფოთოლსა და ჭარში ჩაკარგულიყოს. რას დაუხუჭოს თვალები? თავი-  
დან ფეხამდე რატომ გახდეს უგრძობი, თუ ეს წამწამებში იჭრება და  
სხეულის მამოძრავებელ სახსრებამდე აღწევს, თუ ეს ძალზე კარგია და,  
ბოლოს, თუ ამაში აკრძალული არაფერია? გაიხსენა თავისი ქორწინების  
სალამო, როდესაც ღვინომ ყველაფერი თავდაყირა დაუყენა და ახალ-  
ახალი თეთრეულის ტანზე შეხება, კორსეტი, რომელიც მაგრა უჭერდა  
ყველგან, სადაც საჭირო იყო, და თვითონ ეოზეფი, რომელიც ჰკონცინდა,  
ტუჩებს უწევდა და ზედ აკედებოდა, თითქოს ნესეის ნაპერს კბეტსო.

იღლია კიბეზე ავიდა და ზვინიდან თივას დაუწყვო გლეჯა და შე-  
გროვება. თითქოს მაგარი ღვინის სურნელება ედებოდა ენას, სცემდა  
ცხვირში. ფიწალის ყოველი მოქნევით თითქოს უზარმაზარ ყვავილს  
უხსნიდა გულს. სანათის შუქზე მოსჩანდა, ყოველ მოქნევაზე როგორ  
ბოლაფდა ფიწალი.

სამზარეულოში დაბრუნდა. ზღურბლზე ფეხები გაიბერტყა. მთლად  
ზემოდან და კაბის შიგნით თივის მტვრით იყო დაფარული. მადლენა  
ქსოვდა თუ პერანგს აკერებდა, ვერ გააჩრევდი, ჩრდილი თითქმის სულ  
პფარავდა. მაშას ეძინა, მაგრა მოეკუმა ტუჩები, თითქოს ეშინოდა—  
ძი-  
ლი არ გაქცეოდა. კედლის საათი თავის გზას მიჰყვებოდა: რაკა-რუკი  
გაპქონდა. არაფერი არ იყო ამაში მიინცდამაინც გამამხნევებელი. გამხნე-  
ება ხომ სჭირდებოდა ხანდახან ადამიანს. ეჰ! ძნელია ქალისთვის უმა-  
ჩაკაცოდ დარჩენა. იღლიამ შეიყნოსა ხელისგულზე შერჩენილი ზორბა,  
ჯანმრთელი ცხენის მაგარი სუნი.

— ღამე მშვილობისა, მადლენა!—უთბრა მულს.

ზემოთ სანთელი აანთო და განზე გასწია, რომ მის სიმშურვალეს  
საათის შუშის ხუფი არ გაეტეხა.

სწორედ ამ ხუფის ქვეშ ინახება ნარიინჯისა და სანთლის ყვავილების  
თაიგულის ნაწილი და თეთრი მუსლინის ნაპერი. იქვეა ქორწინების  
დღეს გადაღებული მისი და ეოზეფის სურათი. ოჰ, ეს თეთრი ძაფით ნაქ-  
სოვი ხელთათმანები მოუხერხებელი რაღაც იყო. ეოზეფს ღილის კილოში  
ნარიინჯის ყვავილი აქვს. საფრთხობელაა სწორედ!

ლიფი მოიშვა, პერანგის საბეჭურები გაისწორა. დაიხარა, რომ უხეში  
ფეხსაცმელების ზონარი მოეშვა. ძუძუები ამძიმებს, ტყავის ზონარი ჩას-  
კნოდა. დაჯდომა აჯობებს. ტიტველი მკლავი ძუძუს ეხახუნება. შყერდი



ხელზე უფრო ცხელია. თათმანს ისე იხდის, თითქოს შინაურ გურღღელს ზყავს აძრობსო. თათმანს უკუღმა გადმოაბრუნებს, რაყვეწ უფლისგან ქუსლსა და ტერფს მიჰკროდა იგი. აი, ასე, სკამის საზღვრებში ჩამოსკიდებს გასაშრობად. ფეხებზე დაიხედა. სასიამოვნოა ტიტველი ფეხის თითების ამოძრავება. ეს თივის მტვერი ყველგან ჩადის, თათმანის თვლებში, ფეხსაცმელის ნაკერებში, ყველგან; ამის გამო ტანზე ყველაფერი ეწებება. ფეხები შეიშრალა და შეჩერდა, ფეხის ზურგზე მსხვილ ლურჯ ვენას ხელი შეეხო. ვენა კანქვეშ პატარა ჭიასავით გაბერილიყო და ცერის ყოველ მოძრაობაზე თრთოდა.

წამოდგა და თმის დასაეარცხნად ოთხკუთხიან პატარა სარკესთან მივიდა. ტიტველი ფეხით ქვის ფილებზე თავს ისე გრძნობს, თითქოს მორწყულ მინდორზე ცივ წყალში დადიოდეს. ხელზე კი სულ იგივე ცხენის სუნი ასდის... მატყლივით მძიმე შავი თმა გაიშალა. დაეარცხნა უნდა, მაგრამ თმა მხოლოდ მჯიღზე დაიხვია.

რაც არ უნდა გააკეთოს, ყოველთვის გრძნობს თავის ძუძუებს: როცა იხრება, მძიმდება, ხელს რომ ასწევს, კან ქვეშ რალაც პატარა ზონარივით დაეკიმება.

ყოზეფს ჰქონდა ისეთი განუყრელი სუნი, როგორც არის ცხენის სუნი, შრომისა და ღონის სუნი. ტანს რომ იხლიდა ყოზეფი, ცხვირი ეფლინებოდა ამ სუნით: კანისა და ოფლიანი ბალნის სუნით. ყოზეფს ასდიოდა ისეთი სუნი, როგორც აქვს ზაფხულში ძმრით, ხახვითა და მღოვავით მომზადებულ ცხარე სალათას.

იულიამ ზედა და ქვედა კაბები გაიხსნა და ორივეს ხელი ერთად გაუშვა. ტიტველი ფეხები ქსოვილის გროვიდან ამოიღო. შემდეგ მთელი ძალღონით თეძოები დაიზილა. თივის ნაფშენი ყველგან აღმოჩნდა, თითქოს შავი რწყილებით ყოფილიყოს დაფარული. მცირე ხანს ტიტველად ყოფნა მოსწყურდა, რათა თავის ტანზე ეგრძნო ეს მშვენიერი, ვარსკვლავებით სავსე, მწკლარტე ღამე და ასე მკლავებში ჩასწოლოდა აღპების ცივ ქარს, რომელიც გწმენდს და ტვინში მაცოცხლებელ ნექტარს უშვებს.

პერანგი გაიხადა, ტანის დასაზელად სქელი ტილო აიღო, სანთელი ჩააქრო და მივიდა ფანჯარასთან, რომელიც ვარსკვლავებსა და ქარს სუნთქავდა. ტილო ძუძუებ-ქვეშ ამოისვა, მერე გარშემო, შემდეგ ზედ ხელის გული გადაისვა. სწორედ ისე, როგორც მორწყვის დროს ტალახის შხეფებით დასერილ პატარა ნესცებს სწმენდნენ. მართლაც, ყველა ძარღვი და ღეროს ბოლოსავით მაგარი ძუძუს თავები ძალიან ჰგავდა პატარა ნესცებს. ისინიც ისე გამაგრებულიყვნენ და თითებში სკდებოდნენ. სიამოვნებას ჰგერის ძუძუების ასე ზემოდან გასუფთავება. გვერდები დაიზილა. რათა სიმსუქნის ნაკეცებს ჩასწედომოდა, კანის გაწვევა უხდებოდა. თითის წვერზე დახვეულ ტილოს ჰყოფდა შიგ, როგორც ღარში. წითური ბარკლები დაიზილა.

ლამეში ქარი დიდი ფრინველივით დაფრინავდა. აგვისტოს მიწურული იყო. მამაკაცების მიერ მიტოვებულ ნაპურალს, მზისაგან ცხლამხმარძნას პაერი პურის სუნით გაიფრინთა. ლამე მიყუჩნდა. ცხელიც.

იულის მთელი ტანი ფეთქავდა და ნეტარებას გრძნობდა. მისთვის, რომ გასუფთავდა, მტვერი მოიშორა და გახურებული სისხლისაგან თავის ეკვროდა. სიბნელეში ტანი უბრწყინავდა. იულია ტანს დააკერდა, ლამის სიბნელეში თავის თავს მთლიანად ხედავდა — ძუძუებიდან მოყოლებული ქუსლებამდე.

თემობებზე აქვს ორი ნაკეცი, რომელიც ლაჯებისკენ ეშვება, მუცელი პრტყელი და სალესი ქვასავით გლუვი.

თითის წვერებზე ოდნავ აიწვეს. კედლის საათის შუშის ხუფი წკარუნებს. ძუძუები არ იძვრის, მკვრივად, დაბაისლად მიჰკვრიან მიჩენილ ადგილს, როგორც კლდისაგან გამოკვეთილნი. ჟოზეფი იტყოდა ხოლმე:

— ეს ზამთრის ბოლოკებია. აბა, მიჩვენე შენი ზამთრის ბოლოკები, მოიტა აქ შენი ზამთრის ბოლოკები.

— ჟოზეფ!..

ძუძუს თავები ლელვის კვირტებივით დაებერა. ეპ! გული ისე მწყლარტე აქვს, როგორც მამაკაცისა და შრომის ნაცნობი სუნი.

აი, გაშალა ფართო ლოგინი, რომელიც ჟოზეფს ისე შესჩვევია. რომ მისი ნაწოლი ახლაც ზედ არის აღბეჭდილი. თეთრ ზეწარზე მოსჩანს ელაც კაცი. დაწოლილი აჩრდილი. იულიამ ზეწარი აპგლიჯა, დასკიმა, რომ წაეშალა... ჟოზეფის ადგილი მაინც ისევე დარჩა.

სუფთა პერანგი ჩაიცვა. ლოგინზე თავისი ადგილი დაიჭირა, გვერდით დაიტოვა ეს მამაკაცი—აჩრდილი.

ძილი მაშინვე მოეკიდა. ჩაძინებისას ხელზე კვლავ იგრძნო ცხენის სუნი. შემდეგ ხელი ბარკლებში ჩაიდო და ჩაიძინა.

## ხალხის სამოწყალოდ

ურმის თვალი წვივს უქექყავს, ხელნაში გაბმული ცხენი ყალუზე დგება და შემდეგ ოთხივე ჩლიქით მუცელზე ეცემა მას. ჟოზეფი იღვიძებს. ყვირილისაგან პირი ჯერ კიდევ ღია აქვს. ბნელი ლამე, გარშემო ყველაფერი ჯერ კიდევ ზანზარებს ყვირილისაგან.

— ლამე? როგორ? მამ აქ მიმატოვეს?

ბალახში მათარას ეძებს. ჯერ კიდევ ესმის ყვირილი. ხმა ზემოდან მოდის, ხეხილის ბალიდან.

— ეული! ეპ... ჩამძინებია!

თიხნარზე გარბის.

ვაშლის ხის ქვეშ დაეძებს.

— ეული, ეული!

— მურტალო! — ამბობს კრიჭაშვიკი ეული. — მურტალო! მურტალო ნაშიერო! წაბედი, გინდა მიმატოვო, ბოზის შეილო, ახლა გიბოზ, ვინცა ხარ!

ეოზეფი ათრთოლებული ხელებით დაეძებს ბალახს. *მურტალო, მურტალო*  
 ეხება მწოლარე, მთლად მოკრუნხულ სხეულს, *ღამ მუშაობს, კომედიც*  
 ბრაზითა და შიშით დღეს.

— ეული! კმარა, ეული! თავი შეიბრალე. დაფიქრდი, მითხარი... მე აქა ვარ. წყალი, გესმის, წყალი შენთვის და იმისთვის, მეორესთვის... შენ დევს ეს ძილი, ეული... მაშინ ხომ უკვე ადამიანი აღარ ხარ... რა შეგიძლია მაშინ...

— მურტალო, მურტალო! — ლულულებს ეული.

— თეძოთი მიწაზე ეთრიე, ამ თეძოთი? არა, როგორ შეიძლებაოდა, ძველო, გონება სად დაკარგე? მაშ ალარ მენდობი? მე კი...

— მტკივა!

— ეჰ, რა ჰქენი, ძველო! დარჩენილიყავი ბალახის ლოგინზე. ხომ კარგად მოგაწყე და ტკივილებიც დაგიშვიდე... შენ კი მიწაზე იხოხიალე. რა გინდა, ძველო? მომეხმარე, მეც ხომ მარტო ვარ, ეული!

ბალახის ლოგინიც შორს არ არის, იქვეა. გვერდზე ეგლო ბოხჩასავით დახვეული საბანი. გარშემო კი კედელივით აღმართულა ეს ცხელი, სასტოკი ღამე.

— მოდი, — ეუბნება ეოზეფი. — მოდი! ეცადე როგორმე ფრთხილად დაეყრდნო ჩემს ხელებს. ეჰ, მეც ეწვალობ.

— მტკივა!

— არაფერი სთქვა, ძველო! ნუ ლაპარაკობ. ხედავ, მოხერხებულად დავედი შენი ფეხი, ახლა ყველაფერი ისევ თავიდან უნდა დავიწყო, ამ უკუნეთ ღამეში.

ცდილობს თავის უხეშ ხელებს სინაზე მისცეს. თითის წვერებით ფრთხილად ეხება. ცალ ხელს კისერქვეშ ამოსდებს, მეორეს რაღაც ცხელსა და წებოვანს ჰკიდებს. კრილობის გარშემო რომ არის. შემდეგ მთელ ძალას მოიკრებს და ნელა გასწევს, რომ ადამიანი ბალახის ლოგინთან მიაჩოჩოს. ეულის ტკივილებისაგან ხრიალი ამოხდება. ეოზეფიც ისე დაიქანცა ამხანაგის სიბრალულით, რომ მხად არის გულის შესამსუბუქებლად ყველაფერი ეს ამოარწყყიოს, ამოანთხიოს აი აჰ, გზის პირად. დასტოვოს და გაეცალოს აქაურობას. ოღონდ აღარ მოუხდეს იმის ვადატანა, რასაც იტანს. მისი ძალა პატარა ნაკადულია სხვათა უბედურებასთან ბრძოლაში დაშრეტილი, დაღეული.

— დამშვიდდი, ძველო, დამშვიდდი! აი, ყველაფერი მორჩა. გაგივლის, როგორც ამას წინათ, დაგიაძდება ტკივილი. ნუ ტირი! ხელით აგაცლიდი მაგ ტკივილს, რომ შემეძლოს.

ღამე ცემენტავით მაგარია, მხოლოდ დედამიწის გულზე კენესა ისმის.

— დარჩი აქ, დარჩი ჩემს გვერდით, აღარსად წახვიდე, ხელს დამიჭირე, არ გამიშევა... აქ იყავ. მარტოს მეშინია! მელაპარაკე, მიახლო, რაც გინდა, არ ვჩივი. ოღონდ ილაპარაკე. მოვეკედები. რა ჩავიფიქრებ? რომ ასე უპატრონოდ ეკედები? როგორც მხეცი... მარტოდ-მარტო! ილაპარაკე. ჩემს წასაყვანად არ მოდიან. სთქვეს კია და უყურე მათ!.. წავიდნენ, მიმატოვეს. მტოვებენ! მარტოდ-მარტოს. ილაპარაკე! მოვეკედები.

— ძველო, ძველო, გონს მოდი!... არა, კარგი, მე ვლაპარაკობ. არა, ეგ მართალი არ არის, მე აქა ვარ. მაგას არ დაეუშვებ. არა, ეული, ჩვენ არ დაუტოვებიათ. ყველაფერი გაჰყვანილი იყო, ძალიან ბევრი ხალხი იყო. ლეიტენანტმა სთქვა, მოვალთო. გონს მოდი, ძველო, გონს!

თვითონაც ვერ ამჩნევს, როგორ ეფერება სახეზე თავისი დაბეჭდილი, უბეჭი, კოჭიკიანი ხელებით, თითქოს საფხეკელათი ეხებოდეს ბალანს ლოყაზეო.

— ხედავ, შენს პირდაპირ ვარ? შენთან ვრჩები.

ისე იქცევა, თითქოს ოდნავ ეცინებაო.

— აი, შეკლავებს გზვევ, ხომ გრძნობ? გულში გიკრავ, ხომ გრძნობ? ეთმანეთი ძალიან გვიყვარს. ასე ვიყოთ. აღარ გაინძრე. აცალე, ყველაფერი ისევ დაგიყურდება, როგორც ამას წინათ. ეცადე თავი დაიმშვიდო. მითხარი, ხომ გახსოვს, თქვენთან სტუმრად ჩამოვალ დიონში? ნუ სწუხარ, მარტო არა ხარ, ჩვენ ერთად ვართ, მე და შენ ერთად.

ამ სიჩუმეში არაფერია გარშემო. არაფერი, არც მიწა, არც ხე, არც ბალახი—სულ არაფერი. ეს სიჩუმე ცის კიდეს სწვდება, ცის დასალიერს.

ამ სიჩუმეში არაფერია გარშემო. არაფერი, არც მიწა, არც ხე არც ბალახი—სულ არაფერი. ეს სიჩუმე ცის კიდეს სწვდება, ცის დასალიერს.

— მე აქა ვარ, — ამბობს ყოზეფი. — ნუ გეშინია.

— ჰო, — უპასუხებს ეული.

ჩრდილოეთით, გორაკებს იქით ხანძარმა გაანათა. ცეცხლი შორს არის. კვლავ დუმილია გარშემო. სჩანს მხოლოდ მთართოლეარე სინათლე, რომლის ციმციმი დიდხანს გრძელდება დამის პირდაპირ. შემდეგ შესწყდება, არ იძვრის. ეს რჩება წითელ მიჯნად, ნაკვერცხლებად.

არტილერიისტი იძახის:

— ტერეზა!

— ჰო, — უპასუხებს ყოზეფი, — აქა ვარ.

ის, მეორე ლაპარაკს მოჰყვა. ლულულულებდა ხრიალით, სული ებუთებოდა. ყოზეფმა გაიგონა მხოლოდ: „პაწია“, შემდეგ: „მარტო“ და კიდევ ერთხელ „მარტო“, შემდეგ კიდევ: „პაწია, პაწია“.

— ჰო, ჰო, პაწია, — სთქვა ყოზეფმა, — ნუ სწუხარ.

ლამპარაკი რაღაც ბლუკუნით გაათავა. შემდეგ თავის საბანს რაღაც რბილი გადმოაფურთხა. სულს უკეთ ითქვამს. ეს, ალბათ, შემდეგებული სისხლის ნაფლეთი იყო.

ჟულის სძინავს.

ერქონულნი  
მისწინაჟიანი

— მაინც რა სთქვა ნამდვილად ლეიტენანტმა? — ფიქრობს ჟოზეფი. — მითხრა, ამითთან დარჩიო. როგორც კი შესძლებს, ოთხთავალა დაბრუნდებაო. როგორ გავიგოთ, სიმართლე მითხრა? როგორც კი შესძლებსო. ეს ნიშნავს, ახლავე, არა?! ეს ნიშნავს... ბოლოს-და-ბოლოს... თუ სალაშქრო ჰოსპიტალი სწორედ იქ არის. მაშინ ოთხთავალა დაიცილება, გამობრუნდება ჩვენს საქმბნელად. თუ ცოტა უფრო შორს არის, მაშინ შეიძლება შეუგვიანდეს. რას ეძახიან იმ ადგილს? ბეზონკურს? ბეზონკურს? მაშინ. ჰო, ოთხთავალა მიდის ბეზონკურამდე, დაიცილება და მოვა ისევ, რომ დაიტვირთოს, მორჩა და ვათავდა. თუ მხოლოდ კიდევ აქედან გზაზე დაქრილები რა დასტოვეს... მერე რა — ოთხი ერთ გვერდზე, ოთხი მეორეზე, რვა ადგილია. ჟულის რომ ახლავე დავხმარებოდით, მე ფიქრობ, კიდევ ეშველებოდა რამე, ჰო, ჰო...

განთიადი როგორღაც ქურდულად მოიპარა. მაშინ მოკვდა არტილერისტი. იგი შეეცადა ღრმად ჩაესუნთქა და შუა ჩასუნთქვაზე ვათავდა.

ჟულის ისევ სძინავს. ლოყებს შუა ადგილი წითელი აქვს, წვერებქვეშ კი ფერი დაჰკარგვია. „ცუდად გამოიყურება“, ფიქრობს ჟოზეფი.

მაშ ასე, არტილერისტი სამუდამოდ დამშვიდდა. სიცოცხლის ნიშანი წყალი ჯერ კიდევ უმაგრებდა ამობურთულ მკერდს, ახლა უცბად ორმოდ გადაეჭვა, თითქოს სახურავი ჩაენგრათ.

— აქაურობას უნდა გავეცალო, — ამბობს ჟოზეფი. — არ შეიძლება ამის გვერდით დატოვება, ბუზების გამო და არც ისე.

ფიქრობს:

— ვაცივდეს თუ ვაცივებამდე? როგორ აჯობებს? მოვიცადო თუ? ამასობაში ჟულის რომ გამოეღვიძოს? ვითომ ვაცივებულის წაღება უფრო ადვილი იქნება? ოღონდ მხრებზე გავიდო, თავით ზურგისკენ. მეტი არაფერი.

თეძობებში ზელი მოჰკიდა და გვამის სიმძიმე მოსინჯა.

— აბა, წავიდეთ.

შემდეგ დაუმატა:

— მოიცა, ძველო!

ძნელი იყო ერთბაშად აწევა.

— აბა, ძველო! აბა...

ძლივს გაიდო მხარზე.

— ასე!

და ვასწია, მინდორი ვადასჭრა. წავიდა, რომ ღობის იქით დაესვენებინა, შემოთ. ბალთა მოხსნა: ეს იყო სელესტენ ბურჭი.

დღე მთლად დანისლულია. არ არის არც ხეები, არც ვორაკები—არაფერი. ყველაფერი სადაც იქ არის, თეთრ კედელს გადაღმა დარჩა მხოლოდ ცოტაოდენი ბალახი, სადაც თვითონ ზის და ეწოდება წიფლი და შავი ლაქა: ვაშლის ხის ტანი, აი, იქ მოკვდა არტილერისტი.

ერკუნული  
ნიკოლოსი

არაფერია გარშემო. ეულიმ გაიღვიძა. თვალები გაახილა. ეოზეფს შეხედა, შემდეგ ნისლის დიდ ნაჭერს მიაშტერდა და ასე დარჩა. ისევ რუხია, სულ ერთფეროვანი გარემო. მაგრამ ეული თითქოს რაღაცას არჩევს სიღრმეში.

შემდეგ თვალებს ხუჭავს.

— მოეა ხომ, ოთხთვალა?

ნისლი შაჭარივით ბრწყინავს.

„ოთხთვალა ხომ მოეა“? იმეორებს თავისთვის ეოზეფი.

გარშემო რაღაც დამბლის სუნია. ეოზეფი წამოდგება. ცოტახანს გაჩერდება, ყურს უვდებს, ეულის ხომ არ ეღვიძება. არა, ღრმა ძილისთვის მიუცა თავი. ეს სუნი საიდან მოდის?... ეოზეფი არტილერისტის დასახელებად წავიდა. იგი ისევე წევს, როგორც იყო. სახე მიწაში აქვს. ქვეშ მიწა შესველებია, მაგრამ სუნი არ ასდის. არა, ეს ჯერ სუნს არ უშვებს. პირიქით, გვამს რომ უახლოვდება, სუნი იკარგება. ეულისკენ რომ ბრუნდება, სუნი კვლავ ჩნდება. სუნი ახლა უფრო ძლიერად სცემს. მაშ...

ეულის მხარზე ხელს ადებს, მის გვერდით დაჩოქებული.

— ეული,—ეუბნება,—ეული! ჩემო ძველო, გაიღვიძე მშვიდად, გაიღვიძე მშვიდად, ძველო!

— რაო?—წამოიყვირებს ეული,—რაო? ოთხთვალა?

— არა! გამიგონე...

ბოლოს ეოზეფმა გადისწყვიტა. ხმა უთრთოდა.

— ცოტა შენს ჭრილობას უნდა დაეხედო, ძველო.

საბანს გადახდის.

— აი სად ყოფილა! — ემორებს შარვლის დაფლეთილ მაუდს, ბანდუშის ხლართებს, ჭრილობაში ჩატოვებულ დახვეულ რაღაცას. აი, აქ არის. ჭრილობა იხსნება. ოჰ, რა სუნია!

მაგრამ რა დაეუშავეთ ასეთი მოწყალე ღმერთს? ჭრილობა შიგნით შთხლის ფერია, მოძრაობს და ნელა ქაფდება, როგორც სქელი რძე ადუღების წინ.

— უჰ!—დაუფიქრებლად ამოხდა ეოზეფს, თითქოს ეძახის ყველას, ვინც ნისლს გადაღმაა.

— რა იყო?—წყნარად ეხმაურება ეული.

— არაფერი, ჩემო ძველო, არაფერი... გვეჩვენებოდა... ახლა აღარ დაავიანებენ მოსვლას. გტკივა?

— არა, სულ გავხევი.

— გწყურია?

— ნუ მაფიქრებ.

— მოსვი, მოსვი ცოტა. ხახას დაგისველებს... აი, ასე! ახლა ისევ დაგ-  
ხურავ საბანს... აი, ასე, ხომ ხედავ, აღარ გტკივა. კარგაა, კარგაა, ვერ-  
ბით. მოიცა, ამას გადავაგდებ.

და ის გადააგდებს ნისლს გადაღმა დამბალ შესახვევს.

გაშეშებისაგან ეულის თავი უკან გადაეზნიქა. თვალები გადაებრია, თითქოს თავის თმის დანახვა უნდაო. თვალღია ეძინა. დიდხანს ცოხნა ძილში ჰაერი. იცოხნებოდა. ჰაერს ატკბარუნებდა. ტუჩებშორის მოსჩანდა, როგორ ინძროდა ნელა მისი სქელი, გათეთრებული ენა. ბოდვა დაიწყა.

— ...მე ქვემოდან დაგინახე. სანათით იყავი, კიბეს დაატკბრდი. შენი ხელი მოაჯირზე დაეინახე. ნუ უარობ! დაგინახე. ყველაფერს მივხვდი. კარი განგებ მივაჯახუნე. ჰო, მომისმინე! მხოლოდ არა კიბის ბაქანზე! წყნარად გვიარე! დაბლა სძინავთ... ადოლფთან ვიყავით. სისხლს იფუ-  
ქებო ჩემო ბებერო! რატომ, გეკითხები? რატომ—მეთქი? გესმის?.. ხედავ! ცოტა დაფიქრდი... რათ იყინები ამ ბაქანზე—მეთქი. ეს რას შეეღის? მე ამტანი ვარ. ამოუდევარ, ვაღებ კარს და ვწვები. შენ იცი, გადაკრული რომ ვარ, მოვიწყენ ხოლმე. რას იგონებ იმ შემთხვევას როზასთან. ეჰ, მაგაზე ფიქრს თავიდან არ იშორებ. დედაჩემო, სხვანაირად გაკეთებული ადამიანი ხარ. ვაიგე, რომ აკვანში აღარა ვარ. შენ კი წარმოგიდგენია... ყოველმა კაცმა თავის გზა იცის. როზა ხომ ბავშვი არ არის. მაგრამ ჩემი ხელობა ასეთია, დედაჩემო! თითების წვერზე მუდამ ტყვია და ტყვია, და ყოველთვის ასოების ყუთთან დგომა... სულ ჰკრებ და ჰკრებ. რა გვეწვე-  
ლება, ხანდახან რომ პატარა ქიქა მაგარი არ გადაგკრათ! მართლა, შეილი ვიყვარს? მჭვალისგან ასე რომ ეზოცებოდეთ! ისევ სწუხარ... გეყოფა, თავი გაანებე! ეჰ! საკმარისია. მით უარესი, არც გავინძრევი. სოფლამდე შორს არის? ეოზეფ! ეოზეფ!

— ჰო, ძველო! აქა ვარ, გისმენ.

— ჰო, ძველო! აქა ვარ, გისმენ.

— ...მისმენ? მე არაფერს ვამბობ.

— ჰო, არა, მაგრამ შე მაინც გისმენ.

— ძველო, მითხარი...

— რა?

— მესაუბრე ცოტა ხანს. მესაუბრე. ოჰ, ცუდად ვარ!

ეოზეფმა ეულის თავქვეშ მკლავი ამოსდო, მაგრამ თავის აწევა უკვე შეუძლებელია. ეული აღარ მიიკვრება აწ ტანზე იმ რბილ ნაწილიანა, რომელიც სიცოცხლეა, სითბო და ცოცხალი სხეულის ქეშმარიტება. ეული გღია გაშეშებული, მოუღრეკელი. მის გვერდით ეოზეფი მთელი სიკრძით გაწეება, მხოლოდ ასე შეუძლია მიიხუტოს იგი.

— გამოიგონე...

შეუძლია ტანზე მიხუტოს. ის, როგორც ფული, მთელი სიცოცხლით მიწაზე გაწეება, მაგრამ ვერც ჯანსაღ ფეხებს, ვერც ხელმეწიქეწე ფეხებს ამისთვის, ვერაფერს, ვერაფერს.

— გამოიგონე, — ეუბნება იგი, — გამოიგონე... სათქმელი მაქვს.

— ჰო!

შხოლოდ გულის სიღრმეში ჩამალულს შეუძლია უშველოს, ამიტომ სურს გვერდით, სულ ახლოს მიუწევს, რომ აგრძნობინოს ეს.

— ყურიდამიგდე, გაიმზობ, ძველო! აი, დანახავ... ჩვენ ორნი ვართ აქ, და ერთმანეთი ძალიან გვიყვარს... ჩემს ფერმას შორანი ჰქვია. ვალანსონშია, ზეგანზე, მშვენიერ ადგილას, ნუშის ტყეში. ყური დამიგდე, ძველო! აი, ნახავ, ნახავ! უნდა გაიარო ცოტა ქვემოთ, გზისკენ; იქ კი ბნელა, როგორც ღამეში, რადგან ხეხილის ბაღში შედიხარ. ნიგვზნარში. რა მშვენიერი ხეებია, ძველო. სინესტე იქ მუხლებამდე აღწევს. ისე ბნელა ჩრდილისაგან, ქვეები სულ ხავსით არის დაფარული. ეს სულ ორ ნაბიჯზეა. ყავას სამზარეულოში მიირთმევ. თუ უშუალო კარის პირდაპირ ზიხარ, ყველაფერს ამას ხედავ... იულია ამბობს: „წენგო დამიკრიფე და სასმელს გაგიკეთებო“. ნიგვზის კაკლებს არყიან ჭილაში სდებენ. კაკლები მწვანე რჩება. შემდეგ კი მისგან მურაბას აკეთებენ. დედაჩემი ამის დიდი ოსტატი იყო.

ეულის თითქოს სულ ჩაეძინა.

— ილაპარაკე, — ამბობს ის. შემდეგ, — მერე, კაკლები...

— ჰო! კაკლები... თუ სისხამ დილით, ყავის დაღვევამდე, ორთვალათი სადმე გამგზავრება მოგიწევს, — ჩვენში ეს ხშირად ხდება, — ამ მურაბის ერთ კაკალს პირში ჩაიდებ საღეჭად. დიდხანს გეყოფა. ხახას ისე დაგირბილებს და გაგიტობს, თითქოს თბილი ყელსახვევით შეუფუთენიათო. აი, თვითონ ნახავ, ძველო!

— ვენახი გაქვს?

— ძველი. დავტოვეთ ისე, ჩვეულების გამო. მაქვს სწორედ საჯინიბოს კართან: მამაჩემს მისი ამოგდება უნდოდა. მეუბნებოდა: სხვენზე კილის ასატანად ჭამოგვადგებაო. ვუპასუხებდი: ეჰ, არა! ფრთხილად ვიყოთ-მეთქი, და დავტოვე ეს ვაზი. მობერებულაია, რა თქმა უნდა! ვინ იცის, შეიძლება კიდევ ისე მოისხას, რომ სამმა მტევანმა მთელი კალათა გაგივსოს. სხვა კი ყველაფერი ძველია. ჰოდა, მიწაც ისეთი არ არის. მწირი ნიადაგია. ისეთი არ არის, როგორც თქვენსკენ. იქ სულ სხვა ამბავია. მაგრამ ზეგანი... არა, ძველო! ეი, ძველო?

— ჰო!

— გტკივა?

— რა? არა. არა მტკივა. ილაპარაკე.

ნისლი შეთხელდა. ამინდი იცვლება.



— დაბლობში პურის ყანებია, მინდვრებშიც, ბებულებშიც ასე მი-  
დის ძალიან შორს. ხანდახან არაფერი გესმის, შემდეგ კი ერთბაშად  
პურის ყანა აშრიალდება. ოთხი თხა გვეყავს. ზორბა ეჭყეფე უღეტენს,  
ტიტენს ვეძახით. დაუძახებ და ვასწევს. თავზე ჭოჭოვს: „მეცაა, მეცაა“  
იქ და შემდეგ, რაც ვინდა, ის უყავი, დაგემორჩილება, — ქალსაც კი-  
როდესაც ვფარცხავ, დავუძახებ: „აბა, ტიტენ, გასწი!“ მე ფარცხზე შევბ-  
ტები, და მთელს მინდორში ასე დაგვაზოხიალებს. ზოგჯერ, როდესაც  
სველი მიწა ბელტებად არის, მაშინ როგორც ტალღებზე ხან ავიწვევით,  
ხან დავიწვევით: ჰატ, ჰატ!

ყული სუნთქვას ხმას აყოლებს, ამ ხმას ეფარება, იგი ასულდგმულებს,  
იპყრობს, იტაცებს. ეს-ეს არის დაიკრუსუნა ბავშვივით, რომელიც მა-  
მის ლოყას ეკვრის.

— იულიამ კაბა გადაიცვა. მამ, ბრაში მივდივართ. ბრა ბარშია,  
ასისკენ, მდინარეა. ზაფხულობით ისე შრება, რომ ქვებზე გადიან. იქ  
ჩვენ, მე და იულიამ პირველად ჩავეკიდეთ ხელი ერთმანეთს და ასე დაე-  
რჩით იმ პატარა მწვანე მუხის ქვეშ. უმნიშვნელო რამეზე ვლაპარაკობ-  
დით და ერთმანეთს თვალეებში შევცქეროდით. მე ხომ ვერა ვარ გაბე-  
დული... გტკივა?

— ჰო, ილაპარაკე.

— ასე, ჩემო ძველო, ასე... რას იზამ! ასეა დაწესებული. მოდი და  
წინააღმდეგ მოიქეც! ეჰ! ყური მიგდე, ყური... კვირაა. ყოველი მხრიდან  
ზარების რეკა ისმის და ჩვენამდე აღწევს. იულია კაბას გადაიცვამს, შენც  
იქვე ხარ. ოთხთვალაზე უკან ფიცარი გავდევი და ბრაში მივემგზავ-  
რებით. იქ კი ბალია, შენც იქა ხარ, ძველო! აბა, წინ! წინ! დეე, ყვე-  
ლაფერი დატრიალდეს.

— არა, — ამბობს ყული. — ვიცი, მატყუარავ! წყნარად ილაპარაკე.

უკვე ღამე იყო, რომ ეოზეფს კიდევ ეკავა მკლავებში ეს გაშეშებული-  
ცივი, უსიკოცხლო სხეული. დაიქანცა. წამოდგა. გაქიშულ ყულის და-  
ხედა.

— ეჰ, ესეც! — სიტქვა.

ბალთა მოხსნა. ჯიბე მოისინჯა, ორივე ბალთა ხომ მაქვს ნამდვილადო,  
და გზას გაუდგა. დიდ ღუმელში მხოლოდ მისი ფეხის ხმა ისმოდა.

### ლევის ბუზი

— მადლენა, — ამბობს იულია, — კარგს იზამ, თუ ხუფიან კალითს-  
აიღებ და მადმაზელ დელფინას შინაურ კურდღელს წაუყვან. გუშინ-  
წინ დელფინას მამა უნახავს და უთქვამს, პარიზიდან და ჩამომივიდარო-  
და იულიამ ეშმაკურად თვალი ჩაუკრა, მშვენიერი ნაშუადღევარო-  
მამა გაზეთს ჰკითხულობდა.

ვალანსოლის გზა ნუშის ხეებქვეშ სწორად მიიმართებოდა, შემდეგ დაღმართზე გადატყდებოდა, ძელქვის ტყეს სჭრიდა და შემდგომ ქედებზე ეშვებოდა.

შემოდგომა მშვიდად ილეოდა. ვენახს ფოთოლი უკვე დასცივნებოდა. ქარი შუადღისასაც არ ისვენებდა, აბუჩად იგდებდა მას და საღამომდე განაგრძობდა ხეტიალს. ნაირნაირი ფერის ღრუბლებს მოერეებოდა. ხშირად შუალამეშიც დანავარდობდა.

მადლენა ნუშის უკანასკნელ ხეებთან შეჩერდა... აქედან პირდაპირ გარდეტი მოსჩანდა. საღორესთან ოლივიე ლორებს ასუფთავებდა. მოსჩანდა, ფიწლით როგორ ისვროდა ნებებს, რომელიც მიწაზე დაყრილი ისევ ზღაღავდა.

ქალმა ტურები დაისველა და მაგრა დაუსტვინა. შემდეგ ოთხჯერ ისევ ძლიერ, ხანდაზმით დაუსტვინა იმის საცნობებლად, რომ ოთხ საათზე ვფიქრობ უკან დაბრუნებასო.

ოლივიე საღორედან გამოვიდა. ძებნა დაუწყო, ქალმა ერთხელ კიდევ დაუსტვინა, თავი დაანახვა. მაშინ ოლივიემ ასწია ხელი და თითონაც დაუსტვინა, თავი დაანახვა. მაშინ ოლივიემ ასწია ხელი და თითონაც ზუსტად გადაეცა, რაც კი თავში მოუვიდოდა. ახლა სტვენით ასე უთხრა: „პო, ჩემო სიცოცხლე! ოთხ საათზე“.

მუხნარი უკვე დაღლილი იყო ამ მოუსვენარი და ქარიანი ზამთრით. მკვდარი ფოთლის სუნი იდგა და გზა ფეხქვეშ აღარ საუბრობდა.

მშვენიერი დროა მზის ჩასვლის წინ, მეოთხე საათზე. უკვე საღამოედება, მაგრამ საღამოედება ოდნავ, ერთმანეთს კიდევ ვებედავთ. მას მარცხნივ მოვიყენებ, — ფიქრობდა ქალი. მის თვალებს დაეინახავ, რადგან დღის სინათლე მაშინ მარჯვენა მხრიდან ეცემა. თუ პატარა მუზებთან შემეგებება, აკანოსთან მაინც, მაშინ შეიძლება ერთმანეთს ვაკოცოთ. იულიამ ეს იცოდა. რვა დღის შემდეგ ოლივიეც გაემგზავრება.

ქალი საყდრის ქუჩას ჩაჰყვა. კარების წინ არავინ იყო. ყოველი სახლის ფანჯარაში მოსჩანდა კერა წითელი ნაკვერცხლებით. მოედანზე განმარტოებით იდგა ონკანი. პატარა ვოგო ცდილობდა, ზეთის ზილის ტოტი თხის სადგომის სარკმელში შეეძვრინა.

— მადმაზელ, მე ვარ და შინაური კურდღელი.

— შემოდი, ჩემო ვოგონავ!

— ზედავ, კლემანსო, — ამბობს მადმაზელ დელფინა, — ეს ეერთმის ქალიშვილია. შეხედე, რა ლამაზი. ქალი დადგა. ამას კი სად მივუჩინოთ ადგილი?.. შენ რომ მოგეფიქრა, მადლენა, იცი რას იზამდი? დღეს პარასკევია, ასეთ ამინდში ძმარში ჩადებულნი კვირამდეც კარგად შეინახება... დაჰკლავედი.

— მხოლოდ ჩემს თვალწინ არა, — ამბობს კლემანსი, — თვალწინ არა! ჩემს ძალას აღემატება, ვერ გადავიტან. ეჰ, თბილისე! ჩემო პატარავ! — ეუბნება კლემანსი მადლენას, რომელსაც კურდღელი უკვე უკანა თათებით ეჭირა.

— სპეზარეულოში წადი, ჩემო გოგონავ, — მიმართავს დელფინამ. თვითონ სავარძელში ჩაჯდება და მსუქან მუხლებზე ხელს გადაისევამს.

— შენ კი შევიძლია ატანა? — ეკითხება კლემანსი.

— ვერ ვიტყვი, რომ ძალიან მასიამოვნებდეს, მაგრამ გასაკეთებელი უნდა გაკეთდეს.

მადლენამ ყურში მუშტი დაარტყა და კურდღელი გააბრუნა. მთელ სახეზე სისხლი ჩამოსდის და ჯამში გროვდება, მუშტის დარტყმა ოთახშიც გაიგონეს.

— გაატყავებ, გამოშვებ, ხომ ჩემო კარგო? ეუბნება დელფინა. — კარს უკან წინსაფარია, იქვე ფიცარი და საჩეხი... შენ ყოჩალი გოგონა ხარ!

— შემდეგ რა მოხდა?... — მიმართავს იგი კლემანსს. — განაგრძე.

— რაზე შეეჩერდი?

— იმაზე, რომ მზიადემა გარგანში დაგტოვა და შენ ჟილეტის-ამბრა კაცს შეხვდი, რომელსაც ილიის ქვეშ საკინძი ამოედო და მიდიოდა. პატარა გოგონა მისძახოდა: მამა, მამაო. შემდეგ აფრიკელი მსროლელი...

— იჭაურობა აფრიკელი მსროლელებით იყო სავესე. ეხედავდი ათ-ათი რომ მიდიოდა იქით, მინდორში და შემდეგ სირბილით უკან ბრუნდებოდა. მათ შორის იყო ერთი, რომელიც ვენახში ყურძნის მტევნებს ხმლით აჭრიდა.

— ჰო, სწორედ, აქ შეჩერდი: ხმლით აჭრიდა.

— მაგრამ ჯერ, დელფინა, — ამბობს კლემანსი და თავის ფუნთოშს ვარდისფერ ხელს დას ხელზე ადებს, — ჯერ კურდღლის შესახებ მინდა გთხრა. რაგუს ნუ გააკეთებ. სისხლი დიდხანს იხარშება და გემოს ჰკარგავს. ასე გააკეთე: მოთუთქე ჭორცი თიხის ქოთანში ხახვითა და ტომატით, როდესაც მოიხარშება, სწორედ სუფრაზე მოტანის წინ, ახალი სისხლე მოასხი, სწორედ სუფრაზე მოტანის წინ, უფრო ადრე არა... ახალი სისხლი, იცი, ისეთ გემოს აძლევს...

— ზირაკი მაინც ვუყო?

— ჰო, ზირაკი და ყველა საკანში, როგორც იციან. ნახავ, როგორი გამოვა.

... ასე მივედი ვილპარიზამდე... ირგვლივ ყველაფერი უდაბური იყო. აწნეს გზაჯვარედინზე, ნასაკირალში, — ხომ იცი? — სამხედრო ქანონი იყო. მივიღე უფროსს ექიმთან. ეუბნები: ქალაქზე ხელი მომიწერე-მეთქი. ხელს მიწერს. შეწუხებული სახე ჰქონდა. ვარეთ იხედებოდა, კალამს შეაჩერებდა და რალაცას ყურს უგდებდა. შემდეგ

ეკითხე: „რას იტყვი, ბატონო... ებლინის შესახებ?“ „ხედი, ავთენტუ-  
ბულია“, მითხრა. ბინტს ახვევდა. „თქვენ ჯარისკაცი გავხლავართ“,  
მითხრა, შემდეგ დაუმატა: „ჩქარა წადით, ყოველ წუთს შეიძლება დაჭ-  
როლები მოიყვანონ. წადით, მაღამ, დროს ნუ ჰკარგავთ“.

ეს კაცი უცბად დათეს დაემსგავსა. როგორც მითხრა, ისე მოხდა.  
ჯარისკაცმა გამაცილა. თავი ბანლით ჰქონდა შეხვეული. „თქვენს ათ  
სუს ხომ ვერ მომკვით?“ მკითხა. იძულებული გავხდი ათი სუ მიმეცა.  
გავიფიქრე: „როდესაც სახლში იქნები...“

მაგრამ აქ, ჩემო კარგო, ისეთი ამბავი მოხდა... ოჰ, როდესაც ქალი  
მარტოკა ხარ... ჯერ მთელი ქვეყანა მოაწყდა, გზები ხალხით გაიქცა.  
მერე პატარა ბიჭმა გაიარა, მარტოდ-მარტომ, ხელში კვერცხი ეჭირა  
და უკან სისინით ბატი მისდევდა. ბავშვი კი წინწასულვებს ეძახდა. ყვე-  
ლა კეკიდან შესლილს ჰგავდა.

შუალამისას სახლი უცბად შეინძრა. შემდეგ დარაბებზე დააკაყუნეს...  
საბანში ჩავიმალე... მეორე დღეს მივხვდი, რაც მოხდა: სურო იყო, იცი,  
სურო... ხომ გახსოვს ძველი სურო? ის იყო, ის, დელფინა. ხელი დარაბაზ-  
ზე დაედო და მის აგლეჯას ლამობდა. „მოიცა! — ვუთხარი, ჯერ არ  
გავმგზავრებულეარ“. ჯობით ხელში ფანჯარასთან ჩაუქსადრდი და მთელ  
დღეს ვუთვალთვალედი. როდესაც ძალიან ახლოს მოიწვედა, მთელი  
ძალდონით ჯოხს დაეცხებდი. „მომეშეები თუ არა!“ ვუბნებოდი, და  
მხოლოდ მაშინ მომეშვა, როდესაც მკლავი გადაეუმტერიე.

ამ ხნის განმავლობაში ქვაფენილზე სულ ცხენებს დააქენებდნენ და  
უპირავი ხალხი მიდიოდა, მიდიოდა! მარნის მეორე მხარეს განუწყვეტ-  
ლად უკრავდა საყვირი, იქ, სადღაც შორს, თოფის სროლა ისმოდა.  
შემდეგ — ქვემეხი. ყურებს ვიცობდი და ვამბობდი: ოჰ, კმარა, კმარა-  
მეთქი!

ამასთანავე უეცრად ჰუსარებმა მარნა გადმოლახეს და იქ ცხენებს და-  
აქენებდნენ. შემდეგ ვხედაე — ზვინის გარშემო ხმლებს ჩახაჩუხი გაპ-  
ჭონდა. ნეტავ რას ჩეხდნენ?...

მეორე დღეს საათი ავიღე და თავს ვუთხარი: „როდესაც პარიზში  
იქნები, დელფინას წერილს გაუგზავნი და იქიდან ვალანსოლში წახვალ.“

ანნეს შესავალთან, ვილა ლაკოკეტის წინ, ცხრილზე შუმახერი მიე-  
ბათ. „რისთვის?“ ვეკითხები თავს, „ხომ გახსოვს, ისეთ ლამაზ ფეხსაც-  
მელს რო ჰქვრავდა? რისთვის?“ ვეკითხები თავს, წინ წაიწიე. მომკე-  
დარიყო. ასე მომკედარიყო, მომკედარიყო, ხომ გაიგე... ბუზებით ისე  
იყო საწყალი დაფარული, რომ იძვროდა.

— აი, — აღებს სამხარეულოს კარებს და ამბობს მადლენა: — ტყა-  
ვი ფანჯარაზე ჩამოვკიდე, ღვიძლი ჯამში ჩადე, ნალღელი გამოვუწურე,  
თათები მოვაჭერი. როგორც მითხარით, შიგნით ძმარი კარვად მოვასტი.

წილები ვედროშია. ყველაფერი მზად არის. მაგრამ კარვს იზამდ, თვითონ რომ დახედოთ და შეინახოთ, სამზარეულოში ერთი დიდ ლეშის ბუზია.



ნაწილი მეორე

მარკუნული  
ბიზლიჩიძე

### გაზაფხული ზეგანზე

მადლენა სამზარეულოს ტილოთი ხელს საჩქაროდ იმშრალებდა. მთელი ტანით მზად იყო გაფრენილიყო იქით, საიდანაც სტეენით უხმობდნენ. ის იყო გასვლა დააპირა, რომ მამა შევიდა.

— მოდი აქ, — უთხრა მამამ, — წაიკითხე, იულისაც დაუძახე.

ღია ფანჯრიდან გაზაფხული იჭრება, აყვავებულ ნუშის ხეებს იქით, შორს სივრცეში ლურჯი მთები მოსჩანს, და იქ დაბლა, ძელქვებ-ქვეშ, ოლივიე უსტეენს.

— აი, მუდამ ასეა... — ამბობს მადლენა.

— როგორ ასე? — ეკითხება მამა.

— არაფერი, მომეცი წერილი.

ძმის წერილს გამოართმევს და ფანჯარას დახურავს.

— იულია! — ეძახის მამა.

რძალი შემოდის. მთელ კარს აცხებს თავისი ჯანმრთელი ტანით, რომელიც თავიდან მშვენიერ ფეხებამდე ქანდაკებასავით არის გამოკვეთილი. თქობებს კაბა გამოუბერია. იულია ხელს გადაიხვამს შავ თმაზე, რომელიც ქოთნის ფსკერზე დარჩენილი ზეთივით ბრწყინავს.

— წერილი მივიღეთ, — ამბობს მამა, — მადლენა, ხმამაღლა წაიკითხე.

თვითონ ჯოხზე ეყრდნობა და საღ ყურს მიუშვერს. იულია ფანჯრის შინებში იცქირება იქითკენ, სადაც გაზაფხული, მთები და აყვავებული ნუშის ხეებია.

„ძვირფასო ცოლო, ძვირფასო მამავ!“

— რა რიცხვი აზის?

— 22 მარტი.

„ძვირფასო ცოლო, ძვირფასო მამავ!“

გაცნობებთ ჩემს ამბავს, ამჟამად საცხებით სანუგეშოს. თქვენგან რომ ამანათი მივიღე, ლაშქრად ვიყავი. ხომ იცით, რომ გზაში ყოფნა ჩემს ფეხებს არ უხდება. ამის გამო დავიცადე, გმადლობ ძებვებისათვის. ერთი ნაპერი გადამდნარი ღორის ქონი უნდა გამომიგზავნოთ ფეხებზე წასასმელად. ფეხები ისევე მაქვს, როგორც შინ მქონდა. ერთ საათს ვერ ვივლი ისე, რომ არ დამიზიანდეს. ფლოსტების მიღების შემდეგ კიდევ არა მიშავს-რა. დაბრუნებისას ვიცვამ. მხოლოდ შიგ წყალი ატანს.

ამ დღეებში ჩემი ბიძაშვილის მარიასაგან ღია ბარათი მივიღე, რამაც ძალიან გამახარა. განსაკუთრებით იმან, რომ ვხედავ ცხოვრებას კარგი მხრით ითვისებს. მინდოდა შეპასუხნა, მაგრამ მისამართი ცუდად დაუწერია, სულ მოუთხუბნია, შეუძლებელია გარჩევა. თუ ფეხები კანონიერებაა, აუცილებლად შორანს ჩამოვა. კარგად ვიცნობ. გახსოვდეთ, თუ კუხოვოთ ჩემი ორსაკვეთიანი გუთანნი. თვალი უჭირავს მანე, ხომ იცით, დაბრუნებაზე“...

— მოიცა, — ამბობს მამა და იულისს მიუბრუნდება: — სიტყვამ მოიტანა, გუთანს მიხედუ?

— კავით და სახელურებით არის ჩამოკიდებული, — უპასუხებს რძალი, — დავათვალერე, ხის ნაწილები არა აქვს მორყეული. თითქმის თვე იქნება, რაც რკინას საზეთის ნალექს ვასხამ.

— კარგად მოქცეულხარ, რადგან მალე დაგვებრუნება. მარია სენფირმენშია, არა?

— დიახ, შოვინიერში, სენ-ფირმენტან.

— განაგრძე...

„აქ მაინც დამაინც მზიარულად ვერა ვართ, მაგრამ რას იზამ. ოღონდ შინ მშვიდობით დაებრუნდე. ამას წინად თოვლი მოდიოდა. ახლა წვიმს. გადამდნარი ღორის ქონი არ დაივიწყოთ. ძვირფასო ცოლო, იმ ფერმაში, სადაც ამას წინად ვიყავით, მიწის გასანოყიერებლად ღორის ნაკელი გამოუყენებიათ. ჩემი თვალით ვნახე, პატარა მცენარეებს ძირში რომ აყრიდნენ. ვუთხარი დასწვავს-მეთქი. არაო, მიპასუხეს, მხოლოდ შარდი სწვავსო. ღარი გაუკეთებიათ ნაკელ-ქვეშ შარდის სადენად. ასე კარგად შეიძლება მისი გამოყენება. ჩვენი სექტორი ცუდი არ არის. ტერიტორია-ლური ნაწილი შევცვალეთ, თუ კაცი რაიმე სისულელეს არ ჩაიდენ, მშვილად იქნები. ის პერპიანელი, რომელზედაც გწერდით, სანდლების ფაბრიკაში რომ მუშაობდა, გუშინ მოჰკლეს, მაგრამ თავისი ბრალი იყო. მე ასეთებს არ ვგავარ. მითხრეს, მალე შეიძლება დიდ ბრძოლაში მოვხვდეთო. ადგილს ვერ დავასახელებ. გაზეთებიდან თვითონ უნდა გაიგოთ, რის თქმაც მინდა. მხოლოდ ნუ შეშვოთდებით. ჯერ კიდევ დანამდვილებით არაფერი ვიცით. ბოლოსდაბოლოს ეს ყველასათვის სავალდებულოა. ჰო, კიდევ ერთი რამ უნდა გითხრათ: გავიგე ერთი ვალანსოლელისაგან, რომელიც კოლონიის საკავშირო ნაწილში მსახურებს, რომ ბონეს შვილი მოუკლავთ. დედამისს ეტყვი, რომ მისი მწუხარების მონაწილე ვარ. უნდა გითხრათ აგრეთვე, რომ მშინებები ხართ: კაზიმირის ფერმა ხელიდან გაუშვით; როცა იყიდებოდა, უნდა შეგეძინათ, თუგინდაც ბალახ-ბულახით დაფარულიყო. თვითონ კაზიმირს რა დამართა? როგორც მატყობინებთ, ოლივიე ფრონტზე გაემგზავრება. ამ შემთხვევას ხელიდან ნუ გაუშვებთ. ახალგაზრდები, მუდამ სისულელეს ჩადიან. შეიძლება მოჰკლან; ესეც არ იყოს, მხოლოდ პაპა და დედა რჩება, შეიძლება მოისურვონ თავიანთი

მიწის გაყიდვა ფერდობის ძირში. ეს ჩვენთვის ხელსაყრელი იქნება. სწორედ იქა გვაქვს მიწის ნაჭერი, რომელიც ჩვენთვის დაკარგულია, ამრიგად კი მას შემოვარგვალელებით. მამა-ჩემო, ამას ყურადღებით მივუხედავ, თვალი გეჭიროს. როგორც ოლივიე ფრონტზე წავა, ნაკვეთი დაეთვლიერე, რომ თვითონ დარწმუნდეთ... მოსაწერი მეთი არაფერი ჩემს გარეშე, ჩემო დაო მადლენა, და რაც ვითხარი, კარგად გახსოვდეს. არ დამიწყებია.

გვებევი წენ, ჩემო ძვირფასო ცოლო და მამავ.

ქოზეფი“.

იულია ამოიხარებს. მადლენა წერილს რძალს გადასცემს. იგი ერთხელ კიდევ დაჰკეცავს და წინსაფრის ჯიბეში ჩაიდებს.

— მართალია, — ამბობს მამა, — ვერ მოვიხაზრეთ. ახლა თვალი გარდებზე უნდა გვეჭიროს. დღეს ოლივიეს აქ ყოფნის უკანასკნელი დღეა. მოგვიანებით წავალ მიწის დასათვალთვრებლად.

იულია შეკრთა, მამამ ლაპარაკი შესწყვიტა და რძალს გადახედა.

— შერიის გზირი უკვე მინდვრებშია, — სთქვა რძალმა.

— ვისთვის? — ამბობს მამა პირმოკუმულად.

— ოჰ, როგორ მიჭერს — და იულია ხელს გულზე დაიდებს. — ჩვენს კარებს გაუსწორდა. მაშინ მე... გარედ გამოსული რომ დამინახა, ხელით მაჩინა, არაო.

— მაშ ვინ?

— არტურ ბუსონადი.

— არტური! — ამბობს მამა. — ის ზორბა ვაჟაკი! ფელისის ქმარი? რომელმაც ისე კარგად იცოდა ვაზის დამყნა? რომელიც ქეჭა-ქუხილიან წელიწადს დაგვეხმარა? ის მშვენიერი ვაჟაკი?

— ოჰ, — ამბობს იულია, — ის. ფელისი მარტოკა რჩება პატარა ბავშვით!

— მომე ჩემი ჯოხი, — ამბობს მამა — იქ მივდივარ. მარტოხელა ქალია. მარტო ასეთ მწუხარებაში. ამ მშვენიერ დღეს. რა ბინძური დრო დაგვიდგა.

ჯოხს იღებს. მიდის, ფართოდ გააღებს კარებს გაზაფხულისკენ.

შუბლით ფანჯრის მინაზე მიყრდნობილი მადლენა მამას გასცქერის. ის კი, რაც შეუძლია, მიიჩქარის ბუსონადებისაკენ.

— რამდენი ჰკვდარი იქნება! — ამბობს იულია. — რამდენი მკვდარი იქნება! — იმეორებს იგი — არც კი გჯერა, რომ ეს შესაძლებელია არტური! ხომ გახსოვს, მადლენა?

მადლენა ტირის ფანჯარას მიყრდნობილი.

— ყველას მოელის ეს, — ამბობს იულია, — დღეს ერთს, ხეალ მეორეს. ჩვენ კი ამას, როგორც სპიროა, ვერ ვუფიქრდებით.

იულია ბოსელში ბრუნდება.

ფანჯრის მინა მადლენას შუბლს უცივებს. მინას ცრემლები ტოვებია და თითქოს ნისლით დაიფარა. ყველაფერი ის, რაც გაშლილ სარკვეში მოსჩანდა — ჯეჯილი, აყვავებული ნუშის ხეები, მერცხლები, ცრემლები ანაგან აიმიღვრა, აღარ მოსჩანს, ყველაფერი ეს თითქოს უხელოდ დაიშალა. მახლობელი არ იყო, მაგრამ მისი ამბის გაგებაც ატირებს. ასეთი მშვენიერი ვაჟკაცი! კარგი ტანადი. რა ლამაზად იცინოდა. არა, ყველაფერი დაიბურა, წაიშალა, აიმიღვრა...

ფანჯრის გაღებაა საკმარისი, რომ ყველაფერი ისევ ნათლად გამოჩნდეს. ნუშის ხეები, ჯეჯილში საზამთროსავით მრგვალი ჩრდილები. ეს თითქოს წყალში გაგრილებული ქარი. ტულიბი, მერცხლები, ნუშის ყვავილები, რომლებიც ცვივა. გარეთ რომ გახვიდე რძის დასალევად, თასი მაშინვე ყვავილებით აგვესება, ვერც კი მოახერხებ შებერვას. სეამ და ყვავილებს პირში კბილებით აკავებ. როდესაც დაღევ, ყვავილების ლექვას შეუღებები. მწარე წყლის გემო აქვს.

ჰოდა, ჩვენ რომ მუდამ სიკვდილზე არ ვფიქრობთ, ღმერთო, ამას ოღნავი გამართლება მაინც აქვს.

ყერომი სწორედ გზაჯვარედინზე დაეწია მერიის გზირს. იქიდან ხეებს შორის უკვე მოსჩანს ბუსონადიანთ ფერმა.

— ალბერიკ, დამიცადე! — ეძახის.

გზირი შესდგება. არაფერი აქვს საჩქარო. აქ უკვე ისმის, როგორ ეძახის ფელისი ქათმებს.

— ჩქარი სიარული იცი, — ეუბნება მოხუცი, — ქლოშინი ამივარდა.

— ვითომ? მე კი შეგონა ნელა მივიდიოდი. ასეთი ნაბიჯი მაქვს, ერთნაირი ყოველთვის.

— როგორ მიდის საქმე? — ეკითხება ყერომი.

— რომელ საქმეზე მეკითხები?

ალბერიკი თავს მიიბრუნებს და აყვავებულ ნუშის ხეებს უცქერის.

— ჯუ-ჯუ-ჯუ! — იძახის სადღაც ხეებს უკან ფელისი...

— ეოზფისაგან კარგი ამბები მოგდით? — ეკითხება ალბერიკი.

— სწორედ დღეს დილით მივიღეთ წერილი.

— ბედისწერაა! — ამბობს ჩუმად ალბერიკი.

— შენ რა... — გაუბედავად იწყებს ყერომი.

— მე... ჰო, კიდევ ერთი!

— არტური?

— არტური.

— წყეულმაც იყოს ბუნება!

— ბუნებას რას ერჩი? უნდა გეთქვა: წყეულა-კრულვა ჩვენ.

— წყეულმაც ვიყოთ, თუ ასე გირჩეენია. მაგრამ ასეთ თქმას ვარ დაჩვეულ.



— არტური! რაღა სწორედ ის? ასეთ ვაგაკაცს მეორეს ~~ქარ~~ ნახავდი, პატროსანს. მერე რა მუშაკი იყო! რა მუშაკი! ამის შემდეგ შენ გინდა, რომ არაფერი ეთქვა!

— ეხლა თქმა რას გამოგვადგება, ადრე იყო თქმას ~~ქან~~ ევრომ, ეს ერთიხანია ჩემი ცხოვრება ცხოვრება აღარ არის. ~~ქან~~ ქალაქ-დებს ვხედავ. ყოველ დღე! აქედან, იქიდან. პირველ ქალაქებში მედი-დური სიტყვები ეწერა: სამშობლო! დიდების ასპარეზი!.. ვიცი... მერიც ჩემთან ერთად დადიოდა. ახლა ამის სათქმელად ვის მოუბრუნდება ენა! ასე, ყოველ დღით ვათვლიერებ. თუ ქალაქები არ არის, თავს ვეუბ-ნები: „ა, საცაა მოვა, საცაა მოვა“. მთელ დღეს ვკანკალებ. თუ ქალა-ქები უკვე მოსულია, თავს ისე ვგრძნობ, თითქოს სასაქლოზე მივდიოდე-აი ასე ვშოულობ თითო-ოროლა გროშს, ასე ვშოულობ ლუკმა პურს. ასე ვშოულობ გამხმარ პურს, რომელიც ვუღს მირევს! წარმოუდგენელია, წარმოუდგენელი გუბნები. როდესაც ასე მივდივარ, ვიცი, რაც მოხდე-ბა. ხალხს შეჩვეული ვარ. ვიცნობ. ჩემ თავს ვეუბნები: „არსენთან მიდი-ხარ. აი შეხვალ: იქ დედა იქნება, ცოლიც ბაკანთან. ვხედავ ყველაფერ ამას. როდესაც კარებს შევალე, ცოლი მობრუნდება, რომ დაინახოს, ვინ შემოდის. და მე მხედავს, მე! სწორედ ასე ხდება — შევდივარ მე...

— საზიზღარი ბედისწერა!

— ოპ, ევრომ, ლანძღე ბედი, რამდენიც გინდა. თუნდა ხვალამდე... როგორ მოვიქცე, მე თითონ აღარ ვიცი. შევდივარ. აი დამინახეს. ვდგე-ვარ მათ წინაშე, ისინიც დგანან ბალახით მწვანე ტუჩებით.

.მერს ვუთხარი ეს. მიპასუხა: „ამასობაში, მეგონა, შეეჩვეოდითო...“

— ამის შეჩვევა! არა, შეუძლებელია, იმდენად არაბუნებრივია ეს, არაბუნებრივი.

ფელისი ქათმებს საკენკს უყრიდა. თვალი მოჰკრა მისკენ მიმავალით. ერთ წუთს შედგა, შუბლზე ხელი მიიფარა, რომ უკეთ დაენახა. აღბე-რიკი იცნო. ერთბაშად ხელი გაუშვა სიმიდით სავეს წინსაფარს, და გა-ფანტული მარცვლებისათვის ქათმებმა ომი გამართეს. ქალმა სირბილით გადალაზა მოჩხუბარი ქათმები და სახლში შევიარდა.

ევრომი და აღბერიკი, თავდაბრილები, ბებრული ნაბიჯით უახლოვ-დებიან სახლს. შედიან. ქალი უკვე ყველაფერს მიხვდა. ნახევრად მაგი-დაზე წაწოლილს, ცხვირბირი ფიქრზე მიუჭყვლეტია. მუშტებს მაგიდას ურტყამს:

— არა! არა! — გაიძახის ქალი.

ექვსი პატარა ბიჭია ფერმებიდან, ერთიც გოგონა, მათზე ოდნავ უფ-როსი: „ხელმძღვანელი“.

მასწავლებელმა ქალმა უთხრა: „მარი, შენ ყველაზე უფროსი ხარ, ესენი გააცილე, ყური უგდე. რიდგან, ხომ ხედავ, იმის შემდეგ რაც მოვიდა...“



- შეხედე, როგორია!
- ცხენსა ჰგავს.
- ძროხას.
- თხას.
- ღრუბლის ხეს.



მზე კვლავ ჩნდებოდა, რადგან ჩრდილი ჩქარა მიდიოდა, არაფერს დაგიღვედა, გორაკებს ზედ თავზე გადაუვლიდა, თითქოს თხუნელას სორივობოდა.

კიდევ დასდნენ. ნარგიზებისთვის. უკვე ჰქონდათ ნარგიზი, ტული-პი, ია, ვარდგვირილა და ბალახი სიმწვანისათვის.

პატარა პოლს კელაპტარივით ეჭირა თაიგული, მჯდომარეთ გარს უვლიდა და მღეროდა:

— ომი! ომი! ომი!

გულიანად იცინეს მერცხლების გამო: ანტუანეტას ეგონა — ბუზი-ვით დავიჭერო. როგორც კი მერცხალი ჩაუჭროლებდა, პატარა ხელს მოკუმშავდა პაერში. თითებს რომ გაშლიდა, გაშტერებული რჩებოდა.

ამ დროს შორანელი ეეროში მოვიდა.

— რას აკეთებთ აქ? — იკითხა — სკოლა?

ყველამ ერთად უპასუხა:

— სკოლა, სკოლა...

მარიმ აუხსნა:

— მასწავლებელმა გვითხრა, წადითო. დღეს სწავლა არ იქნებაო, რადგან შეატყობინეს, რომ მისი ძმა მოუკლავთ.

— აქ არის პოლ ბუსონადი? — იკითხა ეერომმა.

— აქა ვარ! — წამოიძახა პოლმა.

— წავიდეთ, — უთხრა ეერომმა. — მომეცი ხელი, დედა გეძახის. ყვა-ვილები გადაპყარე; წამო, ჩემო პატარაე!

— პო, — ამბობს ოლივიე, — ამ საღამოს ერთხელ კიდევ მიწოდდა უკანასკნელად თხები გამერეკა და შენც მენახე. ვერ გაიგონე, ამ დღით რომ გისტვენდი?

— როგორ არა, გაეგონე. — ეუბნება მადლენა, — სისხლი თავში ამი-ვარდა, ახლაც ვგრძნობ ვფიქრობდი — ნეტავ მიხვდეს მეთქი. სწორედ მაშინ, როდესაც უსტვენდი. წერილით ხელში მამა შემოვიდა, უნდა წავ-გეკითხა. შენ კი უსტვენდი!

ბინდდება. ოლივიეს თხები ანეულში არიან. მას ახალი, ცისფერი ღრა-ფის, ჯარისკაცის შარვალა აცვია, წვივებზე ტილო აქვს შემოხვეული. პერანგისამარაა. აწეულ სახელოებიდან წითური ხელები მოუჩანს. თმა მოკლედ შეუკრეჭიათ, მაგრამ ხუჭუჭი მაინც ემჩნევა.

მადლენა წვივებზე უცქერის და ეუბნება:

- რა დაგიხვევია, ცხენს მიგიგავს ფეხები.
- მოუხერხებელიც არის, — ამბობს ოლივიე.
- მადლენა, — მიმართავს იგი, — ეს უკანასკნელი საღამოა.
- უკანასკნელი საღამოა. — იმეორებს მადლენა.
- ახლა ვინ იცის, როდის...



მადლენა ოლივიეზე ოდნავ დაბალია. ქვემოდან შესცქერის. წაბლისფერი თმა აქვს, რომელზედაც მუდამ დაფრიალებს ფრთასავით გაშლილი ქერა ქოჩორი. თვალელებიც ისეთი აქვს, რომ მთლიანად მოსჩანს მათში მადლენა.

ეხლა ამ თვალელებში ცრემლია დაგუბებული.

— ჩემო მშვენიერო!

ფუნთუშა ტუჩები აუთრთოლდა. ლოყაზე ცრემლი ჩამოუფორდა. ფერდობზე ჩამოსხდნენ. თხების პატარა ზარების წკარუნნი ისმის. ოლივიემ მადლენას ხელი დაუჭირა. პირდაპირ იცქირება, სიერცეში, და თვალეებში ღრმად აქვს დაფარული ყველაფერი, რაზედაც ფიქრობს. ეს გულჩათხრობილი ადამიანი ყველაფერს თავის გულში ინახავს და თხელ ტუჩებს მხოლოდ მეგობრობისა და სიყვარულის სიტყვებისთვის ხსნის. შვე ხუჭუჭა თმას ქარი უბიბინებს.

— მადლენა, მინდა გითხრა: თუ გრძნობ, რომ მოცდა შეგიძლია, მომიცადე.

— ოლივიე, სხვანაირად შეუძლებელია. სხვები ჩემთვის არ არსებობენ.

— მინდა გითხრა, რომ ჩვენ არაფერი ვიცით. გახსოვს საღამო, ვაშლებიანი კალათა, როდესაც შენს ხელს შევებე... იმ საღამოს შემდეგ ჩემთვის ყველაფერი გადაწყვეტილია... შენთვის?

— ჩემო მშვენიერო, ჩემთვისაც გადაწყვეტილია... მარტო სურვილით საქმეს ვერ უშველი. სულ შენზე ვფიქრობ, ყოველთვის შენთანა ვარ. ვხედავ შენს თვალებს, ვხედავ შენს სიცილს. ვკოცნიდი ჩემ ხელს, რომელზედაც შენ მაკოცე. ამ ბოლო დროს, როდესაც შენ ბრიანსონში იყავი, მოვდიოდი იქითკენ, ვიცქირებოდი მთებისკენ. ჩემთვის ვამბობდი: „იქ არის... მალა, მალა!“ ცა მოწმენდილი იყო. როდესაც იქიდან ქარი პჭროდა, ვამბობდი: ეს მისი ქარია მეთქი!

ასე ისხდნენ ბორცვზე. ოლივიეს მხოლოდ ხელი მოეხვია მადლენასათვის წელზე.

შემდეგ ვაემა თხებს დაუძახა, პატარა ფარას გზაზე თავი მოუყარა და გაირეკა წინ, ფერმისაკენ.

ნეკი ნეკზე გადაებათ და ფეხაწყობილად მიდიოდნენ. ძელქვების საზღვართან შეჩერდნენ. იქ გზა იყოფოდა: ერთი გარდეტისაკენ მიდიოდა, მეორე შორანისაკენ.

— ამ საღამოს, — ამბობს მადლენა, — ჩვენ, იულია, მამა და მე ფელისისთან მივდივართ, ღამე უნდა ვუთოთ უგვაშო მიცვალებულს.

— დედაჩემიც მიდის, — ამბობს ოლივიე.

— შენც მოდი, — ეუბნება მადლენა, — მოდი, ერთხელ შენც გნახავ იქ.

— შუალამისას მივემგზავრები, — ამბობს ოლივიე, — დაბრუნდებიან ერთად, რომელიც დურანსამდე მიმაცილებს.

— მოდი, — ეუბნება მადლენა.

— მოვალ.

ვაჟმა მიმავალ ქალს თვალი გააყოლა. მადლენა მობრუნდა, რათა გამოსამშვიდობებლად ხელი დაეჭნია. ოლივიეს მანამდე არ მოუშორებია თვალი, სანამ მადლენა აყვავებულ მსხვილ ნუშის ხესა და სალამოს არ მოეფარა.

მშვენიერი ვარსკვლავებიანი ღამე იყო. მსუბუქ, მაგრამ ძარღვიან ქარს ცა მოეწმინდა.

— ჯერ შენ მიდი, — ეუბნება ბაბუა ოლივიეს დედას. ოლივიე გარეთ დასტოვებს თავის ჯარისკაცის ჩანთას და ჯოხს. არ ვარგა მიცვალებულთან ცოცხალი ადამიანის ტვირთით შესვლა.

— ყველაფერი ეს იქ დასდე, ბუზე, — ეუბნება ბაბუა: — ბოთლი დადგი, ჯოხი კი კედელზე მიაყუდე. წასვლისას ხელის ფათურით მივაგნებთ. ეს სსვა ნივთების მოძებნას გაგვიადვილებს.

ფერმის დარბაზიდან ჩამი-ჩუმში არ ისმის. ხანდახან თუ ვინმე ჩაახველებს.

ახლა შევიდეთ:

დიდი დარბაზი ხალხით არის გაჭედილი. ყველაფერი გაუტანიათ: ბუფეტო, კარადა, ვარცლი; კედლებთან სწორზურგისანი სკამები ჩაუშვკრივებიათ. ამ სკამებზე სხედან ცარიელ დარბაზში. კერა ჩაუჭრიათ, ნაცარი მოუხვეტიათ და იქვე შუა ადგილას დაუგროვებიათ იმის ნიშნად, რომ ცეცხლი აღარ ანთია.

შუა დარბაზში დგას გადაუფარებელი მაგიდა, სრულიად ცარიელი. მაგიდის ოთხივე კუთხეში გრძელი ყვითელი კელაბტრები ანთია.

ყველა ზეგანელი აქ არის. ყველანი მოსულან: მოხუცი მამაკაცები, ქალები, ქალიშვილები. უძრავად სხედან უძრავ სკამებზე. ხმას არავინ იღებს. თითქმის სიბნელეში არიან. შესცქერიან ცარიელ მაგიდას და სანთლებს, რომელთა შუქი ეფინება მუხლებზე დაწყობილ ხელებს. ხანდახან ვინმე ჩაახველებს.

ფელისს შავები ჩაუცვამს. სამგლოვიარო ტანისამოსი მუდამ გამზადებული ჰქონდა განჯინაში: შავი ქვედატანი, შავი თეთრწინწკლებიანი ზედატანი და თავზე წამოსაბურთი შავი ირიბანა, რომელიც ერთბაშად აბერებს. მოსჩანს მხოლოდ ფელისის დაწითლებული ნამტირალევი თვალები და სიმწრით მოკუმული დიდი ტუჩები.

ქვირი კარებთან დგას და მომსვლელებს ზედება.

— მონაწილე ვართ თქვენი მწუხარებისა, ფელის, — ამბობს ბაბუა.

— დიდად გმადლობთ, — უპასუხებს ფელისი.

პატარა პოლი მის გვერდით არის, საგარეო ტანისამოსშია და ლურჯი ბანტი აქვს. მისთვის თმა დაუსველებიან და შუაზე გადაუვარცხნიან.

— დიდად გმადლობთ! — ამბობს ისიც.

მოდიან და მოდიან ზეგანელნი. ისმის გარედან მათი ფეხის ხმა, საუბარი. კარებს რომ უახლოვდებიან, ლაპარაკს შესწყვეტენ. ჩურჩულებენ.

ფელისი მაგიდის კუთხესთან ჯდება. პატარა პოლიც დედის გვერდით ხელს უწვდის.

— მონაწილე ვართ თქვენი მწუხარებისა.

— დიდად გმადლობთ!

— დიდად გმადლობთ! — ამბობს პატარა პოლიც.

შემოდიან. სხდებიან ფერმის დიდ დარბაზში გაცივებული კერის გარშემო. უძრავნი, მდუმარენი, ღამეს უთევენ მიცვალებულს, რომელიც იქ არ არის.

ფელისი მაგიდის კუთხესთან ჯდება. პატარა პოლიც დედის გვერდით მალალ სკამზე შესკუპდება. მისი ფეხები იატაკს ვერ წედება.

ბლედეშოდელი მოხუცი მართა ადგა და ფელისს მიუახლოვდა.

— მარილის ქოთანი გაქვს? — ჰკითხა.

— ყველაფერი მზად არის, იქ, — და ფელისმა კერაზე მიუთითა.

მოხუცი მართა მიდის ქოთნისთვის. დაბრუნდა და მაგიდასთან გაჩერდა. ფელისის მახლობლად, მხოლოდ მეორე მხარეს. ეს ორი ქალი უდგას თავთან მიცვალებულს, რომელსაც ღამეს უთევენ. ყველა რალაცას მოელის... ხველას იკავენს. დიდი, მძიმე დუმილი მოიცავს ყველას...

— ჩვენ ღამეს ვუთევთ ომში დაღუბულ არტურ ამალრიკის აქარმყოფ გვამს — აცხადებს მოხუცი მართა. — დეე, ყველამ მეგობრულად შემოიკრიბოს ფიქრები იმის გარშემო, ვინც იყო მარილი დედამიწისა...

ქოთანში ხელს ჩაჰყოფს, პეშვით შუა მაგიდაზე მარილს გადმოიღებს და ერთად თავს მოუყრის. მერე კაბის კალთის ქვეშიდან გამოიღებს ზეთის ხილის კურკებისაგან გაკეთებულ კრილოსანს და მაგიდასთან დ-იჩოქებს. კვლავ მძიმე დუმილი ჩამოვარდება.

— ოჰ! ჩემო არტურ! — წამოიძახებს ფელისი.

— ოჰ! ჩემო არტურ! რა ვაჟკაცი იყავი... მეუბნებოდი: თავს კარგად მოუყარეო. ოჰ! აი ახლა შევიძინე ის, ვინც ჩემზე ზრუნავს და მანამდე იზრუნებს, სანამ არ მოვკვდები.

— დეე, ყველამ მეგობრულად შემოიკრიბოს ფიქრები იმის გარშემო, ვინც იყო მარილი დედამიწისა, — ბუტბუტებენ ზეგანელნი.

ოლივერ თვალებით მადლენას დაეძებს. იქ არის, მეორე მხარეს. მას შემოსცქერის. ოლივერ ხედავს, ფუნთუშა ტუჩებს როგორ ატუკებს მადლენა, თანაგრძნობას გაძოსთქვამს. თვალეზში ცრემლები უბრწყინავს. როგორ თვითონ ილივერმაც გაიმეორა:

— დეე, ყველამ მეგობრულად შემოიკრიბოს ფიქრები...

ეხლა კი სდუმს. ქალ-ვაჟი ერთმანეთს უცქერის. ტუჩები მოუკუდავთ. ქალი ტირის, უსიტყვოდ, იქ, მოშორებით.

ოლივერ თავიდან ფეხებამდე ჯარისკაცის ტანისამოსშია გამოწყობილი. იგი განწყობებულია, სადაც არის წაეა... მადლენას რომ შეხედოს, მისი თვალი ცარიელ მაგიდას უნდა გადაეველოს, მიცვალებულის მარტილის პატარა გროვას, რომელიც სანთლებს შორის ბრწყინავს.

ვაჟს თითქოს ესმის, როგორ შრიალებს მადლენას კაბა, როდესაც ის ბალახში დადის. მე რომ ვყოფილიყავ ნათურა, ფიქრობს ოლივერ, ნათურა, ეს მაგიდა, ნეზვი, დამტოვებდნენ. ძალდი რომ ვიყო, დამტოვებდნენ... ძალდი რომ ვიყო...

— ოჰ! ჩემო საბრალო, არტურ! — მოსთქვამს ფელისი. — ვერასოდეს ველარ გნახავ. სამუდამოდ გაემგზავრე და არასოდეს აღარ დამიბრუნდები. საწყალო, რატომ ახლოს არ ვიყავ, რომ შენთვის თვალეზი დამეხუჭა. საწყალო, სადღაც მიწაზე მოკვდი მარტო, მზეცივით. როდესაც შენი ოჯახი ყველაფრით სავსე იყო და ასე მიყვარდი... სწორედ მაშინ, როდესაც ცხოვრებას ვიწყებდით.

— დეე, ყველამ მეგობრულად შემოიკრიბოს ფიქრები!

იქ, მოშორებით, ტოკავენ მადლენას ფუნთუშა ტუჩები, ეტყობოდა, როგორ წარმოსთქვა:

— ოლივერ!

ბაბუამ ანიშნა. ოლივერ წამოდგა. სწორედ მაშინ, როდესაც სიჩუმე ჩამოვარდა, ფელისი ოლივერსკენ მიბრუნდა და ნამტირალევი თვალეზით უსიტყვოდ შეხედა.

— ნახვამდის, დედა, — ამბობს ოლივერ.

— ჰო, შეილო, — ემშვიდობება დელფინა.

ბაბუა და ოლივერ ფელისს უახლოვდებიან. ქალი ფეხზე დგება. ოლივერს ხელს გაუწოდებს.

— ნახვამდის!

ბაბუა ფელისს ხელს ართმევს.

— თქვენთან ერთად მეც ვწუხვარ, — ეუბნება ქვრივი.

— დიდად გმადლობთ! — უპასუხებს ბაბუა.

ოლივერ ყველას გადახედავს და ასე გამოემშვიდობება.

ირველიც ყრუ ქვითინი ისმის, იგონებენ წინათ წასულებს. ტირილში მოისმის სახელები:

— ჩემო საწყალო ეანო!





ქალი ფრთხილად იკლავებოდა, არაყი რომ არ დაეღვარა, ჯარისკაცმა თავისი დიდი თავი ქალის თემოებისკენ წაიღო.

— მიყვარს, როცა ტლინკებს ისერიან. თუ შენი ბრიგადის გული-სათვის იქცევი ასე, დამწვიდდი, ის დღეს გათენებისას მანქანაზე წავიყვანა.

— ღორია და მეტი არაფერი! აი ვინ არის ის მანქანის მძღველი. ქალმა თავი გაინთავისუფლა. ნაცრისფერი ტუჩები თითქოს დიდ დაღლილობას ცოხნიდნენ.

ჯარისკაცმა ოლივიეს შეხედა.

— შენი სადღეგრძელო იყო! — უთხრა და გადააკრა. რომელი ასე-ულიდანა ხარ? — კეითხა შემდეგ.

— შესავსებად მივდივარ.

— რომელ მხარეს?

— ვაკისაკენ.

ჯარისკაცმა ოლივიესკენ მიიწია. თვალი ჩაუკრა და სამზარეულოს ვახედა, სადაც ქალიშვილი ჭიქებს წყალს ავლებდა.

— არ დაიჯერებ, — უთხრა ოლივიეს, — ხანდახან ასეთი ბუნღუნა ქალიც კი ცხოვრებას ამშვენიერებს. მაგრამ აქაც კოხტა ბიჭობაა საჭირო. ჯერ საბარჯულის უფროსი პყავდა, უნტერ-ოფიცერი, ახლა კი ბრიგადირი. ყოველთვის დაკავებულია... ხომ გესმის?

მოესმათ ცხენის ფეხის ხმა. ჯარისკაცი წამოხტა და კარი გააღო.

— დომა! დომა! — დაუყვირა, — შესდექ, შე ვირისთავო!

ის კი, გატყენებულ ჯორზე მჯდომი, ხელებით რაღაცას ანიშნებდა და ბარისკენ უთითებდა. რაღაც სიტყვებს ისროდა, რომლებიც გზის ხმაურობაში იკარგებოდა. მის უკან ცარიელ ბიღონებს რაკა-რუკი გაჰქონდათ.

ოლივიე გარეთ გავიდა. სამიკიტნოს კარი მიიხურა და უკანასკნელად იგრძნო ზურგზე სითბო. საჭურველი ამძიმებდა.

— გაესწიოთ... — სთქვა თავისთვის, — დაღლილობა დაეძლიოთ.

თან კასრის სალტის ოდენა პორიზონტი მიჰქონდა, იმას იქით კი ნის-ლი იდგა.

ვიღაც მხედრები მინდორში უხმოდ მიდიოდნენ, თითქოს მისცურა-ყენო. ჯერ რუხად მოსჩანდნენ, მერე შავად, შემდეგ ისევ რუხად, ბოლოს უეცრად ჩამოშვებული ნისლის განიერმა საფარმა უჩინარი გახადა ისინი. ბრუნებდა დაფარებულნი ორთვალა ურმები მიგორავდნენ, ქარის-ვან ზურგი ებერებოდათ. დაკლავნილ გზაზე ველოსიპედისტები კალი-ებივით დახტოდნენ.

გზის ორივე მხარეს, ალბათ, სწორი და უდაბური მინდვრები იყო. ის-მოდა, როგორ ჩიფჩიფებდა იქ, სიღრმეში, თავისთვის ტალახი. შეიძლება, ჭოფლებიც იყო. სქელი ყავის სუნი მოდიოდა.

ნისლს გადალმა, თითქოს მღელვარე ზღვა გუგუნებსო, ყრუდ კენესო-  
და დედამიწა უზარმაზარი საბარგულების სიმძიმის ქვეშ.

ჩაქროლა არტილერიის ბატარია, იგი ნისლს მიაპობდა.  
ოლივიე თხრილში ჩაცურდა. ტომრის სიმძიმე მხარშია დასაწყობი.  
ერჭო.

— მურტალნო! — დაიღრიალა.

ბატარია თავის რკინის მუხლებზე უკვე დაბტოდა სადღაც წინ, შორს  
ნისლის ნაფლეთებში, რომლებიც ყუმბარის ყუთებს, ურმის თვლებს, არ-  
ტილერიისტებს და მათრახებს მიჰკროდა.

ერთი ხანია უკვე ნაკელის ძლიერი სუნი იგრძნო. ისმოდა, ჭიხინი,  
პარკის ცხენების ფეხის ბაკუნი, ადამიანთა ხმა, ყვირილი; დარბილებულ  
რკინას ურო ურტყამდა, გრდემლზე რაკუნა გაჰქონდა; ხვედები ხის პა-  
ლოებს მწყობრად ეცემოდა. მინდვრების რბილ ტალახში უგზოდ მიმა-  
ვალ ოთხთვალა ურმების ღერძების ჭრიალი ისმოდა; ცხენებისა და  
საბარგულების დიდ ბანაკს უახლოვდებოდა.

უცრად წითელი ალი ამოვარდა. ბოლითა და ნისლით მობურვილი  
იგი სქელ ჰაერში ძალიან მაღლა ხტებოდა. იქ წითელ გუნდად შეკრუ-  
ლი რჩებოდა, მუხლებთან ნიკაპმიტანილი, შემდეგ წყნარად ისევ დედა-  
მიწაზე ფეხებს უშვებდა, თითის წვერებს დაჰკრავდა და კვლავ ცაში ავირ-  
დებოდა. მის გარშემო მსხვილი შავი მარწუხებით ხალხი დარბოდა.

— ასწიეთ, ასწიეთ! ქვემოდან მოსდევით მაშები. ყველამ ერთად,  
აბა, პა!

ამოიღეს ცეცხლიდან თვალის გავარვარებული სალტე და წაიღეს  
კვამლსა და ნაპერწყლებში.

• ცეცხლმა ცეკვა შესწყვიტა. ცისფერ მსხვილ ხელებს მიწაზე აფათუ-  
რებდა.

მიჯნის ბოძი ტალახით იყო დაფარული. კაცი ვერ გაიგებდა, წინ  
ვაკე იყო თუ არა, და რა მანძილი რჩებოდა იქამდე.

ოლივიემ ტომარა სველ ბალახზე დაუშვა.

ნისლი ოდნავ შეთხელდა. თითქმის არავითარი ხმაური არ ისმოდა,  
მხოლოდ დედამიწა კენესოდა და ალვის ხე ფოთლებს აშრიალებდა.

მინდვრებს ყოველ მხრივ განიერი ბრტყელი ფრთები გაეშალათ.

ის კაცი იქვე იყო, მინდორში. დროგამოშვებით შეჩერდებოდა, ირგე-  
ლივ იცქირებოდა, შემდეგ კისერგაწედილი მიდიოდა წინ, სადღაც.

ბატარა ხეს მიუახლოვდა. დახედა. მისკენ დაიხარა. ხელი შეახო. ეფე-  
რებოდა ხის მთელ ტანს, თან გულდასმით ათვალეირებდა.

ეტყობოდა, თავისთვის ჩუმად რალაცას ლაპარაკობდა, თავს ნელა  
აქნევდა, თითქოს ამბობდა: „არა, არა!“

— ეი! — დაიძახა ოლივიემ.

კაცმა თავი ასწია და გამოხედა. ერთხელ კიდევ შეახო ხელი ხის ტანს და მხოლოდ ამის შემდეგ გადასწყვიტა ოლივიესთან მიქცობა.

— არტილერისტი ხარ? — ჰკითხა და გზაზე გადმოვიდა.

— არა, — უპასუხა ოლივიემ.

— მაშ საბარგოლიდან იქნები?

— არა, — მიუგო ოლივიემ. — მგონი 140-იდან უნდა ვიყო.

— 140—140... — გაიმეორა კაცმა ყრუ მღვდელი ხმით, რადგან მთის კილოზე ლაპარაკობდა. — მაშ ჯორს ხეზე შენ აბამ?

— არა.

— ეგ არ უნდა ჰქნა, განა არ იცი?

— გეუბნები, არ მიქნია. ეს ეს არის მოვედი.

— კარგი. მაგრამ მაინც ეს არ შეიძლება, არა! რაპდენი ხანია ამას ვამბობ, მათ კი მხოლოდ სიცილს ჰგვრის. შენც გეცინება?

— არა, — ეუბნება ოლივიე. — არა! მეც ვიცი, რომ არ შეიძლება: ჯორი ქერქსა სკამს.

— მაშ იცი, იცი?! — სთქვა გაკვირებულმა კაცმა.

წყალივით ანკარა, თითქმის უძრავი თვალები ჰქონდა. მისი გამოხედვა გულის სიღრმეს სწვდებოდა.

— ჰო, ვიცი. — უთხრა ოლივიემ.

— მაშ მომეცი ხელი, ჩემო ბიჭო, — მიმართა კაცმა.

უიარაღო ჯარისკაცი იყო, მოკლე ხალათიანი, ყვითელ ქაშაშ-შემორტყმული. მძიმე გულმკერდს რომ შეარბევდა, აირწინაღის კოლოფი თემოზე სცემდა.

— რა გვარი ხარ?

— შაბრანი, — უპასუხა ოლივიემ.

— მე რეგოტაზი ვარ, — სთქვა კაცმა, — მეც 140-იდანა ვარ.

ხალათის მაგარ სარტყელზე ჭიშიური ფანქრით ნომერი ჰქონდა აღნიშნული.

— მეც იქიდანა ვარ, გეუბნები. ცოტა გავისეირნე. ახლა უკან ვბრუნდები.

ერთად გასწევენ. ვაკე აქედან, ალბათ, ათი კილომეტრის მანძილზე იქნება.

გზას იმათვენ ხისა და სოკოს სქელი, ძლიერი სუნი მოჰქონდა.

მარცხნივ, იქვე გზასთან მეორე ბანაკი გუგუნებდა. ცხენი ჭიბვინებდა და ნალს ფიცარს ურტყამდა.

— ოჰ, ოჰ! მოუქი ლაგამი, — გაჰკიოდა წვრილი ხმა. ლაგამის ძეშკეებს წკარა-წკურა გაჰქონდათ. მებუკემ ორჯერ თუ სამჯერ დასცა საყვირი. მედოლე დაკვრას სცდილობდა, მაგრამ ჯობები ერეოდა.

— ოჰ, ოჰ! მოუქი, მოუქი.

ფეხის ხმაზე ეტყობოდა, რომ ცხენთან ორი თუ სამი კაცი იყო.

— მოუქი შენ ხახას, — ჩუმად სთქვა რეგოტაზმა. — კიდევ რას გინდა მოუქირო?

ცენი ახლა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჭიხვინებდა: მუცელში ფეხს სცემდნენ, რომ გაეჩრებინათ.

ნისლში აბოლებული დიდი წიფელა გამოჩნდა. ფოთლებზე წყალი ეკემოდა. მოისმოდა ფეხების ტყაპუნი ტალახში. იქ, ბალახში, ნაკადული მიჩრიალებდა.

ტყე იყო მათ წინ გადაშლილი, შიშვე, ბნელი ტყე, რომელიც ჩუმად იღრინებოდა.

— შესდექ! — ამბობს რეგოტაზი, — ეს ხომ ტყეა, ბიჭო, მოიხსენი შენი ტომარა, მომეცი. წამოვიღებ. მომეცი შენი ტომარა, თორემ ამაღამაც ვერ დავბრუნდები. ჩემთვის, — განაგრძო რეგოტაზმა, თან მხრებზე ტომარა მოირგო, — ეს აუცილებელია, რომ გზას არ ავცდე. დაჰყნოსე ცოტა. გრძნობ ამ სუნს? მოიცა... გესმის, გესმის?! აი იქ, იქ...

ბუჩქებში რალაც ნადირი გაინაბა, შემდეგ ხმელ ფოთლებში გაიქცა.

— მელაა, გეუბნები... ყური დაუგდე, რა ხმაური ასტეხა. გეუბნები ეს რიდაცის ნიშანია, ბიჭიკო. შე მხრებზე ტვირთი მქირდება: ეს ჩემ ნაბიჯს ანელებს და გზაზე მაკრავს, შენს გვერდით ვრჩები და ასე ვბრუნდები; უამისოდ, ჩემს თავს კარგად ვიცნობ, ისევე ბალახისკენ გადაუხევე.

პაერი დაიწმინდა. ფოთლებს იქით ცხოველის მოხაზულობა გამოჩნდა. აწყვეტილი ცენი ტალახში ხის პალოს მიათრევდა. მოწმენდილ დღეში რალაც მოციხვრო სინათლე იყო.

ქარისაგან დაფლეთილი ნისლი იფანტებოდა.

— შურტალნო! — სთქვა რეგოტაზმა.

ტალახში ჭერქის დიდ ნაფლეთს ათვალეერებდა.

— ხედავ, შურტალნი ხეებს რას უშვრებიან?

ტომარის მოხსნა დააბირა, მაგრამ გადაიფიქრა.

— არა, — სთქვა, — გავსწიოთ, ბიჭუნა!

ხალათის სახელოები გადაიწია, პერანგის სამაჯურის ღილები გაიხსნა და ტრეველი მკლავები გამოაჩინა.

ხელი დიდი ჭრილობისაგან დასახიჩრებული ჰქონდა.

რაც უფრო ღრმად შედიოდნენ ტყეში, მით უფრო მეტი სიწყნარე იყო: საბარგულებების ხმაური, რომლისგანაც დედამიწა ზანზარებდა, და ცის გრიალი თანდათან მიყურნდა ტყეში. ისმოდა მხოლოდ ტოტების რბევა, შორეული ყეფა, მამლების ყვილი, წყლის წვეთების დაცემა და ნისლის მსუბუქი გაშრიალება ფოთლებში გავლის დროს. ჩიტი მღეროდა, ფრთას ფრთას სცემდა, ფოთოლი ვარდებოდა და მისი სხვა ფოთლებზე დაცემის ხმა მოდიოდა. ტყის ტოტებგაშლილი დიდი მკერდი ნელა ადიოდა და დადიოდა.

ხანდახან გზის მარჯვენა ან მარცხნივ ვიწროდ გაჩეხილი ბილიკ-  
გაიხსნებოდა, პირდაპირი, თითქოს წალდის ერთი მოქმედი უჩინაით,  
და ნისლისაგან გათეთრებულ ტვერთა სივრცეში იკრავებოდა.  
რეგოტაზმა ნაბიჯი შეაჩერა.

— მითხარი, ბიჭიკო, შენ ზომ გგონია, რომ მე გიყი ვარ?

— არა. — უბასუბა ოლივიემ.

ადამიანს შეხედა: მის ნათელ თვალებში შიში იხატებოდა და ცდი-  
ლობდა ოლივიეს თვალებში ამოეკითხა ის, რაც სიტყვებს იქით იმალე-  
ბოდა.

— არა, არა გგონია, შენ ვალაპარაკე, თორემ მეც შენსავეთ ვფიქ-  
რობ. მეც მიწის მუშა ვარ, მეც ჯერ კიდევ შენსავეთ ხნიერი არა ვარ,  
მაგრამ მეც ვერკვევი ბევრ რამეში. მხოლოდ შენ შეგიძლია ამის გა-  
გება.

რეგოტაზმა ამოიოხრა და გზა განაგრძო.

— ეს მეტის-მეტია, ბიჭიკო, ჩემთვის, — ამბობს, — და შეიძლება შენ-  
თვისაც მეტის-მეტი გახდეს; რადგან, თუ გინდა მათქმევენიო, ეს ბოლოს  
და ბოლოს აუტანელია; შენთვისაც აუტანელი გახდება. ამიტომ ხანდახან  
ჩემს თავს ვეუბნები: „ემილ, გიყი ხარ!“ სად გაიქცევი, ზომ გესმის? სად  
გაიქცევი, როდესაც შენი ხვედრი ასეთია და ეს ხვედრი კიდევ ათევედება?  
გულში ვამბობ: არა, არა! მეტი არ მინდა, მეყოფა, ამის ზიდვა აღარ  
შემიძლია, მეტის ატანა აღარ შემიძლია, მე მხოლოდ ადამიანი ვარ. და  
მაინც სულ მტვირთავენ და მტვირთავენ. გვეყოფა მწუხარება! გვეყოფა  
მწუხარება! გესმის? თავი როგორ დავაღწიო.

ტირიფი მძიმე ნამს ბალახზე ნელ-ნელა აფრქვევდა...

— ათეულში ჩემთან არიან ფრედერიკი და ლუი ბუტი და ბევრი  
სხვა. იქ, კიდევ, სამიკიტნოში, რამდენიც გინდა; მაგრამ თუ გინდა, გითხრა,  
გეტყვი, ბიჭიკო. გატყობი გამიგებ: გულდამპალი ხალხია. და ეს არც მათი  
ბრალია. შეიძლება წინად ნათელი გზით მიდიოდნენ. შეიძლება ხანდახან  
მთვრალივით გზას ასტდებოდნენ, მაგრამ მაინც თავიანთი გზით მიდიოდ-  
ნენ. ახლა კი გულდამპალი ხალხია. და უბედურება ის არის, ბიჭიკო, რომ  
ისინი ცუდი კაცები არ არიან. არა, მაგრამ თუ მათთან დიდხანს დარჩი,  
შენც წახდები. არ ვიცი, გითხარი თუ არა: მე ხის მჭრელი ვიყავი მალა-  
ლი მთის ტყეში, ისეთ საჩხებში, სადაც ტყის მცველები არ არიან; იქ თუ  
კაცს გონება და თავშეკავება არა აქვს, შეუძლია სრულიად დაუსჯელად  
მთელი ტყე გააკაფოს. მაგრამ ადამიანს გონება და თავშეკავება აქვს.  
და ასე ვუთხარი ჩემ თავს: ეს ხეები?

კურდღელმა ორი ნახტომით გზა გადასტრა.

— ეს იმ დღეს დაიწყო, ვაშლის ხეებ ქვეშ რომ ვიყავი: ბალახში-  
საბანზე ვიწექი. ტოტის ზედა ნაწილს ღია ფერი ჰქონდა, ქვედა ნაწი-  
ლი კი სულ გაშავებული იყო სინესტისაგან. დიდი გუგუნე და ხმაური

იყო ვერდენის მზარეს. ყვეისფერი სიბნელე. ხანდახან უეცრად ალი ავარდებოდა, როგორც ნახშირის საწვევ ორმოდან. ამბობდნენ, ხელნაწილ სალაშქროდ გაგვზავნიანო. სწორედ ამ დროს ლუი დამთავრალიყო და ცოლის სურათი დაეხია, შემდეგ თავისი პატარა გოგონასი. ექვთიმე მტკვრელი სურათები გადაეყარა და ეთქვა: „ჯანდაბას ყველაფერს ვერცხვან აყუდებულა უაზროდ, მტირალი, ბინძური. ხომ გითხარი, ტოტს ღია და შავი ფერი ჰქონდა მეთქი. შემდეგ ტოტი ზევით უხვევდა და ღლის სინათლეზე გადიოდა. ამ ხეს ექვსიოდე ფოთოლი ძლივს შერჩენოდა. ასეთი მცირე ტვირთი ამ მსხვილი ხის ტანზე!

ხმადაბლა ლაპარაკობდა. ტომრის სიმძიმისაგან სუნთქვა უჭირდა.

— თამბაქო გაქვს? — შეეკითხა. — მომეცი ზიბუხისათვის.

— გინდა მთელ შეკვრას მოგცემ? სამი მათქვს ჩანთაში.

— მეც უნდა მქონდეს იქ, ზემოთ, მარსელს ჩემთვის უნდა გადაედო. გუშინ არიგებდნენ. ხომ იცი, ორი დღეა, რაც წამოვედი.

— მერე, არ დაგსაჯეს?

— არა, მიცნობენ. უთქვამთ: „რეგოტაზი? „ჰო, ის გიყი“. „როდესაც დაბრუნდება, გამომიგზავნეთო“. მეტი არაფერი. უკანასკნელად აი აქ გამკრა რალაცამ (მკერდზე ზელი დაიდო), თითქოს გორაკის მეორე მხრიდან შეძახიანო. „ჰო,“ ვუპასუხე. „ოჰ! რეგოტაზ“, — მეუბნებოდა, — ახლა უფრო ცუდად არის საქმე. მაშინ წავედი იქ, სადაც არავენ იყო. იქ, გაჩვენებ, საყდრის უკან. გავუსწორდი იმ ადგილს, საიდანაც ხმა მოდიოდა და ვუპასუხე: „ჰო, აქა ვარ, ჰო, ჩემო მშვენიერო ტყეო, აქა ვარ! რა გინდა ჩემგან, ჩემო მშვენიერო? ჰო, აქა ვარ“. და მუდამ მესმოდა მისი ძახილი: „რეგოტაზ, რეგოტაზ, ემილ!“ დილით მიმავალ ოთხთვალაზე შევბტი. ამაზე მეტი ნისლი იდგა, ვიდრე ახლაა. ბიჭი, რომელსაც ცხენი მიჰყავდა, არ ჩქარობდა. ორი მეტრის მანძილზე არაფერი მოსჩანდა. ჩემი გული თანდათან იკურნებოდა. „რეგოტაზ!“ — მეძახდა იგი მუდამ.

„ჰო, მოვდივარ, ხომ გითხარი“. უეცრად ბიჭმა მუხრუჭი მოსწია და ოთხივე თვალი შეაჩერა. გაშტერებული იცქირებოდა. ეს იყო დიდი, ზორბა ტანო, ვზის გასწვრივ გაწოლილი. „ძველო, — შითხრა, — რა არის იქ ჩვენ წინ?“ „მე უკვე მოვედი“, ვუპასუხე მე, გულში კი ვამბობდი: „ჰო, ჩემო მშვენიერო, მე აქა ვარ“. „გასწი, — ვუთხარი ბიჭს, — გასწი ნუ ლეღავ. ეს ტყეა“. მე ბილიკს დავადექი და ტყისაკენ გავსწიე.

ტყის ბოლოს უახლოვდებოდნენ. დღე განათდა. ქართან ერთად რუხი ფართო სინათლე დაჰქროდა. ხეებს იქით ბალახის ზღურბლი მოსჩანდა, შორს კი სიღრმეში გავრძელებული გორაკი.

ამ სინათლის კარებში ხმაურობა იჭრებოდა, რომელიც ტყეს დაეხშო. დიდი საბარგულის გუგუნი, ცის ზანზარი, ყვირილი, ძახილი, — ყველაფერი ეს ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ახლოვდებოდა, ცხლად სუნთქავდა, პირდაღებული ნადირის ხახასავით.

მოულოდნელად ტყეს გაცდნენ.

ქვემოთ, ხევში, დიდი სოფელი იყო, [აქერცლილი, ჩინაფრებში] ბრტყლად გაჭიმული. ხალხი კიანჭველებივით ფუსფუსებდა, ალვის ხეებ-ქვეშ, მკვდარი არხის ნაპირზე, ავტომობილების გრძელ-საბაზო-ჭკლები ქშინავდნენ. ერთი პატარა ორთქლმავალი ბზის ზეინგანს უსისრის კეტიკონების კლდს ანძრევდა: ნერვიულად პატარა ფეხებს ატრიალებდა, სტოდა, სტვენდა, ბალახებში იფურთხებოდა. მეორე ორთქლმავალი ხის მასალით დატვირთული ვაგონებით მშვიდად უცდიდა პირველს და დროგამოშვებით დინჯად სტვენდა.

ბრეზენტგადაფარებული ფურგონების საბარგული ნაბიჯით მიდიოდა გორაკის თხემით მიმავალ შარახე. ქვედა გზაზე მწყობრად მიდიოდა ჯარისკაცთა რაზმი. მან უკვე მიაღწია სოფლის ქუჩას. სოფელში საყვირების ხმა გაისმოდა. სახერხი მანქანა ლალ სიმღერას ამბობდა, მუშაობის დროს ორხმიანს, მძიმეს, ხოლო მუშაობის შემდეგ, როდესაც ხერხის პირი თავისუფლად დასრიალებდა. — ერთხმიანს.

იღვა მოჭრილი ხეებისა და ნახერხის მკავე სუნი და რალაც საეჭვო სიტყბო, რომელიც დამპალივით ედებოდა ენას...

ტყისაკენ მსუბუქი ავტო წავიდა: წითელი ჯვრის ავტომობილი იყო, ძალზე დატვირთული. მან სწრაფად ჩაიქროლა, გამოჩნდა მწოლარე დაქრილთა ფეხსაცმელი.

ფერდობზე ერთი ავტობუსი წეალობდა. ოლივიე მიბრუნდა და თვალი გააყოლა. უკანა ბაქანზე ეკიდა გატყავებული და სისხლიანი ხარის მთელი შეოთხედი, რომელსაც ტალახის შხეფები ხედებოდა.

— ხედავ, ჩემი ხეები, — სთქვა რეგოტაშმა, — ხედავ, ბიკიკო?

სახერხის წინ ჯერ კიდევ ქერქაუძრობელი, ფოთოლშერჩენილი, წვრილტოტებიანი ხეები ეყარა.

— აბა შეხედე ერთი...

ტალახში ეგდო მუშტის ოდენა ხორცის ნაჭერი, შავ-წითელ სისხლში მოსერილი, ბოქკოვებზე ტარა თეთრი ლორწო მოჰკიდებოდა. საღ გვერდზე კიდევ შერჩენოდა მიწებებული დოლბანდის ნაჭერი.

ოლივიემ ტყისკენ გაიხედა. იქიდან მსუბუქი სანიტარული ავტომობილისა და ავტობუსის ძრავების გუგუნე მოისმოდა. ოლივიე ხარის ხორცის დიდ ნაჭერზე ფიქრობდა.

— შეიძლება ადამიანის ხორციც იყოს, — სთქვა რეგოტაშმა. — შეიძლება. განა გასაკვირია, რომ ეს ნაჭერი საკაცედან გადმოვარდნოდა ნაკუწებად ჭკეულ ადამიანს, რომელსაც საკუთარი ხორცი გზაში ებნევა საკაცის ქანაობაში. ხომ მიხედი?...

და რეგოტაშმა თავისი ზორბა ტანი სანიტარულ ავტომობილივით მარჯვნივ და მარცხნივ დაარწია.

## აწ დანდობა აღარ იქნება



— პონ რუეს ესვრიან, — სთქვა ყოზეფმა.

მეეტლემ სადავე მოსწია და ორივე ჯორი გააჩერა.

— მასე უნდა იყოს, — სთქვა მან.

იქ, გორაკებს უკან, ისეთი ტყაცა-ტყუცი იყო, თითქოს სქელ ფიცრებს ამტვრევდნო.

კაი ამბავი ვერ არის.

კვლავ გარეკეს ჯორები. სუასონის სახლები და მოკირწყლული ქუჩები უკან მოიტოვეს. თვლები რბილ გზაზე მიგზარავდა, სადაც ორმოები ტალახითა და ქვებით იყო ამოვსებული. თვლების ნაკვალევში თაბაშირით თეთრი წყალი მიდიოდა.

— შეხე, რა ზორბად უშენენ.

— შჩერება მხოლოდ შაქრის ქარხანასთან შეიძლება, — სთქვა ყოზეფმა.

გზის ორივე მხარეს მინდვრები მდორე წყლით იყო დაფარული, რომელშიაც მოლურჯო ცა იხატებოდა. ცის დასავალთან მზის მოელვარე დისკოზე ქერა ღრუბლები ზანტად ეშვებოდნენ.

— აი, როგორც შენ გეუბნები, ისე ვუთხარი მასაც, — სთქვა კაცმა: — ჩემო ლეიტენანტო, ვუთხარი, ეს ბილიკი შაქრის ქარხნიდან სეროკურამდე უნდა გაეყვანათ. კრეტს ჩაუვლიდა, მთელ სიგრძეზე ხეებში გაიფლიდა და საშიშ ადგილებს აეცდებოდათ.“ ეკ, თუ ფიქრობ, რომ აქედან რამე გამოვიდა. გავიგონე, ადიუტანტს რომ ჰკითხა: ეს ვილაო.

მინდოდა მეთქვა: ეს მათიო ბომბეა, რომელსაც თავისი საქმე კარგად გაეგება მეთქი.

— მხდალნი! — სთქვა ყოზეფმა.

— ჰო, მინდოდა მეთქვა: „ეს მათიო ბომბეა, და თუმცა ლეიტენანტი ბრძანდებით, მაგრამ თქვენ მას თავის ზელობას ვერ ასწავლით. თხუთმეტი წელიწადია რაც მზიდავად არის და ვინ მოსთელის სენტეტინის ჩაოხრებულ გზებზე დანჯღრეული ოთხთვალათი ჩამდენი საქონელი გადაუზიდნია, და თუ მათიო ამბობს, რომ გავლა შეიძლება, მაშასადამე, შეიძლება. იგი ბავშვი ზომ არ არის! შენ იმდენჯერ ცხვირიც არ მოგიხოცია, ჩამდენჯერაც მათიო მამად ყოფილა“. ვინ დავიჯერებს!..

— შეილება გყავს? — ჰკითხა ყოზეფმა.

— ორი. ეს იმიტომ, რომ აქა ვარ, შენა?

— შე არა მყავს, ერთი წელიწადია ცოლი შევირთე.

— საქმაო დრო გქონია... დიახ, ორი მყავს, ჩემო კარგო: ერთი პატარა გოგონა, პირწავეარდნილი მამაა. არავის არაფერს შეაჩინეს, ყველაფერზე ვიპასუხებს, თვით პაპსაც სიტყვას შეუბრუნებს. ამისთვის კარ-



გად მივტყეპავ ხოლმე. ერთიც კიდევ ღორის ქონის სქელი ნაჭერი, რომელსაც დედის ღორმუცლობა გამოაყვა. თუ ნებას მისცემ, მთელ სამოთხეს გააჩანაგებს... იცი, მგონი, აი იქ ვარდება!

ის იყო, ერთი მალღობი გადაიარეს.

მარკუნული

ჩამავალი მზის სინათლეზე მთელი მზარე გარკვევით ჩანდა იქ, წინ თითქოს ღელავდა, და მის გრძელ ტალღებზე ხეები აღმართულიყო. ადიდებულ ღელეს ირგვლივ მინდვრები წყლით დაეფარა და გასიებული ტანით ღრუბლებისა და ბალახის ჩრდილით აჭრებულ, ფართო უძრავ ქაობში იკლავებოდა. საითაც გაიხედავდი, უდაბური ადგილი იყო. პატარა ტყეში გუმბათმოხსნილი სამრეკლო მოსჩანდა. ტყის პირას დიდი დახრული ფერმა ღებებოდა. მისი ჩონჩხის ნამსხვრევები მინდვრის ტლაპოებში მიმოფანტულიყო. ყორნები ფანჯრების ჩაშვებულ ორმოებს კორტნიდნენ. ღელეს იქით ქვეყანა ისე დაეფლითათ, რომ ცარცი გამოჩენილიყო. ასე გადასწორებული, უხეო, უკაცური მზარე შორეულ მწვერვალებამდე აღწევდა, რომელსაც ნაპერწყლებით საფხვ, აღის ენებით დასერილი მთრთოლვარე ბოლი ასდიოდა.

— საბინიოლი, — სთქვა ჟოზეფმა და ჩრდილითა და ცეცხლით დაფარულ ცის დასავალს დააცქერდა.

— იქით მიდიხარ? — ჰკითხა ადამიანმა.

— არა, მძიებლად ვარ გამოგზავნილი მარცხნივ, მონეტრმონისკენ; ხეალ სალამოს გასწევენ იქით. იქ, ალბათ, უკეთესი არ იქნება; კიდევ რომ იყოს, ისეთ ბინძურებთან, ჩვენ რომ გვეყვანან...

— იქ, არხთან თქვენა ხართ დაბანაკებული?

— ჰო, მეშვიდე ასეული.

— ჩვენ სწორედ ამელის გვერდითა ვართ.

— ვიცი, დაგინახე, ჯორები რომ გამოგყავდა. ვთქვი: ცოტას წამიყვანს მეთქი, ფეხები არ მივარვა.

ამ დროს პონ რუეს ყუმბარა დაეცა. შავმა კვამლმა გორაკს გადაურა და მრგვალი, ხესავით ხშირფოთლოვანი ზევით წავიდა.


— შეუწყვეტელი სროლაა, — სთქვა ჟოზეფმა.

— ჰო, — უთხრა ადამიანმა, — ასეთ დროს მთავარი ის არის, არ გაჯიუტდე. ჩვენ შაქრის ქარხანასთან დაეცადოთ.

წისქვილს უახლოვდებოდნენ. უნდა აველოთ მხოლოდ ერთი პატარა გორაკი, რომელიც დასველებული ნადირის ზურგივით წვეთავდა. მართლაც იდგა გაოფლიანებული და წვიმისაგან გაწუწული პირუტყვის სუნი. დამწვარი დენტის სუნიც მოდიოდა. ახალნასროლ ყუმბარებს მინდვრებში ორმოები ამოეთხარა.

შაქრის ქარხანა იქვე, მათ წინ იყო; მოძრავი სამზარეულო კედლებთან ბოლავდა. მოკლებალათიანი ორი კაცი გზას ვასცქეროდა, წვერის დამრიგებელთ უცდიდა. უკვე იისფერი ღამით დაფარული გზა

ბოლომდე ცარიელი იყო, მაგრამ ყუმბარების აფეთქებისას ხეებმა მაინც მოსჩანდა.

საპინოლისკენ მაშხალებს ისროდნენ. შემოღამებისას საბუნელეში ერთი წითელი მაშხალა ნათურასავით აინთო და ასევე დაიწვინა.  ჩამოკიდებული.

— ოჰ, ეს არხთან არის, — წამოიძახა ადამიანმა.

ტალახში ხელს აფათურებდა, ეოზეფს დაეძებდა. ისმოდა მხოლოდ ამ ხელის ტლაშუნი ტალახზე, ხოლო შემდეგ ხანგრძლივი კენესა, რომელიც იჭიდან, ადამიანთა გროვიდან მოდიოდა.

— იწეკი! — უთხრა ეოზეფმა.

დიდმა ყუმბარამ ერთის სულის შებერვით გადაპარსა შაქრის ქარხანა. ნაშხტრეებმა წივილით გადაიარა. შაქრში ატყორცნილი შიწის მძიმე ბელტები უკანვე ცვივოდა.

— იწეკი!

— სადა ხარ, არ ვიცი, — სთქვა ადამიანმა.

— ადგილიდან არ დავეძრულვარ.

ერთხანს ისინი ასე განაგრძობენ სროლას.

— მე ხომ გითხარი. — ადამიანი გახოხდა ტალახში და ეოზეფის გვერდით გაწევა. — როდესაც ის მეძვის შვილი დავინახე, რომელიც შუტურასავით განათებულ სალაშქრო სამზარეულოს ვაშლილ გზაზე მიაგორებდა, ხომ გითხარი: აი ნახე, ზიფათს შეგვამთხვევს მეთქი.

— პირველი ყუმბარის დაცემისასვე გაეწეკი.

— თუ იცი, აქ სანგრები არის?

— არ არის.

— მაშ?

— დაიცა, — უთხრა ეოზეფმა, — პონ რუფისთვის ისინი ცოტახანს თავს დაგვანებებენ. მარცხნივ უნდა გავიქცეთ, იქით, საინჟინერო ნაწილებისაკენ.

ღამდებოდა. გზაზე პირველი ყუმბარით გამოშიგნულმა სალაშქრო სამზარეულომ ცეცხლი სულ მიმოფანტა. ნაკვერჩხლები ტალახში შიშინებდა. მოკლული კაცი ფურგუნზე თავდაღმა ეკიდა; ჩაოქილი ცხენი კენესოდა და თავს აქნევდა. ღვინის კასრის გარშემო ჯარისკაცები ეყარნენ. არაფერი არ იძროდა, გარდა ერთისა, რომელიც დაწოლილი, მიწაში ცხვირ ჩარგული, თითებს კრუნჩხავდა, რომ ნიადაგისათვის ხელი ჩაეველო, დასაყრდენი ეპოვა, წამომდგარიყო, წასულიყო. კეფაში მძიმედ დაჭრილს თავი დამძიმებოდა.

— წავალ, ჩემს ჯორებს დაეხედავ, — სთქვა ადამიანმა.

— არ დაიძრა! — დაუყვირა ეოზეფმა, — დარჩი მანდ!

— ჩემი ჯორები? — სთქვა ადამიანმა.

წამოდგა. ეოზეფი ხედავდა, როგორ იდგა იგი იქვე, მის გვერდით, ხელებ მოკრუნჩხული გომბეშოსავით მუხლებზე დაყრდნობილი, სქელი ბრტყელი სახე წინ წაეწია, პირი დაეღო, მის შრგველსაშუაშუაში სამზარეულოს ცეცხლი და ღამე ასახულიყო.

მანდ დარჩი!

გადაიქროლა ყუმბარის ფართო ნატეხმა. იმავე წუთს ადამიანი შეხტა.

— ოჰ! — წამოიყვირა ეოზეფმა. — ოჰ! ოჰ! შენი სახელი?

ადამიანი კვლავ ჩაიკეცა, ზურგი ამოებერა, ოღნავ გადაიხარა მარჯვენე, მარცხნივ, შემდეგ ფეხები გაქიმა.

— ადამიანო, ადამიანო!

ღამე ერთბაშად ჩამოწვა. ეოზეფი გამომცხვარ პურებზე გაწოლილს, სულ გაცივებულ მკვდარს წააწყდა. შემდეგ ტალახში ჩაყრილ ხორცს ჩუმად დაუძახა:

— ადამიანო, ადამიანო!

სხეულს შეეხო. ის იყო. აღარ იძვროდა. აღარ სუნთქავდა. მიწაღქცულიყო. ისმოდა მხოლოდ, თქრიალით როგორ მოდიოდა სისხლი ტანისამოსიდან.

ოლივიე ყვიროდა.

ცეცხლსა და ბალახში დარბოდა. თოფი დაჰკარგოდა. პირდაღებული გაჰკიოდა, შეელას ითხოვდა.

ძალუმ დარტყმას დარტყმა მოსდევდა და დედამიწას ცეცხლი ედებოდა. კვამლი იდგა, ცხელი კლანჭები ელავდა. ყუმბარებისაგან დაგუნდავებული ჰაერი ყველაფერს გლეჯდა გარშემო. ყუმბარა შიგ მუცელში ხვდებოდა. ამ რკინის წინააღმდეგ რას გააწყობს კაცი?

გარშემო არაფერ იყო. მარტოკა დარჩა. ხანდახან კვამლში გამოჩნდებოდა ორმოებითა და მოლაპლაპე წყლით საცხე უდაბნოს ვრძელი სივრცე და იქვე შორს, ცისკენ ხელაშვერილი ხის ნახლეჩი.

ვილაკამ ფეხში ხელი სტაცა. დაეცა. მოესმა: რა ვალრიალებსო.

ოლივიე ორმოში ეგდო. ორმოს კედლებმა ჭეყანას მოსწყვიტეს. მიწაში ღრმად იყო. ვილაც თვალეში მისჩერებოდა. კაპრალი შოვენო იყო.

— შე მყვირალავ, შენა! — უთხრა მან. — რას დარბიხარ? ვერ ხედავ, ჩაფვლავდით.

— როგორ თუ ჩაფვლავდით? — ჰკითხა ოლივიემ.

ტანს სიმზურვალე ედებოდა, ამ თვალეებს რომ ხედავდა, ამ შშრალ, წერილ ხმას რომ უსმენდა.

— იერიში ჩაფლავდა. ისინი ოც მეტრზე არიან და ყველას ტყვიამფრქვევი აჭვს. აქ დარჩი. არა, ამ კედელს მიეკარ, მოიკრუნჩხე.

ოლივიემ ორჯერ ღრმად ჩაისუნთქა.



— პირველად ხარ? — ჰკითხა შოვენმა.  
 — პირველად, — უპასუხა ოლივიემ.  
 — დარჩი აქ...  
 — „ჯანდაბა!“ — დაუმატა შოვენმა თავისთვის.  
 — სალამოს დაეუცადლოთ, — სთქვა შოვენმა ცოტა ხნის შემდეგ, — რამდენნი დავრჩით? შეიძლე თუ რვა კაცი.  
 — რეგოტაზი? — იკითხა ოლივიემ.  
 — არ ვიცი... ნიჩაბი გაქვს?  
 — მაქვს.  
 — სთხარე ამ მხრიდან. მიწა ქვეით გადაჰყარე, ფრთხილად, არ დაგინახონ.

ოლივიე ნიჩაბს მიწაში არკობდა, შემდეგ გამოსწევდა და მიწას მარცხენა იდაყვქვეშ იყრიდა. რამდენჯერმე ნიჩაბი გაეჭედა, ბევრს ეცადა, მაგრამ იგი აღარ იძროდა. მაშინ თხრას ფრჩხილებით იწყებდა. იქ ღვედლი აღმოჩნდა, გველივით ჩაძინებული. გამოსწია. ოლივიე სთხრიდა, თან ცალი თვალთ შოვენს უცქეროდა. შოვენიც სთხრიდა. ნადირივით ჩაცუცქებულიყო. იარაღის მაგარი დარტყმით მიწას იღებდა. კისერი დასწითლებოდა. დაბეროდა, შიგ მსხვილი კუნთები მანქანასავით რეგულარულად იძვროდა. კრიკა-შეკრული ბურღლუნებდა.

ორმოს ზევით ტყვიამფრქვევის კაკანი ისმოდა. ცეცხლის კლანჭებით თავის გარშემო ყველაფერს ფხვკდა. მისი დიდი თათების საჩერებელნი ხმაურობდნენ. როდესაც გაინძვროდა, მთელი ტანი ურახრახებდა, შემდეგ ფრინველივით შებტებოდა და ლითონის ტანს იფხანდა.

მალლა რუხი ღრუბელი გაიჩრდვა, ცოტაოდენი სილურჯე გამოჩნდა... დასვრილი სილურჯე, თითქოს რწყილებით დაფარული, ოქროს ფერი მზე მალლიდან წვეთავდა.

შოვენმა ზევით აიხედა.

— მურტალნი! — სთქვა.

მიწის თხრა განაახლა. თავს ძირს ისე ხრიდა, რომ უღვაშები ტალახით ჰქონდა მოსვრილი.

— შენი ჩანთა? — ჰკითხა შოვენმა.

ოლივიემ თავი წამოსწია.

— რაო?

შოვენმა ისე ახლოს მიიწია, რომ მისი ჩაჩქანის წინაფრა ოლივიეს წინაფრას შეეხო.

— შენი ჩანთა, — უთხრა, — ჩანთა. გაქვს შიგ რამე საკმელი?

— საკმელი!? — გაიკვირვა ოლივიემ.

უცხად ხერელისკენ გაიხედა, რომელსაც ორივე ხელით თხრიდა, იქიდან მძიმე და სქელი სუნი მოდიოდა.

— ჰო, საკმელი, — სთქვა შოვენმა.

ადგილიდან არ დაძრულა. ერთი სანტიმეტრითაც სახე უკან არ გაუწეოდა. თვალეზი ოლივიეს თვალეზს მიაბაყო და აღარ ამორეცდა.

ჩანთის ძირში, ვრანატებ ქვეშ, ეანგისაგან გაწითლებული ერთი ნაქერი პური დარჩენილიყო. ოლივიემ შოვენს გადასცა, ამ უკანასკნელმა პური ორად გაპყო.

— ნახევარი შენ, — უთხრა და ოლივიეს მიაწოდა.

ამ დროს დიდმა ყუმბარამ ორმოს გადაასწორა, და მთლად მოკრუნხული შოვენი დაიხარა.

იმ ადგილას, სადაც ოლივიე თხრიდა, უეცრად ნიჩაფი თავის თავად ღრმად ჩაერქო. იგი იქიდან გამოძირა შავ, ფისივით წებოვან ქონში მოსვრილი.

ოლივიე თხრას ველარ ბედავდა.

ვათხრილი ადგილის წინ ჩაჩოქილი ღეჭდა ოლივიე თავის პურს. ზურგს უკან ვილაცას თვალი იგრძნო. პირი მიიბრუნა: ორმოს მეორე კიდნზე კაცი გაწოლილიყო; სახე მთლად შავი ჰქონდა. სოლისებურ ფართო ქრილობიდან ტვინი სდიოდა, კაცი არ იხედებოდა. ტვინის პატარა ნაგლეჯი, მრგვალი და თეთრი, ტალახით ამოვსებულ, ამომშალ თვალის ბუდეს მიჰკროდა: ეს ახდენდა შთაბეჭდილებას, თითქო კაცი იტყირებოდა.

შალანმა „მუშათა კლუბის“ კარი შეაღო.

— დახურე კარი! — დაუყვირეს. — კარი დახურე! ისე ცივა, რომ გარეთ ძალი არ გაიგდება.

ყველა იქ იყო: დიდი ღუმელის გარშემო, მუხლებისა და თეძოების გასათბობად და გრძელი ჩიბუხების გასაბოლებლად.

თქვენ ნორჩი ნუსის ხეებივით თრთით სიცივისაგან, — მიმართა ოთახში მყოფთ შალანმა. მაგრამ თითონაც სკამი წრესთან მიიტანა და სთქვა: — აბა, მიიწ-მოიწიეთ, ერთი მეც ვაგაბოლო.

თიხის ჩიბუხი ამოიღო. იგი მთლად თეთრი იყო, ტარიანად.

— ახალია? — ჰკითხა პანკრასმა.

— ეს არის ახლა ვიყიდე, — უპასუხა შალანმა.

— ნელ-ნელა უნდა მოსწიო, — ურჩია პანკრასმა.

— ნელ-ნელა და სვენებ-სვენებით, შემდეგ ცხელ მარმარილოზე არ უნდა დასდო, — სთქვა შალანმა და ღორის ბუშტის დიდი ჭისა ამოიღო.

(ვაგრძელება იქნება)

თარგმ. ფრანგულით იროდიონ ქავეარაძისა.



ალიგვიბრი დანბა

ღვთაებრივი კოშკილია

## სადხინებელი

თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი.

ქება მეთოჯმბბ

1. ვით წყვილი ხარი, მიმავალი მძიმე ულელს ქვეშ,  
ჩვენ მივდიოდით, მივეყვებოდით დატვირთულ აჩრდილს
3. ვიდრე ოსტატა ამის ნებას დამრთავდა მენა.  
მერმე ეს მითხრა „გაეცალე, გავსწიოთ წინა,
5. აქ საჭიროა ჩვენი აფრით, ჩვენივ ნიჩბებით  
ხომალდი ჩვენი შესაძლებლად დავაწინაოთ“.
7. მეც გავიმართე ვით საერთოდ შეეფერება  
მიმავალ კაცსა, თუმც იმ წუთში ჩემი ფიქრები,
9. იმ თავმოდრეკილ ბედშავ სულელებს თან მიყვებოდნენ  
წინ გავეშურე მტკიცე ნებით მე აღჭურვილი,
11. მივეყვე ჩემს მეგზურს და ორივემ ამასობაში  
მყის შევიცანით სიმსუბუქე სხეულის ჩვენის
13. კვლავ მეუბნება მე ოსტატი: „დახარე თვალნი  
„ეს შენ უთუოდ ამ გზაზე სვლას შეგიმსუბუქებს.
15. „გიჯობს დახედო რაზედ ადგამ ფეხს სიარულში.“  
როგორც სწევიათ ზიცვალებულ სულთა სახსოვრად
17. საფლავის ქვებზე და დაგებულ თეთრ ფიქალებზე  
წარწერილია თუ ვინ არის იქ დამარხული,
19. და გზადგამომვლელს ეტირება მათ წაკითხვისას,  
მოგონებათა გესლი გულზე შემოენთება,
21. ლეთისმოსავ სულელებს ცრემლს დაადენს თვალთაგან კიდევ,  
და მე ვიხილე გაცილებით ზედმიწევნილი,
23. მხატვრობის მხრითაც ნაკეთები ქანდაკებანი  
ფარავდნენ გზასა მთის ფერდობის გასწვრივ მიმავალს.

25. იქ ვნახე იგი ვინც ზენარმა შექმნა სრულქმნილი  
უმეტეს მათთა ვინც ზეციდან უფსკრულს ჩანთქმულნი.
27. და გაბნეულან დაკლაკნულნი ელვათა დარად  
იქ თვალი ვკიდე ზეციერი ბოძალით დაქრალს *მარქუნულნი*  
*მისწრაფებენ*
29. ძირს დანარცხებულ ბრიარეოს მეორე მხარეს,  
მძორულ სიცივით ამძიშებდა ის დედამიწას.
31. ვნახე ტიშბრეო, ვნახე მარსი, ვნახე პალლადა,  
მამის მახლობლად იარაღში ჩამსხდარნი ვნახე,
33. მდევების ლეშებს შესცქეროდნენ ირგვლივ მწოლარეთ  
იქვე ვიხილე დიდ ნაშენთა ფერხითი მწოლარე
35. ნებროთ \* უმზერდა დაზაფრული ახლა იმ ხალხებს,  
ვინც სენაარში მის გაჭირდვას იზიარებდა
37. ჰოი, ნიობე, რა მწუხარე სეველიან სახით,  
გამოეხატეთ მე ეს ვნახე ამ შარავნაზე
39. შეიდივე წყვილი შეილებიდან გარსემმორცემული  
საკუთარი ხმლით განგმირული გნახე საულ, \*\*
41. გელბოეს მთებში ვით მოველო მახვილით ბოლო,  
(სად არცა ცვარი, არცა წვიმა არ მოდის მერმე)
43. ჰოი, არაგნე, შენც მხედაედი სულა შეშლილო,  
ობობის სახით სანახევროდ გამოხატულსა,
45. საბედისწეროდ შენგან ნაქსოვ, ნაქარგ ნაქერზე  
ო, რომოამო, შენ სახეზე არ სჩნდა ხიფათი,
47. მაგრამ შიშისგან ათროლებულს მიგაჭროლებდა  
ვიდრე განდეენას მოვასწრებდა შენივე ხალხი
49. იქვე ფიქალზე გამოეჭრათ აგრეთვე ისიც,  
თუ როგორ ძვირად აღმეონმა დაუსვა დედას,
51. საბედისწერო მანიაკი მეუღლის მკვლელსა  
იქავე იყო სანაქებად გამოხატულა
53. ღვიძლი შეილები სენაქერიმს თავს ვით დაესხნენ  
და ამოხადეს იქვე სული ტაძარში მლოცველს

\*\* ნიობეა — ტანტალიურისა და დიონეს ქალი, თებას შეფის ანფიანეს მეუღლე.  
7 ქალისა და 7 ვაჟის დედას, ღმერთებმა ისრებით დაუხოცეს შეილები.

\*\* — არაგნე — ანტიური მითოლოგიის მქსოველი ქალი ათინა პალლადას გაე-  
ჯიბრა ზელსაქმეში, ქალ-ღმერთმა დაუხია ნამუშევარი არაგნეს და დასაჯა იგი სა-  
ტიად.

\*\* ალიგეინმა მოკლა მამა მისის ამპიერეტისს მკვლელი საკუთარი დედა ერიფიდე.

\*\* ასურეთის მეფეს სენახერიმს საკუთარი შეილები თავს დაესხნენ და ტაძარში  
მოჰკლეს.



55. იქვე ეხატა საშინელი დანაშაული  
როცა ტამარა კიროსს მისწვდა და უთხრა ასე:
57. „სისხლი მწყუროდა, მე აგაეხებ შენ ისევ სისხლით“.  
ენახე თუ როგორ დაიფანტა ასურელთ ჯარა,
59. როს ოლოფერნო მოავლინეს შეუბრალებლად  
და ვით დააჩნდა იქვე მიწას სისხლისა კვალი
61. მე ენახე შემდეგ დანგრეული ტროადის ციხე,  
ჰომ, ილიონო ნამუსრევი ვიხილე შენი,
63. გამოკვეთილი ფიქალებზე ოსტატის ხელით.  
ენ მოიმარჯვე ოსტატურად ასე ყალბამი,
65. ამ გადასული სახეების გადმოსაცემად,  
უდიდეს ოსტატს მათი ხილვაც გააოცებდა?
67. მკვდრები მკვდრებს ჰგავდნენ და ცოცხალნი სუნთქავდნენ  
(ცოცხლად,  
ენასა ვინმეს სიცხადეში ეს ყოველივე;
69. ის ჩემზე უკეთ ამ სურათებს ვერ იხილავდა.  
აწ იამაყეთ და იარეთ თავაწეულად.
71. თქვენ ევას ძენო და ნუ დახრით მიწისკენ თვალებს  
რათა ვერ ნახოთ წაწყმედისა გზაა თვითონვე
73. ამასობაში ჩვენ მოგვევლო შორიდან მთისთვის,  
მზეს უფრომეტი გაეარა ცაზე მანძილი,
75. ვიდრე გონებით მიწვედებოდი ფიქრში გართული  
მაშინ მან მითხრა ვინც იკვლევდა გზას დაუცხრობლად,
77. და წინამძღვრობდა: აღმართეო ზევითენ მზერა  
აწ დაფიქრებულს არ გმართებსო აქ სიარული.
79. „შეხე ანგელოსს, მას სწადია მოგვიახლოედეს,  
და გაიხედე, დაინახავ რიცხვით მეექვსე
81. „დღისა გუშავი შეენაცვლა თვის წინამორბედს.  
„სახე და ქცევა დაიმშვიდე მოწიწებითა
83. „რათა ზეასვლა ამნაირად გაგვიადვილდეს,  
„იცოდე ეს დღე არასოდეს განმეორდება“.
85. მაგრამ მე ისე მივეჩვიე მისთა თათბირთა,  
ღროსი მოზოგვის გამო ხშირად მოწოდებულთა,
87. მისი ნათქვამი შევიცანი ანაზღეულად.  
ახლოედებოდა ანგელოსი პირმშვენიერი,
89. თეთრად მოსილი მიაგავდა თავათ საზითაც  
ცისკრის ვარსკლავსა გარიჟრაჟზე აღმობრწყინებულს.
91. გაშალა მკლავნი, ამის შემდეგ გამართა ფრთენიც,  
„მოედით, გვითხრა, აწ ახლოა საფეხურები,





93. ამიერიდან ზემოდ ასვლაც არ არის ძნელი\*.  
სულ მცირეოდენს შეუძლია გააყვეს ამ ძახილს.
95. ო კაცთა მოდგმაც ცად საფრენად დაბადებულს  
რისთვის ვერ უძლებ შემოტევას მცირე ქარისას?
97. და მიგვიყვანა ანგელოსმა მალალ ფლატემდე  
შუბლზე მახალა მოფარფატე მან ფრთენი თვისნი.
99. და მანუგეშა წინ გიძვესო გზა მშვიდობისა.  
მხარმარჯვენისაკენ მთას მიყვება ზედა ბილიკი,
101. და მწვერვლიდან ეკლესია გასცქერის ქალაქს,  
რიგზე მოვლილის რუბაკონტეს ხიდის ვადალმა
103. და ამ აღმართის შემართული იგი ზეთავი,  
დაკბილულია იმ დროიდან საფეხურებით,
105. როცა ზომის და წონის გამო არ იყო შიში.  
სწორედ ამ აღვილს დაცერება კლებულობს ოდნავ
107. მეორე წრიდან აქ იწყება კვლავ დაფერდება  
კლდეთა ტინებით მომწყდელი ყოველი მხრიდან.
109. რა მოვალწიეთ ამ ხეობის შემოგრენში  
Beati pauperes spiritu ვალობდა ორი
111. ისე ამოდ, ისე ტბილად, ენით უთქმელად  
აჰ, რა ნაირად ეს ხეობა განსხვავდებოდა
113. ჯოჯობხეთისგან: აქ ვალობით შემოდიოდნენ  
და ჯურღმულებში გაისმოდა კვნესა და ღრქენა.
115. უკვე დავიწყეთ ჩვენ აღმასვლა საფეხურზე  
მაგრამ აქ ასვლა მე მეჩვენა უფრო იოლი,
117. ვიდრე გატკეპნილ თემშარაზე უბრალოდ ვავლა,  
მიტომაც ვკითხე: „ჩამომცილდა როგორი დიდი
119. „ჰოა, ოსტატო აქ არა ვგრძნობ ტვირთს არავითარს  
და სიარულიც აღარა მგვრის საესებით დალლას“.
121. მან მიპასუხა: „როცა ყველა შენ შუბლზენი  
„ჯერ სანახევროდ აღბეჭდილნი წაიშლებიან,
123. „როგორც პირველი ამოჭრილი მახვილის წვეტით,  
„მაშინ შენს ნაბიჯს დააჩქარებს ქველი სურვილი,
125. „და ყოველგვარი სიმძიმელი განგიკრება,  
ზეასვლა ესე შენ სიხარულს მოგგვრის მხოლოდ და
127. მაშინ მე ისე მოვიჭეცი როგორც ივინი,  
ვინც ისე მიდის რომ არაფერს არ ამჩნევს თაეათ,
129. ვიდრე არ ამცნობს მათ სხვა ვინმე შუბლზე დადაღულს  
ხელით მოსძებნის და ამგვარად ხელით აკეთებს,

131. რისი დანახვა არ შეეძლო მას თვითონ თვალთ.  
 ასე ვიდრე, ხელს ვისობდი დადალულ შუბლზე
133. მხოლოდ ღა ექვსი დამრჩენოდა მე კიდევ ასო,  
 ხელით შეენიშნე მხედველობით შეუნიშენელი
135. ანგელოსისგან ამოჭრილი ასონიშნები  
 ოსტატმა ჩემმა ეს შენიშნა და გამილიმა.



## ქართული დემკები და სიზღარები სკაღინზე

### 1.

არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ქართველი საბჭოთა პოეტი, რომელსაც ხელი არ მოეცილოს კალმისათვის. რათა დიდი ბელადის სახე გამოეკვეთა, გამოეთქვა თავისი სიყვარული და აღფრთოვანება იმ ადამიანისადმი, ვინაც ახალი ბედნიერი ცხოვრება შექმნა. საბჭოთა პოეტებისათვის ეს საპატიო საქმედ გადაიქცა, და ისინიც შეეცადნენ სერიოზულად მოპყრობოდნენ ამ დიდ მხატვრულ ამოცანას.

ქართველი პოეტების ამ სასახელო ცდაში ჩაქსოვილია ის ახალი და ძლიერი გრძნობა, რომელიც ამოძრავებს მთელ საბჭოთა ხალხს. ეს საამაყო გრძნობა არის თავდადებული სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი, სიყვარული იმ ქვეყნისადმი, სადაც იფურჩქნება ახალი ბედნიერი ცხოვრება.

დიდი ბელადის იდეებით და მოქმედებით შთაგონებულმა, ჩვენი ხალხის თავისუფალი და აღორძინებული ცხოვრების დიადი სინამდვილით აღფრთოვანებულმა ქართველმა პოეტებმა თავიანთი ლექსებით და სიმღერებით დიდ სტალინზე უშესანიშნავესი განძი შესძინეს ქართულ საბჭოთა პოეზიას.

ამხ. ლ. ბერიას ისტორიულმა მოხსენებამ „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ ქართველი პოეტების შთაგონებას ცხოველყოფელი სტიმული მისცა. ამ მოხსენებამ უბრწყინვალესი შუჭი მოჰფინა დიდი სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის წარსულ პერიოდებს და გრანდიოზულ ეპოპეიად გადაშალა მისი იდეებისა და ბრძოლების ისტორია. ამ მოხსენებამ უაღრესად გააძლიერა ინტერესი ჩვენი ქვეყნის რევოლუციური ისტორიისადმი, იმ წარსულისადმი, როდესაც ყალიბდებოდა ჩვენი საყვარელი ბელადი.

ვინ მოსთვლის, რა შედარებებს, რა სახეებს არ მიმართავენ ქართველი პოეტები დიდ სტალინის სიბრძნის, ნებისყოფისა და სიდიადის გამოსახატავად. რამდენი გრძნობა, სიყვარული და სიხარულია გაბნეული მისდამი მიძღვნილ ლექსებში, რამდენი მბრწყინავი მეტაფორა და პოეტური გულწრფელობის მარგალიტია გაბნეული ამ ლექსებში!

საბჭოთა პოეზიის ნაცად ოსტატებს არ ჩამორჩებიან, თუ კი არ უსწრებენ, ხალხური ლექსების მთქმელები. სოციალიზმის გამოყენებამ ხალხში გააღვივა შემოქმედებითი ნაკადები, ამღერა ხალხი სიხარულისა და ბედნიერების გრძობით.

აღსანიშნავია ერთი მოვლენა, რომელიც ძალზე თვალსაჩინოდ აჩვენებს ბელადზე დაწერილ ლექსებსა და სიმღერებში ხალხურობისა და სისადავის ტენდენციას. თითქმის ყოველ პოეტს უცდია ხალხურ კილოზე ამღერება, ხალხური სისადავისა და მისი დამახასიათებელი სურნელების გამოყენება. ამიტომ წიგნი „ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე“ ხალხურობის ძლიერი ტენდენციითაა გაჯენილი.

ქართველი პოეტების ლექსებმა და სიმღერებმა სტალინზე უკვე მიიპყრეს საზოგადოებრიობის ყურადღება. მან დიდმნიშვნელოვანი შეფასება მიიღო „პრადას“ ფურცლებზე, სადაც ამხანაგი ლ. ბერია სწერდა: „ქართული პოეზია გამდიდრდა ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით. პირველ რიგში საჭიროა აღინიშნოს დიდი სტალინისადმი მიძღვნილი ნაწარმოებნი. ბელადის სახეს, როგორც ყველა ჩვენი გამარჯვების სიმბოლოს, დიდი შემოქმედებით აღტყინებით უმღერიან ჩვენი პოეტები. საუკეთესო სიმღერები და ლექსები თავმოყრილია ამას წინათ გამოსულ წიგნში „ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე“.

ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე ნძღავრი გამოხატულებაა ქართველი ხალხის ბედნიერი ცხოვრებისა, უსაზღვრო სიყვარულისა მშობლიურ სტალინისადმი.

## 2.

ისტორიას ჩაბარდა ქართული პოეზიისათვის წარსულში დამახასიათებელი ცრემლი და გოდება, სასოწარკვეთილება და უიმედობა. იგი შესცვალა სიხარულმა, აღფრთოვანებამ, საბჭოთა პატრიოტიზმმა, ლენინ-სტალინის იდეებისადმი სიყვარულმა და ერთგულებამ. თუ დიდი პოეტის ი. ჭავჭავაძის ოცნებასა და ბრძოლას ასულდგმულებდა ხალხის მომავალზე ფიქრი, საბჭოთა პოეტებს, განახლებული ქვეყნის შეილებს, წილად ხვდათ მონაწილეობა მიიღონ ამ განახლებაში. თუ ილია თავისი დროის საქართველოს პირობებში სწერდა:

„კარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყანავ,  
ლამაზად მორთულ და მოკაზმული,  
მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ,  
იმდენად უფრო მიკედება გული“.

სტალინური ეპოქის პოეტი, რასაკვირველია, შორსაა ასეთი პესიმიზმისაგან, უფრო მეტიც: სტალინური ეპოქის პოეტებისათვის სამშობლოს ბედ-

ნიერება მათი შემოქმედების დაუშრეტელი აღფრთოვანებას წყაროს წარმოადგენს. აკაკი წერეთელმა მთელი თავისი პოეზია ტყვეობასა და მონობაში მყოფ სამშობლოს სიყვარულს შესწირა. იგი სიკვდილამდე ოცნებობდა, სამშობლოს მტრების სისხლით შეეღება მტრებს, მას ღრმად სწამდა, რომ სამშობლოს მხოლოდ ეძინა და ისევე გაიღვიძებდა.

საქართველოს მშრომელთა გაღვიძებისა და განთავისუფლების ისტორიის უბრწყინვალეს ფურცლებს დიდი სტალინის რევოლუციონური ბრძოლა და მოღვაწეობა წარმოადგენს. მისი იდეებითა და ბრძოლებით განთავისუფლებულ და აყვავებულ ჩვენს სამშობლოს ბედნიერებას, მის განახლებულ სინამდვილეს უმღერს პოეტი ალიო მაშაშვილი თავის ლექსში „სამშობლო ბელადისა“.

ა. მაშაშვილმა ამ ლექსში უსათუოდ ღირსეული პოეტური საღებავებით შესძლო ჩვენი განახლებული სამშობლოს ჩვენება. აღწერს პოეტი ხალხის დოვლათიან ცხოვრებას თუ უბრალო პეიზაჟს — იგი ყველგან მოსჩანს ახალი სიხარულისა და პათოსის მომღერლად, დიდ სტალინისადმი ღრმა სიყვარულითა და პატივისცემით აღფრთოვანებული პოეტი ამგვარი სიტყვებით აღწერს სოციალისტურ საქართველოს ბუნებასა და სილამაზეს:

„ჩემი სამშობლო, ეგრე ლამაზი  
შავი ზღვის პირად აღმართულია,  
თავზე გვირგვინად მუდამ მზე ადგას,  
მისგან ღრუბლებიც დაფარულია;  
ხან გაშლილია უგზო-უკვალოდ,  
ხან ვენახებით დახლართულია,  
მთაც ლამაზია, ბარიც ლამაზი,  
ცა ფიროსმანის დახატულია!“

მკვეთრ, ნათელ პოეტურ სახეებში აყალიბებს პოეტი ა. მაშაშვილი ჩვენი დიდი ბელადის ბრძოლისა და მოქმედების შინაარსს:

„აზრებს თესავდი დედამიწაზე,  
რომ გაზაფხული ამოგეყვანა,  
კიდევ ასრულდა: შენი დროშებით  
განათებულა ჩვენი ქვეყანა!“

ლექსი „სამშობლო ბელადისა“ უსათუოდ საუკეთესო ნაწარმოებია ა. მაშაშვილის შემოქმედებაში. იგი ჩვენს პოეზიაში სტალინური მზით განათებულ სამშობლოს დიდებულ დარჩება.

ბელადზე დაწერილ მიმართებითი ქანრის ლექსებში დიდის გულწრფელობითაა შესრულებული ს. შანშიაშვილის ლექსი „იოსებ სტალინს“:

„როცა კვდებოდა დიდი ლენინი,  
შენზე აპყრობდა იმედით მზერას,  
ერთი გამოჩნდი გამოწრთობილი,  
რომ გასძლოლოდი ჩვენს ახალ ერას.“



უსათუოდ კარგი სასიმღერო ლექსია ს. ჩიქოვანის „სიმღერა სტალინზე“. ამ ლექსებში ბელადი გამოსახულია როგორც შემქნელი ახალი ცხოვრების:

„შენ დათესე სიბრძნის თესლი,  
სამშობლოს რომ აღამაზებს,  
უბრძნესი და უთბილესი  
ჩვენ ცხოვრება გვითავაზე.“

ს. ჩიქოვანს აქვს მეორე საინტერესო ლექსი ბელადზე — „ბელადის თვალში“. ლექსი საინტერესოა თავისი სუბეტიტურობით: მოხუც მეურმეს ვერ აჯერებს მეორე მეურმე, რომ მდინარე რიონს შეიძლება შეეცვალოს კალაპოტი იმ გეგმის მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია კოლხიდის საკითხის გადასაჭრელად, მაგრამ ის არგუმენტაცია, რომ ამ საქმეში სტალინის აზრი და თვალი ტრიალებს, „ურწმუნო თომას“ უქარწყლებს ყოველგვარ ეჭვებს. ეს შესანიშნავი ყოფითი დეტალი ძალიან კარგად აქვს მოცემული პოეტს. პოეტს კარგად აქვს ნათქვამი ამ ლექსში:

„სტალინის ფიჭვი ჩვენს ნამოკმედარს  
ფესვივით კვებავს და ავაჟკაცებს.“

აღსანიშნავია ი. მოსაშვილის ლექსი „ბელადს“. მას ახასიათებს ყოლორიტული სახეების სიმდიდრე და ლირიკული განწყობილება. ბელადის სახე გამოკვეთილია მრავალფეროვანი მხატვრული საშუალებებით. ბელადი ხალხის იმედია, ოცნების სინამდვილედ გადამტკეცი, საბჭოთა მიწის ყოველი მტკაველის თავისი გენიის სინათლით გამსხივონსებელი, ადამიანთა გმირული მოქმედების შთამბოძნებელი. ამ მხრივ უსათუოდ შესანიშნავადაა ნათქვამი:

„სხვა სამშობლოში სამშობლოს ნატრობს,  
მიწაზე დადის — არა აქვს მიწა,  
ჩვენ კი, ბედნიერ სამშობლოს პატრონს,  
შენი სახელი მიგვიძღვის ფიცად.“

საბჭოთა კავშირი მსოფლიო მშრომელთა სამშობლოა, რომელსაც ზრდის და ამაგრებს სტალინის გენია. ამიტომ უმღერიან ასე გატაცებით, აღფრთოვანებით, მღელვარებით დიდ სტალინს ყველა, ვისაც ნამდვილად

ამოძრავებს ჩვენი სამშობლოს სიყვარული და ერთგულება. ამიტომ უმ-  
ლერიან დიდ სტალინის ასეთი გატაცებით საშუალო პოეტები.

„ეს ოცნებაა თვითეულ მხატვრის, მარქსისტული  
ეს არის ფიჭვი ყოველ პოეტის,“ — შიშლინიძე

ამბობს ამის გამო პოეტი ვ. ვაფრინდაშვილი, და თვითონაც ცდილობს  
გაანაღლოს ეს ოცნება — უძღვნას ბელადს სიყვარულით გამობარი სტრი-  
ქონები, სადაც ის აზრია გატარებული, რომ ბელადი „არის ბრძენი და  
არის სარდალი“, რომ შთაგანება, მისგან შობილი, მიწას კიდემდე შეა-  
ტრიალებს“ („ოცნება ბელადზე“). ამავე აზრს თავისებურად, ხალხური  
ლექსის სისადავით გამოხატავს პოეტი ვ. გორგაძე:

„რას გამსგავსო? სახე შენი  
რომელ ვაყვაცს შევადარო?  
ციცქარი ხარ შეუჭთა მფენი,  
სიმამაცის სიბრძნის წყარო.“

ახალგაზრდა სვანი პოეტი ს. ისიანიც შესანიშნავი პოეტური სახეებით  
არის ამეტყველებული ბელადისადმი სვანეთის ხალხის სიყვარულისა და  
მადლობის გამოხატავად: პოეტი საკმაოდ გამართული პოეტური სტრი-  
ქონებით და პათოსით ამბობს:

„გველირსა მწუხრის გადნობა,  
ცრემლი აღარა გვედიანო,  
მადლობა, მუყელვ, მადლობა  
ვაყვაცო ფოლადიანო.  
გვადლევენს შენი სარდლობა,  
ხმები ქარიშხლად ქრიანო.“

ლექსი თავდება შესანიშნავი პათეტიური სტრიქონებით:

„რომელმა ენამ მოთვალოს  
შენი ვზის ნააშაგარი  
კაცო ლომგულო, ლომთვალო,  
რამ გზარდა ასე მაგარი.“

თუ სვანმა პოეტმა გამოსთქვა ასეთი სიხარული სტალინურ დროისად-  
მი და საშინელი ზიზღი შეებნელ წარსულისადმი, არა ნაკლები სათქმელი  
აქვს აფხაზ ხალხს, რომელიც ძველ დროში, ცარიზმისა და მენშევიკების  
ბატონობის ხანაში, საშინელ ეროვნულ შევიწროებასა და გადაგვარებას  
განიცდიდა, და აი აფხაზ ხალხს კიდევ გამოუთქვამს აფხაზური სიმღერა-  
სტალინზე, სადაც შესანიშნავადაა გამოხატული სტალინისადმი სიყვა-  
რული:



„ვინ გვათქმევინა გალობა ტყბილი  
და დაამსხვრია მძიმე ბორკილი.  
ვინ უაქიმა ხალხების ტვივილს,  
წელში გამართა მონა მოზრჩილი?  
ლენინის დიდი თანამებრძოლი,  
მისი მოწაფე და ქვეყნის თვალი,  
ხალხის ერთგული და გულით ჩვილი, —  
— ეს არის ჩვენი ბელადი სტალინი.“

ასე ამბობს აფხაზური სიმღერა, ასე მღერის საყვარულის მთელი ხმით ახალგაზრდა აფხაზი პოეტი ლ. კვიციანი ლექსში „ჩემი სტალინი“.

„სტალინი მზეა და ცა მაღალი,  
იგი შრომაა და სუნთქვა ჩვენი,  
იგია ქვეყნის სიბრძნე ახალი,  
სიხარულის და სინათლის მფენი.“

თვალსაჩინო მხატვრულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს გ. ლეონიძის პოემა „ბავშვობა და ყრმობა“. ამ ლირიკულ პოემაში გ. ლეონიძე მოსჩანს გულწრფელად აღწერებულ პოეტად, უგენიალესი ადამიანის სიყრმისა და ბავშვობის შესანიშნავი ეპოპეის მხატვრად. პოეტს აღებული აქვს ხალხური შემოქმედების მთელი რიგი შესანიშნავი თქმები, სახეები. პოეტს ბელადის სიყრმის მომენტები გადმოცემული აქვს რომანტიული ფერებით.

ქართლის ლალი ბუნების წიაღში გაატარა მსოფლიოს მშრომელთა ბელადმა ბავშვობა და ყრმობა. ლალია და მდიდარი ქართლის ბუნება:

„ბრწყინავს ქართლი — ვარდის ბაღი.  
შეფრქვეული მინანქრებით,  
იაგუნდის წვიმა დისწვიმს,  
სურნელებას დაჰქრის ქარი.“

და აი ამ მიწაზე დაიბადა დიდი ბელადი, ამიტომ პოეტი ჰმნს უმღერს ამ მიწას:

„შენ დაბადე, შენ გაზარდე —  
ვინც ქვეყანას გაუთენა!“

„შენი მიწა მკერდნათელი  
არის მისი ყრმობის ბინა.“

ბელადის დიდებისა და ჩვენი ქვეყნის გამარჯვებების ახალი მატრიანის ვადნოშლის შესანიშნავ კდას იძლევა ა. აბაშიძის ლექსი „გმირები“. ეს



ლექსი არ შესულა კრებულში, რადგან უფრო გვიან დაიწერა, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა, როგორც ბელადის ლირიკული ხოტბის შემცველი ლექსი. მასში მახვილად მოსჩანს ბელადისადმი მიძღვნილი და თქმის პოეტური ოსტატობა:

„იმ კაცს დიდება,  
ვინც სამშობლოს გულში ფარული  
რა ხნის იმედი  
ამღერა, ააღადა.“

ჩვენი დროის პოეტებს არ ელევათ ფერები და საღებავები, რომ სტალინური ეპოქის სიმშვენიერე დახატონ და გამოკვეთონ დიდი ბელადის სახე. სტალინი პოეტური გზნების დაუშრეტელი წყაროა, რომელსაც ვერ ამოსწურავენ ჩვენი დროის პოეტები.

თუ რა ღრმადაა ხალხის შეგნებაში, ხალხის შემეცნებაში შეჭრილი რევოლუციური აზროვნება, ლენინისადმი სიყვარული, ამისი დამამტკიცებელია მთელი რიგი შესანიშნავი ლექსები ლენინზე („ლენინის გარდაცვალებაზე“, „თქმულება ლენინზე“, „ორი მზე“ და სხვა).

აღსანიშნავია ამ მხრივ კოლმეურნის ს. მარაშვილის სიმღერა „ლენინზე და სტალინზე“. ხალხური პოეტური აზრების ეს უბრალო გამოთქმელი რამდენიმე სტრიქონში ახერხებს ხშირად დიდი ამბების ჩატევას. იგი შემდეგნაირად აღწერს სამოქალაქო ომს:

„საბრძოლველად დარაზმულან  
ჯარები ლენინისა,  
მშრომელთა მამამ ლენინმა  
პირი გასინჯა ხმლისა...“

აი მდიდართა ჯარებიც დაიძრა, „როგორც ტალღები ზღვისა“, მაგრამ ლენინის დაძლევა შეუძლებელია,“ რადგან:

„ლენინს როგორ დაამზობენ,  
დაბედრა იცის მტრისა,  
გვერდით დაუდგა სტალინი,  
როგორც არწივი მთისა,  
დიდხანს უვლია ციშბირში,  
გადაჭრა იცის ზვისა.  
საცა მიადგა ბურჯუებს, —  
ბურჯუებს ცრემლი სდისა;

საცა შემოხვდა ღარიბებს, —  
 მუჭი ჩამდგარა ვზისა.  
 ქარხნები — მუშებისაა,  
 მიწები — გლეხებისა“.



ლექსის მთქმელი პოეტი უმღერს საბჭოთა კავშირის საამაყო მარშალს კ. ვოროშილოვსაც:

„ჩაუვლის ვოროშილოვი,  
 ლურჯა ულაყზე ზისა.  
 თუ ბიჭი არის, გამოჩნდეს  
 სადმე ლაშქარი მტრისა.“

ხალხის შეგნებაში სტალინი ბრძენია, ნაწრთობი ფოლადი, ხალხის მამა, საამური ცხოვრების შემქნელი:

„ვილას ვუმღეროთ, თუ არ შენ,  
 სტალინო, ხალხთა გენიაც,  
 შენი მზრუნველი მარჯვენა  
 მსოფლიოს გადასწვდენია.“

დიდი პოეტური ექსპრესიით არის შესრულებული ს. ქადაგიძის ლექსი სტალინზე.

საუკუნეების განმავლობაში არას დროს ჩვენ ხალხს არ უმღერია ასე გატაცებით და მთელა ხმით, როგორც მღერის იგი ახლა; არასდროს არ ჰქონია მას ისეთი ცხოვრება და ბედნიერება, როგორიც მოუტანა მას ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ.

ამიტომ უძღვნის დიდებასა და ქებას ხალხის სახელით პოეტი, როცა სწერს:

„იმ კაცს დიდება,  
 ვინც სამშობლოს გულში ფარული  
 რა ხნის იმედი  
 აამღერა, ააღალიდა“.



ლევან ასათიანი

## მ. გორკი საქართველოში \*

ლენინის შემდეგ გორკის სიყვდილი ყველაზე მძიმე დანაკლისია ჩვენი ქვეყნისა და კაცობრიობისათვის, — სთქვა ამზანაგმა ვ. მოლოტოვმა გორკის დასაფლავებაზე. მართლაც, ერთმა წელმა განვლო ა. მ. გორკის გარდაცვალებიდან და დღეს ამ თარიღს ეთანაირი მწუხარებით აღნიშნავენ არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხები, არამედ მთელი მსოფლიოს მრავალმილიონიანი მშრომელთა მასები, რევოლუციური მუშათა კლასი და ინტელიგენცია, ყველა ის, ვისთვისაც ა. გორკის საზოგადოებრივი და ლიტერატურული შემოქმედება მთელი მისი ცხოვრების მანძილზე წარმოადგენდა ჰუმანიზმის, სიმართლის და პროგრესიული აზროვნების დიადსა და ამყად ამართულ დროშას.

საქართველოს მშრომელი ხალხისათვის ა. გორკის შემოქმედება იმთავითვე ისეთივე ახლობელი, ვასაგები და საყვარელი შეიქნა, როგორც იგი იყო ა. გორკის წარმომშობი დიადი რუსის ხალხისათვის. ასეთი შეფასება მიიღო გორკიმ საქართველოში ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების მიწურულში, როდესაც პირველად გადაითარგმნა გორკის ნაწარმოები ქართულ ენაზე. ასეთივე ფართო პოპულარობა და სიყვარული მოიპოვა მან საქართველოს მუშათა კლასში და რევოლუციური ინტელიგენციაში მომდევნო ეპოქაში, განსაკუთრებით 1905 წლის რევოლუციის წინა პერიოდში, როდესაც გორკის ნაწარმოებთა თარგმნამ საქართველოში მასობრივი ხასიათი მიიღო, როდესაც ჩვენში არ დარჩენილა არც ერთი პერიოდული გამოცემა, რომელსაც თავის ფურცლებზე ადგილი არ დაეთმოს გორკის თხზულებებისათვის. 1902 წელს გორკის მოთხრობების ცალკე ერთგომეულაც კი გამოიცა ქართულ ენაზე.

გორკის ამ არაჩვეულებრივ პოპულარობის მიზეზებს, ცხადია, აქ დიდი აზნა-განმარტება არ სჭირდება. საქართველოს მშრომელთა გულში გორკიმ მართებულად დაიკავა საპატიო ადგილი. იგი იყო და შემდეგ-მეც დარჩა მუშათა კლასის იდეალებისა და მსოფლმხედველობის საუკე-

\* \* მოხსენება, წაკითხული მაქსიმ გორკის გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავად მწერალთა სასახლეში გამართულ სალიტერატურო საღამოზე 1937 წლის 21 ივნისს.

თესო გამომზატველი მწერალი, იგი ასახავდა მშრომელთა მასებზე რევოლუციურ სულისკვეთებას, მის ცხოვრებას, მის დიად ბრძოლას უფროსი მომავლისათვის.

გორკის მნიშვნელობა საქართველოს მუშათა კლასის კულტურული ინტელიგენციის იდეური აღზრდის საქმეში მეტად სავსებით და ხელსახებია.

მაგრამ, იდეური გავლენისა და სიახლოვის გარდა, გორკის სახელი-ბიოგრაფიულადაც მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან. ჩვენი კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიაში მუდამ სამახსოვრო იქნება ის ფაქტი, რომ გორკიმ თავისი დიდი ლიტერატურული მუშაობა დაიწყო ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს დედაქალაქ ტფილისში. აქ დაუკავშირდა იგი მუშათა პირველ მარქსისტულ წრეებს. აქ დასველდა პირველად მისი სამწერლო კალამი, აქ დაიბეჭდა მისი პირველი ლიტერატურული ნაწარმოები.

ეს ბიოგრაფიულ-შემოქმედებითი ფაქტი ანალოგიით ჩვენ მოგვაგონებს რუსეთის ხალხის მეორე საამაყო შვილს, „ჩვენი, საბჭოთა ეპოქის უდიდეს პოეტს“, ვ. მაიაკოვსკის, რომლის აკვანიც ჩვენს სამშობლოში დაირწა, რომელმაც პირველი პოლიტიკური ნათლობა ქუთაისის ბარაკ-დებზე მიიღო ქართულ რევოლუციურ ახალგაზრდობასთან ერთად.



გორკის რამდენჯერმე მოუხდა საქართველოში მოსვლა. მისი ბიოგრაფიულ-შემოქმედებითი თარიღები რამდენჯერმე დაემთხვა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების თარიღებს.

გორკის პირველი ჩამოსვლა ტფილისში მოხდა 1891 წლის ნოემბერს. იგი მოვიდა მაშინ ფეხით, ოდესიდან, 22-23 წლის უცნობი ახალგაზრდა, მოხეტე, მას ახლდა ოდესაში შემთხვევით გაცნობილი ვიღაც ქართველი ყმაწვილი კაცი. ეს მოგზაურობა შემდეგში მ. გორკიმ მხატვრულად ასწერა თავის მოთხრობაში „ჩემი თანამგზავი“. გორკიმ, როგორც მწერალმა, ზოგი რამ ცვლილება შეიტანა თავისი მგზავრობის მხატვრულ აღწერილობაში, შესცვალა აგრეთვე სახე თავისი ნამდვილი თანამგზავრისა და მის ნაცვლად დაგვიხატა ტიპი ქართველი დეგენერატი თავადიშვილისა, შაქროფთაძის სახელწოდებით. ეს უკანასკნელი თავისი მსოფლმხედველობით, ხასიათით, ჩვევებით და ცხოვრების წესებით სავესებით განსხვავდებოდა ავტორისაგან, გორკისაგან, რომელიც ამ მოთხრობაში პირველი პირით გვიამბობს მგზავრობაში განცდილ შთაბეჭდილებებსა და თავდადასავალს.

საინტერესოა ის გამოხმაურება, რომელიც ჰპოვა ამ მოთხრობამ იმდროინდელ ქართულ პრესაში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პროტოტიპი გორკის თანამგზავრისა, რომელიც მის მეგობრებს ფანტაზიის ნაყოფად მიაჩნდათ, სრულიად რეალური პიროვნება აღმოჩნდა და მან

კიდევ დაბეჭდა მოგონების სახით ნამდვილი ისტორია ახალგაზრდა გორკისთან მოგზაურობისა.

მეცნიერული

გორკის მოთხრობის „ჩემი თანამგზავრის“ თარგმანს დასაბუთებულად „ენობის-ფურცელში“ 1903 წელს. იმავე წლის ერთ-ერთ ნომერში (№ 2302) გაზეთმა მოათქვამა „მაქსიმ გორკის თანამგზავრის ნაამბობი“, რომელსაც ასეთი წინასიტყვაობა წარუმძღვარა:

„შკითხველებს ესსომებათ, რომ ამას წინათ ჩვენი გაზეთის დამატებაში დაიბეჭდა ბ-ნ გიუნაშვილის მიერ თარგმნილი რუსთა ახალგაზრდა მწერლის მაქსიმ გორკის „ჩემი თანამგზავრი“. ისიც ესსომებათ, რომ მოთხრობაში გორკის თავის თანამგზავრად გამოჰყავს ქართველი კაცი, თავადი შაქრო ფთაძე. როდესაც დამატებაში ამ მოთხრობის ბეჭდვა დამთავრდა, ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ერთი უცნობი კაცი, გვარად ს-ძე, ზოლო ხელობით რკინისგზის კონდუქტორი, რომელმაც გამოგვიცხადა — მე ვარ გორკის თანამგზავრიო. ამ კაცს მაქსიმ გორკის სახელი არასოდეს არ გავგონა. პირველად გორკის ნაწერი ჩვენს დამატებაში წაეკითხნა და როდესაც რედაქციაში შემოვიდა, ეს გვკითხა: მოთხრობა ალექსეი პეშკოვის ზომ არ არისო. ბ-ნ ს-ძეს შინაარსით უცნო მოთხრობის ავტორი. ბ-ნი ს-ძე ესე ოცდა ათის წლის კაცია, შაქრო არა ჰქვია და არც თავადია. მოთხრობაში ბევრი მართალია და ბევრი სრულიად სიმართლეს მოკლებულიო, გვითხრა ბ-ნმა ს-ძემ.

ამ წინასიტყვაობის შემდეგ გაზეთს მოჰყავს თვით გორკის თანამგზავრის ნაამბობიც.

„პეშკოვი გავიცანი ოდესაში, — სწერს ს-ძე, — სადაც მე სრულიად შემთხვევით მოვეყვი. ბათუმში ამხანაგმა ნივთები მომპარა და ოდესაში წავიდა. მე უკან გამოვუდექ, მაგრამ ქურდი ოდესაში ვერ აღმოვაჩინე. გავიდა ორიოდე დღე და ფული სულ შემომეხარჯა. გზის ფულს ვილა სჩიოდა, პურისთევისაც აღარაფერი გამაჩნდა. ღამეს ბალში ვათევდი, სადაც ჩემად გადაეძვებოდი ხოლმე. ბოლოს გადავწყვიტე ასე თუ ისე გემში ჩაჯდომა და ბათუმისაკენ წამოსვლა. ამ აზრით ნავთსადგურში წამოველ და განმარტობით დავდექ. თითქმის ორი დღის უქმელი ვიყავ და ძალზე მშვიოდა. ტანისამოსი კარგი მეცვა, თითქმის ახალი, როგორც ეს გორკისა აქვს აწერილი. ამ დროს ჩემთან მოვიდა ზორბა, მაგრამ ძველ და დაგლეჯილ ტანისამოსში გამოწყობილი კაცი, რომელმაც შაქრი მთხოვა. მე გამეცინა: თითონ მშვიერი ვიყავ და ეს-კი ფულსა მთხოვდა. ჩემი ამბავი გადავეცი. ბოლოს ერთმანეთი გავიცანიოთ. ახალი ჩემი ნაცნობი პეშკოვი გამოდგა, ნიენი-ნოვგოროდელი. პეშკოვი ესე 22-23 წლისა დაქნებოდა, ზორბა ტანადობისა, მაღალ-მაღალი, მხარ-ბეჭიანი. მე იმ დროს 18 წლისა ვიყავ. ეს ამბავი მოხდა 1891 წელს. როგორც შემდეგ მიამბო პეშკოვმა, ოდესაში ხარკოვიდან ჩამოსულიყო ფეხით. ხარკოვში, გზად გა-

მოვლის დროს, ერთ მონასტერში ჩამომხტარიყო, სადაც ღრ „სტრანეის“ გაემარცხა და ცარიელ-ტარიელი დაეტოვებინა.

„იმ დღეს, რა დღესაც ერთმანეთს შეეხედით, ორივენი მსხვერპლი ვიყავით. მე ერთი „ტროსტი“ მქონდა, პეშკოვმა გამომართხა უსაქმისი“, გაჰყიდა 30 კაპიკად და პური იყიდა. ღამე ბაღში გავათიეთ. მეორე დღეს სამუშაო უნდა გვეშოვნა, მაგრამ ვერა ვიშოვნეთ-რა. ამიტომ გადავწყვიტეთ ნიკოლაევში წასვლა. ფული, რასაკვირველია, არ გავაჩნდა. ერთი ფრანგული ფული მქონდა, საათის ძეწვეზე ჩამოსაკიდებელი. ოდესიდან წასვლისას პეშკოვმა ეს ფულიც 30 კაპ. გაყიდა. პირველ ხანს ამით ვიკვებებოდით, მერე პეშკოვი თხოვნას შეუდგა. ოდესიდან 18 აგვისტოს გავედით, შუადღის 12 საათზე. ნიკოლაევამდე შეიდი დღე ვიარეთ. ვერც იქ ვიშოვნეთ სამუშაო. იქ გვითხრეს, ხერსონიდან ეხლა გემი გადის ბათომში, თუ ჩაუსწრებთ, ის წაგიყვანთ სამადლოთო. წავედით, მაგრამ ვერ მიუსწარით. ხერსონში გორკიმ ჩემი პალტო გაჰყიდა 3 მ. 50 კაპ. აქ გვითხრეს, სიმფეროპოლში ბევრი სამუშაოაო. ჩავედით, მაგრამ სამუშაო ვერც იქ ვიშოვნეთ. ბოლოს პეშკოვმა მიჩნია, კავკასიაში ფეხით წავიდეთო. ასეც მოვიქეციით. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ პეშკოვი ყოველთვის კარგად მეჭყეოდა. ხშირად მეუბნებოდა, შენ გაჭირვებას არა ხარ შეჩვეულიო. როდესაც ცოტა საქმელი გვქონდა, მეტს მე მძღვედა. საზოგადოდ, მთელ მგზავრობის განმავლობაში კარგის მეტი არა მახსოვს-რა იმისაგან. ბევრი განსაცდელი და წვალემა გამოვიარეთ. ერთ ადგილას გზა დაგვეკარგა და უდაბურ ტყეში მოვეყვით. დაგვესიგნენ გარეული ღორები; ძლივს აუსწარით ხეზე. იქ ვისხედით მშვიერ-მწყურვალნი, სანამ ღორები გაიფანტებოდნენ.

იალტაში რომ ჩამოვედით, ძალზე მშვივრები ვიყავით. საბედნიეროდ პეშკოვმა ქუჩაში სამ კაპიკიანი იპოვნა, იყიდა პური და იმით შეენაყრდით. დალილები და დასუსტებულნი ვიყავით, გადავსწყვიტეთ, გემზე დაემსხდარიყავით და ასე გავგველო მცირე მანძილი მაინც. ასეც მოვიქეციით: დაესხედით უბილეთოები ერთ გემზე. როდესაც ზღვაში გავედით, გაიგეს, რომ უბილეთოები ვიყავით. კაპიტანმა მთელი საათი გვლანძღა. მაგრამ რას გვიხამდა, ზღვაში ხომ ვერ გადაგვაგდებდა. ბოლოს დაუყვარა უფროს ზღვაოსანს, შეიყვანე ესენი გემში და ამუშავეო. როდესაც ამ ზღვაოსანმა პალტიდან გემში ჩაგვიყვანა, გვითხრა, როგორ ამოხვედით უბილეთოებიო. ჩვენც უამბეთ ჩვენი თავგადასავალი. ახალი ნაცნობი სინდისიერი კაცი გამოდგა. მუშაობის ნაცვლად თავის ოთახში შეგვიყვანა, გვასვა, გვაჭამა და კარგად გამოგვაძინა. ასე და ამ რიგად ჩავედით ფეოდოსიაში, სადაც აგვიღეს და გემიდან გადმოგვაბრძანეს. მთელი ჩვენი მგზავრობის დროს ეს გემით მოგზაურობა საუკეთესო ხანა იყო.

„ფეოდოსიაში პეშკოვმა ჩემი „პოლკინიერი“ გაჰყიდა ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, გასცვალა ძველ ქუღზე და ზედმეტი ფულიც აიღო. ზღვის

ნაპირად სააგარაკო ადგილებში ხელს გვიმართავდნენ სასტუმროს მზარეულნი: გვაქმევდნენ და გვასმევდნენ. ერთ ადგილას სამივე მოგვცეს. კუროში ხიდ-ქვეშ გვათიეთ ღამე. ნაეი არ მოგვიპარავს. მთობრობაშია ნათქვამი. ტამანში ნაეები იდგა. ფქვილის ტომრები უნდა გადაეტანათ. ტომრების დატვირთვა უშველეთ. ამიტომ დაგვსხეს ნაეებზე და გადაგვიყვანეს. ერთ მდინარეში, რომლის სახელიც არ მახსოვს, ფეხით გავედით. მდინარე ძალიან განიერი იყო და თითქმის გაჩერებული, დილის 4 საათზე ჩავედით წყალში და ნაშუადღევს ძლიერ გავაღწიეთ. ზოგან ღრმა იყო, ზოგან წელამდე გვწვდებოდა. ვალმა მეთევზეები იყვნენ. ძალიან კარგად მიგვიღეს, გვასვენს და გვაქამეს. აქ იყო, ძალღები რომ დაგვესივნენ. აქვე იყო, ცეცხლზე რომ ლეკური დავუარე. ეკატერინოდარს ქვემოთ ოსებმა დაგვიჭირავეს სიმინდის სამტვრევად. ჩვენთან ერთად ორი სხვა „ბოსიაიცი“ იყო. შუა დღისას სადილად ხორციც მოგვტანეს. გემოსა და ფერზე შევატყუე, რომ ხორცი ცხენისა იყო. როდესაც ეს ამბავი ჩემს ამხანაგებს გადავეცე, წამოხტნენ ყველანი და გამოუდგნენ მასპინძელს, რომელმაც ტყისაკენ მოჰქურცლა. ერთ ადგილას მე და პეშკოვს ძალიან შეგვცოვდა. რკინის გზის ლიანდაგით მივდიოდით. ერთი ღერი შეშა ვერსად ვიპოვეთ, რომ ცეცხლი დაგვეთო. ბოლოს მივაღვეთ ტელეგრაფის ერთ ბოძს, რომელსაც სამაგრებლად მეორე პატარა ძველი ბოძი ჰქონდა მიდგმული. ამოვიღეთ პატარა ბოძი, ცეცხლი გავაჩაღეთ, აქეთ-იქიდან მოუჯექით და დავიძინეთ. თურმე ისეთი კოცონი დამდგარა, რომ ალი ტელეგრაფის მავთულებს სწვდებოდა. მატარებელს გაველო. ერთი ალიაქოთი ამტყდარიყო. სადგურიდან ჯანდარმები გამოეგზავნათ. დაგვიჭირეს და სადგურში წაგვიყვანეს. მე და პეშკოვს გულში გვიხაროდა. გვეგონა ერთპირობით გავგაგზავნიანო, მაგრამ არაფერი გამოვიდა: გამოგვკითხეს საქმე და გვითხრეს, მიბრძანდით, სადაც გნებავთო.

„ასე და ამ რიგად კავკავამდე მოვალწიეთ. არც ერთ სტანიცაში მე ქალი არ გამოცენია და პეშკოვისათვის ხუთი მანეთის მოპარვა არ დამიბრალდება. როდესაც კავკავს გამოვეცდით, პეშკოვმა მითხრა, ეხლა შენ ქვეყანაში მოვედით, აბა, წადი და იშოვე რამეო. მართლაც, აქამდე სულ პეშკოვი შოულობდა ფულსაც და საქმელსაც. დავიწყე მე თხოვნა, მაგრამ არაფერი გამოვიდა: ზოგმა ლანძღვით გამომაგდო, ზოგმა ძაღლები დამასია. ისევ პეშკოვი შეუდგა საქმეს. მოხერხებული კაცი იყო. აქაც „იამშიჩიკებისაგან“ შოულობდა ხოლმე ცოტა რამეს. კავკავიდან ტფილისამდე შვიდი დღე ვიარეთ. მგზავრობის განმავლობაში ფეხზე თითქმის სულ არა სცმია-რა. ისე გაუსქელდა ფეხის გული, რომ „პოდმეტკები“ გეგონებოდათ. მუხლებს ქვემოთ წარვალა შემოგლეჯილი ჰქონდა და ტიტველა კანჭები უჩანდა. მცხეთაში მამასახლისთან მივედით. ვთხოვეთ, ღამე გავთევებინა. ვუთხარი, მე ქართველი ვარ-მეთქი, მაგრამ არც ამან ვასტრა. თქვენისთანა მაწანწალა ათასი დაეთრევაო. ბოლოს იქ ჩავსხა,

სადაც ტუსალებს აწყვედვენ. მეორე დღეს ტფილისისკენ წამოვედით, ჯერ კიდევ ადრე იყო, ვერიდან ტფილისს რომ მოვატანეთ. დღოსით შემსჯელა არ მინდოდა, რადგან ნაცნობები მყავდა, შეიძლება შევეხვედროდი. ამიტომ შევიცადეთ და შეღამებისას შემოვედით ვერიდან, შევეხვედით ჯგვედით და ვოგზლისაკენ გავსწიეთ. რკინის გზის სახელოსნოში ჩემი შორეული ნათესავი მსახურობდა სლესრად და იმასთან მივედით. პირველად ვერ მიცნეს: მეცა და პეშკოვიც აღქაჯებსა ვვვანდით, თმა გაუქრეპანენი და ძველ ნაფლეთებში გამოწყობილნი. შემდეგ მიცნეს, შეგვიყვანეს, გვაჭამეს, ტანისამოსი გამოგვიცვალეს და აბანოშიც წავგიყვანეს. პეშკოვს ვიღაც ნაცნობი ჰყავდა რკინის გზის გამგეობაში, მთხოვა მეორე დღეს იქ წავსულიყავით. როდესაც მივედით, პირობა მივეცით ერთმანეთს, რომ იქვე შევხვედროდით, რადგან მე ბაზარში მივდიოდი. დავბრუნდი იქიდან და პეშკოვი ველარა ვნახე. ის იყო და ის. ერთი თვე კიდევ დავრჩი ტფილისში, მაგრამ პეშკოვი ველარსად ვნახე. მას შემდეგ არაფერი გამიგონია ამ კაცზე.

ასეთი იყო ალ. პეშკოვის-გორკის პირველი ჩამოსვლა საქართველოში. გორკიმ ტფილისში მეორე დღესვე მოსძებნა თავისი ძველი ნაცნობი მიხეილ იაკობისძე ნაჩალოვი, რომელმაც პირველი დახმარება გაუწია და თავშესაფარი მისცა.

ჩქარა ამ ნაჩალოვმა, მაშინ ცნობილი ხალხოსანი ექიმის ნიკ. ხუდადოვის დახმარებით, თავის მეგობარ ალ. პეშკოვს სამსახურიც უშოვა ტფილისის რკინის გზის სახელოსნოში — ჯერ მღებავის, ხოლო შემდეგ მეტაბელის თანამდებობა. ალ. პეშკოვი რკინის გზის სახელოსნოებში მუშაობდა 1891 წლის 10 დეკემბრიდან 1892 წლის 21 სექტემბრამდე, და ანლოცებით 10 თვის განმავლობაში.

ეს ათი თვე ვაღამწყვეტი შეიქნა ახალგაზრდა „ბოსიაკის“ ალექსი პეშკოვის ცხოვრებაში. ამ პერიოდმა სრულიად შესცვალა მისი ბიოგრაფია, ამ დროს დაიწყო თავისი დიდი ლიტერატურულ-შემოქმედებითი გზა მან, როგორც რუსეთის უდიდესმა პროლეტარულმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ.

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისი, როდესაც გორკი პირველად ესტუმრა საქართველოს, უაღრესად მნიშვნელოვანი ხანაა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. წინა ათეული წლის მანძილზე რუსეთში გაბატონებული სასტრუქი რეაქციის შემდეგ მოდუნებული საზოგადოებრივი მაჯისცემა ამ პერიოდში კვლავ იწყებს ძლიერ სასიცოცხლო ფეთქას.

შებუთულ საზოგადოებრივ ატმოსფეროს მოძრაობა დაეტყო ახალმა ძალებმა გამოცოცხლება დაიწყეს. ცხოვრების ასპარეზზე სამოქმედოდ მოდიოდა ახალი თაობა, რომელსაც ახალი იდეები და პერსპექტივები მოჰქონდა ხალხისათვის.



ასეთ პერიოდში მოუხდა მ. გორკის — მაშინ ახალგაზრდა, სოციალურ-რეპროტესტით გამსჭვალულ, ცოდნის წყურვილითა და ბრძოლის ენით გატაცებულ ახალგაზრდა მოხეტიალე ალექსი პეშკოვი. მისი კვანძი პირველად მოსვლა.

ცხადია, ამ გარემოებას მისი მსოფლმხედველობის, მისი სოციალ-პოლიტიკური შეხედულებების შემდგომი ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისათვის უაღრესად დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

მ. გორკი ტფილისში ჩამოსვლისათანავე დაუახლოვდა მოწინავე მუშა და მოსწავლე ახალგაზრდობის ფარულ წრეებს და შეიქნა მათი აქტიური მონაწილე და ენერგიული მუშაკი.

ერთ-ერთ ასეთ წრეში გორკი გაეცნო ტფილისის მოწინავე მუშებს — თ. აფანასიევს, ზეინკალს ელ. როხლინს და სხვა ამხანაგებს.

იგი დაუახლოვდა აგრეთვე რევოლუციონურად განწყობილ ინტელიგენციას, მათ შორის ცნობილ რევოლუციონერს გოლა ჩიტაძეს, მასწავლებელს მაღალაშვილს, კატორიდან ახლად დაბრუნებულ ზალხოსანს ა. კალუჟინს (რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა მ. გორკზე და ხელი შეუწყო მის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლას) და აგრეთვე მრავალ სხვა ამხანაგს.

გორკის სახელთან ამ პერიოდში დაკავშირებულია ცნობილი „კრასნაგორის კომუნის“ დაარსება, სადაც თავს იყრიდა მაშინდელი მოწინავე რევოლუციური მუშა-ახალგაზრდობა. ამ „კომუნაში“ აქტიურ მონაწილედ ითვლებოდა ახალგაზრდა ალ. პეშკოვი. თუ რა ხასიათის იყო ეს „კომუნა“, ან რა მიზნებს ისახავდნენ მისი წევრები, ამ საკითხის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება მეტად საინტერესო მოგონება ამ ახალგაზრდათა წრის ერთი მაშინდელი მონაწილისა (ს. რობაქიძისა).

ტფილისში მ. გორკის ჩამოსვლა, — ეკითხულობთ ამ მოგონებაში, — მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც ახლად ისახებოდა ადგილობრივ ახალგაზრდობის დაჯგუფება სხვადასხვა სათვითგანმანათლებლო წრეებში. ამ ხანებში ტფილისში შესდგა ერთი წრე, სადაც თავს იყრიდნენ ტფილისის მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენელი ახალგაზრდობა. ამ წრეში იყრიდნენ თავს უმთავრესად სხვადასხვა საშუალო სასწავლებლის მოწაფეები. ამ მოწაფეებში უმეტესობას ქართველები შეადგენდნენ, თითო-ოროლა იყო რუსი, თათარი, ოსი და ქართველებს შემდეგ ბლომად იყვნენ სომხებიც.

ამ ახალგაზრდებს გარდა, ამ წრეში შეხვდებოდით უფრო ხნიერ მოქალაქეებსაც. ესენი იყვნენ ციმბირიდან დაბრუნებული „ნაროდნიკები“, რომელნიც დაბრუნებულნი იყვნენ ციმბირიდან სასჯელის მოხდის შემდეგ, ალექსანდრე მეორის მკვლელობის საქმეში მონაწილეობის მიღებისათვის. ყველა ეს რევოლუციონური სულისკვეთების ადამიანები თავს იყრიდნენ

ტფილისში არსებულ ახალგაზრდათა წრის გარშემო. ამავე დროს მოქმედებდა ტფილისში „მასწავლებელ ქალთა საზოგადოება“...

„...ეს „მასწავლებელ ქალთა საზოგადოება“ თავის მოღვაწეობის მიზნად ისახავდა სკოლის გარეშე დარჩენილ მოზრდილ მოქალაქეობის წერა-კითხვის შესწავლას და საერთო განათლების და განვითარების მიცემას. ამ მიზნის განსახორციელებლად ამ „საზოგადოებას“ საშუალებად დასახული ჰქონდა საკვირაო სკოლების გახსნა ტფილისის ყველა კუთხეებში და იაფფასიანი ბიბლიოთეკის გახსნა, რომელსაც „იაფფასიანი“ ერქვა მხოლოდ მთავრობის თვალების ასახვევად, თორემ წიგნებს საკითხავად აძლევდა მუშებს და მოსამსახურეებს სრულიად უფასოდ. აი ასეთი იყო მაშინდელი ცხოვრების პირობები და ასეთი მდგომარეობის დროს წამოვიდა ტფილისში დღეს მაქსიმ გორკის სახელით მთელ მსოფლიოში კარგად ცნობილი ბუმბერაზი მწერალი, რომელსაც მაშინ ჩვენ შევხვდით და ვაეციანით ალექსეი მაქსიმოვი პეშკოვის სახელწოდებით.

ამ პიროვნების ტფილისში მოსვლა პირველ დღიდანვე მჭიდროდ დაუკავშირდა იმ ახალგაზრდათა წრეს, რომელშიც მეც ემონაწილეობდი...“

ავტორის სიტყვით, ერთ გაზაფხულის გრილ საღამოს ჩელურეთში ეს ახალგაზრდები პატარა ოთახში მაგიდას უსხდნენ და მოსულ ამხანაგებს საკითხავ წიგნებს აძლევდნენ იმ პატარა ბიბლიოთეკიდან, რომელიც ამ ბინაზე ჰქონდათ მოთავსებული და რომლითაც სარგებლობდნენ ახალგაზრდები, წრის წევრები.

აი, ამ ბინის კარებს მოადგა თურმე საღამოზე ვიღაც რუსი ახალგაზრდა, რომელიც ოთახის პატრონს კითხულობდა. პიროვნება დაშვდურებს საეჭვოდ მოსჩვენებიათ, უნდოდათ მისი თავიდან მოშორება, მაგრამ სწორედ ამ დროს ოთახში შემოსულა მასპინძელი და უკითხავს მოსულისათვის, ვინ ვნებაესო. მოსულს კადე უკითხავს და რა ვაუგია მისი სახელი, მისთვის პატარა ბარათი გადაუცია. ეს ბარათი შემდეგ ყველას წაუკითხავს. აღმოჩნდა, რომ ამ ბარათის მომტანი არის ალექსეი მაქსიმოვი პეშკოვი, და ნოვოროსიის ორგანიზაცია სთხოვს ტფილისის ორგანიზაციას მიიღოს ეს პეშკოვი თავის წრეში და აღმოუჩინოს მას ამხანაგური ნდობა. ეს ბარათი საკმაო იყო ჩვენთვის, რომ პეშკოვისთვის შესაფერისი ყურადღება მიგვექცია და იმ დამეს ერთ ჩვენ ამხანაგთან დაგვებინავე-ბინა. ამ დროდან ვახდა პეშკოვი ჩვენი წრის წევრი და ტფილისში ყოფნის დროს მას ამ წრისათვის თავი არ დაუნებებია.

პეშკოვის პიროვნება ჩვენ უცნაურად გვეჩვენებოდა. მისი გარეგნობა ფრიალ საყურადღებო იყო. მაღალი ტანის, ბეჭებში მოხრილი, ნორმალურზე მეტად გრძელი ხელებით, ბეჭებამდე დაშვებული გრძელი თმებით — ეს აღამაანი ისე იყო შემოსილი, რომ ვისაც უნდა ენახა, იტყოდა, რომ ის „მოხეტიალე რუსია“, რომლის მსგავსი ბლომად დახეტიალობდნენ

ჩვენს ქვეყანაშიც. ტანზე მას გრძელი ტილოს ტომრის მსგავსი ქსოვილი-საგან უწნოდ შეკერილი ხალათი ეცვა, ფეხზე რუსული „ონტინი“ ემოსა და ხელში გრძელი ჯოხი ეჭირა. ზურგზე კარგა მოზრდილი პარკი ჰქონდა გადაკიდებული თოკით და ისეთ შთაბეჭდილებას ქონებოდა, რომ რაღაცას თხოულობს, მისცემ და წავა.

აი, ასეთი სახის ადამიანი დაბინავდა ერთი ჩვენი ამხანაგის ბინაზე და აქედანვე დაიწყო მისი დაახლოება ჩვენი წრის ყველა წევრებთან. პირველად პეშკოვი ჩვენ არ მოგვწონდა, რადგან საეჭვო პიროვნებად მიგვაჩნდა. ჩვენი ეჭვი მით უფრო ძლიერდებოდა, რომ პეშკოვი განუწყვეტლად ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა ათასგვარ საინტერესო ამბებს და ყველა მის ნაამბობში მომქმედ პირად თვითონ ის იყო. მოსვლიდან პირველ კვირაშივე გვიამბო თითქმის მთელი შინაარსი „ჩემი თანამგზავრი“-სა. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ამ ამბის გმირი მის მიერ იყო შეთხზული, მაგრამ მაქსიმოვი ისე მხატვრულად გვიამბობდა შაქროსთან მოგზაურობაზე, რომ ჩვენ მეორე დღეს ვაპირებდით შაქროს მოძებნას ტფილისში.

ეს ვშვენივრად მოლაპარაკე ადამიანი ისე დაუახლოვდა ჩვენ წრეს და მის წევრებს, რომ თითქმის ყოველ დღე ამ წრის კონსპირატიულ ბინაზე მოდიოდა და აქ ატარებდა მთელ თავისუფალ დროს, რომელიც საკმაოდ ბლომად ჰქონდა. აი, ამ კონსპირატიულ ბინაზე სცნობოდა მაქსიმოვი ყველა ჩვენს ამხანაგებს. აქ ეწეოდა ის კულტურულ მუშაობას თავის ნაცნობთა თვითგანვითარების ასამაღლებლად, აქვე ვარჯიშობდა ის დრამატიულ ხელოვნების დარგში სხვადასხვა მონოლოგების კითხვით და აქვე ატარებდა დროს ხშირათ გამართულ საცეკვაო თუ სალიტერატურო საღამოებზე“...

„...ჩვენ წრეში იყო ორი წევრი, რომელთაც თავისი თავი შესანიშნავი მსახიობი ეგონათ. ერთი ასეთი იყო შემდეგ ქართულ საზოგადოებაში კარგად ცნობილი და უდროოდ ტრაგიკულად დაღუპული, 1905 წლის რევოლუციის დროს, შიო ჩიტაძე და მეორე თვით ალექსი პეშკოვი. საკმე იმაშია, რომ იმ დროს ტფილისის ქართულ თეატრში მუშაობდა ქართული სცენის დამამშვენებელი არტისტი ვლადიმერ სარდიონის-ძე ალექსი მესხიშვილი, რომელიც ვასაკვირვლად ასრულებდა შილერის ცნობილ „ყაჩაღებიდან“ ფრანც მოორის როლს.

შიო ჩიტაძე გატაცებული იყო ფრანც მოორის როლის შესრულებით და ალექსი პეშკოვი კარლოს მოორის როლით. აი, ეს ორი პიროვნება ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ამ როლების შესრულებაში და ხშირად ისე ბრავდებოდნენ ერთმანეთის კრიტიკით რომ ფიზიკური ხელის შეხებითაც კი ემუქრებოდნენ ერთმანეთს“...

„სცენით გატაცების გარდა მაქსიმოვი დიდ ყურადღებას აქცევდა ჩვენ წრეში ლექციების კითხვას. მან რამდენჯერმე მოინდომა ლექციის წაკი-

თხვა, მაგრამ ვერ უხერხდებოდა, რადგან ლექციის მოსასმენად ახანაგები არ გროვდებოდნენ. მხოლოდ ერთხელ მოუხერხდა მას ლექციის წაკითხვა. ეს იყო ლექცია ხელოვნებაზე და ცხადად მახსოვს, რომ თავის ლექციის საგნად მან აიღო შილერის ტრაკტატი ხელრქეწის შესახებ. ნიჭიერი ენით გადმოგვცა მსმენელებს ამ ტრაკტატის შინაარსი, სრულიად ვასაგებად და პოპულარულად.

....მასწავლებელ ქალთა წრეში პეშკოვი უსაქმოდ არ იყო გაჩერებული. ეს წრე თვითონაც მომჭმედი იყო და მასში შემაველ წევრებსაც დაუსვენებლად ამოქმედებდა. მას ჰქონდა ყოველკვირეული საზოგადოებრივი სხდომები და ამ სხდომებზე ირჩეოდა მრავალგვარი საკითხები სკოლების მუშაობის შესახებ. საკვირაო სკოლებს თან სდევდა მუშაობა სახალხო კითხვების მოწყობისა ბუნდოვანი სურათებით და ყველა ამ საკითხების დამუშავებაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა ალექსეი პეშკოვიც. ამ ხნის განმავლობაში პეშკოვი მუდამ დადიოდა ჩუღურეთის კონსპირატიულ ბინაზე მოთავსებულ ბიბლიოთეკაშიაც. ორივე ამ ადგილას თავს იყრიდა მაშინდელი ტფილისის პროგრესიული და რევოლუციონურად განწყობილი ახალგაზრდობა და, რა გასაკვირველია, რომ პეშკოვი ამ ადგილებში ეცნობოდა თითქმის ყველა ახალგაზრდებს, რომელნიც კი დაკავშირებული იყვნენ კონსპირატიულ ბინასთან, პარტიისტულ ბიბლიოთეკასთან და მასწავლებელ ქალთა საზოგადოებასთან....

.... ამავე წრეში გაეცნო ალექსი პეშკოვი მაშინ ახალგაზრდა ბელეტრისტს ეგნატე ნინოშვილს. არ მახსოვს კარგად, — 1891 თუ 1892 წელს, — ეგნატე სოფლიდან ჩამოვიდა ტფილისში და, რასაკვირველია, როგორც უბინაო კაცი, ესტუმრა ჩვენ ჩუღურეთის კონსპირატიულ ბინას. ამ ბინას კონსპირატიულს ვეძახდით იმიტომ, რომ აქ ზშირად იმართებოდა პატარა თათბირები პოლიტიკური ხასიათისა, რისთვისაც 7 ოთახიან სარდაფში ორი ოთახი არალეგალურ ამხანაგების თავშესაფარს წარმოადგენდა.

სოფლიდან ჩამოსული ეგნატე ამ თავშესაფარში დაბინავდა და, რასაკვირველია, ალექსი პეშკოვსაც გაეცნო. ერთ კვირა დღეს ეკლესიიდან გაპარული ინსტიტუტის მოწაფეები ჩვენ ბინაზე მივედით, რათა წირვის გამოსვლამდე იქ დავრჩენილიყავით; ამ ბინაზე დაგვიხვდა ახლად ჩამოსული ეგნატე ნინოშვილი და ალექსი პეშკოვი. მისულებმა თან მივიტანეთ გაზეთ „ივერიის“ ნომრები, რომლებშიაც დაბეჭდილი იყო ნინოშვილის ერთი მოთხრობათაგანი (სათაური არ მახსოვს). მოთხრობა წაეკითხეთ და ყველანი ეგნატეს დავსტრიალებდით სხვადასხვა კიბეებით შესახებ მისი მოთხრობისა. პეშკოვი ნალელიანი სახით მისჩერებოდა ქლექის მიერ დატანჯული სახის მქონე ადამიანს და გულდათუთქული ხმით ეუბნებოდა: „Ты счастлив, товарищ, тем, что своими глазами видишь, как любят и уважают тебя“.

ვენატემ რუსული ენა კარგად იცოდა, თუმც გამოთქმა არ ჰქონდა წმინდა რუსული; თავის რუსულის იმერული გამოთქმით უფრო ალექსი პეშკოვის: „Напиши то, что ты так хорошо пишешь и тоже увидишь, как все полюбят тебя“.

ვენატეს ხშირად უამბობდა ხოლმე პეშკოვი თავის თავგადასავალს და ნიჭიერი მწერალი ხედავდა, რომ ასეთი მოსაუბრე პიროვნება კარგად დაწერასაც შესძლებდა და არც მოსტყუედა უკუღმართი ცხოვრებისაგან ნაწამები ბელეტრისტი\*).

ასეთი იყო ის წრე, რომელშიდაც მოხვდა ახალგაზრდა გორკი. მისი საქართველოში ჩამოსვლის პირველ დღეებშივე. განსაკუთრებულ ინტერესს ამ მოგონებებში, შეიცავს გორკის და ვენატე ნინოშვილის შეხვედრის ამბავი. ეს საკითხი წარმოადგენს თემას ცალკე ნარკვევისათვის.

ჩელურეთის კონსპირატიულ წრესთან დაკავშირებით საინტერესოა აგრეთვე აღნიშნულ იქნეს მ. გორკის მეგობრობა იმ ხანებში ცნობილ რევოლუციონერ გოლა ჩიტაძესთანაც. 90-იან წლებში ამ გოლა ჩიტაძეს არალეგალური წიგნთსაცავი ჰქონდა, სადაც დიდძალი რევოლუციონური ლიტერატურა იყო მოგროვილი. ამ წიგნთსაცავით ფართოდ სარგებლობდა მაშინდელი მოწინავე მუშა-ახალგაზრდობა და მოსწავლეობა, მისი საშუალებით ეცნობოდა რუსეთის რევოლუციონერ მოძრაობას და ურკვევოდა მიმდინარე ეპოქის სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაში. მეტად საგულისხმოა დახასიათება, რომელსაც გოლა ჩიტაძეს აძლევს თვით მ. გორკი თავის მერმინდელ მოგონებაში. გოლა ჩიტაძე „დაძაბული მუშაობის, მეცადინეობისა და შიმშილისაგან“. ფსიქიურად დაავადდა და გარდაიცვალა კიდევ 1892 წელს. გ. ჩიტაძეს მკურნალობდა ზემოდ ნახსენები ხალხოსანი ექიმი ნ. ხუდადოვი და ექიმი გ. ვართანიანცი.

„ნ. ხუდადოვის წინადადებით, წრის სხვა წევრებთან ერთად ა. პეშკოვიც მორიგეობით უვლიდა და მეთვალყურეობდა ავადმყოფს.

ალექსი მაქსიმეს ძე განსაკუთრებული მზრუნველობით ექცეოდა ავადმყოფს და სასთუმლიდან არ შორდებოდა მას.

ავადმყოფი, — სწერს თავის მოგონებაში ექიმი ვართანიანცი, — მეტად აინტერესებდა პეშკოვს, იგი განსაკუთრებული ხალისით აკვირდებოდა ავადმყოფის ყოველ სულიერ მოქმედებას და თავისი დაკვირვებანი შეჰქონდა რვეულში“ (ეურ. „მირ ბოკი“ 1903 წ. № 3, გვ. 18)\*\*).

1920 წელს თვით მ. გორკი ასე იგონებდა ამ ამბავს:

„გოლა ჩიტაძე — ქართველი, გლეხის შვილი, ერთი პირველი პროპაგანდისტთაგანი მარქსიზმისა ტფილისის ახალგაზრდობაში და მუშებში,

\* იხ. სერგო რობაქიძე — „მაქსიმ გორკი ტფილისში. პირადი მოგონებებიდან“ — ეურ. „ქართული მწერლობა“ № 5, 1928 წ., გვ. 11.

\*\* ციტატა მომყავს ი. ბალახაშვილის წერილიდან: „მაქსიმ გორკი და გოლა ჩიტაძე“, „ლიტ. საქართველო“, № 14, 1937 წ.



ქართული  
ენციკლოპედია



მამსონი ბოლკი

იყო მეტად პოპულარული განსაკუთრებით მეშებს შორის. ნაცნობობა ჰქონდა ხალხოსან რევოლუციონერებთან: გამყრელიძესთან, ჯაფარიძესთან, ლუბატოვიჩთან, ზდანოვიჩთან და სხვებთან.

დაძაბული მუშაობის, მეცადინეობისა და შიმშილზე უკუყვანის შედეგად (mania grandiosa). სამი კვირის განმავლობაში მუშაობდა და არ ლებულობდნენ; თავდაპირველად მას მორიგეობით სდარაჯობდნენ ამხანაგები, მაგრამ მალე ისინი შემოიფანტნენ, დაქანცულნი, დაშინებულნი მისი ქცევით და მის მიერ ნაცემნი. მე მომიხდა ზედიზედ ცხრა დღე გამეტარებინა მასთან — ეს იყო მეტად ძნელი. რამდენჯერმე მან სცადა ჩემი მოკვლა.

იგი ვაქსს წაისვამდა ხოლმე გულზე და მერე ფუნჯით სწმენდა ამბობდა, გული მეწვისო და ვითომ აქრობდა მას ნარეცხის ვედროში დასველებული ჩერის მიდებით მკერდზე. ერთხელ კინალამ მოჰკლა ოთახის პატრონი ქალი, მეორედ კიბეებიდან გადმოაგდო პოლიციელი.

ერთხელ, როდესაც ავადმყოფობამ წამოუარა, მოხუც მუშას ლოყაში ჩააფრინდა და კანი გადააძრო. მოხუცს წარბიც არ შეუბრია, ჩიტაძე კი მიყვიროდა მე: „ხედავ, როგორ ვუყვარვარ მე ჩემს ხალხსო“. მე რამდენჯერმე იძულებული ვავხდი გამებაწრა იგი, მაშინ იგი შესლილის მოხერხებით იწყებდა ტირილს, ჩიოდა, რომ ტკივილს განვიცდიო. მე მივდიოდი გასახსნელად, ის კი მათურთხებდა პირისახეში და ხარხარებდა, თუ ფურთხი მომხვედებოდა.

ის იყო მეტად ღონიერი; რომ დამესუსტებია იგი, მივეცი ცხენის დონით გლაუბერის მარილი, რამაც შეამსუბუქა ჩემი მდგომარეობა.

დაბოლოს, ის მაინც მიიღეს საავადმყოფოში. როცა ის შევიდა საერთო დარბაზში და დაინახა აგრეთვე სულიერად დაავადებული თავადი აბაშიძე, გააწნა სილა და შესძახა — „ეს ჩემი მამის მაგიერ“—ო. აბაშიძეს თურმე მოუკლავს ჩიტაძის მამა, რომელიც მისი ყმა ყოფილა, როცა გოლა ხუთი წლისა იყო.

ხუთი დღის შემდეგ საავადმყოფოს მოსამსახურეებმა კიბიდან გადმოაგდეს გოლა ჩიტაძე. ნეკნის ძელის ნამტვრევმა გაუჭრა მას გული და იგი მოკვდა. ის ზეიმით დაასაფლავეს, დიესწრო ახალგაზრდობა და მუშები“. („ეურ. „მოლოდაია გვარდია“ 1927 წ. გვ. 187-8) \*).

გოლა ჩიტაძესთან ნაცნობობამ და მისი ცხოვრების ტრაგიკულმა ფინალმა მ. გორკის მისცა თემა მოთხრობისათვის „შეცდომა“, რომელიც 1894 წელს იქნა დაწერილი.

„კრასნავორის კომუნამ“ რამდენიმე თვეს იარსება. ეს კომუნა ცხოვრობდა კრასნავორსკის ანუ კვირაცხოვლის ქუჩაზე მოთავსებულ სახლის სარდაფში, ამ ქუჩიდან მიიღო მან თავის სახელწოდებაც.

\* იქვე. იხილე აგრეთვე: ე. კლდინ — „გორკი ვ ტიფლისე“, გვ. 20.

კომუნის დაშლის შემდეგ ალ. პეშკოვი ერთხანს მარტო დარჩა თავის სარდაფში, შემდეგ კი გადავიდა ბინად თავის მეგობარ ხალხთან ა. კალიუჟინისთან. როგორც აღვნიშნეთ, ა. კალიუჟინი უდიდესი გავლენა იქონია ახალგაზრდა ადამიანზე. მისი რჩევით და ხელის შეწყობებით ახალგაზრდა გორკიმ დასწერა კიდევ თავისი პირველი, წამალიწერი რომანტიკული ლეგენდა ლოიკოს და რადღეს სიყვარულზე — სათაურით „მე-კარ ჩუღრა“.

ეს მოთხრობა დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზ“-ის 12 სექტემბრის ნომერში 1892 წელს.

ამის შემდეგ ალ. პეშკოვი დიდხანს აღარ დარჩენილა ტფილისში. იგი გაემგზავრა თავის მშობლიურ ქალაქ ნიჟნი ნოვგოროდში, მაგრამ უკვე არა როგორც თავგადასავალის და ლუკმა-პურის მძიებელი, არამედ როგორც ახალგაზრდა მწერალი მაქსიმ გორკი.

მან თან წაიღო „თავისი მეორე სამშობლო ქალაქის“ ტფილისის სიყვარული, მეგობრების ხსოვნა და განსაკუთრებული პატივისცემა თავისი მასწავლებლის ა. კალიუჟინისა.

„უკვე ცხრა წელიწადია არ მინახავართ, — სწერდა გორკი 1901 წ. თავის მასწავლებელს, — მაგრამ მე ყველაფერი კარგად მახსოვს, რაც თქვენთან გამოვეცადე და არასოდეს არ დამავიწყდება, რომ პირველმა სწორედ თქვენ მომეცით ბიძგი იმ გზაზე, რომელზედაც ახლა მივდივარ“.



ამის შემდეგ მ. გორკის ნაწერები ხშირად იბეჭდება რუსეთის პერიოდულ გამოცემებში; 1894 წელს მის მოთხრობებს იწონებს ცნობილი მწერალი ვლადიმერ კოროლენკო და ბეჭდავს თავის ჟურნალში („რუსსკოე ბოგატსტვო“). მისივე რჩევით გორკი სწერს მოთხრობა „ჩელკაშს“. რამდენიმე წლის განმავლობაში მ. გორკი ხდება პოპულარული მწერალი და როდესაც 1898 წელს გამოვიდა მ. გორკის თხზულებათა ორი ტომი, ამ დროს იგი უკვე რუსეთის უდიდესი მწერლების მოწინავე რიგებში ითვლებოდა.

სწორედ ამ წელს უხდება მ. გორკის მეორე, იძულებითი „ჩამოსვლა“ ტფილისში.

ტფილისის ჯანდარმერია ამაზე ერთი წლით ადრე, 1897 წ. იანვარში, აპატირებს მ. გორკის ძველ მეგობარს, მუშა აფანასიევს; ტფილისის სოც-დემოკრატიული ორგანიზაციის საქმეს უკავშირებს „კრასნაგორის კომუნის“ კონსპირატიულ წრეს და ამასთან ერთად ეჭვი შეაქვს ამ წრის ყოფილ წევრზე — ალ. პეშკოვზედაც.



ნიენი-ნოვგოროდში ტფილისის ეანდარმერია გზავნის ფიცხელ განკარგულებას: «გაჩხრიკეთ, დააპატიმრეთ და გამოგზავნეთ ტფილისში პრალდებული ალექსი მაჭიშვილი ძე პეშკოვი».

ამგვარად 1898 წლის 12 მაისს გორკი მეტეხის ციხეში დაპატიმრდა. მაგრამ გორკის პატიმრობა დიდხანს არ გაგრძელდა. მისი დაპატიმრებრია იძულებული შეიქნა გაენთავისუფლებინა იგი მის დანიშნულის შესახებ სათანადო დასამტკიცებელი საბუთების უქონლობის გამო.

მესამე ჩამოსვლა მ. გორკისა ეკუთვნის 1901 წელს. ამ დროს იგი ტფილისში იყო გავლით ანტ. ჩეხოვთან და მხატვარ ვიქტ. ვასნეცოვთან ერთად. საინტერესოა ა. კალოუჟნის მოგონება მ. გორკის ამ ჩამოსვლის შესახებ:

„1901 წელს გორკის ტფილისში ჩამოყვება ცნობილი მხატვარი ვიქტორ ვასნეცოვი. გორკი მაშინ საყოველთაოდ ცნობილი მწერალი იყო. ჩამოვიდა თუ არა, მომნახა და წავედი თუ ყველანი ერთად მცხეთის სიძველეთა დასათვალიერებლად. ვიქტორ ვასნეცოვი განცვიფრებული დარჩა მცხეთის ტაძრის სიდიადით. განსაკუთრებით მოსწონდა დიდ მხატვარს ტაძრის კედლებზე შემთხვევით გადარჩენილი ძველი მხატვრობა“...

„...გორკის საყვარელი სასტუმრო იყო ტფილისში „ლონდონი“ — ამჟამად გლეხთა სასახლის შენობა. აქ ჩერდებოდა იგი ყოველთვის, აქ ჩერდებოდნენ მასთან ერთად ჩამოსული მისი მეგობრებიც“ („კომუნისტი“ № 141 — 1936)

1903 წელს მ. გორკი მეოთხედ ესტუმრა ტფილისს. ამ წლის 24 და 25 ივლისს ტფილისის რუსულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა გორკის ცნობილი პიესა „ფსკერზე“.

ტფილისის ეანდარმერია ფეხზე დადგა და მიიღო ყოველგვარი ზომები, რომ ხალხს პოპულარული მწერლისათვის დემონსტრაცია არ მოეწყო.

1903 წლის 24 ივნისს ეანდარმთა როტმისტრი ხუციევი ატყობინებდა ამის შესახებ პოლიციის დეპარტამენტს:

„ამ დღეებში ტფილისში ჩამოსული მაქსიმ გორკი 21-ს გაემგზავრა ბათუმს, იქედან დღეს ან ხვალ დაბრუნდება უკანვე. მის პატივსაცემად აქაური ქართული თეატრი, ალბათ, მისი თანდასწრებით, დასდგამს „ფსკერზე“-ს. გუბერნატორი გაფრთხილებულია“.

ამ სპექტაკლებმა აუარებელი მაყურებელი მიიზიდა. 1903 წლის 3 ივლისს იგივე ხუციევი აცნობებდა პოლიციის დეპარტამენტს:

„აგენტურის ცნობათა მიხედვით, პიესის ავტორმა 300 მანეთი შესწირა „რუსეთის სოც-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავშირის“ აღვილობრივ კომიტეტს.

მთავრობის ოფიციალმა „კავკაზ“-მა, რომელმაც პირველად დაგვიგვრის პირველი ნაწარმოები, ეხლა ამ სპექტაკლებს რეცენზიაში გორკის პიესას ყალბი და ტენდენციოზური ნაწარმოები უწოდა. ცხადია, მეფის მთავრობის ოფიციალზისაგან უკეთესი შეფასება გორკის პიესისა არც მოსალოდნელი იყო.

ქართულად გორკის პიესა „ფსევრზე“ („ნაჩირალნი“-ის სახელწოდებით) დაიდგა 1908 წლის 4 მაისს. ხალხით გაკვირილი დარბაზი ეხლანდელ რუსთველის თეატრში სულგანაბული უსმენდა გორკის გმირების სოციალური პროტესტით გაყენებულ სიტყვებს, გმირების, რომელთა როლებსაც უდიდესი არტისტული ნიჭით ასრულებდნენ ჩვენი სცენის საუკეთესო მსახიობები: ნატო გაბუნია-ცაგარელი, ვას ოაბაშიძე, ვ. გაბუნია, კ. შათარიშვილი, ვ. გამყრელიძე და სხვები.

ამ დროს მ. გორკი რუსეთის მწერლებს შორის ყველაზე პოპულარული მწერალი იყო საქართველოში. აქ უადგილო არ იქნება მოკლედ გავიხსენოთ, თუ როგორ მიიღო მ. გორკის შემოქმედება ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ, როგორ შეაფასა იგი ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ფენამ.

მ. გორკის თხზულებათა პირველ მთარგმნელებს ეკუთვნიან: ვ. გიუნაშვილი, სერგო რომაქიძე, ივ. პოლუმორდვინოვი, ოლა ალაძისა, გ. ჩიჩუა, ია ეკალაძე, ი-ელი, ზეგლარ ახოსპირელი, კ. ჯაფარიძე და სხვები. თარგმანებს ბეჭდავდა იმ პერიოდის თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთი: „კვალი“, „ცნობის-ფურცელი“, „მომბე“, „შრომა“, „შემდეგ წლებში — „ტალღა“, „ლამპარი“, „ნიშადური“, „სახალხო გაზეთი“, „თემი“ და სხვა.

თუ როგორი იყო ქართველი მკითხველი მასების დაინტერესება გორკის თხზულებებით, ამას მოწმობს თუნდაც მისი მოთხრობების წიგნის 1902 წლის ქართული გამოცემა.

თავის მოგონებაში განსვენებული პოეტი ვ. რუხაძე სწერდა: „ეს პატარა მოგონება ცხრაასიან წლებს შეეხება, მაშინ ჯერ კიდევ ახალი ფეხადგმული მკითხველი ვიყავი. გორკის სახელმა ქუთაისამდე მიაწია. გორკი ყველას პირზე ეკერა, მაგრამ განსაკუთრებულ აღტაცებას ახალგაზრდობაში იწვევდა. პირველი საკითხი, როცა შეხედებოდნენ ერთმანეთს, ეს იყო: წაიკითხე გორკი? ერთი სიტყვით, ამხანაგებში გორკოდ იდ „მოდაში“ იყო — და ვისაც ის არ ჰქონდა წაკითხული, ჩამორჩე-

წილ კაცად ითვლებოდა, — და ყველა გაფაციცებით დაეძინა და კითხულობდა“.\*)

ქართულ კრიტიკას ყურადღებიდან არ გამოპარვია მ. გორკის ნაწერების ასეთი ფართო პოპულიარობა ჩვენს შკითხველ მასობრივ ცხოვრებაში. როგორც მოსალოდნელი იყო, გორკის ლიტერატურული შეხედულებები ერთნაირად არ იქნა დაფასებული. აქაც კლასობრივმა მიდგომამ იჩინა თავი და ქართული ლიტერატურის სხვადასხვა ბანაკმა განსხვავებულად შეაფასა ახალგაზრდა რევოლუციონერი მწერლის შემოქმედება. ამ მხრივ დამახასიათებელია ერთი ადგილი „ფბა“-ს (იაკობ ფანცხავას) წერილიდან, რომელიც მოთავსებული იყო 1902 წლის „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში. (ამ დროს „ივერიას“ ხელმძღვანელობდნენ ივანე ჯაბადარი, ალ. სარაჯიშვილი და გიგო ყიფშიძე). „იმ კაცს, იმ საზოგადოებას, — სწერდა იგი, — რომელიც ბალმონტის ლექსებს იზებირებს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მოდაშია ახლა, რომელსაც მშვენიერების ნიშნად უვიც მაქსიმე გორკის უსულო და უგულო სურათები „ბოსიაკებ“-ის ცხოვრებისა მიაჩნია, ასეთ კაცს, ვამბობთ, განა შეუძლია გაიგოს, ან დააფასოს ღირსება და მნიშვნელობა ისეთი ნიჭიერი კაცისა, ისეთის ზეციურის მადლის პატრონის მგოსნისა, როგორიც ალ. ჭავჭავაძეა?“\*\*) ამგვარად „ივერიის“ კრიტიკოსმა მ. გორკის ნაწერებში ბოსიაკების ცხოვრების უსულო და უგულო სურათები დაინახა მხოლოდ.

ქართული ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენცია იმ ხანებში ვაბუტული იყო გორკიზე მოთხრობის „ჩემი თანამგზავრის“ დაწერისათვის. „ცნობის ფურცელი“ სწერდა: „პირველად ჩვენ ბევრ გუ ნათლებულ ქართველისაგან ვაგვიგონია ამ მოთხრობის ძაგება. მათის აზრით, გორკიმ განზრახ მონათლა თავისი გმირი ქართველად, რათა ველურობა ეკიყინებია ჩვენთვის“\*\*\*).

გაზეთი თავის აზრსაც გამოსთქვამდა ამ საკითხის გამო და თუმცა მორიდებით, მაგრამ მაინც გარკვეულ საყვედურს გამოსთქვამდა გორკის შიმართ: „გორკის თხზულება... ცოტა არ იყოს, საწყენია ჩვენთვის, ქართველებისათვის... „ჩემი თანამგზავრის“ ავტორმა ერთი რამ შესცოდა და მით ღირსება დაუკარგა თავის ნაწარმოებს... რუს ავტორისათვის სრულიად საჭირო არ იყო თავისი გმირი ქართველად მოენათლა. ამით მისი მშვენიერი ნაწარმოები ტენდენციური შეიქმნა, რადგან მკითხველს

\*) ვ. რუხაძე — „პატარა მოგონება“ — ეურნალი „ქართული მწერლობა“ № 5, 1928 წ.

\*\*) იხ. ს. ხუნდაძის წერილი: „მაქსიმე გორკი საქართველოში“, სალიტ. გაზეთი № 27, 1932 წ.

\*\*\*) იქვე. იხ. „ცნობის ფურცელი“ № 2302, 1903 წ.

ძალა-უნებურად აფიჭრებიანებს, რომ ასეთი ტიპი მხოლოდ ქართველებშია შესაძლებელია“.

მ. გორკის მიერ დახატული ტიპი ქართველი თავადიშვილისა მოკლებული არ იყო რეალური სინამდვილის ელფერს. იგი <sup>მისივე</sup> განსხვავდებოდა ქართველ მწერლების მიერ ასახულ „ჩვენი ღირსი გმირებისაგან“: შაქრო ფთაძე გორკისა სისხლი და ხორცი იყო ილია ჭავჭავაძის დათიკოსი და ლუარსაბ თათქარიძისა, გიორგი წერეთლის ერემია წარბასი, ევნატე ნინოშვილის ტარიელ მკლავაძისა.

ყოველ შემთხვევაში, ქართული ნაციონალისტური ბანაყისაგან განსხვავებით, ეს გარემოება ძალიან კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული ჩვენი საზოგადოების დემოკრატიულ წრეებს და რევოლუციურ ინტელიგენციას. მათ საესებით სწორად და მართებულად შეაფასეს მ. გორკის შემოქმედების ღირსება და მნიშვნელობა.

დამახასიათებელია გორკის ადრინდელი მეგობრის შიო ჩიტაძის წერილები, მოთავსებული 1905 — 1906 წლებში გაზეთ „ცნობის ფურცლის“ გვერდებზე. მოგვეყავს ერთი დამახასიათებელი ადგილი ამ წერილებიდან: „გორკიმ თანამედროვე ცხოვრების არაარობა, უფერულობა, უძლურება გამოხატა ერთ სიტყვაში — „მეშინსტეო“. „მეშინსტეო“-მ ამოგლიჯა ცხოვრებას ცხოველმყოფელი სული და ჩაუდგა სული გახრწნილებისა. ვინ დაუბრუნებს ცხოველმყოფელ სულს გათახსირებულ ცხოვრებას?.. მშრომელი ხალხი, — აი ვინ გაუმკლავდა დაობებულ ცხოვრებას; მშრომელი ხალხი — აი ვინ გასწმენდს დახშულ ჰაერს და მიაწოდებს ცხოვრებას სუფთას და საღ ჰაერს.“\*)

დასასრულ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ მ. გორკი არა ერთხელ დაინტერესებულა ქართული ლიტერატურის ნიმუშების რუსულად თარგმნისა და რუსეთის ფართე მასებისათვის მისი გაცნობის საკითხით. ცნობილია, მაგალითად, ის ფაქტი, რომ 1912 წელს მ. გორკი ქართველ ლიტერატორებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა მისი რედაქციით ქართველი მწერლების თარგმნისა და გამოცემის შესახებ.

ამ წელს ჟურნალ „ზევნიდა“-ში გორკიმ დაბეჭდა სტატია რუსეთის ფარგლებში შემაჯავლ ერების ლიტერატურის დაუშვებელ იგნორაციის შესახებ. იმავე წელს დაარსდა საინიციატივო ჯგუფი, რომლის მიზანი იყო ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების თარგმნა რუსულ ენაზე. ამ საქმის ერთმა ინიციატორთაგანმა წერილობით მიმართა გორკის რჩევასა და მითითებებისათვის.

\*) იქვე.

გორკი გამოეხმაურა ამ წერილს: „მე ვფიქრობ, — სწორად 1912 წლის 7 დეკემბერს, — რომ შემიძლია სარგებლობა მოვეუტანო თქვენ მიერ წამოწყებულ საქმეს. თუ თქვენ უკვე მოგეპოვებათ <sup>საქართველოს</sup> სარგმნილი ქართველი ავტორების ნაწარმოებნი, გთხოვს <sup>დასტურების</sup> დასტურებლივ გამომიგზავნოთ ხელნაწერები. მათი ნაწილი, ალბათ, შეიძლება დაიბეჭდოს ჟურნალ „სოვერემენიკში“ (იხ. „ზარია ვოსტოკა“ № 141 — 1936 წ.).

1928 წელს გორკი უკანასკნელად ესტუმრა ტფილისს. ჩვენი ეპოქის უდიდესმა პროლეტარულმა მწერალმა თვალთ იხილა ის უდიდესი ცელილებანი, რომელიც მოხდა საქართველოში იმ 25 წლის მანძილზე, რომლის განმავლობაშიაც მას არ ენახა ჩვენი ქვეყანა. გორკიმ ნახა, თუ როგორ აყვავდა ჩვენი სამშობლო, როგორ გაიზარდა ჩვენი კულტურა, რა მაღალ დონეზე ავიდა ეკონომიური კეთილდღეობა ჩვენი შრომელი ხალხისა.

და თუ საქართველოში პირველი ჩამოსვლის დროს გორკის დახვდა ცარიზმის ქუსლით გაქედილი ქვეყანა, სადაც შეუზღუდავად პარპაშებდნენ თავადი ფთაძეები და ეანდარში ხუციევეები, ახლა მან ნახა, თუ დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ, ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ როგორ ააღორძინა ახალი, ბედნიერი ცხოვრებისათვის ქართველი ხალხი.



## სომეხი ხალხის დიდი ღრამაჯუბი

(გაბრიელ სუნდუკიანის გარდაცვალების 25 წლის თავი)

გარდაცვალებიდან 25 წელი შეუსრულდა მოძმე საბჭოთა სომხეთის უდიდეს დრამატურგს და საამაყო შვილს გაბრიელ სუნდუკიანს. საბჭოთა სომხეთი მოძმე რესპუბლიკებთან ერთად ამ თარიღს სახალხო ზეიმით აღნიშნავს.

გაბრიელ სუნდუკიანცი სომხური რეალისტური დრამატურგიის ფუძემდებელია. სომხური თეატრის აღორძინების საქმე მკიდროდ არის დაკავშირებული გაბრიელ სუნდუკიანცის სახელთან, მიუხედავად იმისა, რომ პირველი სომხური წარმოდგენა გაიმართა 1859 წლის 27 იანვარს მოსკოვში სომეხ სტუდენტთა ინიციატივით; გათამაშებულ იქნა ორი პიესა: პირველი იყო ისტორიული ტრაგედია; ხოლო მეორე აღებული იყო ტფილისელ სომეხთა ცხოვრებიდან.

მოსკოვში გამართულმა წარმოდგენამ იმავე წელს გამოძახილი ჰპოვა ტფილისში. ცნობილმა სომეხმა პოეტმა გამარ ქათიბამ (რაფაელ პატკანიანი) თვით დასწერა კომედია ტფილისელ სომეხთა ცხოვრებიდან, შექმნა სცენის მოყვარეთა ჯგუფი და მოაწყო წარმოდგენა. ამის შემდეგ კარინიანმა დასწერა ისტორიული პიესა „შეშანიკი“.

ამასობაში დადგა 60-იანი წლები. ეს წლები სომხური ლიტერატურის ისტორიაში მრავალმხრივ არის აღსანიშნავი. ჯერ ერთი — ამ ხანებში პირველად დაიბეჭდა ხალხურ ენაზე („ამზარაბარზე“) სომხეთის დიდი რომანტიკოსის ხაჩატურ აბოვიანის „პერკე ჰაიასტან“ (სომხეთის წყლული“). პირველადვე გამოვიდა ეურნალი „პიუსაფაელ“. ხოლო 1863 წელს ტფილისში ჩამოყალიბებულ იქნა სცენის მოყვარეთა წრე პროშინის ხელმძღვანელობით. წრეში ჩაეწერა მომავალი დრამატურგიც გაბრიელ სუნდუკიანი, და სწორედ აქედან დაიწყო სომხური თეატრის სწრაფი განვითარება.

თეატრს მრავალი დაბრკოლება გადაეღობა. თეატრს და მისი რეალისტური სულასკვეთების ჩამბერს — გაბრიელ სუნდუკიანცს დიდი ბრძოლა დასჭირდათ ლიტერატურაში ვანმტკიცებულ ნაციონალიზმ-შოვინიზმის მაგარი კედლის გასარღვევად.

გაბრიელ სუნდუკიანცის შემოქმედების განხილვამდე აუცილებელია მისი ბიოგრაფიის მთავარ მომენტებზე შეჩერება.

გაბრიელ სუნდუკიანცი დაიბადა 1825 წ. ქალ. ტფილისში, პირველ-დაწყებითი სწავლა მიიღო არტემ არარატისაგან. მერე შევიდა გენაშიაში, რომელიც 1846 წელს დაამთავრა ამის შემდეგ იგი გაემგზავრულა ლენინგრადის (მაშინდელ პეტერბურგის) უნივერსიტეტში და მსწავლელად დასაწყისად დასწავლდა ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1850 წ. დაამთავრა. სახელმწიფო სამსახურში პირველად დაღესტანში მოეწყო, ხოლო შემდეგ ტფილისის გუბერნატორის სამმართველოში.

ჩინონიკურმა აპარატმა ვერ ჩაკლა მწერლის შემოქმედებითი გენია და 1863 წელს ტფილისში წარმოდგენილ იქნა მისი პირველი პიესა „სალამოს ცხვირი ხეირია“. იგი სამჯერ დაიდგა ზედიზედ. კომედიამ ქართულ საზოგადოებაშიაც კპოვა გამოძახილი: 1902 წ. პიესა ქართულად გადათარგმნეს (ქართულად დაიბეჭდა 1911 წ.).

პირველი პიესის დაწერიდან ორი წლის შემდეგ სუნდუკიანცმა გამოაქვეყნა კომედია „ხათაბალა“. პიესაში კარგად არის მოცემული სომეხი ეპურის სახე და რუსეთის მეფის ბატონობა. ეს პიესაც გამოქვეყნებისთანავე ითარგმნა ქართულად. „ხათაბალას“ მოკყვა კომედია „კიდევ ერთი მსხვერპლი“, რომელშიაც მკვეთრად მოსჩანს ბრძოლა ძველსა და ახალ თაობას შორის.

გაბრიელ სუნდუკიანცი, როგორც დასრულებული დრამატურგი, ყველაზე მკვეთრად მოსჩანს „პეპოში“. ეს პიესა მისი შემოქმედების შედეგია. პიესაში ორი მოწინააღმდეგე ბანაკია მოცემული: ერთ მხარეს სდგას კაპიტალისტთა კლასის წარმომადგენელი ზიმზიმოვი, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ატყუებს ღარიბებს, ფიქრობს იმაზე, თუ ვინ გაძარცოს. მას თავისი მეგობრებიცა ჰყავს — ხამბახოვი და სხვები. ზიმზიმოვის მოპირდაპირედ გამოყვანილია ტფილისელ მემარტოვანი წარმომადგენელი — მეთევზე პეპო. პეპო ლუკმა პურის საშოვნელად იბრძვის. „პეპო“ კარგად ასახავს 70-იანი წლების მდგომარეობას. პიესაში მდგარი ბრძოლაა „აღებსა“ და პეპოებს შორის. „ალა“ იმიტომ იმარჯვებს, რომ ქრთამის წყალრბით სამართალი მის მხარეზეა.

პეპო თვით ავტორის საყვარელი გმირია. პეპო ავტორის გრძნობებისა და მისწრაფებების გამოხატველია. თუ რამდენად უყვარდა სუნდუკიანცი პეპო, სჩანს შემდეგიდან. 1911 წლის 15 აგვისტოს სუნდუკიანცმა ვაშ. „მშაკ“ გაუგზავნა წერილი. ავტორი რედაქციას წერილის გახსნას სთხოვდა მისი სიკვდილის შემდეგ. რედაქციაც ასე მოიქცა. 1912 წ. სუნდუკიანცი გარდაცვალების შემდეგ გახსნეს წერილი და შიგ ალმოჩნდა შემდეგი ანდერძი: ცოლ-შვილს სთხოვდა: შაეები არ ჩაიკეთო, გვირგვინები არ იყოს ჩემს დასაფლავებაზე; მოიყვანეთ 8 კინტო, ეგებ მათში პეპოც აღმოჩნდეს — ეს პეპოს პატივისცემაც იქნება. თუ გულით გინდათ, რომ ძეგლი დამიდგათ და ამის ღირსად მცნობთ, ჩემს მაგიერ ძეგლი პეპოს დაუდგით შესაფერ ადგილას. დეე პეპო იდგეს, მარცხენა

ხელში ქაღალდი ეკიროს და ზიმზიმოვს მიმართავდეს: „ეს ჩემი დაწერილი არ არის?“

გაბრიელ სუნდუკიანცი ინტერნაციონალისტი იყვნენ. მისმა მოწინააღმდეგეებმა რუსი, ქართველი, სომეხი, თათარი და სხვები იცო, რომ მისი პიესები, განსაკუთრებით კი „პეპო“ ამიერ-კავკასიის ხალხებში განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდნენ და სარგებლობენ. კერძოდ, პეპო ქართველი ხალხის საყვარელ გმირად გადაიჭყა. წარსულში ამას რაციონალისტ-შოვინისტების აღშფოთება მოჰყვა. ჩიმიშვიანცი, რომელმაც „მურკში“ სუნდუკიანცის ბიოგრაფია დაბეჭდა, ძალზე სწუხდა, რომ პეპო ქართველი ხალხის საყვარელი გმირია. ამ გარემოებამ ძალიან ააღელვა ილია ჭავჭავაძე და მან 1889 წლის 4 თებერვალს შემდეგი პასუხი გასცა თავის გაზეთში: „რა ცუდი უჭიბო ქართველ ხალხს, რომ სომხის კარგი შეუთვისტომებია, საკუთარ შვილად მიუჩნევენ... ყოველივე კარგი სომხისა ჩვენში პოულობს პატივისცემას და სიყვარულს იმოდენად, რომ თავისას და სომხისას ერთმანეთში აღარ არჩევს“. ცოტა ქვევით ილია განაგრძობს: „გონების ნაწარმოები იმისთანა მაღლიანი რამ არის, რომ მთელის კაცობრიობის კეთენილებას შეადგენს და აქ გვარტომობის ჩაჩხირება ქვეყნის უღონობას მოასწავებს და სხვას არარას. ხელოვნებისა და ერთობ გონების ნაწარმოებმა გვარტომობა არა აქვს. ერთიკა და მეორეც მთელის კაცობრიობისაა.“

გაბრიელ სუნდუკიანცმა განსაკუთრებული სიყვარული დაიმსახურა ქართველი მწერლებისა. აკაკი წერეთელმა მას ლექსიც კი უძღვნა.

გაბრიელ სუნდუკიანცმა ავჭესენტი ცაგარელთან და ანტონოვთან ერთად, დიდი როლი ითამაშა ქართული თეატრის რეპერტუარის გამდიდრების საქმეში. ამ საკითხზე მეტად საინტერესო დღემდე უცნობი მასალა იქნა აღმოჩენილი პროფ. ლეონ მელიქსეთბეგის მიერ ერევნის მუზეუმში, რის შესახებაც პროფ. მელიქსეთბეგი ცალკე შრომას ამზადებს გამოსაცემად. სხვათა შორის, მანვე აღმოაჩინა „ოსკან პეტროვიჩი საიქიოში“-ს ქართული თარგმანი, რომელიც დღემდე უცნობი იყო.

გაბრიელ სუნდუკიანცმა მოგვცა გმირების ცოცხალი ვალერია.

გაბრიელ სუნდუკიანცმა, რომელიც კარგად იცნობდა რუსეთის და ევროპის ლიტერატურას, დიდი ღვაწლი დასდო სომხურ და ქართულ თეატრს, სამწუხაროდ, იგი დღემდე არ იყო სათანადოდ შეფასებული. მხოლოდ დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ლენინ-სტალინის ნაციონალურ პოლიტიკის მეოხებით, დიდი სტალინის ეპოქაში იწყება მისი ნამდვილი შეფასება. დღეს სომხებთან ერთად ამიერ-კავკასიის სხვა ერებიც აღნიშნავენ დიდი დრამატურგის გარდაცვალებიდან 25 წლის-თავს, რადგან მისი კლასიკური შემოქმედების ღირსეული მემკვიდრე მხოლოდ სოციალისტური ქვეყანაა.





ილია ზურაბიშვილი (ელაშთერიძე)

## გაზრდილ სუნდუკიანსი, როგორც აღამიანი

(რამდენიმე ეპიზოდი მისი ინტიმური ცხოვრებიდან).

გაბრიელ სუნდუკიანცი იმდენად ფესვგადგმულია ჩვენი ძველი თეატრის ისტორიაში, რომ ვერც ერთი შეკლევარი ამ თეატრის წარსულისა მას გზას ვერ აუქცევს.

მოყოლებული 1879 წლიდან, მის პიესებს დიდად საპატიო ადგილი ეჭირა ქართული თეატრის რეპერტუარში. ჩვენს წარჩინებულ არტისტებს მეტისმეტად უყვარდათ ეს პიესები, რადგანაც განუსაზღვრელ გასაქანს ჰპოვებდნენ მათში თავიანთი ნიჭისა და უნარის გამოსაჩენად.

საზოგადოებაც უცილობელი გულხშიერებით ეპყრობოდა გ. სუნდუკიანცის კომედიებს, ჰხედავდა რა მათში დღიური სიცხადის მხატვრულ ანარეკლს.

საზოგადოების ასეთი გულხშიერება გ. სუნდუკიანცის პიესებისადმი იმ გარემოებით აიხსნება, რომ ამ პიესებში ანასახი ცხოვრების მამოძრავებელი ადამიანები თვისნი და ტომნი იყვნენ ამ საზოგადოებისა, ე. ი. ტფილისში მობინადრე ქართველებისა და სომხებისა.

ერთი კინტოს თქმისა არ იყოს, ვისაც მტკვრის წყალი დაუღვია — ის ტფილისელიაო, ე. ი. დაფერილა მისი იერით, დადის შუბლზე მისი ბეჭდით.

და სუნდუკიანცის გმირებიც ხომ ტფილისში დაბადებულან, ტფილისში მოუჭრიათ კიბი, ტფილისში აღზრდილან, აქ უნდა დალიონ მათ სული.

მართლაც და... ვინ არიან ეს ზიშვიმოვები, ზამბახოვები, ფარსიღები, გიჭოები, პეპოები, კაკულები, გიემოზეები, ნატალიები, ეფემიები, ხამფერები და სხვანი, სუნდუკიანცის კომედიებში რომ სტოცობობენ, იტანჯებიან, ხარობენ?

ტფილისის ღვიძლი შვილები, ძველი ტფილისისა.

განა შეხვდებოდით სხვაგან სადმე მათებურს, თუნდაც იგივე სახელები რომ ეტარებინათ და ცხოვრების იმავე პირობებშიაი რომ ემოქმედნათ?

არა მგონია, რომ შეხვედრილიყავით.

ენ ამბობს? ყოველივე ზოგადკაცობრიული თვისება მათ ხაერითო ჰქონდათ სხვა ადამიანებთან, მაგრამ თვით ვლინებამათვისა, იერი ამის გამომქლანებისა თავისებური იყო, ტფილისური, ტბიბურად ტფილისური.

იმავთავითვე ქართულ სცენაზე რეალიზმი დამყარდა და სუნდუკიან-ცი ზომ რეალისტი იყო, უღმობელი სატირით რომ ჰბასრავდა ბურჟუა-ზიული ცხოვრების უკულმართობას. ამავე დროს იგი დიდი ჰუმანისტი იყო. მის პიესებში ყოველთვის დაპირისპირებულ არიან მწავგრელნი და ჩაგრულნი, მძარცველნი და გაძარცულნი, მომტყუებელნი და მოტყუებულნი, ცხოვრების ფსკერზე მოფუსფუსე მშრომელნი და ცხოვრების მწვერვალზე სხვისი გაკვრა-გაგლეჯით აცოცებული ძლიერნი ამ ქვეყნისანი, ძლიერნი არა მორალით, არა ინტელექტით, არამედ... ფულით და ისევ ფულით...

მოტყუება თავისიანისა და ანგარება... მოტყუება ფულისათვის და ფული მოტყუებისათვის. ამ ორი ცნების კიდეთა შორის მოთავსებულია ის რეალი, რომლის შიგნითაც მოქმედებენ გ. სუნდუკიანციის მხატვრული თვლით ნახული ცხოვრების ავან-ჩავანნი.

მდიდარი სოცდაგარი ზიმზიმოვი „პაშასა ჰკრავს“ მეთევზე პეპოს ვალზე, დარწმუნებული, რომ პეპოს მისი ბარათი დაკარგული აქვს. ეს არის კომედია „პეპოს“ ქარგა.

მდიდარი სოცდაგარი ზამბაზოვი ცდილობს თავისი მახინჯი ქალი მარგალიტა მოტყუებით შიათხოვოს განათლებულ „ვაეს“ გიორგი მასისიანცს, ამისათვის იგი არ ერიდება ისეთ ხერხს, რომ, მარგალიტას ნაცვლად, სასიძოს ფანჯრიდან თავისი ნათესავი და შუამავალი ისაიას ლამაზი ცოლი აჩვენოს, რათა გიორგი სახლში შეიტყუილოს. — რაკი სახლში შემოვა, შერცხვება და უარს ველარ იტყვისო. ეს არის კომედია „ხათბალას“ კვანძი.

როგორც ვხედავთ, გ. სუნდუკიანციის ეს ორი მთავარი კომედია (და სხვებიც) აგებულია სრულიად მარტივ საყოფაცხოვრებო გარემოებაზე. მაგრამ საქმე ის არის, თუ რა უნარით ჰქაოვს იგი ცხოვრების ქარგას, რა უნარით ჰშლის ცხოვრების კვანძს... სწორედ შემოქმედის ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული ასეთი, სულ უბრალო მოვლენანი გაართულოს და სერიოზულ, საზოგადოებრივად საინტერესო სიტუაციად გადააქციოს. ამ მხრივ გ. სუნდუკიანცი ყოველთვის დრამატურგიის მაღალ დონეზე დგას.

მისი შემოქმედება მოგვაგონებს კლდის წიალიდან გამონაკონ წყაროს, რომელიც თვის დენაში სხვადასხვა მხრიდან იერთებს მრავალ შენაკადს და ბოლოს ლიეღივა მდინარედ იქცევა. გ. სუნდუკიანციის ყოველი კომედია ღრმა შინაარსიანია, იგი ყოველთვის ადამიანთა რაიმე ზოგად

სატყეარს ეხება და მიზნად ისახავს რაიმე საზოგადოებრივ პრობლემის გადაჭრას.

ამიტომაც მისი სიცილი ზეზეური როდია, როგორც ბევრ მხიარულ კომედიას სჩვევია. მისი დაცინვა სატირაა, გამანადგურებელია.

მაგალითად, „დაქცეულ ოჯახში“ ალა-ფარსილა, რომელიც თავის თავს ვასილ მატციჩის უწოდებს, დუქნის ბიქს შინ, თავისას, მიტკალს აზომინებს და თანაც ზომეის ყაიდას ასწავლის.

— გა-ა-აჰიმე! — ბიჭი სკიშავს რაც ძალი და ღონე აქვს ქსოვილს არშინზე და თანაც შეშინებული ეუბნება:

— ალაჯან! გაიხვეა...

— გა-ა-აჰიმე! არ გახიო — თორემ მოგკლავ!...

ამის დამნახავი ლოთი-ფოთი გიქმოზე, რომელიც უცაბედად შემოესწრებათ, გამოსტაცებს ბიქს მთელ თოფ მიტკალს, მივარდება ფარსილას და დაიწყებს მასზედ ზომვას.

— ეა! რამოდენა სუდარა დაგჭირდება, ალა-ფარსილ! არ გენანება?! — ეუბნება იგი ბოლოს დაცინვით. ფარსილა უკან-უკან იხვეს არა სირცხვილთული, არამედ ზარდაცემული იმის გამო, რომ სიკვდილის სიმბოლო სუდარა ცოცხლივ დააზმანეს. Memento mori! — თითქო ეუბნება ავტორი თეატრში მყოფ არა ერთ ფარსილას, ზიმზიმოვს, ზამბახოვს და ძმათა მათ...

მკითხველი დამეთანხმება, მართლა სასაცილო სურათია, მაგრამ ამაზრუნეიც... თუ ეს დაპირისპირება ადამიანის უკუღმართობისა და სიკვდილისა სიცილს იწვევს, იგი ამავე დროს უსიამოვნო ერთნატივსაც უნდა ჰგვრიდეს მაყურებელს. (ავტორმა, უეჭველია, შექმნა სერიოზული სიტუაცია კომიკურ ვითარებაში.

გ. სუნდუკიანი უღმობელია იმ თავისი გმირებისადმი, რომელნიც უარყოფითი ხასიათისანი არიან. მას ნატამალიც კი არ მოეპოვება იმ სიბრაღეულისა ასეთი ადამიანებისადმი, რაც შეადგენს ჩვენი დიდი ბელეტრისტის და დრამატურგის დავით კლდიაშვილის ნიშნობლივ თვისებას. ამიტომ იგი ყოველთვის ისეთ გამაწილებელ კომიკურ მდგომარეობაში აყენებს მათ, რომ მაყურებელი არა მარტო მხიარულად იცინის, არამედ აგრეთვე სარკასტულად და სიძულელით დასცინის მათ.

მე რომ მიზნად გ. სუნდუკიანის კომედიების კრიტიკულ განხილვას და შეფასებას ვისახავდე, შემეძლო აუარებელი მაგალითები მომეყენა ავტორის საზოგადოებრივი სიმპატია-ანტიპატიებისა და ამით გამოშვებული ანგეზებისა მისი სოციალურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა. მაგრამ ეს რთული საქმეა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის, და იგი მოელის უფრო დახელოვნებულ მკვლევარ-კრიტიკოსს. ამ მცირე წერილის საგანია, როგორც სათაურიდან სჩანს, რამდენიმე ეპიზოდის აღნიშვნა განსვენებუ-

ლო დრამატურგის ცხოვრებიდან, რაც ახასიათებს მას მეტისმეტად ორიგინალურ ადამიანად, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით.

ეს უფრო იმით არის საგულესხმო, რომ ამ ეპიზოდში, რაც გ. სუნდუკიანციის ინტიმურ სულიერ ძვრათ ეხება, იგი გვესახება სხვა ადამიანად, ვიდრე ის წარმოდგენა მის პიროვნებაზე, რაც შეიქმნა მისივე ნაწარმოებთა მიხედვით ეიქონიით.

და როდესაც ამ ეპიზოდებს გ. სუნდუკიანციის მხატვრულ შემოქმედებას ვუდარებთ, ვრწმუნდებით, რომ ამ ადამიანში დაბუდებული იყო ორი ღასაბამი: ერთი — უაღრესი რეალობისა, ცხოვრების მოცლენათა სწორად და ზედმიწევნით შეთვისებისა და ასახვისა, მეორე — ამ რეალობის გარეშე დგომისა, განკერძოებული სულიერი სამყაროს შექმნისა, სადაც არავის შეესვლემოდა და სადაც იგი თითქო შეებასა კპოვებდა დღიური სიცხადის დუხპირობისაგან განაწყვენებული.

ერთი სიტყვით, ეს ეპიზოდები თვალნათლივად გვიჩვენებს, თუ რა პოეტური სულისა, რა მგზნებარე და სათუთი გრძნობის ადამიანი იყო ის, ვინც მწევე, უაღრესად რეალური სატირით ჰსახრავდა მდიდართა და ქედმაღალთა ჰვენა ინსტიქტებს, და ვინც მწარე სიცილით დასცინოდა მაშვრალთა და უმწეოთა ძარცვა-გლეჯით ცხოვრების სათავეში წამოკუბებულთ.

ეს სამი პაწია ეპიზოდი მიამბო გ. სუნდუკიანციის ნამზარეულევემა იაკობ თუთაძემ (ტფილისი, მესხის ქ. № 21) და ვეცდები ნამბობი აღვადგინო.


## I

— „თოთხმეტი წელიწადი მზარეულად ვიყავი გაბრიელთან. მეტისმეტად ტბილი კაცი იყო. მამა შვილს ისე არ მოეპყრობა, როგორც ის მექცეოდა. ხშირად შემოვიდოდა სამზარეულოში, ჩამოჯდებოდა იქვე ტაბურეტკაზე და გამიბამდა საუბარს სოფელზე, გლეხობაზე, ქალაქის ცხოვრებაზე. ეს დიდიკაცი „პოლნი ლენერალი“ (გაბრიელ სუნდუკიანცი მართლაც დიდი მოხელე იყო, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი, ე. ი. სამოქალაქო სამსახურის ლენერალი — ი. ზ.), ისე მელაპარაკებოდა, როგორც თავის ტოლსა და სწორს.

ყოველ ზაფხულობით აგარაკად ბორჯომს მივდიოდით მთელი ოჯახობით. შევეამჩნიე, რომ იქიდან წამოსვლის დროს, როდესაც ის იყო, ეკიპაჟენი კარს უნდა მოგვედგომოდნენ სადგურზე ჩასაყვანად (მაშინ კურორტზე სადგური არ იყო), ეს კაცი სადღაც დაიკარგებოდა ხოლმე, გაივლიდა ერთი საათი, ცოტა ან მეტი, ან ნაკლები, და გამოჩნდებოდა სწორედ იმ დროს, როდესაც ეკიპაჟში უნდა ჩავმსხლაროყავით. ისე ხდებოდა ყოველ წელს.



მზიარული, იცინოდა, წელში გასწორებული დადიოდა, თითქმის აბაღვაზრდა ვახდაო“.

რა არის ეს, თუ არა იგივე უშრეტი წყარო უნაზესი გრძნობისა, პოეტის არსებაში რომ კამკამებდა და მის მოხუცებულობას ატყუებდა? 

### III

— „ერთხელ შულავერიდან ორი ვედრა ღვინო მოუვიდა ფეშქეშად. ვიღაცას აქ რაღაც საქმეში შესწევოდა. ამის სამაჯლობლად რაღა... გაბრიელს ეს როგორღაც არ ექაშნიკა, მაგრამ არ გაუჯავრებულა. მხოლოდ მითხრა:

— იცი, იაკობ, შენ ერთი სირაჯხანაში ჩაიარე და ღამაში ტიკი მიყიდე, იმოდენა, რომ ოთხი ვედრა ჩავიდეს...“

მეც ისეთი კუპრიელი ვიყიდე, რომ თვალი ზედ დაგრჩებოდა. მერე ამავსებინა ეს ტიკი იქვე, სირაჯხანაში, ნაყიდი მშვენიერი თეთრი კახური ღვინით (არა ჰგავდა შულავერულს!) და ფოსტით გამაგზავნინა შულავერში, თანაც მითხრა — ორი გამომიგზავნა — ოთხი ინებოსო. თავის დღეში არავისგან არას დაიმუნათებდა“.

ესეც ხომ შალაღზნიანი ხასიათის გამომქლავნებაა! საქმეს გიკეთებ არა ფეშქეშისათვის, არამედ ადამიანობისათვის, იმიტომ რომ გული ასე მერჩის... შენ-კი, სამაგიეროდ, სასყიდელს მაწვდი და ამით მიბღალავ კეთილი გულის მოძრაობას... — აი, რას გრძნობდა მაშინ გ. სუნდუკიანცი.

იმავე იაკობ თუთაძემ გამახსენა გაბრიელ სუნდუკიანცის შესანიშნავი, ყოველ შემთხვევაში, იმ დროისათვის და მისი საზოგადოებრივი მდგომარეობის კაცისათვის მეტისმეტად ორიგინალური ანდერძი. ახლა მაგონდება, რომ იმ ანდერძმა დიდი მოთქმა-მოთქმა გამოიწვია. თუ არა ვცდები, იგი გაზეთებშიაც იყო დაბეჭდილი.

განსვენებული ამ ანდერძით მოითხოვდა, რომ მისი გასვენების რიტუალი ჩვეულებრივი, ეკლესიური არა ყოფილიყო. მღვდლები, გვირგვინები და ბალდახინი საჭირო არ არისო. მოძებნეთ ქვემო ბაზარში ოთხიოდე ძველი მოქალაქე, წინაქიანი ქულები რომ ჰხურავთ, დეე, იმათ მიიბტანონ საფლავამდეო.

არ ვიცი, შეუსრულეს თუ არა ეს ანდერძი განსვენებულს, მაგრამ ერთი რამ უეჭველია: სხვა რომ არა იყოს რა, მართო ეს ანდერძიც კი კმარა, რათა ვთქვათ პამლეტის სიტყვებით:

„ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა...“

და ასეთი იშვიათი, თანაც დიდად ამაგდარი კაცის კეთილად გახსენება უეჭველად გემართებს, განსაკუთრებით ახლა, როდესაც შესრულდა 25 წელიწადი მისი აღსრულების დღიდან. იქნება საუკეთესო სახე

ამ გახსენებისა მის ნაწარმოებთა გამოცემა იყოს. მით უფრო, ~~რამ არც~~  
ერთი მისი კომედია, „პეპოს“ გარდა, ქართულად არ გამოცემულა, „პე-  
პოს“, ვინ იცის, როდის გამოიცა და აღარსად იშოვება.

შეიძლება, ეს კომედიები დროგადასულიც იყოს ~~შეუპყვენი~~  
რეპერტუარისათვის, მაგრამ, როგორც დრამატურგული ნაწარმოებნი  
დიდი ოსტატისა, რომლისაგანაც ბევრი რამ გვესწავლება, — თუნდაც  
ეს, რომ ძველ ტფილისზე ნამდვილი წარმოდგენა ვიქონიოთ, — აუცი-  
ლებლად უნდა მოიპოვებოდნენ საბჭოთა მკითხველის ბიბლიოთეკაში.



დოც. უ. ასლანიშვილი

## ქართული მუსიკის განვითარების ევაკები

ქართულ აკადემიურ მუსიკას შედარებით მოკლე ისტორია აქვს. ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში ამ დარგში ჩვენ თითქმის მხოლოდ ხალხური შემოქმედება გვქონდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ოქტომბრის რევოლუციამ ხელფეხი გაუხსნა ჩვენს კავშირში მოსახლე ერებს და მათ ცხოვრებაში ახალი აზრი და შინაარსი შეიტანა, ქართულმა მუსიკამ იმდენად წაიწია წინ, რომ უკვე დროა დაისახოს ქართული მუსიკის განვითარების ეტაპები.

აკადემიური მუსიკის განვითარებისათვის, ცალკე კომპოზიტორთა მუსიკისათვის საჭირო იყო განსაზღვრული სოციალურ-ყოფაცხოვრებითი პირობები. ამ პირობებს ძველი დროის საქართველოში ჰქონდა ეკლესია, იმ ხანაში, როდესაც მას გავლენა ჰქონდა თავისი მონასტერებისა და აკადემიების საშუალებით. სწორედ ამ გავლენის შედეგია მუსიკალური კულტურის ის იშვიათი ძეგლი, რომელსაც წარმოადგენს მიქელ მოდრეკილის ჭრელებით ჩაწერილ სავალობელთა კრებული და რომელიც X საუკუნეს მიეკუთვნება. ეს კრებული მეტყველებს, თუ რა მაღალ დონეზე იდგა ქართული მუსიკის განვითარება ძველ საქართველოში. პროფ. ივანე ჯავახიშვილის მოწმობით არსებობს შემდგომი დროის ცალკე საბუთები, რომლებიც მიგვითითებენ იმაზე, რომ ჩვენში, საეკლესიო სავალობლების შემოქმედთა გარდა, იყვნენ საერო სინღერის კომპოზიტორ-თეორეტიკოსებიც.

ჩვენს მუსიკაზე ირანულ-არაბული მუსიკის გავლენის ხანას შევხებით ქვევით, როდესაც საუბარი გვექნება ქართულ საკარმიდამო რომანსზე.

წარსული საუკუნის 70-იან წლებიდან მოყოლებული ქართულ მუსიკაში მოხდა იგივე, რაც ლიტერატურაში სამოციან წლებში, როდესაც ქართველი მოწინავე ახალგაზრდობის ჯგუფი, რომელშიაც თეალსაჩინო ადგილი ეჭირა ილია ჭავჭავაძეს, მოექცა რუსეთში ხალხოსნური იდეების გავლენის ქვეშ.

ორმოციან წლებში ახალგაზრდების ჯგუფი გაემგზავრა რუსეთში სამუსიკო განათლების მისაღებად. ესენი იყვნენ თავად-აზნაურობისა და



წერილ-ბურჟუაზიული წრებიდან გამოსული ახალგაზრდები, რომელნიც დაეწაფნენ მეცნიერებას პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში და იმავე დროს სწავლობდნენ კონსერვატორიაში, მსჭვანვერდ ვეწუოდებთ პროფესიონალურ მუსიკოსებს. ისინი ჯერ-ჯერობისა მხოლოდ აღვიძებდნენ მიძინებულ საზოგადოებრივ აზრს, ეწეოდნენ პროპაგანდას, რომ საჭირო ყურადღება მიექცეს ხალხურ სიმღერასა და საერთოდ მუსიკას.

ერთ-ერთი მოწინავე და აქტიური მოღვაწე ამ საქმეში იყო ხარლამპი სავანელი. სამუსიკო განათლების დაუმთავრებლად ბრუნდება იგი საქართველოში და თავის თანამოაზრეებთან ერთად, რომელთა შორის აღსანიშნავი არიან მაჭავარიანი და პიანისტი მინდარი, იწყებს მოღვაწეობას სამუსიკო სარბიელზე. ქართული მუსიკის აღორძინებას ხელს უწყობდნენ აგრეთვე მწერლები და საზოგადო მოღვაწეები—ილია ქავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე და სხვები.

ბ. სავანელმა, მაჭავარიანმა და სხვებმა მიზნად დაისახეს მდიდარი ხალხური სიმღერების გავრცელება. მაჭავარიანმა ქართული ხალხური სიმღერების კრებულის გამოცემაც კი მოახერხა. მაგრამ ამ ჯგუფის მთავარ ამოცანას შეადგენდა გუნდის შექმნა. 1874 წელს ბ. სავანელი მართავს პირველ კონცერტს, რომლის პროგრამაც ხალხურ სიმღერებს შეიცავდა. პირველი კონცერტის დღე გადაიქცა სამუსიკო კლასების (დასაწყისით მხოლოდ საგუნდო) დაარსების დღედ. შემდეგში საგუნდო კლასებს თანდათან მიემატა საფორტეპიანო კლასიც ცნობილი პედაგოგისა. მიზანდარის ხელმძღვანელობით, რომელმაც თავისი კონცერტებით მოიარა პარიზი, ვენა და დასავლეთ ევროპის სხვა ქალაქები.

კურსების გახსნამდე სამუსიკო განათლება ტფილისში ჩანასახ მდგომარეობაში იყო. ამიტომაც სამუსიკო კურსების გახსნა უპირატესი მნიშვნელობის ამბავი იყო. რუსეთის თვითმპყრობელობა, ბუნებრივია, ხელს არ შეუწყობდა ქართველი ხალხის შემოქმედებას, რომლის განვითარება-აღორძინებას ძას არაფრად ებატნავენოდა. მხოლოდ დაულალავი და ბეჯითი შრომით შეეძლოთ მიეღწიათ რაიმე შედეგისათვის სავანელსა და მის თანამოაზრეებს, რომელთაც ახალისებდა და აჭეზებდა მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოებრივი აზრი.

ქართული მუსიკის კულტურით დაინტერესებული პირნი თანდათან გაერთიანდნენ ჯგუფად. ამას შედეგად მოჰყვა რამდენიმე გუნდის დაარსება, რომლებსაც სათავეში ედგნენ ლადო აღნიაშვილი, იოსებ მონადირაშვილი, მელიტონ ბაღანჩივაძე და ჩეხიდან ჩამოსული იოსებ რატილი. ამ პირებმა დიდი ამაგი დასდეს ქართულ მუსიკას.

ი. რატილმა, როგორც უცხოელმა, ევროპეიზმის ერთგვარ დასვეთა თვის რეპერტუარსა და შესრულების სტილს. მან პირველმა შემოიტანა ქართულ სიმღერაში ამ უკანასკნელისათვის უცხო ელემენტი (ტონიკა—დომინანტური ზგეროვნობა). ამ მოვლენასთან დაკავშირდება ბრძოლა, რადგან დღესაც არ გადავიარდნილა რატილის გუნდის შემსრულებლობის ტრადიციები და ზოგიერთ შემთხვევაში მისი რეპერტუარიც კი. მაგრამ ამასთან რატილის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მისი მეშვეობით პირველად შემოვიდა ჩვენში ევროპულ კომპოზიტორთა საგუნდო სიმღერები. ვარდა ამისა, ჩვენამდე მოაღწია მის მიერ ჩაწერილმა კახურმა სიმღერამ — „ალილომ“.

მაგრამ მართო გუნდის მესვეურობით არა კმაყოფილდებოდნენ შემოჩამოთვლილი პირები. ისინი თვით დაიარებოდნენ ხალხში, აკროვებდნენ სიმღერებს და სხვებსაც ახალისებდნენ შეეგროვებინათ და გადმოეცათ ხალხური შემოქმედება. ასე, მაგალითად, ა. ბენაშვილმა, ტფილისის ოპერის მსახიობმა იაკარგერეთელმა და პედაგოგმა ნ. ჩხიკვაძემ გამოსცეს ხალხური სიმღერების კრებული.

ამის პარალელურად მომღერალმა ფილიპონ ქორიძემ და მღვდელმა ვასილ კარბელაშვილმა გამოსცეს საეკლესიო საგალობლები.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ საეკლესიო საგალობლებს, რომელთა გამოცემასაც ხელს უწყობდნენ ოფიციალური სასულიერო პირები, სხვა ყველა გამოცემა წარმოადგენდა ცალკეულ პირთა ინიციატივის შედეგს, რომელთაც ახალისებდა საქმისადმი მტკიცე რწმენა და უსაზღვრო სიყვარული. ხ. საენელიდან მოყოლებული ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილში შემუშავდა და დამკვიდრდა ნაციონალურ მუსიკაზე მზრუნველობის, მისი შემონახვისა და შემდგომი გაშლა-გაფართოების ტრადიცია. და სწორედ ამ შედარებით ვიწრო წრეში აღმოცენდნენ მომავალი კომპოზიტორები, რომელთა რიცხვს ეკუთვნის ა. ბალანჩივაძე, ი. კარგარეთელი, კ. ფოცხვერაშვილი და სხვები. მთელს ამიერ-კავკასიაში არსებული ერთადერთი სამუსიკო სასწავლებელი (სამუსიკო კლასებიდან გადაკეთებული) ზრუნავდა მხოლოდ შეძლებული და პრივილეგირებული კლასების (მსხვილი ბურჟუაზიისა და მოხელეების) ინტერესებისათვის. მაშასადამე, ფართო მასების სამუსიკო აღზრდა თავს უნდა ედევით იმ ადამიანებს, რომელნიც დაუცხრომლად და მხოლოდ იდეის გულისათვის მუშაობდნენ სამუსიკო ასპარეზზე.

შალე თავი იჩინა ამ პირთა კომპოზიტორული მოღვაწეობას შედეგებში. 1888 წელს დაიბეჭდა მელ. ბალანჩივაძის პირველი ქართული რომანსები: „შენ გეტრფი მარად“, „ოდესაც გიკქერ“, „ნანა“. მ. ბალანჩივაძეს შეიძლება პირველი ქართველი კომპოზიტორი ვუწოდოთ, მაგრამ

იმ ხანად იგი ჯერ არ იყო პროფესიონალი და ამ ადრეულ ნაწარმოებებში ჯერ კიდევ არ გამოსჭვივის ქართული სიმღერის თავისებურება. პარმონის, რიტმის და მელოდიის მხრივ ამ რომანსებში მუსიკის ელემენტები იტალიური საოპერო მუსიკის ზეგავლენა. ბალანჩიედიმ ქართული მოღვაწეობაში ეს პირველი ფეხის ადგმა იყო, რამაც სხვებიც წაახალისა შესდგომოდნენ კომპოზიტორულ მუშაობას. მაგრამ ყველა ისინი დილეტანტურ ნაწარმოებებს ვერ გასცილდნენ. ასე, მაგალითად, ი. კარგარეთელმა დაწერა მთელი რიგი რომანსები, რომლებიც შეიძლება საამო იყოს სმენისათვის, მაგრამ ამასთანავე პრიმიტიულია. შეგვიძლიან მივუთითოთ მის ლირიკულ რომანსზე „შენ ყოველ ღამე ხმაურობ, არაგვო“, რომელიც აღსავსეა რბილი, იტალიზირებული ინტონაციებით, ანდა რომანსზე „მშვენიერთა ხელმწიფე“, რომელიც საცეკვაო ხასიათისაა და შეიცავს ძველი ტფილისის სიმღერებიდან აღებულ ინტონაციებს. ეს ინტიმური, სადა ინტონაციები არ არის აღმოცენებული პროფესიონალური კონცერტების ნიადაგზე. გრძნობთ, რომ ეს ნაწარმოებები გათვალისწინებულია მსმენელთა ვიწრო წრისათვის, რომელთაც კარჩაკეტილი მემამულის ან ქალაქის წვრილ-ბურჟუაზიული წყნარი ოჯახისათვის, სადაც შინაურულად მოკალათებულნი სიამოვნებით უსმენდნენ „მშობლიურ პანგებს“ ვიტარის აყოლებით.

ასეთივე კომპოზიტორების რიცხვს ეკუთვნის კ. ფოცხვერაშვილი. ეს დაუღალავი მუსიკოსი, რომელმაც ბევრი შრომა გასწია ქართული ხალხური მუსიკის პოპულარიზაციისათვის, როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ (პეტერბურგში, დორპატში, მოსკოვში, ხარკოვში და რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში), თავის სიმღერებს აშენებს ხალხურ, გლეხურ მასალაზე. მაგრამ მისი მხატვრული შემოქმედება არა სცილდება უბრალო აკომპანიმენტს, რომელიც გაწყობილი აქვს უცვლელად გამოტანილ ხალხურ შემოქმედებაზე.

სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მკვეთრი ინდივიდუალობის მქონე ნიკოლოზ სულხანიშვილს (1872—1919). პირობებმა ხელი არ შეუწყო ამ უეჭველად ნიჭიერ ადამიანს განვითარებულობა და წინ წასულიყო. თავისი სიცოცხლის უდიდესი დრო მან კახეთში გაატარა. იგი სავსებით ჩასწვდა გლეხობის სულსა და გულს. მისი საკრავი გუნდია, მისი ენა — მხოლოდ ხალხური სიმღერა, მისი სახეები — ანარეკლია ხალხის სულიერი ცხოვრებისა. უაღრესად ემოციურმა, ღრმად შოაზროვნე სულხანიშვილმა, რომელიც საკმაოდ მკვეთრია თავის სამუსიკო გამოთქმებში და რომელსაც ჯანსაღი ხალხური ფსიქიკით შეგრძნობილი აქვს სიცოცხლის მთელი სიხარული, მოგვცა განუმეორებელი მუსიკალური სახეები. სულხანიშვილის მკირურიცხოვანი გამოცემანი მოწმობენ მის უდიდეს ნიჭს. ქალ-ვაჟთა ოთხხმიანი გუნდისათვის დაწერილი მისი ჰიმნი „ღმერთო, ღმერთო“, რომლის ტექსტიც ამოღებულია შოთაბ

უკვდავ პოემიდან, აზრის სიღრმით, გამოთქმა-გადმოცემის სიმართლით, ნაბიჯის მედიდურობით და ფორმის სრულყოფით საუკეთესო უფროცელია ქართულ სამუსიკო ლიტერატურაში. ასე შეუძლიან შეიგონოს სიკაცბლეს მხოლოდ დიდი ბუნებისა და მაღალი სულიერი კულტურის მამიანს.

მისი ვაჟკაცური ლირიზმით აღსავსე „გუთნურა“ (სინკაპსი) „მამ გამარჯვება“, რომელიც ბრძოლისაკენ გვიწვევს, და სხვა ნაწარმოებები ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებასთან ერთად წარმოადგენენ წყაროს, რომელზედაც უნდა აღიზარდნენ ახალგაზრდა კომპოზიტორები. სულხანიშვილი სტიქიურად ჰქმნიდა, ზოგჯერ არც კი გადაჰქონდა ნოტებზე თავისი ნაწარმოები და ამიტომაცაა, რომ ზოგერთი მისი საგუნდო სიმღერა მხოლოდ ზეპირი გადმოცემით არის შემონარჩუნებული. სულხანიშვილის ნაწარმოებები სარწმუნოდ აღნიშნავენ, რომ იგი სწერდა ოპერას „მატარა კახს“ აკაკი წერეთლის პოემის მიხედვით. სამწუხაროდ, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ არიამ „დაიგვიანეს“ (და ისიც უაკომპანიმენტოდ), რომელსაც მთელი საქართველო მღერის. თავისი ნიჭით, პოეტენტალური შესაძლებლობით და ნამდვილი ხალხურობით სულხანიშვილი ძალიან ენათესავება ჩვენში კარგად ცნობილ მხატვარს ნიკო ფიროსმანიშვილს. მაგრამ მაშინ, როდესაც ფიროსმანიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა ქალაქის ბოქემას, სულხანიშვილი უფრო მეტ წილად გლეხობაში ტრიალებდა და ამიტომაცაა, რომ სხვადასხვა მათი თემატიკა.

იმ პირობებში და დაწესებულებებში, რომელნიც ოფიციალურად „მესვეურებდნენ“ ქართული მუსიკის კულტურას, მიუტოვებელი ცოცხა ჩაიღინეს, რომ სათანადო ყურადღება არ მიაქციეს სულხანიშვილის ნიჭს, და თუ დღეს მისმა ზოგიერთმა ნაწარმოებმა მაინც მოაღწია ჩვენამდე, უნდა გვმადლოდეთ ზოგიერთ საზოგადო მოღვაწეს, უმთავრესად დ. არაყიშვილს, რომელნიც ხელს უწყობდნენ ამ განსაკუთრებულად ნიჭიერ ხელოვანს.



გაცილებით უფრო ხელსაყრელ პირობებში ვითარდებოდა მუსიკოსთა ის ჯგუფი, რომელმაც შემდეგში მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ქართულ აკადემიურ მუსიკას. ესენი იყვნენ მ. ბალანჩივაძე, ზ. ფალიაშვილი და დ. არაყიშვილი. სამივემ სამუსიკო განათლება რუსეთში მიიღო.

მათ შორის ყველაზე უწინ გამგზავრა რუსეთში მ. ბალანჩივაძე და, როგორც საკმაოდ კარგი ხმის მქონე, პეტერბურგის კონსერვატორიაში შევიდა. ბალანჩივაძე მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქართული მუსიკის კონცერტებში. პეტერბურგშივე დაებადა მას ქართული ოპერის დაწერის აზრი. თავისი ნაწარმოების შინაარსად აირჩია აკაკი წერეთლის

პოემა „თამარ ცბიერი“. ქრონოლოგიურად ეს იყო ქართული მუსიკონალური ოპერის შექმნის პირველი ცდა.

იმ ეპოქაში, როდესაც საქართველო მოცული იყო წყვედიანად არ მოისმოდა „არსიდან ხმა, არსით ძახილი“, როდესაც ჯერჯერობით უსტად დასახული ნაციონალური აღორძინების პერსპექტივები, კომპოზიტორები ეტანებოდნენ ისტორიულ სიუჟეტებს. შორეულ წარსულს ისინი უპირისპირებდნენ ქართველი ხალხის მაშინდელ აუტანელ პოლიტიკურ და სოციალურ სინამდვილეს. ამიტომაც, რომ პირველი კომპოზიტორები თავიანთი ოპერების სუჟეტებს იღებდნენ, ან ქართული ისტორიიდან („თამარ-ცბიერი“) ან ხალხური გმირული ეპოსიდან („აბესალომ და ეთერი“), ან და ლეგენდების სამყაროდან („თქმულება შოთა რუსთაველზე“).

ნაციონალური რომანტიზმით აღფრთოვანებული მ. ბალანჩივამდე შეუდგა ერთმომქმედებიანი ოპერის წერას. ამ ნაწარმოების დამთავრებამდე გოჩას არცაა შესრულებულ იქნა პეტერბურგში, ერთ-ერთ კონცერტზე, ცნობილი ბარიტონის კოტონის მიერ ფრანგულ ენაზე. დიდი შრომავიანავალანის შემდეგ, როგორც იყო, ბალანჩივამ მოახერხა 1897 წელს თავისი ოპერის დადგმა. „თამარ ცბიერის“ დადგმის დღე შეიძლება ისტორიულ თარიღად ჩაითვალოს. იმ დღეს ჩაეყარა საფუძველი ქართულ ოპერას.

„თამარ-ცბიერი“ ბალანჩივადის მიერ ისევე, როგორც მის წინა ოპერებში გამოყენებულია ხალხური სიმღერები, მაგრამ ამ უკანასკნელთ დაპკრავთ ქალაქური რომანსის ელფერი.

პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ბალანჩივამდე ერთხანს ხელი აიღო კომპოზიტორულ მოღვაწეობაზე. მაგრამ შემდეგში კვლავ განაახლა მუშაობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განსახკომის წინადადებით მან გადააკეთა თავისი ოპერა 4 მოქმედებად. აჰ გადახალისებულ ნაწარმოებში, რომელიც პირველად 1925 წელს დაიდგა ტფილისის საოპერო თეატრში, აღსანიშნავია: ხუმარას იმერული სიმღერა, რომელსაც ჭუმორი და ხალისი ახასიათებს, გოჩას არცა-პიშნი, ზუსტ ინტონაციებში მოცემული, ვოკალურად მარჯვე და პარმონიულად მდიდარი, ცირას მეტად მოხდენილი ნანა, რომელსაც თან სდევს ქალთა გუნდის აკომპანიმენტი.

იმევე ეპოქის მეორე თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენს სახალხო არტისტი, პროფ. დ. არაყიშვილი. იგი დაიბადა 1873 წელს კაკავში, ღარიბი დედ-მამის ოჯახში. ოჯახშივე მიიღო დაწყებითი სწავლა. დიდი ხელმოკლეობის გამო მან ვერ მიიღო სისტემატიური განათლება. ლუკმაპურის საშოვნელად ჯერ ისევე ქაბუკობის ასაკში გაემგზავრა იგი არმავირში, სადაც დუქანში ხელზე მოსამსახურედ მუშაობდა.

ერთხელ არმავირს ტფილისიდან ეწვია რატილის გუნდი. მისმა კონცერტებმა გადასწყვიტეს არაყიშვილის მომავალი ცხოვრების გზა. კონ-

ცერტების მოსმენის შემდეგ მან მტკიცედ გადასწყვიტა შესდგომოდა მუსიკას. მცირე ჯამავარიდან ვადარჩენილ ორიოდე გროში და ძმის მცირე დახმარებით არაყიშვილი გაემგზავრა მოსკოვში და შევიდა ფილარმონიაში, სადაც მეცადინეობდა ჯერ ილინსკისა და კესეჩკინის შემდეგ კომპოზიტორ გრეჩანინოვის ხელმძღვანელობით. ფილარმონიაში შემთავრებამდე (კომპოზიციის კლასით) არაყიშვილი შეუდგა ერთაქტიან ოპერის წერას, სახელწოდებით „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი (ვ. პიუგოს რომანის მიხედვით). სამუსიკო განათლების მიღების შემდეგ იგი შევიდა მოსკოვის საარქეოლოგიო ინსტიტუტში, რომელიც ოქროს მენდლით დაამთავრა.

1918 წ. არაყიშვილი გადმოსახლდა ტფილისში და ჩაება მუშაობაში რევოლუციის პირველ დღეებიდანვე იგი აქტიური მუშაკია ქალაქის სამუსიკო-საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა დარგში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული სამუსიკო საზოგადოების სასწავლებელი (თებერვლის რევოლუციამდე — საქართველოს ფილარმონიული საზოგადოების სასწავლებელი) გადაკეთდა მეორე კონსერვატორიად, რომელსაც სათავეში არაყიშვილი ჩაუდგა.<sup>1)</sup> სამუსიკო განათლებას მოწყურებული ფართო მასების დასაკმაყოფილებლად მეორე კონსერვატორიასთან არაყიშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო პირველი სამუსიკო მუშაუბა, კურსები მოზრდილთათვის, სკოლა მუშათა ბავშვთათვის და სხვ. მეორე კონსერვატორია ფართო მომსახურებას უწყევდა მშრომელ მასებს. საეანელისა და წარსული საუკუნის მოწინავე მუსიკალურ მოღვაწეთა ოცნება სინამდვილედ იქცა. სამუსიკო კულტურა ფართო მასების ხელშისაწყვდომი გახდა.

ჯერ ისევ სტუდენტობისას დ. არაყიშვილმა მოაწყო რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიცია ხალხური სიმღერების ჩასაწერად. მან დიდი მასალა შეაგროვა. აქედან მნიშვნელოვანი დამუშავებული ნაწილი სტატიებთან ერთად (ხალხური სამუსიკო შემოქმედების შესახებ) 1906, 1908, 1914-1916 წლებში დაბეჭდა მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულმა სამუსიკო-საეცნოგრაფიო კომისიამ. ქართული სამუსიკო ფოლკლორის ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუხვევს ამ შრომებს, რადგან მათში შრავლად არის დაგროვილი ძვირფასი და საჭირო ცნობები.

ხალხური სიმღერა დ. არაყიშვილის სტიქიაა. მაგრამ იგი მას აინტერესებს არა მხოლოდ როგორც მეცნიერულ მუშაკს. პირველივე თავისი ნაბიჯებიდან კომპოზიტორი ხალხური ენით გვესაუბრება. რომანტიკოსი და ლირიკოსი თავისი ბუნებით დ. არაყიშვილი ფართოდ იყენებს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მუსიკის ლირიკას.

<sup>1)</sup> ეს მეორე კონსერვატორია და პირველი კონსერვატორია (ყოფილი რუსეთის სამკურატორო სამუსიკო საზოგადოების სასწავლებელი) გაერთიანდნენ 1923 წელს.

დ. არაყიშვილის შემოქმედების ყველაზე დიდსა და უფრო ცნობილ ნაწარმოებს წარმოადგენს ოპერა „შოთა რუსთველი“, რომლის სტრუქტურადაც აღებულია შინაარსის მხრივ ნაკლებად გამართული სვანური ლეგენდა შოთა რუსთველის პირადი ცხოვრების შესახებ. ოპერის შემქმენმა ავტორმა ავტორული რომანსის პრინციპზე მიუხედავად მოქმედების გრანდიოზულობისა (თამარ-მეფის კარზე შოთას პატივსაცემად გამართული მეჯლისი) თვით სუფეტის ხასიათი (შოთას ინტიმური ცხოვრება) და სამუსიკო აზროვნების რომანსული მეთოდი ოპერას კამერული ბგეროვნობის ელფერსა და ხასიათს აძლევენ.

ოპერის სამუსიკო ენას საფუძვლად დაედო ფეოდალური საქართველოს საკარმიდამო რომანსი — ეს თავისებური მოდიფიკაცია ირანულ-არაბული ხასიათისა ქართულ სინამდვილეში, ნინოს არია, ნაზი თავისი ინტონაციით და წყნარ სევდაში ამოვლებული, გვაგონებს ძველ ტფილისს, სადაც აშუღები თარზე დამღეროდნენ თავიანთ იმპროვიზირებულ სამიჯნურო ბაიათებს.

იმავე ხასიათისაა პირველი მოქმედების უვერტურის დასაწყისი. მორთოლავ ვიოლინოთა ფონზე მარტივად, მაგრამ მეტად კოჟიად და აქურულად გაკეთებულ ორკესტრობაში ინგლისური ბუკი და ვიოლონჩელი ერთმანეთს ედღუნებიან, და ესეც ანარეკლია ძველი ტფილისისა, სადაც ძველათ „სევდით მოსილი საქართველოს ტკბილი ჰანგები“ გაისმოდა.

ოპერის ერთ-ერთ მკვეთრ მომენტს წარმოადგენს შოთას ცოლის სამიჯნურო დუეტი აბდულ არაბთან. ეშხით და ცეცხლით სავსე შელოდია აქ ამშვენებს და ასურათხატებს სიმებიან საკრავთა ბგერები. მთელი დუეტი ვოკალურად მარჯვეა და მოითხოვს შემსრულებლებისაგან ემოციურ დაძაბულობას.

ოპერის მნიშვნელოვან ადგილებს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე რეჩიტატივები. ოპერის რეფორმისა და მისი ნაციონალური ფორმების ძებნის ხანაში ყველა ქვეყნის კომპოზიტორები ჩვეულებრივ ეხებოდნენ რეჩიტატივის პრობლემას. არაყიშვილმაც არ დასტოვა ეს საკითხი უყურადღებოდ და ხალხის სამუსიკო შემოქმედებაში პოვა მან სათანადო ფორმები. რაჭველ მესტვირეთა რეჩიტატიული ხასიათის სიმღერა, რომელიც ყველაზე საუკეთესოდ ააშკარავებს ურთიერთობას მუსიკასა და ქართული მეტყველების დამახასიათებელ ბუნებრივ ინტონაციას შორის, სწვევტს მეტად მნიშვნელოვან საკითხს ვოკალურ მუსიკაში, საკითხს მახვილების შესახებ, და აი სწორედ ამ მახალაზე — მესტირულ დამღერებაზეა აგებული ყველა რეჩიტატივი არაყიშვილის ოპერაში.

ზ. ფალიაშვილიც სარგებლობს რეჩიტატივებით, რომლებიც აგებულია საგუნდო სიმღერების ინტონაციაზე. რაც შეეხება ბალანჩივაძეს,





არ ამშვენებენ, არამედ „ჰქმნიან“ მას. ამაშია ქართული სიმღერების მელიზმების განსხვავება ირანულ-არაბული მელიზმებისაგან.

ამიტომ საფუძვლიანია ვიფიქროთ, რომ ქართული სიმღერების მელიზმები ირანულ-არაბული მუსიკის ზედნაშენს კი არ წარმოადგენენ, არამედ დამოუკიდებლად აღმოცენდნენ. ამას ადასტურებს აგრეთვე ქართული სიმღერების კრიმინალური, რომელიც ტიროლოურ კოლორატურას მოგვაცონებს.

ამავე ცალბმიან სიმღერებს ეკუთვნის შიარი — შრავალჯერ განმეორებული მოკლე პანგი, რომელზედაც ჩონგურჩის აყოლებით დამღერია მთელ ამბებს, ლეგენდებს, ხობბას და სხვას. ეს ხალხური ცალბმიანი სიმღერები, როგორც მეტად მაღლიანი მასალა, გამოყენებულია კომპოზიტორთა მიერ როგორც ინსტრუმენტალურ მუსიკაში, ისე ვოკალურ ნაწარმოებებში (არაყიშვილის „ურმული“, „ახალი ურმული“, „პერიო“, მ. მშველიძის „ურმული“, „ოროველა“, „თუშის ქალები“ და მეტადრე ბალადა „ვახა წიკლაური“, რომელიც განსაკუთრებულ ნაწარმოებებს წარმოადგენს).

ქართული სოსი — ვოკალური მუსიკის მეორე განტოტება, ეკვს გარეშე, ირანულ-არაბული სიმღერის მძლავრ გავლენას განიცდიდა. ამ გავლენის გამაერტელებელნი იყენენ ირანიდან მოსული დამკვრელ-მომღერალნი, რომელნიც ცხოვრობდნენ ქართველი მეფეებისა და დიდი მთავრების კარზე. ცნობილია, რომ ერეკლე მეორეს, სოლისტ მუსიკოსთა გარდა, ჰყავდა სასახლეში ინსტრუმენტალური კამერული ანსამბლიც. იმ დროის ერთ-ერთი გამოჩენილი აშული იყო საიათ-ნოვა. საიათ-ნოვამდე საქართველოში ბაიათებს მხოლოდ ირანულ ენაზე მღეროდნენ.

საიათნოვამ პირველმა შემოიღო ირანული პანგების ქართული ტექსტით მღერის ტრადიცია<sup>1)</sup>. ხოლო სასახლის ტრადიციები გადაჰქონდა თავიანთ წრეში თავად-აზნაურობას. ირანულ მელოდიაში ქართული ტექსტის გაჩენამ გამოიწვია ინტონაციისა და რიტმის შეცვლა. ქართულ ყოფა-ცხოვრებაში შოხვედრილი ბაიათები ასიმილაციას დაექვემდებარნენ. ქართული სიმღერის კილოიანობამ და ქართულმა მეტყველებამ, რომელსაც არა აქვს აშკარად გამოკვეთილი მახვილი (აქედან წარმოსდგება მისი სიმწყობრე), შოახდინეს ამ ბაიათების, ასე ვთქვათ, აკლიმატიზაცია. ფრაზების ნაწილადობა, რაც ირანულ ბაიათებს სჩვევია, შესცვალა ქართულმა მღერადობამ. ორნამენტის სახით გადაქარბებით ხმარებული მელიზმები მელოდიის ორგანიულ ნაწილად გადაიქცნენ და ამიტომაც შეიცვალა მათი შესრულების ელფერი. ასე გაჩნდა ძველი ტფილისის სამუსიკო შემოქმედების სახესხვაობა: ნახევრად სიმღერა, ნახევრად რომანსი.

<sup>1)</sup> გ. ლენინიძე: „საიათ-ნოვა“.

ამ დარგის მუსიკიდან ჩაწერილი და დამუშავებული აქვთ დ. არაყიშვილს — „ახ მთვარევ, მთვარევ!“, „ბუნდოვან გულსა“ „შენდა შეყრამდის“, „თავო ჩემო“; ზ. ფალიაშვილს — „ახალ აღნავი სულო“.

#### მარკინაშვილი

შეიძლება მიეუთითოთ ქართულ რომანსზე ზეგავლენას: მქსმქკ წყაროზედაც. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსმა მოხელეებმა და სამხედრო პირებმა შემოიტანეს საქართველოში ამ უკანასკნელისათვის უჩვეულო რუსული ქალაქური სანტიმენტალური რომანსი, გერმანული და იტალიური საოპერო არიები. მათ შორის ყველაზე დიდი კვალი ქართულ მუსიკას იტალიურმა არიამ დააჩნია, ხოლო რუსულმა სანტიმენტალურმა რომანსმა ვერ მოიკიდა ფეხი და უკვალოდ გადაიარა.

1857 — 1858 წ. გაჩნდა ტფილისში იტალიური ოპერა, რომელსაც თავის რეპერტუარში შეტანილი ჰქონდა „სევილელი დალაქი“, „ლუიზა მილერი“ (რომელიც ერთსა და იმავე დროს პრემიერად დაიდგა ტფილისსა და პეტერბურგში), „რიგოლეტო“ და სხვ. ცნობილია, თუ რა გატაცებით მღეროდა არიებს ამ აპერებიდან მთელი ტფილისის ფართო მოსახლეობა. ამ მუსიკის გავლენას არც მ. ბალანჩივაძე და ი. კარგარეთელი გადაურჩნენ. და ამით აიხსნება იტალიზებული ხასიათი მათი რომანსებისა („შენ გეტრფი მარად“, „ოდესაც გიცქერ“ — მ. ბალანჩივაძისა, „არავგო“ და სხვა ზოგიერთი რომანსი — ი. კარგარეთელისა).

დ. არაყიშვილმა თავის რომანსებში უმთავრესად თავად-აზნაურული-ფეოდალური ბაიათები გამოიყენა. მისი რომანსების თემატიკას შეადგენს ან სიყვარული, ან წყნარი, ოცნებით აღსავსე სევდა. მისი ლირიკა მხოლოდ ინტიმურ განცდებსა და ნაზპოეტურ სახეებს უტრიალებს გარს და მათ ფარგლებს არა სცილდება, თუმცა თითოეული ეს განცდა აღსავსეა კეთილშობილებით და პოეტური არომატით. არაყიშვილი კომპოზიტორი კი არა, პოეტი რომ ყოფილიყო, ალბათ, სამიჯნურო ლექსებს დასწერდა, ძველი ტფილისის მუხამბაზებად დაინთხოვდა მისი რომანტიზმი. რომანსებში („ვარდ-ყვავილთ სამეფოს“, „მე შენ გელი“, „ვაფიზიდან“ და სხვ.) დაღლილობა-მოდუნებასა და ნებიერობას უჭირავს დომინიური როლი. სულის მძლავრი მღელვარება, ცეცხლის გამომწვევი გრძნობა, მშფოთარე აღზნება უცხოა მისი პოეზიისათვის. პუშკინის ტექსტის მიხედვით დაწერილი რომანსები — „ივერიის მთებზე“ და „ნუ მიმღერ, ტურფავნუ“ ლირიკული ფურცლებია მისი შემოქმედებისა.

მართალია, დ. არაყიშვილის ზოგიერთ რომანსში („ღამეა ბნელი“, „ურმული“) გამოსჭვივის მელანქოლია, მაგრამ იგი არ არის მოცული უსასოებით და განწირულებით. არაყიშვილის რომანსებში მუსიკა მუდამ გაბატონებულია ტექსტზე. ლექსის საერთო სულისკვეთება ჩვეულებრივად მის ნაწარმოებში გადმოცემულია მთლიანი სამუსიკო ნაწარმოებით, სადაც აქცენტი დასმული აქვს მელოდიის ხაზს. როიალის თანხლება ამ



ზ. ფალიაშვილის საზოგადო და სამუსიკო მოღვაწეობის დასრულების  
 ოთხეუბა 1894 წ., როდესაც იგი, ჯერ ისევ ტფილისის სამუსიკო/სას-  
 წავლებლის მოწაფე, მართავდა კონცერტებს ნაძალადევის რაინის გზის  
 თეატრში და ავჭალის აუდიტორიაში.

1903 წლიდან, მოსკოვის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ,  
 სამუდამოდ დაუბრუნდა ფალიაშვილი ტფილისს და შეუდგა მოღვაწეო-  
 ბას პედაგოგიურ ასპარეზზე. 25 წლის განმავლობაში მუშაობდა იგი ყო-  
 ფილ ქართულ გიმნაზიაში (სიმღერა-გალობის მასწავლებლად, გუნდისა  
 და ორკესტრის ლოტბარად) და ფილარმონიის საზოგადოების სამუსიკო  
 სასწავლებელში (ინსპექტორად, მუსიკის ისტორიის საგნების მასწავლებ-  
 ლად), ხოლო შემდეგში სახელმწიფო კონსერვატორიაში (პროფესორად  
 და დირექტორად). იგი ერთ-ერთი დამაარსებელია ყოფილი ფილარმონი-  
 ული საზოგადოების და იმავე საზოგადოების სკოლისა, რომელსაც  
 მზრუნველობით დასტრიალებდა თავს როგორც მასწავლებელი და გამგე.

ქართული გიმნაზია და ფილარმონიული საზოგადოება, სადაც შ. ფა-  
 ლიაშვილი დაუღალავად მუშაობდა, მან გადააქცია ქართული მუსიკის  
 საპროპაგანდო ასპარეზად წინააღმდეგ რუსეთის საიმპერატორო სამუსიკო  
 საზოგადოების განყოფილებისა და მისი სასწავლებლისა, რომელთაც, რო-  
 გორც „სახაზინო“ დაწესებულებას, არაფრად ენტერესებოდათ ნაციონა-  
 ლური მუსიკის საკითხები. პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად  
 შ. ფალიაშვილი მრავალი წლის განმავლობაში დიდის მუყაითობით  
 ჰკრეფდა ხალხში უხვად გაფანტულ ძვირფას საუნჯეს — სიმღერებსა  
 და სავალობლებს. ამ შეგროვილ მასალიდან დამუშავებული სახით გა-  
 მოცემულ იქნა ფილარმონიული საზოგადოების მიერ ქალ-ვაჟთა ოთხ-  
 ხმიან გუნდისათვის, ცალკე კრებულად, „მ ხალხური გუნდი“, აგრეთვე  
 ცალკეული საგუნდო სიმღერები, იოანე ოქროპირის ლიტურგია, გადა-  
 დებული ხუთხმიანი გუნდისათვის (რომელსაც რამდენიმე წელს კომპო-  
 ზიტორი ლოტბარობდა ქაშვეთის ეკლესიაში), ქალაქის ძველებური რო-  
 მანსები და სხვ.

გაკვირვებას იწვევს ის დიდი შინაგანი დისციპლინა, მუყაითობა და  
 მეთოდურობა მუშაობაში, რომელიც ახასიათებდა შ. ფალიაშვილს მთე-  
 ლი სიცოცხლის განმავლობაში. საქართველოს კულტურის ისტორიაში  
 შ. ფალიაშვილმა უდაოდ ღრმა კვალი დასტოვა. მან მუსიკის დარგში  
 იგივე როლი შეასრულა ჩვენში, რაც ვებერმა გერმანიაში, ლიუღიმ —  
 საფრანგეთში და გლინკამ — რუსეთში, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ  
 სამივე ამ ჩამოთვლილ ქვეყანაში იყო სათანადო სამუსიკო შემკვიდრება,  
 ამ კომპოზიტორთა მიერ ნაციონალური ოპერების შექმნის მომენტში დაგ-  
 როვილი იყო წინამორბედ კომპოზიტორთა გამოცდილება და დამუშავე-  
 ბული ხალხური მასალა. სულ სხვა სურათს ეხედავთ ჩვენში: „აბესალომისა  
 და ეთერის“, ამ საკვირველი და უაღრესად დიდი მხატვრული ღირებუ-

ლების კლასიკური ნაწარმოების შექმნის დროს ამ დარგში არ მოხერხებოდა არავითარი ტრადიცია და ნაანდერძევი. მაშასადამე, ზ. ფალიაშვილს, რომელიც ამასთან არ იცნობდა არც ბალანსივადისა და არც არაყიშვილის ნაწარმოებებს, თითქმის მოტიტვლედულ ალაგვას მოჰქმედებინობის დაწყება. სამი ფაქტორი იყო მხოლოდ, რამაც ხელი შეუწყო ზ. ფალიაშვილს და დააყენა იგი შემოქმედების გზაზე.

აქვე აღსანიშნავია, რომ კომპოზიტორი ეკუთნოდა იმ ხელოვანთა რიცხვს, რომელნიც თავიანთ „შემოქმედებითს აღმოჩენებთან“ მოდიან არა ლოგიკური მსჯელობის გზით, არამედ თავიანთი ინტუიციით, თავიანთი ალღოს წყალობით. და ზ. ფალიაშვილსაც, რომელიც მოკლებული იყო ფართო სწავლა-განათლებას, ნიჭი და შინაგანი ძალა უწევდნენ ხელმძღვანელობას.

„აბესალომს და ეთერს“, თავისი შემოქმედების ამ პირმო შვილს, ზ. ფალიაშვილი სწერდა 5 წლის განმავლობაში (1912 — 1917 წ. წ.). ოპერას საფუძვლად დაედო პ. პირიანაშვილის მიერ დამუშავებული იმავე სახელის ხალხური თქმულება, რომელიც, ზოგიერთ მეცნიერთა აზრით, „ტრისტანისა და იზოლდას“ ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ვარიანტია. აქ არ შევედგებით ქართული ვარიანტის თავისებურების დეტალურად განხილვას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მაშინ, როდესაც ფრანგულ ვარიანტში დიდი ადგილი აქვს მიკუთნებული ტრისტანის ბავშვობის ხანას და ლევანდის მთავარ აქცენტს შეადგენს ამ გმირის თავგადასავალი იზოლდას ძებნაში, ქართულ ვარიანტში სრულიად გამორიცხულია გმირების ამბავი მათი ურთიერთ შეხვედრამდე. მთავარი ყურადღება აქ მიტყუებული აქვს სოციალურად არათანასწორ მეფის წულის აბესალომისა და ღარიბი გლეხის შვილის ეთერის უბედურ სიყვარულს. სწორედ ამ უბედურთი მიჯნურობის ტანჯვა-ვაება დაედო საფუძვლად ზ. ფალიაშვილმა მთელ ოპერას. მაგრამ აბესალომის ტანჯვა დაშორებულია იმ ვნებიანობასა და ფსიქოლოგიურ ხაზგასმულობას, რაც „ტრისტანისა და იზოლდას“ „სულთა მისტერიაში“ გაიშის. ზ. ფალიაშვილის ეს ჭეშმარიტად Abesalom Passion ოპერა გაყენებულია ზნეობრივი კეთილშობილების, მაღალი ეთიკისა და ადამიანური ტანჯვის სათუთი სურნელებით. ამით კვდა იქნებოდა გვეძებნა ოპერაში მოქმედების გაშლილ-განვითარება. ეს ნაწარმოები თავისი ფორმით და ხასიათით უფრო ორატორიას უახლოვდება. მთელი ფაბულა მოცემულია ოთხ მთავარ მომენტში. თითოეული მომენტი გადაშლილია როგორც რიტუალი, განსაკუთრებით ითქმის ეს მეორე (ქორწილ-ლხინი) და მესამე მოქმედებაზე (ზარით ტირილი მწუხარებით აღსავსე აბესალომისა, რომელიც მწარედ მოსთქვამს ეთერის დაკარგვას). დრამატურგიული განვითარების პრინციპით და ემოციური სისრულით ეს მოქმედება უდრის ი. სტრავენსკის შემადრწუნებელ ტრაგედია-ოპერას „ოიდიპოს მეფეს“.

ხ. ფალიაშვილის ოპერაში ცალკეული მოქმედებებისა და მთელი ნაწარმოების ერთიანობა განხორციელებულია არა მარტო დრამატურული და კონსტრუქციული ხერხებით, სამუსიკო ენა, მთლიანად ერთიანი, მუსიკალური სახეებისა და აზრების ზუსტად და დაზოგადებით გამოცემა, მოქმედ პირთა დახასიათებაში წრფელობა და ეთიურობა დასხვა, — ყოველივე ეს ამ ოპერას სრულყოფილ, კლასიკურ ნაწარმოებად ხდის.

ის მცირეოდენი სუსტი ადგილები, რომლებიც ოპერას ახლავს, სრულიადაც არ ამცირებენ და არ არღვევენ მის საერთო ღირებულებას და არ უშლიან ხელს ჩაითვალოს იგი კლასიკურ შემოქმედებად.

„აბესალომისა და ეთერის“ სამუსიკო ენა მთლიანად აგებულია ქართულ ფოლკლორზე. მთელი ოპერა შეზავებულია ქართულ-კახური და სვანური სიმღერების პოეზიით. ქართული ხალხური სიმღერების დაუმრეტელ საუნჯეში ხ. ფალიაშვილმა პპოვა გულწრფელი და სადა ინტონაციები, რომლებშიაც ასახა თავისი გმირების რთული და პოეტური სახეები. ფალიაშვილი იმდენად შეუსისხლხორცდა ხალხურ სიმღერას, რომ მწელია იმის თქმა, თუ სად არის ზღვარი ხალხურსა და მის პირად შემოქმედებას შორის, თვით ის ორიოდე სიმღერა, რომელიც მთლიანად არის შეტანილი ოპერაში, როგორც ხალხური მუსიკალური პოეზიიდან ამოღებული ციტატები, ორგანიულად შედუღებულია მის ნაწარმოებთან და ბუნებრივად გამომდინარეობს ამ უკანასკნელის საერთო კონცეპციიდან. ასე მაგალითად, მეორე მოქმედაბაში სუფრული, რომელსაც ცხადად ატყვია კერპთმსახურების დროს ელფერი, ანდა მეოთხე მოქმედებაში აბესალომ-მურმანის დეტის დასაწყისი ვეებერთელა ციტატებია ფოლკლორიდან, მაგრამ მათ წუნი ვერ დაედება, რადგან თითოეული მათგანი ოსტატურად არის ჩაქოვილი ოპერაში და ყოველივე „გურმანობის“ გარეშე გადმოცემულია შერეული გუნდის, სოლისტებისა და სიმფონიური ორკესტრის მეშვეობით.

ორკესტრობის სტილი — კომპაქტური და მასიური — ნაწილობრივ აიხსნება კომპოზიტორზე ორღანოს ზეგავლენით, ხოლო ნაწილობრივ — თვით ქართულ-კახური და სვანური სიმღერების ბგერაანობის ხასიათით, რომლებშიაც, წინააღმდეგ გურულ-მეგრული პოლიფონიური გუნდებისა, ყველა ხმა მონოლიტურად ბგერს, ორკესტრის სისადავე, სიზუსტე და დეტალიზაციის უქონლობა ასევე გამომდინარეობენ მთელი ოპერის საერთო კონცეპციიდან. სადაც ყველაფერს თავისი გარკვეულად გამოკვეთილი სახე აქვს და იმავე დროს ყველა ცალკეული ქლემენტრ შედუღებულია ერთ მთლიან ნააზრევეში.

მოქმედ პირთა დასურათებაში საკვირველ შედეგებს აღწევს კომპოზიტორი. ოპერის სამ მთავარ გმირს შორის, რომელნიც სულ სხვადასხვა

ხასიათისანი არიან, შედარებით უფრო მკრთალად არის მოქმედებიან ეთერის სახე. ნაღვლიანი ობოლი გერი, რომელიც პირველ სურათში გვევლინება, მცირეოდენად იცვლება მთელი ოპერის მანძილზე. მისი ცხოვრებაში მომხდარ დიდი ცვლილებებისა.

უფრო ზუსტად და დეტალურად არის დამუშავებული აბესალომის პიროვნება. უკვე პირველსავე არიოზოში ვხვდებით ახალგაზრდა მქეფარე რაინდს აბესალომს, მაგრამ ტრაგედიის განვითარებასთან ერთად იცვლება მუსიკალური ფერები ამ მომქმედი პიროის დასურათებაში მისი სულიერი საწყაროს გარდაქმნა-ცვალებადასთან ერთად. მეორე მოქმედებაში აბესალომი ისევე, როგორც ოპერის სხვა მთავარი პიროები, მეორეხარისხოვან მნიშვნელობამდე არის დაყვანილი და მთელი სარბიელი ვუნდს აქვს დათმობილი. მაგრამ შესაძენ მოქმედებაში, სადაც ოპერა უმაღლეს მწვერვალს აღწევს, აბესალომის მდგომარეობა გვაძრწუნებს თავისი ტრაგიზმით. აქ განსაკუთრებულე ძალით არის ასახული სულით დაობლებული, უღმობებელ ბედს დამორჩილებული აბესალომი, რომელიც უმწუროდ სდგას ხალხის წინაშე და ვერ ეუბნება უარს მის მოთხოვნა-მუდარაზე — დასთმოს საყვარელი არსება ეთერი. აბესალომის ამონაკენესი: „ვის გინდათ ქალი ეთერი?“, ამის მომდევნო „ჩაეარდა“ ბგერაიანობაში (საერთო შეშფოთება) და შემდეგ დაძაბულობის მაქსიმუმამდე ასული ხალხის გადება გენიალობას აღწევს და მოგვაგონებს ჰენდელის ორატორებსა და ბახის Matheus Passion-ის ტრაგიკულ ადგილებს. ოპერის მთელ მანძილზე ყოველ ინტონაციაში, ყოველ ნუნანში გამოსტევივის კომპოზიტორის ნაზი სიყვარული და გულშემატკიერობა თავის გმირისადმი, რომელსაც სწევს და სტანჯავს მიჯნურობის ალი. და ყველაფერს ამას კომპოზიტორი აღწევს მაქსიმალურად მარტივი ხერხებით.

მთელი მე-3 მოქმედება აგებულია დაზოგვით გაშლილ ერთ მუსიკალურ მასალაზე. ვუნდის მთავარი პარტია კულმინაციის მომენტში სიყვარულის ლირიკული თემა ტრაგიკულ ხასიათს ღებულობს, რაც მძიმე ლოდივით აწევება მსმენელს. მთლიანად ოპერას ახასიათებს სტილის ერთიანობის უდიდესი გრძნობა და ორგანული კავშირი ხალხურ შემოქმედებასთან.

ოპერის შესაძენ გმირი — მურმანი აბესალომის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს. ზ. ფალიაშვილი ეკუთვნის იმ მადლიან ხელოვანთა რიცხვი რომელთაც შესწევთ ძალა საჭიროების მიხედვით დასთმონ თავიანთი პირადობა და თავიანთ შემოქმედებაში სავსებით შეუსისხლ-ხოცდნენ თავიანთ გმირებს. სწორედ ესაა, ალბათ, მიზეზი, რომ მისი გმირები ეფევილინებიან ცოცხალ, მგრძნობიარე ადამიანებად და არა მანეკენებად. მურმანის ვაგაკობა, მისი ნებისყოფით აღსავსე, გამბედავი, მომქმედი და აქტიური ხასიათი სრულ ასახვას პპოულობს მუსიკაში. მურმანი მუდამ

გადამჭრელ ინტონაციებსა და მკვეთრ რიტმებში გვევლინება პარტიის ყველა ფრაზა მკვეთრად არის მოხაზული.

პირველ მოქმედებაში მურმანის მამაცობითა და ღრმანქანის სისწრაფით აღსაყვს სამიჯნურო ჰიმნი, რომელიც ააშკარავებს მისი სწრაფი ვექტორების ჩამალულ ზრახვებს, იმავე მოქმედების ბოლოში დადებული ფიცი („ულვაშ-შერცხვენილი ლაჩარი ვიყო, თუ ვერ ვეწიო შენსა დაჯანს“), მესამე მოქმედებაში აბესალომის გულის ტკივილით შეკითხვაზე — „ვის გინდათ ქალი ეთერი?“ — მურმანის გადამჭრელი ფრაზა: „მე მინდა ქალი ეთერი“, როდესაც ხალხი შეშფოთებულია. — ყოველი ეს მომენტი მძლავრი ნებისყოფის ადამიანის დაუეფყარ სახეს იძლევა. მხოლოდ ერთხელ — მეოთხე მოქმედებაში, როდესაც აბესალომი გზავნის მურმანს უკვდავების წყალის მოსატანად, ემჩნევა მას სულის სისუსტე და ეცლება ნიდაგი ფეხქვეშ. ის აშკარად ხედავს თავის დაღუპვას. აქ შ. ფალიაშვილმა მას სულ სხვა ინტონაცია მისცა ფრაზაში: „ახლა კი ბედმა მატნობა, ბედი გექნება მწარე“. ეს სასოწარკვეთილი ამოხეთქა დაღუპვის გზაზე დამდგარ ადამიანისა.

მურმანი სიბოროტის განსახიერებაა. იგი შხამით სწამლავს მეფის წულის აბესალომისა და მისი საყვარელი არსების ეთერის სულს და უსაზღვრო ტანჯვაში ავდებს ორივეს. კომპოზიტორს უარყოფითი მხარეებით ჰყავს დახასიათებული მურმანი. მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ აშკარა განსხვავება გაავლოს მისსა და აბესალომს შორის და ამ უკანასკნელისადმი მეტი სიბრალული და სიყვარული აღუძრას მსმენელს.

ერთ-ერთ მთავარ მომქმედ პირად ოპერაში შ. ფალიაშვილს გამოყვანილი ჰყავს გუნდი (ხალხი). დრამატურგიულადაც და წმინდა მუსიკალური მხრივაც გუნდი ოპერის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილია. თუ პირველ ორ სურათში (პირველი მოქმედება) გუნდს მეორეხარისხოვანი როლი აქვს მიკუთვნებული, სამაგიეროდ მეორე მოქმედებაში მთელს ზეიმს, მთელს საჩინოებას ორკესტრთან ერთად ჰქმნიან გუნდი და სოლისტთა ანსამბლი. მესამე მოქმედებაში გუნდი და ანსამბლი დაპირისპირებული არიან აბესალომთან.

ამ აქტში, რომელიც წარმოადგენს დიალოგს გუნდსა და აბესალომს შორის, ორივე მხარე საესებით თანასწორი ღირებულებებისაა. და საერთოდ მთელ ამ ნაწარმოებში ძალები განლაგებულია ისეთი პროპორციულობით, რომ არც ერთი მომქმედი პირი — დამოუკიდებლად იმისა, ცალკეული გმირია იგი თუ მთელი ანსამბლი — არ ჩრდილავს მეორეს. თითოეული შემადგენელი ნაწილი ამ ვეებერთელა, გასაოცრად შედუღებულ კვიტიკრის შენობისა წარმოადგენს დამოუკიდებელ ღირებულებას, რომელიც სრულიად გადაუქარბებლად შეიძლება შეედაროს კლასიკურ ნიმუშებს.



ზ. ფალიაშვილის მეორე მეტად თვალსაჩინო ნაწარმოებს წარმოადგენს მისი სამ-მოქმედებიანი ოპერა „დაისი“, რომელიც დაწერილია ერთიანი არტისტ-დრამატურგის ვალერიან გუნიას ლიბრეტოს მიხედვით.

ამ ნაწარმოებშიაც, ისევე, როგორც „აბესალომში“ მკაცრად შეზღუდულია უბედური სიყვარულის ამბავი. მაგრამ, თუ „აბესალომში“ შიშველად, ეს ოპერები სრულიად განსხვავდებიან ურთიერთისაგან თავიანთი შინაგანი კონცეპციით და აზრის სიღრმით. მაშინ, როდესაც „აბესალომში“ უბედურ სიყვარულს საფუძვლად უდევს სოციალურ და სიკვდილის ბრძოლის იდეა, „დაისში“ ეს თემა გაშლილია პირად განცდებისა და საყოველღეობის პირობებში.

მაროსა და მალხაზს (მთავარი მოქმედი პირები) უყვართ ერთმანეთი. მაგრამ მალხაზი კარგა ხანია უცხო მხარეს გაემგზავრა. მაგრამ ვერ გაბედა დედის სურვილის წინააღმდეგ წასვლა და ძალაუნებურად სიანხ-მდებდა დანიშნოს იგი კიაზომ (მესამე მთავარი პირი). ბრუნდება მალხაზ და იწყება ზღაპრით. მაგრამ ეს არ იწყევს ტრაგიკულ განცდებს. აქ მეტრქეთა თავმოყვარეობის შელახვაა მხოლოდ.

„დაისში“ კომპოზიტორი ახალ ასპექტში გვევლინება. „აბესალომთან“ შედარებით, აქ აზრი ნაკლებ ღრმაა, მაგრამ ოსტატობის მხრივ ზ. ფალიაშვილმა ამ მეორე ნაწარმოებში ახალი ამოცანები დაისახა. ნაკლებ მონოლიტობისა, რაც „აბესალომში“ ახასიათებს. აქ კომპოზიტორი ადრეტალიზებს ცალკეულ ადგილებს. „აბესალომთან“ შედარებით ეს ნაწარმოები მთლიანი მუსიკალური ბელტი არ არის, იგი წარმოადგენს მთელ რიგ ოსტატურად შესრულებულ ნაჭრებს, რომლებიც ოსტატურადვე გაერთიანებულია სუფეტით. მთელი ნაწარმოები აგებულია იმ ვარაუდით, რომ მოცემულ იქნას განვითარებული ფორმით ცალკეული ელემენტები: უვერტურა, არიები, სოლისტების ანსამბლები, გუნდები და სეკვა.

პირველი მოქმედების უვერტურა ერთ-ერთი საუკეთესო ფურცელია ქართულ სამუსიკო ლიტერატურაში — იგი ფართო, მხატვრულ ტილოდ არის გადმოფენილი. ეს უვერტურა, რომელიც იწყება ინგლისური ბუკის (დუდუკის მსგავსი საკრავი) ლირიკული, თითქმის პასტორალური ხასიათის იმპროვიზებული კილოთი, ვითარდება თანდათან, განსაკუთრებული დაზოგვით, თითქმის წვეთ-წვეთად, ხოლო შუა ადგილას, ახმაურებულ სასულე საკრავებთან ერთად, გადაზრდილია მთელი ორკესტრის მძლავრ ბგერაინობად. საკულმინაცია წერტილს მიღწევის შემდეგ უვერტურა კვლავ თანდათან იწყებს მინელებას და თავდება იმავე ინგლისური ბუკის აკვნესებით. რითაც დაიწყო უვერტურა. ეს „მათემათიკური ანგარიშის“ სიზუსტე, მაქსიმალური გაწონასწორება, „ნოყიერი“ მელოდიკა, ორკესტრის სადა, მაგრამ გულთბილი ლირიკით აღსაყვებ ბგერაინობა კმოსავენ უვერტურას კაეშნის განუახლებველი პოეზიით. ეს

უფერტურა განსახიერებაა მალხაზისა, რომელიც დაიღუპა თავის მეტოქესთან ხმალ და ხმალ ბრძოლაში.

უფრო ძნელ და რთულ ამოცანას წარმოადგენს მალხაზის „ლია/პირველ მოქმედებაში — „ჩემი ბედის ვარსკვლავი ხარ“. იგი შეიქმნა ნახევრად სადევალამაციო, ნახევრად სასიმღერო ფრაზებზე. უფრო მეტად დასაძინებელი და აროზო ოპროს ძაფის გორგალივით იშლება. თითოეული შენდგომი ფრაზა ახალ-ახალ შეგრძნებას იძლევა. ფორმის გაშლის ასეთი პრინციპი სავსებით უპირისპირდება გერმანული მუსიკის კლასიკურ ფორმას. მალხაზის არიოზო თავისი არქიტექტონიკით, ინტონაციებით და რიტმიული პლასტიურობის ხასიათით ქართული ხალხური სიმღერების სისხლი და ხორცია. აქ ფალიაშვილი სავსებით უთანასწორდება შემოქმედ ხალხს.

პარალელურად ოპერაში უხვად არის გაფანტული მხატვრული ღირებულების შესანიშნავი არიები. უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია ბაირონიზმის წყვედიადობით გაელენთილი არია „სულო ბოროტა“ (კიანოს არია მეორე მოქმედებაში). ეს არია ტიპიური ანარეკლია XIX სუკუნის შუა და მიწურული წლების საკარმიდამო რომანსებისა, რომლებსაც თარზე აყოლებით მღეროდნენ თავედაზნაურულ წრეებში. მაროს არია — „შუქურ ვარსკვლავო“ და მისივე ტირილი („ბედმა რა მიყო“) სტილის მხრივ ერთი პეოროს საწინააღმდეგო ნაწარმოებებია. მათ შორის პირველი მეტად ღირშესანიშნავია თავისი შელოდიური მიმოქცევით და რიტმის პლასტიურობით. ეს ნაზი ღრუბელია სევდა-კაეშნისა, რომელიც შემოსწოლია გულზე თავისი „ბედნიერი ვარსკვლავის“ მორჩილებით მომლოდინე ახალგაზრდა მქმუნვარე არსებას. მაროს ტირილი (გუნდთან) ძველი ტფილისური სიმღერაა თავისი დამახასიათებელი ინტონაციებით და ირანულ-არაბული მუსიკის სევდიანი მონოტონობით.

სრულიად ახალი კოლორიტი, ახალი ნაკადი შეაქვს პირველ მოქმედებაში ლეკურს. მჩქევარე, მზიური, მოცარტისებურად გამჭვირვალე და აფურული, ნაზი ცეკვა მეტად ახალისებს მსმენელ-მყურებელს. ხალხური დღესასწაული თავისი ცეკვა-სიმღერით, გამოცანებში და შაირებში შეჯიბრებით დიდ შესაძლებლობას აძლევს როგორც მომღერალ-მოცეკვავეებს, ისე რეჟისორს გამოიჩინონ თავიანთი ნიჭი და უნარი.

„დაისში,“ „აბესალომთან“ შედარებით, გუნდს სრულიად საწინააღმდეგო როლი აქვს მიკეთებული. აქ კომპოზიტორს გუნდი გამოყვანილი პყავს მხოლოდ როგორც დეკარატიული, პეიზაჟური ერთეული. თითოეული გუნდი, ცალკე აღებული, მხატვრული ნაქარგია საერთო ფონზე. მუსიკალური მასალა გუნდებისათვის ფალიაშვილს საქართველოს სულ სხვადასხვა კუთხიდან აქვს აღებული. აქ ეხედებით გურულ „ალიფამას“, სვანურ „ვოი და ვოს“, ქართლ-კახურ ლაშქრულს და სხვას. ყველა ამასთან ერთად აქვე გვაქვს მძლავრი ხორალი (მეორე აქტში), რომელსაც ცხადად ეტყობა კათოლიკური ორღანოსა და ხორალის დაღი. ოპერის

ნომრების მართო ეს სქემატიური ჩამოთვლა გვაკვირვებს თავის სიჭრელით და სტილისტური მრავალფეროვნობით. ზოგიერთ აბიჯებზე ფოლკლორისტს, რომელსაც ყოველ ნაციონალურ მუსიკაში მხოლოდ ფოლკლორული მასალა მოესმის, ასეთი „სიჭრელე“ დაუშვებლად ეჩვენება. მაგრამ ისეთი კომპოზიტორები, როგორც ზ. ფალიაშვილი, მისი ნიჭით და შემოქმედებით გვიჩვენებენ, რომ თვით უღარესად მრავალფეროვანი მუსიკალური ფოლკლორი შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთეულ საბუსიკო მთლიანობაში. ამის დამამტკიცებელია „დაისი“.

ზ. ფალიაშვილის შემოქმედებასვე ეკუთნის მესამე ოპერა „ლატავრა“, რომლის რამდენიმე არია შესულია მომღერალთა რეპერტუარში.

ზ. ფალიაშვილის მნიშვნელობა ქართული მუსიკის ისტორიაში განუზომელია. ხელოვანი, რომელმაც შექმნა მონუმენტალური, ღრმა აზროსა და ეთიურად მაღალი ღირსების ნაციონალური ოპერა, პოეზებს მომავალში თავის მკვლევარს, ჩვენ კი, დასასრულ. აღვნიშნავთ, რომ შეტად დიდი ზ. ფალიაშვილის გავლენა კომპოზიტორთა შემდგომ თაობაზე. მისი კლასიკური ენა, მისი უნარი — გახადოს ყველასათვის მისაწვდომი ქართული საბუსიკო ფოლკლორი, მისი ღირებულება, როგორც ხელოვანისა, კრიტიკულად არის გადაქცეული. ზ. ფალიაშვილი მთელი ეპოქაა.

ქართველ კომპოზიტორთა ძველსავე თაობას ეკუთვნის **კ. მელვინეთ-უხუცესი**, თუმცა იგი ბევრად უფრო გვიან შეუდგა შემოქმედებას. შედარებით მოკლე ხანში მან დასწერა ოპერა „ამირანი“, რომლის სუფეტად აღებულია ხალხური საგმირო თქმულება. ეს ოპერა ამოქარგულია ფოლკლორით, მაგრამ იგი საგრძნობლად არის შეცვლილი.

„ამირანში“ კომპოზიტორს ყველაზე უფრო მარჯვედ გამოუვიდა საგუნდო ნომრები და სოლისტების ვოკალური ანსამბლი. აღსანიშნავია ამ ოპერიდან ლეკური, რომელიც ფორტეპიანოზე შესრულებისას ბევრად უფრო მეტ შთაბეჭდილებას სტოვებს. ამ ოპერაში სრულიად მარტივი ხერხებით შესწლო კომპოზიტორმა გამოენახა ისეთი ბევრები, რომლებიც სცესებით მოგვაგონებენ დოლს, ლეკურის ამ აუცილებელ ატრიბუტს. ოპერის გარდა, **კ. მელვინეთ-უხუცესს** დაწერილი აქვს საპროგრამო სიმფონია 3 ნაწილად, რომლის სუფეტაც აღებულია სოფლის ცხოვრებიდან.

კომპოზიტორთა პირველი (ძველი) თაობის ეპიგონებს ეკუთვნის **ლემ ფალიაშვილი** (ზაქარია ფალიაშვილის ძმა). მან დასწერა სამი ოპერა: ერთაქტიანი „დედა და შვილი“ (ი. ჭავჭავაძის პოემის ტექსტზე), ოთხაქტიანი „ვეფხისტყაოსანი“ (შოთა რუსთველი) და ხუთმოქმედებიანი „იავნანამ რა ჰქნა?“ (ი. გოგებაშვილის მოთხრობის მიხედვით). ლეო ფალიაშვილის წერის მანერაზე, რომელსაც ახასიათებს მელოდიურობა და პარმონიის სიმარტივე, გავლენა იქონიეს როგორც ზ. ფალიაშვილმა, ისე დ. არაყიშვილმა. საორკესტრო ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია სუიტა

ოპერა „ვეფხისტყაოსნიდან“ და სიმფონიური ორკესტრის კანსლებით დიდი გუნდისათვის დაწერილი ნაწარმოები, რომელიც აქტორმა XVII პარტყრილობას მიუძღვნა.

მარკუნული  
მისწოდებულია

სასეხებით განსხვავებული ეპირის მუსიკის შემომქმედი კომპოზიტორი ვიქტორ დოლიძე, რომელსაც არაერთი მუსიკალური განათლება არა ჰქონდა მიღებული. მიუხედავად ამისა, მან მაინც თავისი ნიჭის მეოხებით შესანიშნავი კვალი დასტოვა ქართული მუსიკის ისტორიაში. იგი ეკუთვნოდა ეგრეთწოდებულ თეატრალურ კომპოზიტორთა რიცხვს. კარგად ჰქონდა ათვისებული სცენა და მისი კანონები. თავისი პირველი ოპერისათვის („ქეთო და კოტე“) დოლიძემ, რომელსაც სცენიური სუბეტების მარჯვედ ამორჩევის ალლო ჰქონდა, აიღო ა. ცაგარლის ქართული კლასიკური კომედია „ხანუმა“. „ხანუმა“ წარმოადგენს 70-80 წლების ქართული თეატრის აშკარა გამოძახილს ბოშარშეს პიესაზე. „ხანუმა“ — ეს ხომ იგივე „ფიგაროს ჭორწინება“, ოღონდ ქართულ ნადავზე აღმოცენებული. ყოველი შემქმედი პირი აღებულია ძველი ტფილისის რეალურ ცხოვრებიდან. ეტყობა, სწორედ ამ რეალობამ გაიტაცა დოლიძე.

ძველი ტფილისის მოქალაქეთა ჰანგები, კინტოებისა და არღნის სიმღერები და სხვა. — აი ეს მასალა დაედო საფუძვლად კომიკურ ოპერას „ქეთოსა და კოტეს“. დოლიძე მოკლებული იყო მუსიკის თეორიის ცოდნას. იგი არცა ცდილობდა ამ ცოდნის შევსებას. მიუხედავად ამისა, მას საოცარი გაქანება ჰქონდა, შესწევდა უნარი გაენაწილებინა სამუსიკო მასალა დრამატურგიულ მოთხოვნათა შესაბამისად და მიეწოდებინა მსმენელთათვის მუსიკა მარტივად და ცოცხლად. დოლიძე ისეთ მასალას არჩევდა, რომელიც ხელს შეუწყობდა დრამატურგიული აზრის გამოკვლენას. მას არ ეშინოდა ბანალური ხერხებისა და გამოთქმებისა. მას ინტერესებდა არა ორიგინალობა და სიახლე მასალისა, არამედ ამ უკანასკნელის გამოხატულება. რაც შეეხება ოპერაში მრავლად მიმოფანტულ რეჟიტატივებს, ეს პირდაპირ შობაძვია როსინისებური იტალიური რეჟიტატივებისა. სამწუხაროდ, სიტყვები ისე უხეიროდა მერჩეულ-დალაგებული, რომ მსმენელი ვერ გარკვეულა — ეს ქართული სიტყვებია თუ უცხო, რადგან მათზე მახვილები შოდის ქართული შეტყველების ყოველივე კანონის წინააღმდეგ.

აღნიშნული კომიკური ოპერის გარდა, დოლიძეს შემოქმედებას ეკუთვნის ორი სხვა ოპერა: „ლეილა“ და „ცისანა“. ორივე ეს ოპერა, „ქეთო და კოტესთან“ შედარებით, უფრო დაბალი ღირსებაა.

მიუხედავად ხანმოკლე მოღვაწეობისა (დოლიძე ახალგაზრდა გარდაიცვალა), დოლიძემ, ოპერების გარდა, დასტოვა მრავალი რომანსი, სიმ-

ფონიური პოემა „ივერიადა“ (ადრეული ნაწარმოები) და მეტაფორული საინტერესო საფორტეპიანო კონცერტი 3 ნაწილად.

ოქტომბრის რევოლუციამ წინ წამოაყენა ჩვენში მთელი რიგი მეორე თაობის კომპოზიტორები, რომელთა შემოქმედებაც გაიჭრის საზოგადოების შემდეგ. ამ მეორე თაობის მუსიკოსებს ოქტომბრის რევოლუციამ მოუსწრო ჯერ ისევე სამუსიკო სკოლის მოწაფეობისას ან უკეთეს შემთხვევაში — კონსერვატორიის სტუდენტობისას. საბჭოთა კავშირის სხვა მუსიკოსებთან ერთად ამ კომპოზიტორებმა განვლეს ძიების ყველა ეტაპი, დაწყებული საქართველოს წარსული მუსიკალური კულტურის შემკვიდრების ხელაღებული უარყოფით და გათავებული ამ წარსულის შემკვიდრების კრიტიკულად ათვისება-დიფერენციაციით.

ამ მუსიკოსთა რიცხვს ეკუთვნიან: იონა ტუსკია, გრ. კილაძე, შ. თაქთაქიშვილი და ვანო გოციელი.

ახალგაზრდობის პირველი ნაბიჯი იყო — შეერთებულიყვნენ და შეექმნათ საზოგადოებრივი ერთეული. ამ მიზნით დააარსეს მათ „ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება“, რომელმაც მოკლე ხანში შექმნა თვალსაჩინო სიმფონიური ორკესტრი. ორკესტრი გამოყენებულ იქნა ახალგაზრდობის კომპოზიტორული ცდების შესასრულებლად, ძველი თაობის ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედების პოპულარიზაციისათვის და აგრეთვე როგორც საზოგადოდ საღმსრულებლო ერთეული. 1925 წლიდან 1929 წლამდე ეს ორკესტრი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა (როგორც დამკვერელები და დირიგორა) მთელი ახალგაზრდობა, მუშაობდა ტფილისში, ხოლო ზაფხულობით — ბორჯომში.

დიდი აღმზრდელობითი გავლენა იქონია ამ საზოგადოების წევრებზე სახალხო არტისტმა ევანო ფალიაშვილმა. რომელიც გატაცებით მუშაობდა ამ ორკესტრში და რომელმაც ბევრი ნიჭიერი სოლისტი გაწაფა. მისი ხელმძღვანელობით ორკესტრმა მომღერლებთან ერთად ორჯერ შემოიარა საქართველოს პროვინციები და გამართა კონცერტები ისეთ მიმართულ კუთხეებში, სადაც არა თუ მუსიკა არ გავრცნათ, სიმფონიური ორკესტრის საკრავებიც კი არასოდეს არ ენახათ. 1927 წელს ორკესტრმა ვ. ფალიაშვილის დირიგორობით შესრულა მე-9 სიმფონია ბეთოვენისა ამ უკანასკნელის ვარდაცვალებიდან 100 წლის აღსანიშნავად.

სიმფონიური ორკესტრის პარალელურად დაარსებულ იქნა სიმებიანი კვარტეტი (შემდეგში სახელმწიფო კვარტეტად გადაკეთებული), რომლის პირველ შემადგენლობაში შედიოდნენ: ვახტანგ ნეიმანი (1-ლი ვიოლინო), მ. ძიძიშვილი (მეორე ვიოლინო), შალვათაქთაქიშვილი (ალტი) და გიორგი თაქთაქიშვილი (ვიოლენჩელო).

მაგრამ ახალგაზრდობა ვერ დაკმაყოფილდებოდა მარტო საორკესტრო მუშაობით, ოქტომბრის რევოლუციამ დიდი ძეგლები მოახდინა ზელოვნების

ყველა დარგში. მუსიკაში, ისევე, როგორც სხვაგან, მოხდა ლიტერატურულ-ზათა გადაფასება. ახალგაზრდა მუსიკოსთა წინაშე აღიმართა მუსიკის რიგი პრობლემები, რომლებიც საერთო ძალ-ღონით გადაჭრას მოითხოვდნენ. ერთი რამ ცხადი იყო ყველასთვის: ძველი თანამედროვეობის ტორთა იდეოლოგიური გეზი—ნაციონალური რომანტიზმის გზა—სტრუქტურული სოციალური სტრუქტურებიდან გამომდინარე, ისტორიას ჩაბარდა. ახალგაზრდები სერიოზულად ჩაუფიქრდნენ შემოქმედებითს მეთოდებს, ახალ გზებს, რომლებსაც ისინი უნდა დასდგომოდნენ.

1932 წლის ს. ა. კ. პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის ისტორიულმა დადგენილებამ ლიტერატურულ-სამხატვრო ორგანიზაციათა მუშაობის გარდაქმნის შესახებ ახალი ეტაპი შექმნა ხელოვნების განვითარებაში. ენტუზიაზმით იქნა მიღებული ლოზუნგი იმ მაღალი მოთხოვნებისა, რომლებიც წაყენებული აქვს შემოქმედების ხარისხსა და ტექნიკას. პარტია და საბჭოთა მთავრობა, რომელთაც ახალგაზრდობას მუშაობის საუკეთესო პირობები შეუქმნეს, მოითხოვდა მისგან ისეთ ნაწარმოებებს, როგორიც ჩვენს ეპოქას შეესაბამება.

საქართველო ისეთ ქვეყანას წარმოადგენს, სადაც სიმღერას მკვიდრად აქვს ფესვები გადგმული ცხოვრების ყველა ეტაპულში. საქართველოში მღერიან ყველანი ყოველ ეამს — მინდორში მუშაობისა და დასვენების დროს, სოფლად და ქალაქად, შინ და ქუჩაში. ქართველისათვის სიმღერა ბუნებრივი მოთხოვნილებაა. ხშირად შეიძლება შეხედეთ სოფლად ბავშვებს, რომლებიც მღერიან მრავალხმიან პოლიფონიურ სიმღერას რთული კრიმანტულით.

ამ ნაციონალურმა თავისებურებამ ხელი შეუწყო საქართველოში უპირველეს ყოვლისა, ეოკალური მუსიკის კულტურას. ამიტომაც, რომ პირველი კომპოზიტორები ეოკალურ ნაწარმოებებიდან ხელს ჰკიდებდნენ უმთავრესად, საგუნდო ფოლკლორიდან აღებულ მელოდიკას. კომპოზიტორთა პირველ ნაწარმოებებს შეადგენდნენ რომანსები და გუნდები, რომელთა შინაარსის გამოვლენას დიდად უწყობდა ხელს სიტყვიერი ტექსტი. ინსტრუმენტალური მუსიკა ჯერ ჩანასახ მდგომარეობაში იყო და მხოლოდ შემდგომ, როდესაც სამუსიკო აზროვნება უფრო გართულდა, კომპოზიტორებმა თავიანთი იდეების გამოსახატავად იწყეს ინსტრუმენტალური მეტყველების გამოყენება, რომელიც უფრო რთულია, ვიდრე ეოკალური.

ახალგაზრდა თაობის პირველ დამახასიათებელ ნიშანს შეადგენს მათ შემოქმედებაში ინსტრუმენტალური მუსიკის მოჭარბება. ამას, სხვათა შორის, ხელს უწყობდა ის შემთხვევითი გარემოებაც, რომ პირველი ახალგაზრდა კომპოზიტორები, მცირე გამოჩენის გარდა, სპეციალურად ვიოლინოს დამკვრელები იყვნენ. ასე წარმოიშვა გ. კილაძისა და შ. თაქთაქიშვილის პატარა ნაწარმოებები და ი. ტ. უ. ს. კ. ა. ს.

ერთნაწილიანი კვარტეტი (სიმებიანი). გ. კილაძე და ი. ტუსკია ორგანიულად დაკავშირებული არიან ხალხურ სიმღერასთან, რომელიც ნაყოფს უშუალოდ თვით ხალხისაგან აქვთ შეთვისებული.

პირველ ნაბიჯებიდანვე ი. ტუსკია გამომკლავდა, როგორც კომპოზიტორი-ლირიკოსი. ნაზი გრძნობით აღსავსე, ზრუნული, გულგრილი „ჩელა“ მან კვარტეტად გადაამუშავა. ეს ხალხური სიმღერა არ არის აღებული როგორც ციტატა, იგი გარდატეხილია კომპოზიტორის პირად შემოქმედებაში.

ტუსკიასთან ერთდროულად გამოდის ასპარეზზე გ. კილაძე თავისი პატარა სიმფონიური ნაწარმოებით. მისმა სამნაწილიანმა სუიტამ, რომელიც აგრეთვე ხალხური სიმღერების გადამუშავებას წარმოადგენს, თავიდანვე გამოაშკარავა, რომ კომპოზიტორს ორკესტრობის ბუნებრივი აღლო აქვს. პირველ, ლირიკულ ნაწილში გამოყენებული „მზე შინაო“, მეორე საოხუნჯო ნაწილი საესეა უშუალო ჰემორით, ხოლო მესამე ნაწილში მოცემულია მზენ და ვაჟაკური გურული მხედრული „ჰეიდა“. ყოველივე ეს დაწერილია ჭაბუკური სიხალისით და სილაღით. კილაძის მეორე ნაწარმოებში „ლილე“-ში გამოყენებულია სევანური ჰიმნი მზისადმი. კილაძე პირველი ნაწარმოებით გვევლინება სიცოცხლით აღსავსე რეალისტად.

სულ სხვა სულიერი განწყობილების ხელოვანია კომპოზიტორი შ. თაქთაქიშვილი. იგი ხალხურ სიმღერებს მხოლოდ ნაბეჭდი კრებულებიდან იცნობს, ამიტომაც, რომ ეს სიმღერები სხვებსავე არა აქვს შესისხლხორცებული. თავისი შემოქმედების ხასიათით შ. თაქთაქიშვილი ლირიკოსია. იგი ინტიმურ, სუბიექტიურ განცდებზე მოგვითხრობს. პირველი მისი ნაწარმოები აღსავსეა სევდა-კაემზით. იგი თავისი გულის სიღრმეში იყურება. ისეთი ნაწარმოებებიც კი, როგორიც არის „ორველა“ და „ურმული“, გაელენთილია ჰარბი ფსიქოლოგიზმით და გულზე ლოდით შემომწოლი მწუხარებით. ეიოლონჩელისათვის დაწერილი პოეზიით და ნაზი სევდით აღსავსე „ნანა“ შ. თაქთაქიშვილის ერთ-ერთი საუკეთესო აკვარელია. თაქთაქიშვილის ბუნების სირთულეზე ჭკემოთ კიდევ გვეჩვენა საუბარი.

ახალი თაობის პირველ კომპოზიტორთა ბუნების ამ სხვადასხვაობის ნიუხედავად, მათ ერთი ნიშანდობლივი თვისება აერთიანებთ. ეს არის მათი შემოქმედების უშუალობა, გულწრფელობა და ძალდაუტანებლობა.

ი. ტუსკიამ დასწერა ეოკალური და ინსტრუმენტალური ნაწარმოებები, რომელთა შორის ყველაზე თვალსაჩინოა ოპერა „1905 წ.“<sup>1)</sup> და სონატა ეიოლინოსათვის. ის ორიოდგე კამერული ხასიათის ნაწარმოები, რომელიც ქართველმა კომპოზიტორებმა სოლო-ინსტრუმენტებისათვის

<sup>1)</sup> ამ ოპერას სწერდა რამდენიმე კომპოზიტორი კოლექტიურად. ტუსკიას ეკუთვნის პირველი მოქმედება.

დასწერეს, კანტილენის სახის წერილ პიესებს წარმოადგენენ. თავის სონატაში, რომელიც მაჩვენებელია ავტორის გემოვნებისა და რიტორულმენტის ცოდნისა, ტუჩიამ ამოცანად დაისახა — ნაციონალური ფოლკლორის საფუძველზე შექმნა დიდი მონუმენტალური ფორმის ნაწარმოები. ჯანსაღი ტონუსი, რომელიც ერთიანი დენით ატარებს სონატაში, და მეტადრე ზრდადი დინამიკა მეორე ნაწილში საზღვრავენ ამ ნაწარმოების შინაგან აზრს. ეს ნაწარმოები საყურადღებოა აგრეთვე ფორმის მხრივ. კომპოზიტორმა შესძლო საინტერესო ამოცანის გადაჭრა — აქ მოცემულია ფორმის თანდათან გაშლა კანტილენის სახის ფრაზის ნული ტემპიდან დინამიურად გაზრდილ ფრაზეზამდე, სადაც მოცემულია ცეკვის სურათი. სხვათა შორის, სონატაში საინტერესოდ არის გამოყვანილი რაჭული სტივის „შტრიხები“. ეს სონატა, როგორც მთლიანი აზრის მხრივ და ტექნიკურად ძნელად შესასრულებელი ნაწარმოები, ვიოლინოზე დამკვრელთათვის საკონცერტო პროგრამის ერთ-ერთ სერიოზულ ნიმურს წარმოადგენს.

ამავე ხანას ეკუთვნის გ. კილაძის მეორე სუიტა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს კომპოზიტორის მიერ წმინდა ფორმალურ ამოცანათა დამღვევად.

ვანო გოციელის პირველ მნიშვნელოვან ნაწარმოებს წარმოადგენს მისი 3 ნაწილიანი სეპტეტი, დაწერილი ხისა და სიმებიან საკრავებისათვის. მის მიერ მანამდე დაწერილი ნაწარმოებნი, სრულიად მოწყვეტილი მშობლიურ ფოლკლორს, მოკლებული არიან ინტერესს როგორც შინაარსის, ისე საკომპოზიციო ტექნიკის მხრივ. ამ სეპტეტით იწყება ვ. გოციელის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა.

იმ კომპოზიტორთა რიცხვს, რომელნიც ასოციაციის გარეშე, დამოუკიდებლად, ეძებდნენ შემოქმედებით მეთოდებს, უნდა მიეკუთნოს შ. თაქთაქიშვილიც, თავისი მცირე სიმფონიურ ნაწარმოებთა შემდეგ იგი იძლევა ერთ-ერთ თავის საუკეთესო ნაწარმოებს — № 1: ოთხნაწილიან სიმებიან კვარტეტს. ამასთანავე იგი ჰქმნის სახეებით მდიდარს, დიდი გემოვნების დამადისტურებელ ნაწარმოებებს, რომელთა რიცხვსაც ეკუთვნის კვარტეტი, „ვოკალიზი“, „ურბული“ და სხვ.

№ 1 კვარტეტში თაქთაქიშვილი გვევლინება მშფოთავ რომანტიკოსად, რომელსაც სტანჯავენ და აწუხებენ მწვავე საკითხები. ეს ნაწარმოები, რომელსაც ახასიათებს უშუალოება და გულწრფელობა, ფორმის გადაშლა-განვითარების ელასტიურობა და სირთულე, ყველა ნაწილის ერთი აზრით შეცვრა, საეხებით სამართლიანად შეიძლება მიეკუთნოს ქართული სამუსიკო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს. ტექნიკურად კვარტეტი ოსტატურად არის დაწერილი. არა ნაკლებ საინტერესოა მისი № 2 კვარტეტი, თუმცა მხატვრული ღირებულებით იგი პირველს ჩამოუვარდება.





აქვე აღნიშნავთ თავთაქიშვილის უკანასკნელ თვალსაზრის ნაწარმოებებს. ესენია: „ქართული ხალხური სიმღერები“ სიმღერების ორკესტრისათვის და თავისი ელფერი თხზილი ოთხნაწილიანი „ვიოლონჩლისათვის“.

მთლად გადახალისდა აგრეთვე ამ პერიოდში ვ. გოციელი, რომელიც ახლა დიდ ნაწარმოებებს იძლევა. მისი სიცოცხლით და ხალისით აღსავსე სიმფონიური სურათი „ლზინი“ და ოთხნაწილიანი სუიტა, რომელიც თანამედროვე სოფლის ყოფა-ცხოვრებას გვიხატავს, მოწმობენ კომპოზიტორის ოსტატობის ზრდას და მის მიერ ფოლკლორის ათვისება-დაუფლებას. გარდა ამისა, რამდენიმე წლის განმავლობაში ვ. გოციელი მუშაობს რუსთველის ორდენოსან თეატრში და ეწევა პიესების მუსიკალურად გაფორმებას („ანზორი“, „in tiranos“ და სხვ.). აქ გოციელმა დიდი უნარი გამოიჩინა დრამატული ტიპებისა და მდგომარეობის დახასიათებაში. ვ. გოციელის ოსტატურად დაწერილი მუსიკა ორგანიულად შედუღებულია დრამატულ ნაწარმოებებთან. ეს გარემოება არა ერთხელ აღინიშნა საბჭოთა კავშირის პრესაში. „ანზორისა“ და „in tiranos“-ის წარმოდგენების წარმატებას საგრძნობლად შეუწყო ხელი გოციელის მუსიკამ.

ასევე გააფართოვეს თავიანთი შემოქმედების ჩარჩოები შ. მშველიძემ და შ. ახმაიფარაშვილმა, რომლებიც წინად უმთავრესად ეოკალური ნაწარმოებებით კმაყოფილდებოდნენ. მშველიძემ დასწერა სიმფონიური ნაწარმოებები: „ფშაური“, „აზარი“ და აქარული ცეკვა „ხორუმი“. ამავე დროს კომპოზიტორი ჰქმნის საგუნდო სიმღერებს. ასეთებია: „შრომის სიმღერა“, „საბჭოთა საქართველო“ (მასობრივი), „მფრინავთა სიმღერა“, „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, სიმღერების ციკლი საბჭოთა საქართველოზე (გალ. ტაბიძის ტექსტის მიხედვით). ყველა ეს ნაწარმოები შესულია გუნდების რეპერტუარში. დასასრულ, უნდა აღინიშნოს მშველიძის მუშაობა პიესების მუსიკალური გაფორმების საქმეში („ნიინოშვილის გურია“, „ჩატხილი ხიდი“ და სხვ.). საქართველოს ყველა კუთხის სიმღერა, რომელიც შეთვისებული აქვს კომპოზიტორს, მისი სამუსიკო მეტყველების მშობლიური ენაა.

ძველი ტფილისის მუსიკა, რომელიც დ. არაყიშვილის შემოქმედების პირველი პერიოდის შემდეგ დავიწყებული იქნა, ხელახლა იპყრობს შ. ახმაიფარაშვილის ყურადღებას. მისი სიმებიანი კვარტეტი მთლად აგებულია ძველი ტფილისის აშუღების ჰანგებზე. აფერადებულ გამკვირვალე საკვარტეტო ბგერაანობაში ცოცხლად არის მოცემული 3 სურათი: 1) მგზავრული, 2) „ღამე შთებში“ (ღრმა adagio) და 3) სახანდრული. საგულისხმოა მესამე სურათი, რომელიც მეტად მოხერხებული მიზანძეა აშუღების პოეზიისა, დასაწყისში, ალტის pizzicato-ს ფონზე, ვიოლინო იძლევა აღზნებული სიმღერის იმპროვიზაციას, რომელიც თანდათან

გადადის მჭკვარე ტემპის ცეცვაზე. ალტის pizzicato-სთან ერთად სოპრანოს შეხამება იძლევა თარის სრულ ილუზიას. ამავე სტილის მუსიკა ეკლეთნის მისი ხუთი რომანტიული მუხამბაზი, რომლებსაც საერთოდ არაა სანდრე ჭავჭავაძის ლექსები უდევთ.

### სიმფონიური

ამ პერიოდში ქართული საბჭოთა მუსიკის საგანძურს ემატება მთელი რიგი სიმფონიური ნაწარმოებები. თავისი საციოლინო „სონატის“ შემდეგ ტუსკია ხელს ჰკიდებს სათეატრო მუსიკას. მის მიერ პიესების მუსიკალურად გაფორმება თვალსაჩინოდ უწყობს ხელს რუსთაველის თეატრის განვითარებასა და მუშაობის მეთოდებზე გამოვლენას. მეტად ძვირფასია და საყოფიერი ი. ტუსკიას მუშაობა ამ დარგში. ამ მუშაობას უკვალოდ არ ჩაუვლია მისთვის. მსმენელებთან ურთიერთობამ გააღვივა მისი ნიჭი, განავითარა და გააღრმავა მისი გამომხატველობის უნარი, რამაც შესაძლებლობა მისცა მდიდარ ტექნიკასთან ერთად შეექმნა ისეთი ნაწარმოებები, როგორც არის „Rote fahne“ და „ყვენობა“. პირველი წარმოადგენს სუიტას, რომელიც ახლავს ხმოვან ფილმს „შაქრს“. მეორე ნაწარმოებში მუსიკალურად ასახულია ტრადიციული ყვენობა, რომელიც იმართებოდა ძველ ტფილისში. კომპოზიტორმა სათანადო ხერხი გამოიხატა, რომ დაეხასიათებინა როგორც თვით ხალხი, რომელიც მამხლებლად არის გამოყვანილი, ისე ამ ხალხის დამოკიდებულება ნიღაბისადმი. ასეთ ხერხს წარმოადგენს ორი მომღერლის (ყენისა და საქმისაის) დიალოგი-დუეტა, რომელიც, ცოტა არ იყოს, ვოკალურ სიმწელეს შეიცავს. არანაკლებ მოხერხებულად არის გამოყენებული ორკესტრი. თვით ყვენობა არ არის მოცემული დივერტისმენტად, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ჭრელად აფერადებული და გამხარებული ხალხი. ყვენობაში ეს ფერწერა გამოყენებულია მხოლოდ და მხოლოდ დამხმარე საშუალებად.

იმვე დროის სიმფონიურ ნაწარმოებებს ეკლეთნის ახალგაზრდა კომპოზიტორის ა. ანდრიაშვილის პირველი სიმფონია. ეს ნაწარმოები და მისივე საფორტეპიანო კონცერტი (სამ ნაწილად) საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ანდრიაშვილს ეხერხება ბრძოლის ასახვა. ამ ნაწარმოებში მსმენელის ყურადღებას იქცევს გამოხატვის საშუალებათა სიმკვეთრე. ვაგეკაციური პათოსი და ხალხურ შემოქმედებასთან ორგანიული კავშირი. ამგვამად ანდრიაშვილი მუშაობს მეორე სიმფონიაზე, რომლის საუბრად აღებულია ერთ-ერთი ეპიზოდი „ვეფხისტყაოსნიდან“.

ამ უკანასკნელ დროს შესამჩნევი ნაბიჯი გადადგა წინ თამარ შავერზაშვილმა. რომელიც ზენ კომპოზიტორ-ქალთა მეტად მკორერტიკოვან ჯგუფს ეკლეთნის. შავერზაშვილმა დაიწყო ინტერესს მოკლებული სალონური რომანსებით, მაგრამ დიდი მუშაობის შემდეგ შექმნა ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც უკვე შევიდნენ ქართულ სა-მუსიკო ლიტერატურაში. მისი სტილია ინტიმური კამერული სტილი. უმ-

თავრესად კი — ბავშვთა სამყარო. ბგეროანობის მხრივ მცხად სიმღერის-  
ხმეორო ნაწარმოებებს შეადგენენ კამერული ნაწარმოებები და სიმ-  
ფონიური სუიტა. მაგრამ მისი შემოქმედების მთავარი დარგები სიმ-  
ღერებია, რომლებიც, ინტონაციების უშუალოდ და სწრაფად სიმ-  
ღერებზე, ადვილად ასათვისებელია მოზარდი თაობისათვის და ამიტომაც მის საყვარ-  
ელ რეპერტუარად არის გადაქცეული.

ამ ბოლო დროს ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა კომპოზიტორი-ქა-  
ლი დ. სლიანოვა (ცნობილი პიანისტის ა. მიხანდარის შვილის-შვილი).  
მის ოპუსებს ეკუთვნის დიდი „გმირული პოემა“ სიმფონიური ორკესტრისათვის და ლირიკულ-ვოკალური რომანსები. ამ უკანასკნელ ნაშრო-  
მებში სლიანოვას უკვე ემჩნევა მძიმეკლდება ხალხურ შემოქმედები-  
სადმი.

ახალგაზრდა (მესამე თაობის) კომპოზიტორთა რიცხვს ეკუთვნიან  
გ. კოკელაძე და ვაბიჩვაძე. პირველი მუშაობს უმთავრესად  
ხალხური მუსიკის დარგში. მან დასწერა 2 ვოკალური კვარტეტი, რამდენიმე  
სიმღერა, აგრეთვე წითელარმიელთა და საბავშვო სიმღერები.  
მსხვილ ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია „ს. მ. კიროვის სიკვდილზე“ —  
სამგლოვიარო ფერებით სიმფონიური ორკესტრისათვის დაწერილი რთუ-  
ლი პოლიფონიური სახის ნაწარმოები. იგი უნდა ჩაითვალოს კომპოზი-  
ტორის ყველაზე საუკეთესო ნაწარმოებად. საგუნდო რეპერტუარიდან  
აღსანიშნავია: „თვდაცვის სიმღერა“, „კომიკური მარში“ და დიდი  
გუნდი „სიმღერა სტალინზე“.

მეორე ახალგაზრდა კომპოზიტორი რ. ვაბიჩვაძე გვევლინება შემოქ-  
მედების სხვადასხვა დარგში. ბუნებით ლირიკოს ვაბიჩვაძეს ჯერ-ჯერო-  
ბით არა აქვს ნაპოენი თავისი ნამდვილი მიმართულება. ბევრს მუშა-  
ობს მასობრივ, წითელარმიელთა, პიონერთა და საბავშვო სიმღერებზე.  
ინსტრუმენტალურ მუსიკიდან აღსანიშნავია მისი სონატა ფორტეპიანო-  
სათვის. ეს ნაწარმოები იმ ხანას ეკუთვნის, როდესაც ავტორი ვატაცებუ-  
ლი იყო ტექნიკური ხერხების გამოუმგონებლობით. ამიტომაც მასში სჭარ-  
ბობს ფორმალური აზროვნება. ამავე სახის ნაწარმოებს უნდა მიეკუთვნოს  
ერთნაწილიანი სიმფონია. მაგრამ არ ვასულა დიდი დრო, რომ იგი  
უკვე სწერს „არიას“ ვიოლინოსათვის და რამდენიმე რომანს-სიმღერას,  
სადაც მოცემულია აზრის გარკვეულობა და ფართო კანტილენის ოს-  
ტატობა.

აქვე უნდა ვავიხსენოთ ა. ბუკია, რომელიც უმთავრესად საბავშ-  
ვო და წითელარმიელთა სიმღერებს სწერს, და ვ. ცაგარეიშვილი —  
დრამატიულ ნაწარმოებთა („ესპანური მღვდელი“ და სხვ.) მუსიკალურად  
გაფორმების ავტორი.

ფორტეპიანოს დარგში დიდი მიღწევები აქვს ახალგაზრდა კომპოზი-  
ტორს ა. ბალანჩივაძეს. მან ფორტეპიანოსთვის დასწერა ოთხნაწი-

ლიანი კონცერტი, რომელიც დიდი შენაძენია ქართულ სამუსიკო ლიტერატურისათვის. მასში მაღალი ვირტუოზობა შეხამებულია ღრმა შინაარსთან.

1932 წლიდან გ. კილაძე შეუდგა ოპერის „ბახტრეფის“<sup>15</sup> ამ ოპერის სუჟეტად აღებულია პ. კაკაბაძის იმავე სახელწოდების კომედია საქართველოს თავდაზნაურთა ცხოვრებიდან ფეოდალიზმის დაცემის ხანაში. კილაძე ეკუთვნის ისეთ კომპოზიტორთა კატეგორიას, რომელთაც აქვთ მკვეთრად გამოსახული შემოქმედებითი ნიჭი და შინაგანი დიდი პოტენციური ძალა. მისი გაქანება ზოგჯერ თავდაპერილობის საზღვრებსაც კი სცილდება. საქართველოს მრავალფეროვანი კუთხეების ფოლკლორი შემოქმედებითი სტიქიაა კილაძისათვის. იგი ერთ-ერთი იმ ხელოვანთაგანია, რომელშიაც სიცოცხლე დულს და გადმოდის. მაგრამ, ყველა ამის მიუხედავად, კილაძეს ამ ოპერაში დაშვებული აქვს წმინდა ფორმალისტური ხასიათის გადაზრები. განსაკუთრებით მკვეთრად სჩანს ეს პირველ მოქმედებაში, სადაც ორკესტრის ზედმეტი გადატვირთვაა, მელიოდური და რიტმიული ხერხების გადაჭარბებული გამახვილება, რაც ხელს უშლის საბჭოთა მსმენელს აითვისოს ნაწარმოები. ასეთივე სახის შეცდომები აქვს დაშვებული კომპოზიტორს ოპერის სხვა ადგილებში. მაგრამ ამ ფორმალისტური მომენტების პარალელურად ოპერაში მოიპოვება სავსებით ბრწყინვალე ადგილები, როგორცაა: სიმონხანის გამოსვლა, ოპერის უფერტურა და ეპილოგი-ლეკური, მესამე აქტის ანსამბლი, რომელიც წარმოადგენს დამუშავებულ გურულ ლირიკულ ტროს, და, დასასრულ, პირველი აქტის დიდი ანსამბლი.

გაზ. „პრავდა“-ში მოთავსებულმა წერილმა ფორმალიზმის შესახებ მწვავედ დააყენა საბჭოთა კომპოზიტორების წინაშე საკითხი სისადავისა და ხალხურობის შესახებ სამუსიკო ნაწარმოებში. სოციალისტური რეალიზმის მეთოდი, როგორც ერთადერთი შემოქმედებითი მეთოდი, გადაიქცა საბჭოთა მუსიკოსთა მუხიკის კრიტერიუმად.

ეს მომენტი მოსაბრუნებელ პუნქტად უნდა ჩაითვალოს. ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში დაიწყო ახალი ეტაპი. ქართველი კომპოზიტორები ითვისებენ „სისადავისა და ხალხურობის“ ლოზუნგს და ამ ლოზუნგის განხორციელების შედეგად მართლაც წარმოიშვა ბევრი წერილი და მსხვილი ნაწარმოები, რთული თავისი აზრით, მაგრამ სადა და ადვილად გასაგები ფართო მასებისათვის. ასე, მაგ., კილაძე სწერს გარკვეული პროგრამის მონუმენტალურ სიმფონიას 4 ნაწილად.

ამავე პერიოდს ეკუთვნის ტუსიკიას უკანასკნელი opus-ები. მის მიერ ს. კლდიაშვილის კომედიის „შემოდგომის აზნაურებისათვის“ დაწერილი მუსიკა აგებულია განსაკუთრებით ხალხურ მუსიკაზე და ცოცხლად გვისახავს წარსული დროის იმერეთის საყოფაცხოვრებო მომენტებს. იგივე

კომპოზიტორი, მოსკოვის დიდი საოპერო თეატრის დაკავშირებით, შედგა ოპერის „არსენას“ წერას (ს. შანშიაშვილის დრამის მიხედვით).

სხვა კომპოზიტორთა შორის აღენიშნავეთ გოციელსა და მანანჩი-ვაძეს. გოციელი სწერს ბალეტს „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით (ს. შანშიაშვილის ტისტო ვოლკოვი). ხალხურმა შემოქმედებამ მასში უკვე ღრმად გაიდგა ფესვები. ა. ბალანჩივაძემ დაამთავრა ბალეტი „მზე-ქაბუჯი“, რომლის სუფეტად აღებულია რომანტიული ნოველა მთიელთა მე-18 საუკუნის ცხოვრებიდან.

ქართული აკადემიური მუსიკისათვის ეპიკურების ასეთი მრავალფეროვანობა, ნაწარმოებთა დიდი რაოდენობა და მაღალი ხარისხი და შემოქმედთა საერთო ზრდა დიდ კულტურულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ქართულ მუსიკას ასახული აქვს სასიცოცხლო ტონუსის სწრაფი აღმავლობა სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. ქართველ კომპოზიტორთა უკანასკნელი opus-ები მიეძღვნა მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს ამხანაგ სტალინს. ესენია: „სიმღერა სტალინზე“ (გუნდისთვის, ტექსტი ს. ჩიჭოვანისა) — ტუსკიასი, „სიმღერა სტალინზე“ (გუნდისათვის, ტექსტი გ. ლეონიძისა) — რ. ვაბიჩვაძისა, „სიმღერა სტალინზე“ — გ. კოკელაძისა, სიმფონიის ფინალი — კილაძისა და ქართველ კომპოზიტორთა ჯგუფის (ა. ბალანჩივაძე, ე. გოციელი, შ. მშველიძე, გ. კილაძე, ი. ტუსკია) დიდი ნაწარმოები — „მიძღვნა ბელადისადმი“ (ტექსტი აღებულია მწერალთა ჯგუფის მიერ გალექსილ ქართველ მშრომელთა მიმართებიდან სტალინისადმი).



ა. შანიძე

## ვახტანგის მონობრაჟია

ვეფხის ტყაოსნის შესახებ და მისი მნიშვნელობა პოემის  
ტექსტის შესწავლისათვის

(გავრძელება<sup>1</sup>)

### III. ვახტანგის ლექსიკონი

ვახტანგ მეექვსეს, სხვა მრავალ საკულტურო საკითხთან ერთად, ძალიან აინტერესებდა სალექსიკონო საქმე. ცნობილია, რომ მან ირანულიდან თარგმნა ულულ-ბეგის ასტრონომიული წიგნი „ზიჯი“ და დაურთო მას ლექსიკონები: ოთხი მოკლე და ოთხი უფრო სრული, რომელთაგანაც ზოგი უკვე გამოქვეყნებულია<sup>2</sup>). მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ის სალექსიკონო მუშაობა, რომელიც ვახტანგს „ვეფხის-ტყაოსნის“ თარგმანებასთან დაკავშირებით გაუწეოდა.

ლექსიკონი იმ სახით, როგორც ეს ამჟამად გვესმის, ვახტანგს „ვეფხის-ტყაოსნისთვის“ არ გაუკეთებია, მაგრამ თავის „თარგმანში“ შეუტანია პოემის მრავალი ძნელად გასაგები სიტყვის ახსნა-განმარტება. ეს ახსნა-განმარტება სიტყვებისა წარმოადგენს სპეციალური ლექსიკონის შედგენის ცდას, რაც უთუოდ, მეტად მნიშვნელოვანია თავისი შედეგით. მართალია, ვახტანგი თავის ლექსიკონს ანბანზე არ ალაგებს, მაგრამ ეს მხოლოდ ტექნიკური ნაკლია. მთავარია გაუგებარისა ან ძნელად გასაგები სიტყვების ახსნა. აქ კი ძირითადად ვახტანგი მოჰყვება მძიმე საქმეს. ახლა, როდესაც სალექსიკონო მასალა გამოყოფილია საერთო თარგმანიდან ან იგი ანბანზედაც არის გაწყობილი, უფრო ნათელია ვახტანგის ხერხი სიტყვების ახსნისა და მისი ლექსიკონის ღირსება-ნაკლულევანებანი. ბევრი სიტყვა ვახტანგს ჩინებულად აქვს ახსნილი. მაგალითად, ძ უ ნ წ ი ს შესახებ ამბობს: „ძ უ ნ წ ი-კაცს ჰქონდეს, ხარჯი მართებდეს და არ იხარჯებოდეს“.

1) დასაწყისი ნახე „მნათობში“, 1936, № 10 — 11, გვ. 169 და შემდეგ.

2) ვ. შ ა რ რ ი: „ულულ-ბეგის „ზიჯის“ ვახტანგისეული თარგმანი სპარსულ-ქართული ლექსიკონით“ (სპარსულ-ქართული ცდანი, I, ლენინგრადი, 1926).

ამაზე კობტად და ზუსტად სიტყვის ახსნა შეუძლებელია. ან კიდევ: კურნება — გამოთვლებასა ჰქვიან და წყლული დაჭრილსა, აბჯარი — რაც ჩასაცმელი ან შემოსაკრავი იარაღი არის, ყველეს ჰქვიან. ან კიდევ: კეკლუცი — ლამაზია და დუხტირი გონჯი; მღწევი კიტყვის ვახტანგი სამ სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სიტყვით ხსნის, მაგრამ არსებითად ერთიარად: მიწყვიც ნიადგ არის (რათ), მუდამ არის (ტლე), მარადის არის (ქოც). პკურება — სასხურებლით თუ კელით კაცმა კაცს შეაფრქვიოს, ის არის (ტმ); საგანი ნიშანს ჰქვიან (ტაგ). ან: ისრის ნიშანი არის (ქეც); უღონოდ უსაცილოდ არის (რე), უსტარი მინაწერი წიგნი არის (როგ); ქულბაქი დუქანი არის (ქე), ყაბაჩა მოკლე კაბა არის; წაწყმენდა დაკარგვა არის (სე) და სხვა.

რა თქმა უნდა, ვახტანგის ლექსიკონში მოიპოვება სუსტი ადგილები და ზოგჯერ გაუგებრობა და შეცდომაც (ნ., მაგ., ავოს, ამაყი, ბორიო, თნება, სათნები, მენიანი კაბა, მჭვერი, ნაკადი, წრტალი), მაგრამ საერთოდ ლექსიკონი კარგია და თავის დროისათვის ჩინებულიც. ვახტანგი უცხო წარმოშობილობასაც აღნიშნავს და ამბობს, რომ სიტყვა არაბულია (ამირი, აქიმი, აშიყობა, მიჯნური, ღარიბი და სხვ.), თათრული (არამი, არიფი, ბაჩჩა, დავლა, დარდი, ზადი, მუფარახი, ფლიდი, ხადუმი, ჯუბაჩობა), სპარსული, ე.ი. ირანული (გია, ზარქაში, შიმშირი), ბერძნული (მუსიკი), სომხური (ალქატი), ან უბრალოდ: სხვათა ენაა (არამი, რუკა, ხასიათი და სხვა). სიტყვის განმარტებას ზოგჯერ ენციკლოპედიური ხასიათი აქვს: „ნი ვახერეტილი ზე არის, მრუდათ სულის ჩაბერვით დაიკურის, ყაზილბაში იციათ“; რიღე თავსახუვესა ჰქვიან, რომელსა ინდნი და სპარსნი თავსა იხევევენ და არაბნი“; ჯუბა. ძველი საცმელი არის, კაბად პერანგსავით ზეით საცმელი არის“.

„ვეფხის-ტყაოსნის“ სიტყვების ახსნასთან დაკავშირებით ვახტანგს აქა-იქ ზოგიერთი ისეთი სიტყვაც აუხსნია, რომლებიც „ვეფხის-ტყაოსანში“ არ გვხვდება (პორფირი, როქიკი, მაყე, უტყეება, წველი).

ზოგიერთ შემთხვევაში ვახტანგს საჭიროდ დაუნახავს, სიტყვა მოეყვანა მხოლოდ იმისათვის, რომ აღენიშნა, რომ იგი უცხო ენიდან არის ნასესხები, მაგრამ ახსნით არ აუხსნია, რადგანაც სიტყვის მნიშვნელობა ისედაც სკოდნიათ. ასეთებია, მაგ., არიფი, ზადი, ფლიდი, ხასიათი, ჯუბაჩობა.

ღარიბს ვახტანგი ერთგან არაბულ სიტყვად აცხადებს, მეორეგან კი თათრულად, მაგრამ იქაც მართალია და აქაც: ეს სიტყვა, წარმოშობით არაბული, თათრულშიც იხმარება.

• ვახტანგს თავის ლექსიკონში სამართლიანად შეაქვს ადამიანის სხეულის ნაწილებისათვის ეპითეტებად გამოყენებული სახელები: ვარდი, ნარგიზი, გიშერი, იავუნდი, მინა და სხვა.



მაჯამურ „ბოლოებში“ ვახტანგი ვერ გარკვეულა და არ თარგმნის: „ბოლოების სათარგმანო არ მითარგმნია, თქვენ თარგმნეთ“-ო, ამბობს იგი ასადაგეს ფორმის შესახებ (136); „ბოლოები ვინც გინდა, თქვენ თარგმნეთ“-ო, ამბობს მეორეგან (უშენოსა: 487); „ბოლოები ვინც გინდა, თარგმნეთ, ერთი სომხური კი არის არიდენო—იქით მოდი“-ო, ამბობს შესაძევან (არიდენო: 488).<sup>1)</sup>

ვახტანგი არ მალავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ვერ გაურკვევია სიტყვის მნიშვნელობა, პოემაში რომ იკითხება: „ადგეს სოგრატ და აეთანდილ, ტანითა მით კენართა“. ამის გამო ვახტანგი თავმდაბლად შენიშნავს: „კენარი მე არ ვიცოდი, ვინც იცოდეთ, სთარგმნეთ“ (60); „შეფრობა ვერ გავარჩიევ“-ო, ამბობს იგი სხვაგან შემდეგი ადგილის გამო: „მთვარისა შხვავსი, მზისაგან შეენებით არ შეფრობლი“ (322). შესამე ადგილას ამბობს: შარდი ვერ გავარჩიევო („სრა ედგა მოფარდაგული ოქსინოთა და შარდითა“, 326); „ოდნობა რა არი, ვერ ვაგრძნეთ; სახითა ოდენ სამითა რომ სწერია, მართლა კი არ ვიცი და მე ასრე მგონია“-ო, ამბობს ვახტანგი და მოჰყავს თავისი აზრი, როგორც საეჭო, მაგრამ შესაძლებელი (500). ან კიდევ: „ნიშატი მართლა არ ვიცოდი“-ო (674); სილფის შესახებ შენიშნავს: „ვიკითხოთ რა არის“-ო (496).

ვახტანგი ჩვეულებრივ ძირითად სიტყვას თარგმნის და არა ნაწარმოებს და იმ ფორმით, როგორც „ვეფხისტყაოსანშია“ ნახმარი; მაგ., „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება სიძუნწე (542), ვახტანგი კი ძუნწს ხსნის; პოემაშია უასაკო (888), ვახტანგს კი თავის თარგმანში ასაკი შეაქვს ასახსნელად; „ვეფხისტყაოსნის ტექსტშია მოალაფლებს, ვახტანგი მოლაფლებს ნაცვლად ლაფალს ხსნის. სხვა მაგალითები: საგოგმანები — გოგმანი (16), სალალობო — ლალობა (24), სააშვიკოდ — აშვიობა (24), მუსიკობდეს — მუსიკი (25), გაბედით და — ბედითი (102), გასალდეს — სალი (135), ქველობა — ქველი (143), დადაგული — დაგვა (151), შეელრენა — ღღერა (191), გაემკეახა — მკეახე (189); ვავაქილენით, გავაქილდი — ვაქილი (199, 546), გაფიცებულნი — ფიცხი (584). საქულბაქე — ქულბაქი (605), გაბასრული — ბასრობა (622), მოკამათე — კამათობა (669), საკრძალველი — კრძალვა, სასალუქო — სალუქი (1067), ლმობიერობა — ლმობიერი (1146), ჭარმაგოსანი — ჭარმაგი (1345) და სხვ.

აქა-იქ ვახტანგს მოკლედ მოუჭრია სიტყვა: „ცნობის თარგმანი გძლად მოვიდოდა, ბოლო შეტყობავ არის“ (482); ან კიდევ: „სვე, ბედი და შარმენიო სამივე ერთი რიგი არის და სამივე კიდევ ერთად სხვა რიგად გაიჩრევა, თავთავისი გზა არ მიგვიცემია“ (457).

<sup>1)</sup> იმაში ვერ დავეთანხმებით ვახტანგს, რომ აქ სომხური სიტყვა ივულისხმებოდა ეს საღმე, მაგრამ ეს არაფერია.

„ვეფხისტყაოსანი“ სულხან-საბა ორბელიანსაც აქვს გამოყენებული წყაროდ თავისი განთქმული ლექსიკონისათვის, მაგრამ მას სიტყვები ამ პოემიდან ნაკლები რაოდენობით აქვს ამოღებული, ვიდრე ეს ვახტანგის თარგმანშია. სულხანის ლექსიკონში არ მოიპოვება ბევრი სიტყვა რომელიც ვახტანგს აუხსნია, მაგ.: აბა, ამოფხვრა, არამი, აჯაბი, ბადაბნანი, ბახჩა, ბულბულო, გაკიცხვა, დარდი, დაშუშვა, დილაჯი, თათბირი, მიჯნური, მოხმა, მულიმი, მუსაფი, საროტანი, ტანაჯორი, ფარმანი, ყანი, შიმშირი, ჯოქმანი, ხარაჯა.

თუ შევადარებთ იმ სიტყვების ახსნას, რომლებიც სულხან-საბასაც მოეპოვება და ვახტანგსაც, ვნახავთ, რომ მათ შორის მსგავსებაც არის და განსხვავებაც. სრულიად განსხვავებულად ხსნიან ისინი შემდეგ სიტყვებს: ბადრაგა, ბელზებული, ბილწი, გაკიდება, გაბილწება, გოგმანი, გულისობა, დაზმულობა, დანაბვა, დარაჯა, დარგი, დრამა, ეჯი, ეჯიბი, ვალი, ველი, ვალავანი, კაეშანი, კაპარჯი, ლიზლობა, მანდიკი, მოგვარეობა, მუსიკი, ნატა, შედეგი, ჩაბალახი, ხანი, ხულა და სხვ. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი<sup>1)</sup>.

ბადრაგა ჭაბუკი მოგზაურთა წინამავალი, რათა მეკობრეთაგან უვნებელად გაატარონ (9 დარეჯანიან) S; ეაქართ რომე მხნე კაცი უძლოდეს და იმათი სისხლი იმან იკისროს, ის არის W.

ბილწი არა წმინდა (1 მეფ. 25, 3) S; ფინისა ჰქვიან W.

ეჯიბი მეფის მაგიერ მოლაპარაკე (ზოგი ხელნაწერი უმატებს: წინაშე მეფისა მდგომელი) S; ქართულს ბატონს ჰყოლია, კელ-ჯოხიანსავეთ თავსა გაუყრელად სდგომია და მას ეტყოდნენ: „ეჯიბო, მეფეს (რაც სიტყვა ჰქონდეთ) ეს მოახსენეო“, დღესაც ქორწილობაში კიდევ იციან, W.

კეეშანი ზრუნვით სენი შეედვას S; კაეშანი მოწყენასავეთ არის (170), ზრუნვა რომ სვედად შესცვალოს, ეს არის (309) W.

მანდიკი ვაშკარანი S; ხურჯინი W.

მუსიკი ლათინურად კმონებად მოვა, ქართულად სახიობა ჰქვიან (3, 15 დან.) S; ბერძნულად მგალობლებს ჰქვიან W.

ნატა თალთინი, მოქნილი ტყავი S; ქვეშაგებს ტყავსა ჰქვიან W.

შედეგი ჩამო, ვინა მახედ ნაკლები S; იმას უკანდელი W.

ჩაბალახი ეს არის თავსახურავი საომარი, ვინა წვიმაში თავჩამოსაცმელი რამე S; ჯაჭვის ქულია, უკვერცხო W.

ხანი თურქთა ენით მებატონე, ვინა ერისთავი არის S; ოზბეგის კელმწიფეს ჰქვიან W.

<sup>1)</sup> შემოკლებისათვის: S — სულხან-საბა, W — ვახტანგი.

მაგრამ ხშირად დიდი მსგავსებაც არის. მსგავსება ზოგჯერ მსგავსებაშია, ზოგჯერ კი ისეთია, რომ ერთის მწერლის ახსნა მეორესას ზოგადად მიჰყვება და მხოლოდ წერილმანებშია განსხვავებები.

ახსნა რომ ორივე მწერალს ერთი და იგივე ჰქონდეს, აქვე მოვიხსენიებთ: აუგი, ბაზარი, ბარბითი, ბევრი, განგება, გვარი, დაზმა, დარაკა, დაფახვა, დაშრომა, დიაცი, დრაჰკანი, ზიარი, ზმა, კამათობა, მახალი, მეკობრე, მპყრობელი, სალუქი, ტაბლაკი, ტვერი, ციაგი, წაფარნა, ქარმაგი, კაფი.

მართლაც:

აუგი სარცხენელი S; სარცხენელი არის W.

ბაზარი სავაქრო ადგილი S; სავაქრო ადგილი არის W.

ბარბითი მულნი S; მულნია W.

დარაკა ფარი S; ფარსა ჰქვიან W.

დაფახვა დახუჭვა S; დახუჭვა არის (293) W [მაგრამ: „თვალს ხუჭუფდეს, ის არის“ (666) W].

ზიარი მოწილე (ვეზრა, 5, 72) S; მოწილეს ჰქვიან W და მისთანანი.

განსხვავება რომ მცირეოდენი იყოს, ამის მაგალითიც ბევრია და მათ შორის:

აზავერი ხარი საკიდარი S; ასაკიდებელი ხარი W.

არმალანი შორით მოსულისაგან მოღებული მის თემის ძველნი S; შორით მოსული ძღვენია W.

ბრძენი დიდად ჰქვიანი (41, 33 დაბ) S; დიდ ჰქვიანს ჰქვიან W.

ბრძე ცილების გამსინჯაეი S; ბრძე გამსინჯავს ჰქვიან W.

ვაქილი თანამოსარჩლე, ვაქილი მიზღური მოსარჩლე, რომელ არს სეინალროსი S; არაბულად სეინალროსია, ქართულად ვაქილი თანამოსარჩლედ გამოითარგმანების W.

ზოზონა ამბის ვერ გაბედვით თქმა S; ამბავის გაუბედაობით თქმა W.

იავარი ნაფორიაქალი S; აფორიაქება არის W.

კუშტი მწყრალად მყოფი და არა მრისხანე S; პირ-მწყრობი, არ-მრისხანებად W.

რიდე ესე არს თავსახვევი ინდოთა, სპარსთა და არაბთა ქელისა წილ სახურავი S; თავსახვევისა ჰქვიან, რომელსა ინდნი და სპარსნი თავსა იხვევენ და არაბნი W.

ასეთივე მაგალითებია: მკვახე, მქისი, რუკა, სუფევა, შაბაში, ძუნწი, ხარგა და სხვა.

სიტყვების ახსნა-განმარტების მსგავსება სულხანის ქართულ ლექსიკონსა და ვახტანგის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანში ზოგჯერ ისეთია,

რომ იგი უბრალო შემთხვევით მოვლენად არ შეიძლება მიჩნეულ იქნას. მათი შედარება ისეთი ხასიათის მსგავსებას ააშკარავებს, რომ ორში ერთი: ან ვახტანგი სესხულობს სულხანისაგან და ან სულხანი სარგებლობს ვახტანგის სპეციალური გამოკვლევით. რადგანაც ვახტანგი და სულხან-საბა თანამედროვენი იყვნენ და სალიტერატურო ასპარეზზე მშორს ერთად მუშაობდნენ, სრულიად ბუნებრივია, რომ ურთიერთგავლენის საკითხი ასე დაისვას, მაგრამ ვინ ვისგან არის დამოკიდებული? მიემართოთ შესაღებელ მასალას:

მჭევრი — სულხანი ამბობს: „ესე არს თითო სახენი გვიანი მეტყუელებისანი“ (1 მეფ., 16, 18). ვახტანგიც უპერს მხარს: „სხვასა და სხვას სიტყვის გვიანს ჰქვიან“. ვახტანგს სხვაგანაც აქვს ეს სიტყვა ახსნილი, მაგრამ ყველგან მჭევრ-მეტყუელებას გულისხმობს, მაშინ, როდესაც „ვეფხისტყაოსანში“ ეს სიტყვა ტანის ეპითეტია (მაგ., ტანსა მჭევრსა ათრთოლებდა“: რღზ) და მჭერმეტყუელებსთან არაერთგვაროვანი კავშირი არა აქვს. ამიტომ მგონია, რომ ვახტანგი სულხან-საბას ლექსიკონზეა დამოკიდებული და იმიტომ მოსდის შეცდომა.

ელერა „ეტლთა სღვათ კმა“ არისო. ამბობს სულხან-საბა და იმოწუმეორებია ეს ახსნა: „ელეტა მრავალთ ჩიტის ზოცას ჰქვიან“. მაგრამ, რადგანაც დამოწმებულ ადგილას (214) ჩიტების ზოცა არაფერ შუაშია, დაურთავს: „ლექის გაწყობისათვის უთქვამს, ორისავე დაზოცად მოუყვანია“-ო.

ვახტანგის საბაზე დამოკიდებულებას კიდევ უფრო ცხადად შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს:

ელერა „ეტლთა სღვათ ხმა“ არისო, ამბობს სულხან-საბა და იმოწუმებს ადგილს მეფეთა წიგნიდან (IV, 7, 6), სადაც ეტლების შესახებ მართლაც არის საუბარი<sup>1)</sup>. მაგრამ, როცა ვახტანგი ამბობს, რომ „ელერა ეტლთა სღვის კმას ჰქვიან“-ო, ეს სრულიად არ შეეფერება „ვეფხისტყაოსანის“ რვა სტროფში მოყვანილ სიტყვებს, სადაც ეტლის ხსენება არსად არის.

თუ ამასთან ერთად გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ ბევრი იმ სიტყვათაგანი, რომლებიც სულხან-საბასა და ვახტანგს მსგავსად აქვთ განმარტებული, პირველ მათგანს სხვა წყაროებიდან აქვს დამოწმებული და არა „ვეფხისტყაოსანიდან“, ყველასათვის ცხადი უნდა გახდეს, რომ ზოგიერთი სიტყვის ახსნისას ვახტანგი საბას ავტორიტეტს ეყრდნობა.

სამაგიეროდ უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკონი, დართული „ვეფხისტყაოსანის“ იმ ხელნაწერებს ბოლოს, რომელიც ყარაბაღლის სახელით

<sup>1)</sup> ათონის 978 ხელნაწერის თანახმად: „და არა იყო მტნ კაცი, რომელმან ასმინა ბანაკსა მას ასურთისა ეერად ეტლთა და ბევრად ჰუნეთა“.

არის ცნობილი (გადაწერილია 1826),<sup>1</sup>) უეჭველად ვახტანგის ლექსიკონზეა დამოკიდებული. ყოველ შემთხვევაში მრავალი სიტყვის ახსნა ვახტანგიდან მომდინარეობს, როგორც, მაგალი: აზავერუ, ავირუ, ასაქმარი, ასდენ, აჯილა, ბადახშანი, გარეტება, გაწირვა, დავედრე, დეფეშე, ეშმა, ეჯიბი, ზმა ზოზუნა, თანისთანი, კოტა, მანგი, მანდიკი, მარზაპანი, მაყე, მენიანი, მუჯამარი, მქისი, მწე, ნატიფი, ოდენ, სათუთი, საკარგავი, საყენი, სახედარი, სირა, სუფევა, ტაბლაკი, უტევეანი, უსტარი, ულონიოდ, ლაფალი, ყაბაჩა, შეხება, ხანი, კაფი, ჯაბანი, ჯავშანი.

რომ ყარაბაღელი „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი ვახტანგისაზეა დამოკიდებული, ამას ისიც ადასტურებს, რომ შიგ შეტანილია ისეთი სიტყვა, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ არ გვხვდება, მაგრამ ვახტანგს თავის თარგმანში სხვა სიტყვის ახსნასთან დაკავშირებით შეუტანია. ეს გახლავს წველი, რომელიც ყარაბაღელი ვარიანტიდან „ყანის ფხა არის“.

მაინც ყველაზე თვალსაჩინო საბუთი იმისა, რომ ყარაბაღელი „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვები ვახტანგისეული გამოცემიდან მომდინარეობს, ის არის, რომ აქ გამეორებულია ის კორექტურული შეცდომები, რომლებიც ვახტანგის თარგმანში მოიპოვება. ერთი მათგანია მაჯანი, რომელიც ყარაბაღელი ვარიანტი „ცულის ტარია“. „ტარი“ არ ვიცი და „ცული“ კი ვახტანგის თარგმანში ცულის ნაცვლად არის დაბეჭდილი: „მაჯანი“ ცულსა ჰქვიან W (შეცდომაა, უნდა ყოფილიყო: ცუდსა ჰქვიან). ამას გარდა, ვახტანგისავე თარგმანში ორი ასახსნელი სიტყვა შეცდომით არის დაბეჭდილი: გაქარვება და გრილი. პირველის ნაცვლად მოსალოდნელი იყო ჩავაქარაბავე, ხოლო მეორისა — გეარლი. ორივე სიტყვა შეცდომებითვე არის გადასული ყარაბაღელ ვარიანტში.

ყველა ეს იმას ჰმოწმობს, რომ ყარაბაღელი „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოს დართული ლექსიკონი ძირითადად ვახტანგის თარგმანში განმარტებული სიტყვების მიხედვით არის გაკეთებული.



<sup>1</sup> ლ. მელიქსეთბეგი: „ვეფხისტყაოსნის“ ყარაბაღელი ვარიანტი“ (ტფ. ხაბ. უნივერსიტეტის შრომები, V, 1936, 201 და შემდეგ).

# ბიბლიოტრია



დ. კობიძე

პროფ. იუსტინე აბულაძე: „ირანული ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით“, 1937 წ.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოცა პროფ. იუსტინე აბულაძის შრომა: „ირანული ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით“.

ქართულ ენაზე ასეთი წიგნი პირველი მოგვინა, რაც თავის მხრივ საბჭოთა მეცნიერების ყოველდღიური ზრდისა და წინსვლის მაჩვენებელია. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ირანული ენის შესწავლა-დაუფლებას, ურომლისადაც შეუძლებელია სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ ჩვენი ხალხის როგორც ლიტერატურულ, ისე ისტორიულ წარსულზე.

პროფ. ი. აბულაძის ეს შრომა მიზნად ისახავს მოსწავლის მომზადებას როგორც ლიტერატურული, ისე ისტორიული ხასიათის ტექსტების კითხვისათვის. მაგრამ საინტერესოა პედაგოგიური თვალსაზრისით, როგორ არის ეს კეთილი განზრახვა შეფარებული წარმოდგენილ მასალათან.

პროფ. ი. აბულაძეს ყველაზე კარგად მოეხსენება ის თავისებურებანი, ის სიძნელენი, რომელნიც ირანული ენის შესწავლას ართულებენ. ამ სირთულის გაღრმავებას თავის მხრივ ხელს უწყობს არაბული დამწერლობა, რაც პირველ დამწეებთ დიდ უცნაურობად და გადაუღებელ სიძნელედ ეჩვენებათ ხოლმე. მით უფრო ყოველად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ირანული ენის სწავლების დაწყება ლითოგრაფიული ტექსტით, როგორც ეს ამ წიგნშია წარმოდგენილი. პროფ. ი. აბულაძემ იცის ისიც, რომ ბევრ პროფესორსა და აკადემიკოსს ძალიან ეძნელება ლითოგრაფიული ტექსტის ამა თუ იმ საზოთირო ადგილის ამოკითხვა და სწორი გაგება. როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში სტუდენტი, რომელსაც ირანულში არავითარი წინასწარი ჩვევა არ გააჩნია? ამას მიუმატებ ისიც, რომ ჩვენს უნივერსიტეტში ირანული ენა იკითხება პირველ კურსზე, რაცა სტუდენტი ჯერ კიდევ არ არის საკმარისად მომზადებული ირანული ენის გასაცნობად.

გფიქრობ, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ საადი შირაზელის „კოლესთანნიდან“ წიგნში წარმოდგენილი ყოფილიყო არაკები არა რომელიმე სხვა თავიდან, არამედ მეშვიდე თავიდან და განსაკუთრებით ისეთები, რომლებშიაც უფრო ნაკლებადაა გამოყენებული არაბული სიტყვები და წინადადებები, რომელთა ნამდვილი გაგება-შეთვისება დამწეებთათვის ძალზე საძნელო საქმეს წარმოადგენს. საჭირო და აუცილებელიც იყო აგრეთვე, რომ წიგნს დართული ჰქონოდა ყველა იმ სიტყვის ლექსიკონი, რომელიც ტექსტში გვხვდება, და არა ზოგიერთი მთიანისა, როგორც ეს ავტორს აქვს.

წარმოდგენილ ტექსტებსა და გრამატიკას შორის არავითარი თანმიმდევრული კავშირი არ არსებობს და ეს იმით აიხსნება, რომ აქ შეერთებულია ორი წიგნი: „ირანული ენის გრამატიკა“ და „ირანული ენის ქრესტომათია“. ავტორს ისე აქვს წარმოდგენილი, რომ მსმენელებმა ჯერ გრამატიკული ნაწილი უნდა გაიარონ და

შემდეგ ისინი შეძლებენ „თამამად მიჰყონ ხელი ირანული ჭრესტომათიკა და სთანადოდ დამუშავებული ირანული ტექსტების კითხვას“ (იხ. წინასიტყვაობა, გვ. 4). არ ვიცი, ენის სწავლებაში რამდენად გამართლებულად უნდა ჩაითვალოს ისეთი მეთოდი, რომ ჯერ მთელი გრამატიკა უნდა შეისწავლოთ და შემდეგ შეიძლება ტექსტების კითხვას აღმათ, პროფ. ი. აბულაძე გულისხმობს გრამატიკის სწავლების შესწავლის დროს მსმენელთათვის კიდევ შესაფერო დამატებით მასალის მიწოდებას, რაც წემის აზრითაც, აუცილებელია დასახული მიზნის მისაღწევად.

ალაგაალაგ გრამატიკულ ნაწილში შენიშნავეთ არასათანადო თანმიმდევრობას. რაც უფროდ სავრცინობ დაბრკოლებას ქჷნის. მაგალითად, 43-9 გვერდზე ლაპარაკია ეზაფეთის ზოგაერთი ფუნქციის შესახებ და წარმოდგენილია მაგალითი: „დეფთერე ბერადერემ“ (იემი ძმის რვეული). საქმე იმაშია, რომ იქ სიტყვის ფორმაში — „ბერადერემ“ — გვევლინება ნაცვალსახელობითი სუფიქსი, რის შესახებ წინა თავებში არაფერია ნათქვამი და, ცხადია, მკითხველ მოსწავლესაც მის შესახებ არავითარი წარმოდგენა არ ექნება. აღნიშნულ გრამატიკულ კატეგორიებს, ე. ი. ნაცვალსახელობითს სუფიქსებს პროფესორი განმარტავს შემდეგ, 5-ე გვერდზე. საჭირო იყო აგრეთვე ავტორის მოეცა განმარტებანი „იბი ჰიქაიეთის“ შესახებ, რომელსაც კლასიკური მწერლობის ენაში დიდი მნიშვნელობა აქვს. უნდა განემარტა აგრეთვე „იბი ნესბეთის“ სხვა სახეებიც (შირი — შერძევე და მისთანანი), რასაც, მართალია, ირანული ენის ძველ გრამატიკებში ვერ შეხედებით, მაგრამ მეცნიერულ კვლევებში აღნიშნავენ (იხ. „ირანი“, II, პ. ა. ვალუნოვი: „ირანული ცოცხალი ენის ორი სუფიქსის შესახებ“, რუსულ ენაზე).

სიმაართე უნდა ითქვას, რომ წიგნი მთელ რიგ შემთხვევებში ძალიან ახლო მისდევს ე. გ. ზალემანისა და ე. ა. ეუკოესკის ახალი ირანული ენის მოკლე გრამატიკას“. მაგრამ აბულაძის წიგნს შინც უპირატესობა ენიჭება იმ შრიც, რომ იქ ენობრივი მოვლენების განხილვა უფრო ვრცელადაა წარმოდგენილი.

უნდა შენიშნოთ ისიც, რომ როცა პროფ. აბულაძე ახალი ირანული ლიტერატურის პირველი ჩანასახების შესახებ ლაპარაკობს, ემაყოფილება აბას მერველის „ყასიდის“ შესახებ გამოთქმულ ე. გ. ბრაუნის შეხედულებით (კორექტორ-ვადამწერის დაუდევრობით წიგნში ე. გ. ბრაუნის შრომის სახელწოდება და გვერდები სწორად არ არის აღნიშნული) და იმავე დასკვნებს იზიარებს, როგორც ბრაუნს აქვს წარმოდგენილი. ეს, რა თქმა უნდა, დასაშვებია, მაგრამ ამ საკითხის შესახებ არსებობს ბრაუნის თვალსაზრისისაგან განსხვავებული სხვა. უფრო ახალი შეხედულებანი და მასალა, რის გამო აბას მერველს შინც რჩება ლიტერატურული პირველობა (იხ. ი. მარტი: „ავადემიკოს ე. ვ. ბართოლდის მივიწყებული შენიშვნა“. აკად. უწყებები, № 3, 1933 წ. რუსულ ენაზე).

პროფ. აბულაძე მეტად უხეშ შეცდომას უშვებს, როცა წინასიტყვაობაში სწერს, რომ ირანული აგრეთვე „თურქმენთა ს. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო ენა“ — თურქმენთა ს. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო ენა გახლავით არა ირანული, არამედ თურქმენული, რომელიც სრულიად დამოუკიდებელ ენას წარმოადგენს.

აღნიშნულ ნაკლთა მიუხედავად, პროფ. ი. აბულაძის ეს შრომა, როგორც პირველი მოვლენა ქართულ ენაზე. მისასალმებელია და მას უსათუოდ დიდი დახმარების ვაწევა შეუძლია ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.